

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

შინაარსი
ნაწილი I..... 5

1. შესავალი დებულებები 5

2. ტერმინთა განმარტებები 6

3. განცხადებები და გარანტიები..... 9

4. საბანკო მომსახურების ტარიფები 10

5. დავალების მიღებისა და შესრულების ვადები 11

6. მხარეთა პასუხისმგებლობა 11

7. პასუხისმგებლობის შეზღუდვა..... 12

8. გადასახადები..... 12

9. ხელშეკრულების ცვლილება..... 13

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა 13

11. ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხებიდან გააქტიურებულ საბანკო პროდუქტებზე კლიენტის მიერ უარის თქმის უფლება 13

12. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა 14

13. კომუნიკაცია..... 14

14. კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემების დამუშავება 15

ნაწილი II..... 20

15. საბანკო ანგარიშით მომსახურება 20

15.1. ანგარიშის გახსნა და ანგარიშით სარგებლობა 20

15.2. უნივერსალური ანგარიში 22

15.3. სოციალური ანგარიში..... 22

15.4. PAY ანგარიში 23

15.5. ტექნიკური ანგარიში..... 23

15.6. სესხის მომსახურე უნივერსალური ანგარიში 23

15.7. სარეალიზაციო ანგარიში 24

15.8. აგრო ანგარიში..... 24

15.9. სპეციალური სავალუტო ანგარიში 24

16. ბარათი..... 24

16.1. ბარათით სარგებლობის ზოგადი პირობები..... 24

16.2. უნივერსალური ანგარიშის ბარათი 26

16.3. სოციალური ბარათი 26

16.4. საბავშვო ბარათი 27

16.5. აგრო ბარათი..... 27

16.6. ციფრული ბარათი 27

16.7. საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი..... 27

16.8. ბარათის დაცვის დამატებითი სერვისი 28

16.9. ბარათის საკურიერო სერვისი 29

17. დისტანციური საბანკო მომსახურება 29

17.1. უსაფრთხოების პირობები დისტანციური საბანკო მომსახურებისას..... 29

17.2. ღია ბანკინგი 31

17.3. ციფრული ბანკი 31

17.4. სმს ბანკი..... 32

17.5. მეილ ბანკი 32

17.6. ციფრული ბანკით განხორციელებული საბარათე გადარიცხვები..... 33

17.7. *სერვისი „ავტო +“*..... 33

18. ელექტრონული საფულთი მომსახურება 34

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

18.1.	ელექტრონული საფულთ სარგებლობის ზოგადი პირობები.....	34
18.2.	მონაცემთა შეგროვება ელექტრონული საფულთ სარგებლობისას.....	34
18.3.	მოწყობილობაში ბარათის დამატების პირობები	34
18.4.	უსაფრთხოება და პასუხისმგებლობა	35
18.5.	ხარჯები და საფასური	35
18.6.	ელექტრონული საფულთ სარგებლობის შეჩერება ან შეწყვეტა.....	35
19.	პერსონალური საბანკო მომსახურება	35
19.1.	პერსონალური საბანკო მომსახურების ძირითადი პირობები.....	35
19.2.	ანგარიშზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა	36
19.3.	ფრაიორითი ფასი (Priority Pass)	36
19.4.	VISA Concierge (ვიზა კონსიერჟ) მომსახურება.....	36
20.	სტუდიო სეგმენტის მომსახურება	37
20.1.	სტუდიო სეგმენტის მომსახურების ძირითადი პირობები	37
21.	სავალუტო გარიგებით მომსახურება	37
21.1.	სავალუტო გარიგების განხორციელების პირობები:.....	37
21.2.	ვაჭრობა ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის გამოყენებით.....	38
21.3.	სავალუტო გარიგების განხორციელება B-match პლატფორმაზე	38
21.4.	ვაჭრობის დამატებითი პირობები.....	38
21.5.	სავალუტო გარიგების მომსახურების საფასური.....	39
22.	აგრო სუბსიდიის მიღება და გამოყენება.....	39
23.	მუდმივი საგადახდო დავალება.....	39
24.	ავტომატური დავალება სოციალური გასაცემლის მიმღები პირებისთვის	40
25.	ავტომატური გადახდები.....	40
26.	წამახალისებელი პროგრამები ან/და აქციები.....	41
27.	VISA Direct და MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვები.....	41
28.	ლოიალობის პროგრამა.....	41
28.1.	ლოიალობის პროგრამაში ჩართვა.....	41
28.2.	ლოიალობის პლატფორმის გამოყენების პირობები.....	41
29.	თანხის დაგროვების სერვისი - ყულაბა.....	43
30.	პოს-ტერმინალის მეშვეობით თანხის განაღდება	43
31.	ბანკომატის მეშვეობით ანგარიშზე თანხის შეტანის სერვისი	44
32.	ვალუტის გაცვლა.....	44
33.	ფულადი გზავნილები	44
34.	eMoney ელექტრონული საფულე.....	45
35.	სმს ხელმოწერით ოპერაციების წარმოება	45
36.	უკონტაქტო წამკითხველით მომსახურების სერვისი.....	45
37.	მომსახურება დისტანციური მომსახურების ცენტრის მეშვეობით	46
ნაწილი III	46	
38.	დასკვნითი დებულებები	46
დანართი №1 - უნივერსალური ანგარიშის სატარიფო პაკეტების მომსახურების ტარიფები	48	
დანართი №2- ექსტრა + სატარიფო პაკეტის მომსახურების ტარიფები.....	53	
დანართი №3 – ამონაწერის გაცემის მომსახურების ტარიფები	56	
დანართი №4 – სარეალიზაციო სატარიფო პაკეტის ტარიფები და პირობები.....	57	
დანართი №5 – საბარათე გადარიცხვების ლიმიტები და საკომისიო.....	58	
დანართი №6 – სესხის სარეალიზაციო პაკეტის ტარიფები და პირობები.....	59	
დანართი №7 – პერსონალური საბანკო მომსახურების სატარიფო პაკეტების ტარიფები	61	

დანართი №8 – სტუდუიო სეგმენტის მომსახურების სატარიფო პაკეტების ტარიფები 67

დანართი №9 - გზაგნილის სატარიფო პაკეტის პირობები და ტარიფები..... 70

დანართი №10 - სოციალური ანგარიშით მომსახურების პირობები და ტარიფები 74

დანართი №11 - PAY ანგარიშის მომსახურების პირობები და ტარიფები 76

დანართი №12 - აგრო ანგარიშითა და აგრო ბარათით სარგებლობის ტარიფები და ლიმიტები 77

დანართი №13 - ციფრული ბარათით მომსახურების ტარიფები 79

დანართი №14 - ბარათის დაცვის დამატებითი სერვისის ტარიფები და პირობები 80

დანართი №15 - სავალუტო გარიგების მომსახურების ტარიფები..... 81

დანართი №16 - სახელფასო პროგრამაში ჩართული ორგანიზაციის თანამშრომლების მომსახურების ტარიფები 82

დანართი №17 - საგადახდო დავალების მიღების და შესრულების ვადები..... 83

ნაწილი I

1. შესავალი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ფიზიკური პირის საბანკო მომსახურების პირობებს¹ (შემდგომში - "პირობები"), რომელიც განსაზღვრავს საბანკო პროდუქტების და საბანკო მომსახურების აღწერილობას და მხარეთა უფლება-მოვალეობებს აღნიშნული პროდუქტების და მომსახურების სარგებლობის პროცესში.

1.2. **ბანკსა და კლიენტს** შორის ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულებით (შემდგომში "ხელშეკრულება"), რომელიც შედგება:

1.2.1. **განაცხად(ებ)ისაგან**, რომელიც შევსებულია **კლიენტის** მიერ, ხელმოწერილია **მხარეთა** მიერ ან/და **კლიენტი** დათანხმებულია **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით;

1.2.2. წინამდებარე პირობებისაგან;

1.2.3. **ბანკის** მიერ დადგენილი ტარიფებისაგან, მათ შორის **პირობების დანართში** მოცემული ტარიფებისაგან (შემდგომში "ტარიფები");

1.2.4. **eMoney ელექტრონული საფულით** (ასეთის არსებობისას) მომსახურების პირობებისაგან, რომელიც ხელმისაწვდომია **eMoney-ს** ვებ-გვერდზე <http://emoney.ge> (<http://bit.ly/1ZvqRlk>);

1.2.5. საბანკო ბარათის ზოგადი პირობების და უსაფრთხოების წესებისაგან, მასში პერიოდულად განხორციელებული ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის ჩათვლით, რომელიც ხელმისაწვდომია **ბანკის** ვებ-გვერდზე www.libertybank.ge;

1.2.6. **ბანკის** მონაცემთა დაცვის პოლიტიკისაგან, რომელიც განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე www.libertybank.ge

1.2.7. **ბანკის** ვებ-გვერდზე განთავსებული ანგარიშის ტარიფებისაგან <https://libertybank.ge/ka/productebi/chemtvis/angarishebi-da-baratebi/tarifebi>

1.2.8. ნებისმიერი დამატებითი პირობებისაგან, დანართისაგან ან/და განაცხად(ებ)ისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეეხება არსებულ ან/და **ბანკის** მიერ მომავალში შეთავაზებულ საცალო საბანკო მომსახურებასა თუ **პროდუქტს** (შემდგომში - "პროდუქტები" ან "პროდუქტი" ან "მომსახურება") და რომელიც საჭირო იქნება **კლიენტის** მიერ დამატებითი და/ან წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული საბანკო მომსახურებ(ებ)ით სარგებლობისათვის.

1.3. წინამდებარე **პირობებისა** და **ხელშეკრულების** რომელიმე **დანართსა** და/ან მასთან **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული სხვა დოკუმენტის პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შესუსტების არსებობისას, ამგვარი **დანართის** და/ან მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტის პირობებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარწმუნებლად დადებულია ამგვარი **დანართი** და/ან მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტი.

1.4. წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურების მიღების მიზნით **კლიენტი** ვალდებულია:

1.4.1. ყველა სახის **მომსახურებისა** და **პროდუქტის** გამოყენებისათვის გაეცნოს წინამდებარე **პირობებს**;

1.4.2. სრულად შეავსოს და ხელი მოაწეროს/დაეთანხმოს (მათ შორის ელექტრონული ფორმით) სათანადო **განაცხადს**, რითაც იმავდროულად ადასტურებს, და გარანტიას იძლევა, რომ: (ა) **განაცხადი** შეავსებულია სრულად; (ბ) **განაცხადში** მითითებული ინფორმაცია არის სწორი და უტყუარი; (გ) **განაცხადის** ხელმოწერამდე ან/და სხვა ფორმით თანხმობის გამოხატვამდე სრულად გაეცნო წინამდებარე **პირობებსა** და ტარიფებს;

1.4.3. საკუთარი თავის იდენტიფიცირების მიზნით წარმოუდგინოს **ბანკს** პირადობის დამადასტურებელი საბუთი, რომლის მონაცემები იქნება შეყვანილი **განაცხადში**;

1.4.4. განახორციელოს **კლიენტის** იდენტიფიკაციისა და საბანკო **პროდუქტის/მომსახურების** მიწოდების მიზნით **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ქმედება;

1.5. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** შეთავაზებული **პროდუქტების, მომსახურების** ან/და **დისტანციური საბანკო მომსახურების არხების** ჩამონათვალი მოცემულია, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი პროდუქტებით/მომსახურებით:

1.5.1. ანგარიშის გახსნა და საგადახდო მომსახურება;

1.5.2. ბარათი - VISA, MasterCard, ან სხვა საგადახდო სისტემის საბანკო ბარათი;

1.5.3. სმს ბანკი;

1.5.4. ციფრული ბანკი;

1.5.5. მუდმივი საგადახდო დავალება / Standing Order;

1.5.6. ავტომატური გადახდები / Direct Debit;

1.5.7. შემნახველი ანაზარი;

1.5.8. შემნახველი ანაზარი მეტი;

1.5.9. სპეციალური საეკლუტო ანგარიში;

1.5.10. **eMoney ელექტრონული საფულით** (**კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში);

1.5.11. **VISA Direct** საბარათე გადარიცხვები;

1.5.12. **MasterCard MoneySend** საბარათე გადარიცხვები;

1.5.13. საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი;

1.5.14. უკონტაქტო წამკითხველი;

1.5.15. ფულადი გზავნილები;

1.5.16. ვალუტის გაცვლა/კონვერტაცია;

1.5.17. აგრო ანგარიში და აგრო ბარათი;

1.5.18. ტექნიკური ანგარიში

1.5.19. საკრედიტო ბარათი

1.5.20. ყულაბა

1.5.21. სარეალიზაციო ანგარიში

1.5.22. სესხის მომსახურე უნივერსალური ანგარიში

1.5.23. პლასტიკური ბარათის დაცვის დამატებითი სერვისი

1.6. **კლიენტის** მიერ 1.5 პუნქტში ჩამოთვლილი **მომსახურება, პროდუქტ(ებ)ი** ან/და **დისტანციური საბანკო მომსახურების არხები** შესაძლებელია მიღებულ იქნას **სატარიფო პაკეტ(ებ)ში** **ბანკის** მიერ დადგენილი კომბინაციებით. ამასთან, ზოგიერთი **მომსახურების** მიღება **კლიენტის** მიერ შესაძლებელია მოხდეს დამოუკიდებლად, **სატარიფო პაკეტის** გარეშე, **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, **სატარიფო პაკეტის** შემენა ავტომატურად არ გულისხმობს პაკეტში შენახული ყველა **პროდუქტ(ებ)ის/მომსახურებ(ებ)ის** აქტივაციას. **სატარიფო პაკეტის** ფარგლებში ხელმისაწვდომი პროდუქტ(ებ)ით/მომსახურებ(ებ)ით სარგებლობისთვის საჭიროა შესაბამისი თანხმობის გამოხატვა ან/და **პროდუქტის/სერვისის** გააქტიურება **ბანკის** მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

1.7. თუ **კლიენტს** არ გააჩნია ჩამოთვლილთაგან რომელიმე **პროდუქტით** ან/და **მომსახურებით** სარგებლობის უფლება, მას არ შეეხება **პირობებში** ამ **პროდუქტის/მომსახურების** აღმწერი შესაბამისი პუნქტები. ეს პუნქტები **კლიენტისათვის** ამოქმედდება შესაბამისი **პროდუქტით** ან/და **მომსახურებით** სარგებლობის უფლების მინიჭებისთანავე.

1.8. **ბანკი** უფლებამოსილია შეცვალოს საბანკო **მომსახურების** ან/და **პროდუქტების** რაოდენობა ან/და სახეები.

1.9. **ბანკი** იტოვებს უფლებას, უარი განუცხადოს **კლიენტს** **მომსახურების** გაწევაზე, თუ **კლიენტმა** სათანადო წესით არ შეავსო, ხელი არ მოაწერა/არ დაადასტურა ან **ბანკს** არ წარუდგინა **ბანკის** მიერ მოთხოვნილი დოკუმენტი **ბანკისათვის** მისაღები ფორმით და შინაარსით ან/და არ გაიარა იდენტიფიკაციის პროცესი **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

1.10. **ბანკი** დაიწყებს **კლიენტის** მომსახურებას **კლიენტის** მიერ შესაბამისი **განაცხადის** შევსებისა და **ბანკის** მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის ან/და შესაბამისი **პროდუქტის** მისაღებად **ბანკის** მიერ დადგენილი პროცესის სრულად გავლის შემდეგ. ამასთან, თუ **ბანკის** რომელიმე **პროდუქტით/მომსახურებით** სარგებლობისათვის არ მოითხოვება შესაბამისი **განაცხადი, კლიენტი** უფლებამოსილია ისარგებლოს აღნიშნული **პროდუქტით/მომსახურებით** **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, რაზეც ავტომატურად გავრცელდება წინამდებარე **პირობებით** შესაბამისი **პროდუქტისთვის/მომსახურებისთვის** განსაზღვრული

¹ ბანკის დოკუმენტ(ებ)ში, რომელშიც გაკეთებულია მითითება ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებზე, უნივერსალური ანგარიშის მომსახურების პირობებზე, პირადი საბანკო მომსახურების პირობებზე, სოციალური სარგოს მიმღები პირის საბანკო ანგარიშის მომსახურების პირობებზე ან/და PAY ანგარიშის და ბარათის მომსახურების პირობებზე, ოკულუსხმება წინამდებარე პირობები.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

ნორმები. ამასთან, **ბანკს** უფლება აქვს, ერთპიროვნულად, საკუთარი შეხედულებისამებრ არ მიიღოს **განაცხადი** და უარი განუცხადოს **კლიენტს** მომსახურების გაწევას, მიზეზის გაცხადების გარეშე.

1.11. **ბანკს** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტს** შესთავაზოს (როგორც **დისტანციური საბანკო მომსახურების** ასევე სხვა არსების საშუალებით), ხოლო **კლიენტის** მიერ სათანადო **განაცხადის** (ელექტრონული თანხმობის) **ბანკისთვის** წარდგენის შემთხვევაში განახორციელოს სხვადასხვა სახის საბანკო მომსახურება, მათ შორის ისეთი საბანკო მომსახურება, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე **პირობებით**.

1.12. იმ **კლიენტებზე**, რომლებზე **ბანკს** მიმართავენ იმგვარი ერთჯერადი ან მრავალჯერადი მომსახურებით სარგებლობის მიზნით, რომელიც პირდაპირ არ არის აღწერილი წინამდებარე **პირობებით**, გავრცელდება **პირობების** ან/და III ნაწილში აღვსილი დადგენილი ზოგადი ნორმები და შესაბამისი მომსახურებისთვის დადგენილი ტარიფები/ლიმიტები, ასევე ყველა ის ნორმა, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული **პირობებში** აღწერილი რომელიმე პროდუქტთან.

1.13. **ბანკს** უფლება აქვს შეამოწმოს **კლიენტის** მიერ მისთვის (**ბანკისთვის**) მიწოდებული ან/და **კლიენტის** შესახებ ნებისმიერი სხვა გზით მოპოვებული ინფორმაცია, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს ერთმნიშვნელოვან და უპირობო თანხმობას.

1.14. **კლიენტის** მიერ **პირობების** აღწერილი რომელიმე **პროდუქტის** ან/და **მომსახურების** (ან მისი ნაწილის) **ბანკის** თანხმობით გამოყენება განიხილება როგორც **კლიენტის** თანხმობა იმ დროისთვის მოქმედი შესაბამისი **პროდუქტის/მომსახურებით** სარგებლობის პირობებზე.

1.15. **ბანკის** გადაწყვეტილებით **კლიენტისთვის** საბანკო ანგარიში შეიძლება გაიხსნას **ბანკისთვის** დისტანციურად მომართვისას **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურების გავლის გზით. ამ შემთხვევაში საბანკო ანგარიშით სარგებლობა დასაშვებია კანონმდებლობითა და **პირობებით** განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

1.16. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ცალმხრივად, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე შეაჩეროს ან შეწყვიტოს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული რომელიმე ან ყველა მომსახურების/**პროდუქტის** **კლიენტისთვის** შეთავაზება/მიწოდება. **ბანკის** მიერ აღნიშნული ქმედების განხორციელება არ ჩაითვლება მის მიერ **ხელშეკრულების** პირობების დარღვევად.

1.17. **კლიენტი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს** ნებისმიერი **პროდუქტით/მომსახურებით** სარგებლობის შეწყვეტის თაობაზე **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია უარი განუცხადოს **კლიენტს** პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტაზე იმ შემთხვევაში, თუ მას (**კლიენტს**) **ბანკის** მიმართ გააჩნია რაიმე სახის შეუსრულებელი ვალდებულება.

1.18. **ბანკი** უფლებამოსილია შეუქმროს/შეუწყვიტოს/უარი უთხრას **კლიენტს** წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული ან/და ნებისმიერი სხვა საბანკო მომსახურების/**პროდუქტის** მიწოდებაზე, მათ შორის დახუროს **კლიენტის ანგარიში(ებ)ი**, იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი ბანკის მომსახურების წრტილებში** (მათ შორის მიმდებარე ტერმინორაზე) ან/და **დისტანციური მომსახურების არხებში, ბანკის** თანამშრომლების, სხვა კლიენტ(ებ)ის ან/და მესამე პირ(ებ)ის მიმართ გამოხატავს აგრესიულ, შეურაცხყოფილ, დამამცირებელ, ღირსების შემლახავ, დამცინავ, დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას ან/და **კლიენტი** აზიანებს **ბანკის** ან/და სხვა პირ(ებ)ის საკუთრებას/ინტეგრტას, ავლენს მტრულ დამოკიდებულებას ან/და საბანკო სივრცესთან შეუსაბამო ქცევით (ვერბალური, ქესტიკულაციური ან/და ფიზიკური) ქმნის არასასურველ/დამამინებელ/მტრულ გარემოს.

1.19. **ბანკი** იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე **პირობებში** გათვალისწინებული წესები ან/და **ხელშეკრულების** სხვა შემადგენელი დოკუმენტებში მოყვანილი წესები, პირობები ან/და ტარიფები იმისათვის, რომ ისინი (პირობები) შესაბამისობაში მოვიდეს **ბანკში** დადგენილ ახალ წესებთან, შეცვლილ საბანკო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და მარეგულირებელ კანონმდებლობასთან.

1.20. **ხელშეკრულების** და წინამდებარე **პირობების** განახლების/ცვლილების შესახებ **კლიენტს** ეცნობება **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესით, ხოლო თუ **ბანკი** განახორციელებს დამატებით **პროდუქტის** პირობების ჩამოყალიბებას/მომსახურების ჩართვას, აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა მოხდება შესაბამისი **განაცხად(ებ)ის** შევსების ან/და შესაბამისი **დანართ(ებ)ის** **კლიენტისთვის** მიწოდების საფუძველზე ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა წესით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **კლიენტის** ელექტრონული თანხმობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ **ბანკი კლიენტს** არ გადასცემს შესაბამის **დანართს** ან **კლიენტი** არ გაეცნობა განახლებულ პირობებს, მაგრამ **კლიენტი** განახორციელებს/გააგრძელებს ახალი ან განახლებული **პროდუქტით/მომსახურებით** სარგებლობას, იგულისხმება, რომ იგი აღნიშნული ქმედებით ეთანხმება იმ დროისათვის **ბანკში** არსებულ შესაბამისი მომსახურების პირობებს;

2. ტერმინთა განმარტებები

2.1. თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი (პირობების) კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1.1. **ადმინისტრატორი** - ფრაიორითი თრეველერ გრუპი (Priority Traveller Group) - კომპანია, რომელიც ახორციელებს **კლიენტის** მომსახურებას **ფრაიორითი ფასის (Priority Pass)** პროდუქტის მიხედვით საკუთარი წესების და წინამდებარე **ხელშეკრულების** საფუძველზე;

2.1.2. **ანგარიში - კლიენტის** მოწოდებასა/საფუძველზე ან/და მულტისავალუტო მიმდინარე ანგარიში;

2.1.3. **აგრო ანგარიში** - ფიზიკური პირის მოწოდებასა/საფუძველზე, მიმდინარე საბანკო ანგარიში, რომელიც **მომხმარებელს** შესაძლოა გაეხსნას **აგრო ბარათით** სარგებლობის მიზნებისთვის და რომლით სარგებლობის პირობები და ტარიფებიც განისაზღვრება წინამდებარე **პირობებით**.

2.1.4. **აგრო ბარათი - ბანკის** მიერ ემიტირებული, ლოკალური საბანკო ბარათი, რომლითაც შესაძლებელია **აგრო ანგარიშიდან** სახსრების გახარჯვა და რომლის სარგებლობის პირობებიც და ტარიფებიც რეგულირდება წინამდებარე **პირობებით**.

2.1.5. **აგრო სუბსიდი** - სოფლის მეურნეობის ან/და მასთან დაკავშირებული სფეროების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პროგრამის პირობების შესაბამისად ზენეფიციარ(ებ)ისათვის გათვალისწინებული დახმარება;

2.1.6. **ანგარიშის ძირითადი ვალუტა** - მულტისავალუტო ანგარიშის უმაღლესი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშის ვალუტა;

2.1.7. **ანონაწერი - ბანკში** დადგენილი ფორმით შედგენილი ინფორმაცია, **კლიენტის ანგარიშზე** განხორციელებული ოპერაციებისა და ნაშთების შესახებ;

2.1.8. **აუთენტიფიკაცია - Google Pay-ს** ან/და **Apple Pay-ს** მიერ შეთავაზებული დაცული აუთენტიფიკაცია, პასკოდის, თითის ანაბეჭდების (Touch ID), სახის ამოცნობის ან სხვა **წიდომის კოდის** გამოყენებით, რომელსაც სთავაზობს შესაბამისი **ელექტრონული საფულის** მიწოდებელი;

2.1.9. **აფილირებული პირ(ებ)ი - ბანკთან** დაკავშირებული პირ(ებ)ი, რომ(ებ)იც პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლდება **ბანკის** მიერ ან/და რომლის/რომელთა საშუალებითაც **ბანკი** ახორციელებს საბანკო მომსახურებას;

2.1.10. **აშშ დოლარი** ან **USD** ან **US\$** - ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური ფულის ერთეული;

2.1.11. **ბანკი** - სს "ლიბერთი ბანკი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304), რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;

2.1.12. **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსი** - **ბანკის** მიერ ნაღდი და უნაღდო სავალუტო გაცვლითი ოპერაციებისათვის დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსი. სავალუტო გაცვლითი კურსი განსაზღვრავს შესაძენი სავალუტო ერთეულის ღირებულებას იმ სავალუტო ერთეულში, რომლითაც ხორციელდება შესაძენი ვალუტის ყიდვა. **ბანკი** განსაზღვრავს კომერციულ სავალუტო გაცვლითი კურსს საკუთარი შეხედულებისამებრ ყოველ კალენდარულ დღეს ერთხელ ან მეტჯერ. **ბანკის** მიერ მოცემული კალენდარული თარიღის ნებისმიერ მომენტში განსაზღვრული კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსი მერყეობს საერთაშორისო სავალუტო სისტემა Bloomberg-ზე იმ მომენტში დაფიქსირებული სავალუტო გაცვლითი კურსის +/- 20%-იან (ოცი პროცენტი) კორიდორში. ამასთან **ბანკმა** შესაძლებელია დროის ნებისმიერ მომენტში დაადგინოს განსხვავებული კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსები სხვადასხვა სახის ოპერაციების განხორციელების მიზნით (მაგალითად კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსი უნაღდო და ნაღდი ანგარიშწირებისათვის ან საბანკო ოპერაციების ასახვის მიზნით შესაძლებელია დროის ნებისმიერ მომენტში იყოს ერთმანეთისაგან განსხვავებული).

2.1.13. **ბანკომატი** - თვითმომსახურების პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც **კლიენტს** შეუძლია ნაღდი ფულის გამოტანა/შეტანა, სესხის/ივერდრაფტის გააქტიურება, თანხის გადარიცხვა, ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, გადახდების განხორციელება და **ბანკის** მიერ ამ არხისათვის დაშვებული სხვა ოპერაციების ჩატარება.

2.1.14. **ბანკომატიდან თანხის განაღდების ლიმიტი - ბანკომატიდან** გარკვეული პერიოდის განმავლობაში (24 საათი, ან/და ერთი კალენდარული კვირა) ნებადართული გასანაღდებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა;

2.1.15. **ბანკომატის მეშვეობით ანგარიშზე თანხის შეტანის ლიმიტი - ბანკის** შესაბამისი ფუნქციონალით აღჭურვილი **ბანკომატის** მეშვეობით გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნებადართული თანხის შეტანის მაქსიმალური ოდენობა;

2.1.16. **ბარათი** ან **საბანკო ბარათი - ბანკის** მიერ ემიტირებული ძირითადი ან/და დამატებითი, ლოკალური ან საერთაშორისო **საბანკო ბარათი** (VISA, MasterCard, ან სხვა საგადამხდელო სისტემის ბარათი), საგადამხდელო საშუალება, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტის ანგარიშთან** და რომელსაც **კლიენტი** იყენებს წინამდებარე **პირობებით** **ბანკში** შესაბამისი დროისათვის მოქმედი ბარათების გამოყენების ზოგადი წესების მიხედვით;

2.1.17. **განაცხადი - ბანკის** მიერ მატერიალური დოკუმენტის, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალები(ებ)ის, მათ შორის **დისტანციური საბანკო მომსახურების არხების (ციფრული ბანკი, დისტანციური მომსახურების ცენტრი და სხვა),** გამოყენებით შექმნილი და **კლიენტისათვის** მიწოდებული წერილობითი ან ციფრული ინფორმაცია, რომელსაც ეთანხმება **კლიენტი** ქმედებით (მაგ. ლილაკის დაჭერით, დოკუმენტის გაგზავნით, თანხის გადარიცხვით, ერთჯერადი კოდის გაცხადებით და ა.შ.) რაც ადასტურებს მის (**კლიენტის**) ნებას და ითვლება **კლიენტის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის გაცხადების/ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. **განაცხადი** თან ერთვის **ხელშეკრულებას** და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

- 2.1.18. **გახარვის სქემა - ანგარიშიდან** თანხის გახარვის სქემა, მოიცავს ორ ოფციას: (ა) ნაშთის პრიორიტეტი - თუ **ოპერაციის** შესრულებისათვის **კლიენტს** შესაბამისი ვალუტის მქონე ქვე-ანგარიშზე (რომელიც მულტისავალუტო ანგარიშის შემადგენელი ნაწილია) არ გააჩნია საკმარისი დადებითი ნაშთი, ამ ქვე-ანგარიშზე ხანძის კონვერტაცია(ებ)ით მულტისავალუტო ანგარიშში შემავალი სხვა ქვე-ანგარიშ(ებ)იდან თანხის შერგოვება. თანხის შერგოვებისას გაითვალისწინება ქვე-ანგარიშების პრიორიტეტულობა, ანუ პირველ რიგში თანხის კონვერტაცია ხდება უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშიდან. (ბ) **ოვერდრაფტის** პრიორიტეტი - თუ **ოპერაციის** შესრულებისათვის **კლიენტს** შესაბამისი ვალუტის მქონე ქვე-ანგარიშზე (რომელიც მულტისავალუტო ანგარიშის შემადგენელი ნაწილია) არ გააჩნია საკმარისი ხელმისაწვდომი ნაშთი, ამ ქვე-ანგარიშზე ხდება კონვერტაცია(ებ)ით მულტისავალუტო ანგარიშში შემავალი სხვა ქვე-ანგარიშ(ებ)იდან თანხის შერგოვება, ხელმისაწვდომი ნაშთების გათვალისწინებით. თანხის შერგოვებისას გაითვალისწინება ქვე-ანგარიშების პრიორიტეტულობა, ანუ პირველ რიგში თანხის კონვერტაცია ხდება უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშიდან. (**ოპერაციის** ვალუტაში **კლიენტის** ანგარიშზე არასაკმარისი ნაშთის არსებობისას ან ნაშთის არარსებობისას, **ოპერაციის** თანხა ჩამოიჭრება ან სხვა ვალუტის ანგარიშზე არსებული ნაშთებიდან (ნაშთების პრიორიტეტი) ან **ოპერაციის** ვალუტაში არსებული **ოვერდრაფტიდან** (**ოვერდრაფტის** პრიორიტეტი) **კლიენტის** არჩევანის შესაბამისად. პრიორიტეტი ფიქსირდება განაცხადში);
- 2.1.19. **გირვანკა სტრუქტურა** ან **GBP** - დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ოფიციალური ფულის ერთეული;
- 2.1.20. **დავალება - კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიცემული **დავალება** გადახდის **ოპერაციის** განხორციელების თაობაზე, რომელსაც **კლიენტი** აძლევს **ბანკს** უშუალოდ ან/და **დისტანციური საბანკო მომსახურების არხების** გამოყენებით, წინამდებარე **პირობების** შესაბამისად;
- 2.1.21. **დაკავშირებული ხელშეკრულება** - წინამდებარე პირობების მე-11 მუხლის მიზნებისთვის, **დაკავშირებული ხელშეკრულება** წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომელიც გაფორმდა **კლიენტთან** ისეთი პარალელური სარგებლობისათვის, რომლითაც **კლიენტი** ვერ ისარგებლებდა დამოუკიდებლად, იმ **პროდუქტის** გარეშე, რომლის მიმართაც იყენებს რეგულაციით დადგინდულ უარის თქმის უფლებას.
- 2.1.22. **დამატებითი ბარათი - ბარათი**, რომელსაც **ბანკი** გასცემს **კლიენტზე** ან/და **კლიენტის** მიერ დასახელებულ სხვა პირზე (**დამატებითი ბარათის** მფლობელი); **დამატებითი ბარათი**, მიუხედავად თავისი მფლობელისა, არის დაკავშირებული **კლიენტის ანგარიშთან** და **დამატებითი ბარათით** შესრულებულ ნებისმიერ **ოპერაციაზე** პასუხს აგებს **კლიენტი/მირითადი ბარათის** მფლობელი;
- 2.1.23. **დამატებითი ბარათის მფლობელი** - პირი, რომლის სახელზეც, **კლიენტის** მოთხოვნით, არის გაცემული **დამატებითი ბარათი**;
- 2.1.24. **დამუშავება ან მონაცემთა დამუშავება** - განიშარტება **პირობების** 14.3.1 პუნქტის შესაბამისად;
- 2.1.25. **დანართი - ბანკის** მიერ განსაზღვრული, **კლიენტის** მიერ ხელმოწერილი (შესაბამისი თანხმობით დადასტურებული) ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტი(ებ), რომელიც ახსუტებს, ცვლის ან/და წყვეტს **ხელშეკრულებას** ან/და მის პირობებს და წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს;
- 2.1.26. **დისტანციური საბანკო მომსახურების არხი - ბანკი** მიერ განსაზღვრული მოწყობილობები, პროგრამული უზრუნველყოფით ან/და სხვადასხვა ელექტრონული არხები, რომლის გამოყენებითაც **კლიენტს** ეძლევა საშუალება დაეთანხმოს წინამდებარე **პირობებს**, მიიღოს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული **პროდუქტ(ებ)ი/მომსახურება**, აწარმოოს საბანკო ოპერაციები ან მიიღოს მის **ანგარიშთან** დაკავშირებული ინფორმაცია ან/და განახორციელოს **ბანკის** მიერ ნებადართული სხვა ქმედება;
- 2.1.27. **დებულება** - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 21 ივლისის ბრძანება #142/04 სავალუტო ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ და მასში განხორციელებული ნებისმიერი და ყველა ცვლილება;
- 2.1.28. **ევრო ან Euro ან EUR** - ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყნის, აგრეთვე მონტენეგროს, ანდორას, მონაკოს, სან მარინოს, ვატიკანის და კოსოვოს ოფიციალური ფულის ერთეული;
- 2.1.29. **ელექტრონული საფულე - Google Pay-ს ან/და Apple Pay-ს** ციფრული გადახდის სერვისი, რომელიც საშუალებას აძლევს **კლიენტ(ებ)ს** შესრულონ უკონტაქტო გადახდები შესაბამისი **მოწყობილობ(ებ)ის** გამოყენებით;
- 2.1.30. **ვალუტების პრიორიტეტულობა** - ვალუტის პრიორიტეტულობა განსაზღვრავს იმ რიგითობას, რომლის მიხედვითაც **ბანკი** (**გახარვის სქემის** გათვალისწინებით) მოახდენს **კლიენტის** მულტისავალუტო ანგარიშის საბანკო ანგარიშებიდან თანხის ჩამოჭრას შესაბამისი **ოპერაციის** განსახორციელებლად;
- 2.1.31. **ვერიფიცირებული მელი - ბანკში** დაფიქსირებული **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელიც ვერიფიკაციას გადის **ბანკში** დადგინილი პროცედურების შესაბამისად და **ბანკის** მიერ საკუთარი (**ბანკის**) შეხვედრებისამებრ გამოიყენება **კლიენტთან** კომუნიკაციისთვის; ან/და **ოპერაციის, დავალების** ან/და საბანკო **პროდუქტით** მომსახურების/საბანკო **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) დასადასტურებლად;
- 2.1.32. **ვერიფიცირებული ნომერი - ბანკში** დაფიქსირებული **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც ვერიფიკაციას გადის **ბანკში** დადგინილი პროცედურების შესაბამისად და **ბანკის** მიერ საკუთარი (**ბანკის**) შეხვედრებისამებრ გამოიყენება **კლიენტთან** კომუნიკაციისთვის ან/და **ოპერაციის, დავალების** ან/და საბანკო **პროდუქტით** მომსახურების/საბანკო **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) დასადასტურებლად;
- 2.1.33. **თანხის გადახარჯვა ან ოვერლიმიტი - კლიენტის ანგარიშში** შემავალ ერთ ან რამდენიმე ქვე-ანგარიშზე წარმოშობილი სადებეტო ნაშთი(ებ)ი, რომელიც წარმოიშვა **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე;
- 2.1.34. **თოქენი - ბარათის** უნიკალური ციფრული იდენტიფიკატორი, რომელიც გენერირდება და ინახება გადახდის ფუნქციონალის მქონე ელექტრონულ მოწყობილობაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ან ელ. კომერციის მერჩანტის პროგრამულ უზრუნველყოფაში (ვებ-გვერდი ან /და აპლიკაცია) და მისი საშუალებით შესაძლებელია საგადახდო ოპერაციების შესრულება. **თოქენზე** ვრცელდება **კლიენტის** ყველა ის უსაფრთხოების მოთხოვნა და ვალდებულება რაც დაკავშირებულია პლასტიკურ ბარათთან.²
- 2.1.35. **კანონდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებს, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;
- 2.1.36. **კლიენტი** - პირი, რომელიც სარგებლობს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული მომსახურებით/**პროდუქტებით** ან/და მიმართავს **ბანკს** საბანკო **პროდუქტ(ებ)ი/მომსახურების** სარგებლობის დაწყების ან/და საბანკო ოპერაციის განხორციელების მიზნით;
- 2.1.37. **კომფიერენციალური ინფორმაცია** - თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** ხელმოწერის (ან ნებისმიერი სხვა ფორმით თანხმობის გამოხატვის) ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი **მხარის** მიერ მეორე **მხარის** შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გადაზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია(დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია(დოკუმენტაცია **მხარის** პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, **მხარის** მფლობელი/მმართველი/ურთიერთდაკავშირებული პირ(ებ)ის, მესამე პირ(ებ)თან არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია(დოკუმენტაცია);
- 2.1.38. **ლოიალობის პროგრამა - ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** შეთავაზებული წამახალისებელი პროგრამა, მათ შორის, **ფასდაკლება, Cashback** ან/და **ბანკის** მიერ მომავალში შეთავაზებული შეღავათი/სარგებელი, რომელიც **კლიენტი** ერთვება **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად;
- 2.1.39. **მერჩანტი** - სავაჭრო-მომსახურების ობიექტი, რომელიც **ბანკთან** არსებული შესაბამისი გარიგების საფუძველზე **ლოიალობის პროგრამაში** ჩართულ **კლიენტ(ებ)ს** საკუთარ პროდუქტს/მომსახურებას სთავაზობს შეღავათიანი პირობებით;
- 2.1.40. **მესამე პირ(ებ)ი - პერსონალურ მონაცემთა** დამუშავების მიზნისათვის, **ბანკის** შშმობელი ან/და შვილობილი საწარმო, მისი **ავტორიზებული** ან/და ჯგუფის წევრი პირები, **ბანკის** კონტრაქტორები, მიმწოდებლები, პროვადერები ან/და სხვა პირები, რომლებიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის საფუძველზე ახორციელებენ **ბანკისაგან** მიღებული პერსონალური მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის **დამუშავებას** (**ბანკის** სახელითა და მიზნებისათვის, როგორც მისი უფლებამოსილი პირები, ასევე საკუთარი სახელითა და მიზნებისათვის - დამოუკიდებლად) ან/და **ბანკისთვის** მათი ან/და **ბანკის** კლიენტების შესახებ პერსონალური მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის მიწოდებას. **მესამე პირ(ებ)ის** კატეგორიები მოცემულია წინამდებარე **პირობებში**;
- 2.1.41. **მომსახურების წერტილები - ბანკის** ფილიალი, სერვის ცენტრი ან **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფიზიკური ობიექტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია **ბანკში** მატერიალური განაცხადის წარდგენა, ხელშეკრულების დადება, საბანკო **მომსახურებ(ებ)ით/პროდუქტ(ებ)ით** ან/და **ბანკის** მიერ მიერ ნებადართული სხვა საბანკო ოპერაციებით სარგებლობა;
- 2.1.42. **მოწყობილობა** - ისეთი მოწყობილობები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია ბარათის რეგისტრაცია **ელექტრონულ საფულეში. Google Pay-ს** შემთხვევაში ასეთი მოწყობილობა შეიძლება იყოს მობილური ტელეფონი ან კვებიანი საათი, რომელიც ფუნქციონირებს Android-ის ოპერატიული სისტემით, ხოლო **Apple Pay-ს** შემთხვევაში ისეთი მოწყობილობა როგორცაა iPad, iPhone ან Apple watch, რომელიც იწარმოება **Apple-ის** მიერ;
- 2.1.43. **მხარე/მხარეები - ბანკი** ან/და **კლიენტი** ან/და **დამატებითი ბარათის** მფლობელი(ებ)ი კონტაქტის შესაბამისად;
- 2.1.44. **ოვერდრაფტი** - დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე **კლიენტის** ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხა - საკრედიტო ლიმიტი, რომლითაც არაერთჯერადად, სრულად ან ნაწილობრივ სარგებლობს **კლიენტი** და რომელიც, თუ **ბანკსა** და **კლიენტს** შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ავტომატურად დაიფარება **კლიენტის** ანგარიშზე თანხის ჩარიცხვისას/შეტანისას. ამასთან, **კლიენტის** მიერ **ოვერდრაფტით** სარგებლობის პირობები

² თოქენის სერვისი ხელმისაწვდომია მხოლოდ Visa და MasterCard ტიპის ბარათებისათვის, ამასთან Maestro-ს ტიპის ბარათებისთვის აღნიშნული სერვისი არ არის ხელმისაწვდომი.

- და ტარიფები განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების, მათ შორის „კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების“ შესაბამისად, რომელსაც ეთანხმება კლიენტი შესაბამისი განაცხადით ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით.
- 2.1.45. **ონლაინ ოპერაცია** - ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილი ემიტენტის ან შესაბამისი საბარათე სქემის მიერ ემიტენტის სახელით;
 - 2.1.46. **ოფლაინ ოპერაცია** - ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია ემიტენტთან დაკავშირების გარეშე;
 - 2.1.47. **ოპერაცია ან ტრანზაქცია** - ავტორიზაციის და შემდგომი ანგარიშსწორების ოპერაციათა ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს ნებადართული ოპერაციების განხორციელებას ბანკის მომსახურების წერტილებს, ზარათის ან/და ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხების გამოყენებით, მათ შორის ბარათის ნომრის, PIN-ის, წვდომის კოდების, ვერიფიკირებულ ნომრების/ვერიფიკირებულ მეთოდებს მიღებული შესაბამისი ერთჯერადი კოდის ბანკისათვის მიწოდებით (ბანკის ოპერატორისათვის კარნახით, ბანკის შესაბამის სისტემებში შეყვანით ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით) ან სხვა საშუალებით;
 - 2.1.48. **პარტნიორი** - LLC INFOCUS (ს/ნ 36563986) უკრაინაში რეგისტრირებული კომპანია, მისი სამართალმემკვიდრე ან/და უფლებამონაცვლე, რომელიც VISA INFINITE ტიპის ბარათის მფლობელებისთვის უზრუნველყოფს VISA Concierge (ვიზა კონსიერჟ) მომსახურების გაწევას პარტნიორის ან/და VISA-ს მიერ განსაზღვრული წესებისა და წინამდებარე პირობების შესაბამისად.
 - 2.1.49. **პარტნიორი მერჩანტი(ები)** - ბანკის კონტრაქტორი სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტები, რომლებიც ბანკთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობენ ბანკის პოს-ტერმინალის მომსახურებით, რომელთანაც შესაძლებელია საბარათე გადახდების ანგარიშსწორება, მათ შორის აგრო ბარათზე გააქტიურებული სუბსიდი(ებ)ის გახარჯვა ან/და ბანკის მომხმარებლებს სთავაზობენ სპეციალურ პირობებს აგრო ბარათით ანგარიშსწორების შემთხვევაში.
 - 2.1.50. **პერსონალური მონაცემები** - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება;
 - 2.1.51. **პირდაპირი მარკეტინგი** - ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით სამუშაოების წარმონაქმნი(ები);
 - 2.1.52. **პირ(ები)** - ფიზიკური პირ(ები), იურიდიული პირ(ები) (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ები), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ები) ან/და კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული/არარეგისტრირებული წარმონაქმნი(ები);
 - 2.1.53. **პირობები** - წინამდებარე ფიზიკური პირის საბანკო მომსახურების პირობები, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: www.libertybank.ge;
 - 2.1.54. **პროდუქტი - ბანკის** მიერ წინამდებარე პირობების დანართის თანხმად შეთავაზებული საცალო საბანკო პროდუქტი ან/და მომსახურება;
 - 2.1.55. **პროფაილინგი** - მონაცემთა ავტომატური დამუშავების ნებისმიერი ფორმა, რომელიც გულისხმობს მონაცემების გამოყენებას ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, იმ მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს, მის ეკონომიკურ მდგომარეობას, ჯანმრთელობას, პირად ინტერესებს, სანდოობას, ქცევას, ადგილსამყოფელს ან გადაადგილებას;
 - 2.1.56. **პოს ტერმინალი** - ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ბარათის გამოყენებით საქონლის ან/და მომსახურების სავაჭრო გადახდისათვის ან ბარათის მფლობელის ანგარიშიდან ნაღდი ფულის მიღებისათვის/გატანისათვის. პოს ტერმინალი შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური (ე.წ. POS ტერმინალი) ასევე ვირტუალური ან/და ჰიბრიდული. როგორც წესი ფიზიკური ტერმინალი გამოიყენება ბანკებში, სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში და ყველა სხვა ადგილას, სადაც ადგილი აქვს ბარათის მფლობელსა და საქონლის/მომსახურების მოწოდებელს შორის ფიზიკურ კონტაქტს (მაგალითად ბანკი, მაღაზია, ბენზინგასამართი სადგური და ა.შ.). ვირტუალური ტერმინალი, როგორც წესი გამოიყენება ინტერნეტით ანგარიშსწორების მიზნით - ანუ სიტუაციებში, როდესაც ბარათის მფლობელსა და საქონლის/მომსახურების მოწოდებელს შორის ფიზიკურ კონტაქტს ადგილი არ აქვს (მაგალითად ინტერნეტ მაღაზიები, კომუნალური და სხვა გადასახდელის გადახდისათვის განკუთვნილი ინტერნეტ გვერდები, ონლაინ კაზინოები და ტოტალიზატორები და ა.შ.);
 - 2.1.57. **რეკურენტული გადახდები - კლიენტის** მიერ შესაბამისი სავაჭრო-მომსახურების ობიექტისთვის მიცემული წინასწარი თანხმობისა და ერთჯერადად მიწოდებული საბარათე მონაცემების საფუძველზე, სავაჭრო-მომსახურების ობიექტის მოთხოვნის/პერმანენტული საფასურის დაგადასახადების შესაბამისად კლიენტის საბარათე ანგარიშიდან მოთხოვნილი პერიოდული გადახდისა და განსაზღვრული ვადით განხორციელებული გადახდები.
 - 2.1.58. **სააგენტო ან დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო** - „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო;
 - 2.1.59. **საბაზო ბარათი - სოციალური ბარათი**, რომელზეც უფლებამოსილი პირის მიერ რიცხვით სოციალური გასაცემის მიმღები ოჯახის, 16 წლამდე ასაკის წევრისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრები (საარსებო შემწეობა) კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით და წესით (ე.წ. ბავშვის კვების ბარათი). **საბაზო ბარათით** სარგებლობის პირობები და ტარიფები განისაზღვრება წინამდებარე პირობებით;
 - 2.1.60. **საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი ან 3D უსაფრთხოება** - მომსახურება, რომლის მიზანია უზრუნველყოს VISA და MasterCard-ის საერთაშორისო საგადახდებლო სისტემაში ჩართული ბარათით ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების უსაფრთხოებდ შესრულება;
 - 2.1.61. **სავაჭრო/მომსახურების ობიექტის კოდი ან MCC - ISO 18245** სტანდარტით სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საქმიანობების ჭრილში დადგენილი ოთხნიშნა კოდი;
 - 2.1.62. **საკრედიტო ბარათი - ბანკის მიერ კლიენტისათვის** დამზადებული საკრედიტო ბარათ(ები), რომელიც შესაძლებელია ბანკმა დრო და დრო გამოუმშვას და შესთავაზოს კლიენტებს, რომელზეც დაიშვება ბანკის მიერ განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტი. **საკრედიტო ბარათით** სარგებლობის წესები, პირობები და ტარიფები განისაზღვრება „საკრედიტო ბარათის პირობებით“, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე www.libertybank.ge.
 - 2.1.63. **სამუშაო დღე** - კვირის დღეები, ორშაბათიდან პარასკეობის ჩათვლით, გარდა ბანკის მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა. ამასთან, ბანკში დადგენილი სამუშაო დღეების და საათების ხანგრძლივობა, როდესაც შესაძლებელია კლიენტის საგადახდო დავალების მიღება, მოცემულია პირობების შესაბამის დანართში;
 - 2.1.64. **სანქციების დამდგენი ორგანო** - ნებისმიერი სახელმწიფოს ან/და სახელმწიფოთა გაერთიანების აღმასრულებელი/საკანონმდებლო/სასამართლო ხელისუფლება, ცენტრალური ბანკი, სახელმწიფო ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თვითმმართველი ორგანო, ზედამხედველი/მარეგულირებელი/მაკონტროლებელი ორგანო, (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამერიკის შეერთებული შტატების უფხოური აქტივების კონტროლის სამსახური, გაერთიანებული სამეფოს ფინანსური სანქციების იმპლემენტაციის სამსახური, ევროპის კავშირის ან/და გაერთიანებული ერების უშიშროების სამსახური ან/და მათი ნებისმიერი სამართალმემკვიდრე), ასევე, ნებისმიერი საერთაშორისო/უხსახელმწიფო ორგანიზაცია, საერთაშორისო საგადახდო სისტემა, ფინანსური ინსტიტუტი ან/და სხვა უფლებამოსილი ორგანო, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში კლიენტს/კლიენტთან დაკავშირებულ პირებზე, ვაჭრობის/მომსახურების ნებისმიერ დარგზე ან/და საქმიანობის სხვა სფეროზე გავრცელებულ რაიმე სახის ფინანსურ სანქციას(ებს) ან/და სხვა ტიპის შეზღუდვას(ებს)/აკრძალვას(ებს)/ემბარგოს(ებს).
 - 2.1.65. **სარეალიზაცია ანგარიში** - ფიზიკური პირის მონოსავალუტო ანგარიში, რომელიც გამოიყენება ფიზიკური პირის სადეპოზიტო სერტიფიკატის, ვადიანი ტიპის ანაზრის და სადეპოზიტო სერტიფიკატით/ანაზრით უზრუნველყოფილი სესხის სარეალიზაციო ანგარიშად;
 - 2.1.66. **სატარიფო პაკეტი - ბანკის მიერ** დადგენილი პროდუქტების ერთობლიობა, რაც გულისხმობს ერთდროულად რამდენიმე საბანკო პროდუქტით ან/და მომსახურებით სარგებლობის უფლების მოპოვებას სატარიფო პაკეტით განსაზღვრული საკომისიოს (ასეთის არსებობისას) გადახდის სანაცვლოდ;
 - 2.1.67. **სოციალური ანგარიში - ბანკში** არსებული ფიზიკური პირის ანგარიში ლარში, სადაც აღირიცხება კლიენტის ფულადი სახსრები (მათ შორის და არამართო სოციალური გასაცემელი);
 - 2.1.68. **სიახ სოციალური მომსახურების სააგენტო ან სოციალური მომსახურების სააგენტო** - საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახდენს სოციალური სარგოს დანიშვნას, მისი გაცემის ორგანიზებას, შეჩერებას, განახლებას, შეწყვეტას და გადანიშნავს, აგრეთვე სოციალური სარგოს მიღებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირებას კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.
 - 2.1.69. **სოციალური სარგო ან სოციალური გასაცემელი** - უფლებამოსილი პირების მიერ კლიენტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული ფულადი სახსრები, მათ შორის სახელმწიფო პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა ან/და სხვა სახის სოციალური გასაცემელი;
 - 2.1.70. **სოციალური სავალუტო ანგარიში** - ფიზიკური პირის მონოსავალუტო ანგარიში, რომელიც იხსნება უნივერსალური ანგარიშის ვალუტებისგან განსხვავებულ ერთ რომელიმე ვალუტაში. სპეციალური სავალუტო ანგარიშის შესაძლო ვალუტების ჩამონათვალი განისაზღვრება პირობების შესაბამისი დანართის მიხედვით;
 - 2.1.71. **სწრაფი გადარიცხვის სერვისი - ბანკის მიერ კლიენტისთვის** შეთავაზებული სერვისი, რომელიც გულისხმობს კლიენტის მიერ ინიცირებული ტრანზაქციის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი საგადახდო სისტემისთვის დაქაჩრებულ რეჟიმში გადაცემას.
 - 2.1.72. **ტექნიკური ანგარიში** - ფიზიკური პირის მიმდინარე მონოსავალუტო ანგარიში, რომელზეც დასაშვებია მხოლოდ თანხის შეტანის ან/და გატანის ოპერაციები ნაღდი ანგარიშსწორებით ბანკის ფილიალებიდან და სერვისის ცენტრებიდან და რომლის გახსნაც კლიენტს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი არ სარგებლობს ბანკის რომელიმე ფასიანი სატარიფო პაკეტით;

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

- 2.1.73. **უკონტაქტო წამბრუნებელი - ბანკომატზე** განთავსებული მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც PAY სისტემაში ჩართული **ბარათით** ან **ID ბარათით** შესაძლებელია **ბანკომატში ბარათის** განთავსების გარეშე **ბანკომატით** სარგებლობა;
- 2.1.74. **უნივერსალური (იგივე ლიბერტი) ანგარიში** - ფიზიკური პირის, მულტისაგვალეტო ანგარიში, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა ვალუტის საბანკო ქვე-ანგარიში, რომელზეც ცალ-ცალკე აღირიცხება თითოეული ვალუტის ნაშთები და რომელიც საბარათე-საპროცესინგო სისტემის მეშვეობით მიმზღვლია ერთ ძირითად საბანკო ბარათზე თუ **ბანკსა** და **კლიენტს** შორის გაფორმებული **ხელშეკრულებით** სხვა პირობა არ არის განსაზღვრული
- 2.1.75. **უმობრთო ანგარიში** - წინამდებარე პირობებით განსაზღვრული საბანკო **ანგარიში**, რომელიც უკანასკნელი უწყვეტი 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში არ ყოფილა გამოყენებული **კლიენტის** მიერ (მათ შორის **ანგარიშზე** არ განხორციელებულა სადებეტო და საკრედიტო ოპერაციები);
- 2.1.76. **უფლებამოსილი მფლობელი - კლიენტი, დამატებითი ბარათის** მფლობელ(ებ)ი ან/და მისი/მათი უფლებამოსილი წარმომადგენელ(ებ)ი;
- 2.1.77. **ფასდაკლება - ლიალიტის პროგრამის** ფარგლებში **კლიენტისთვის** განსაზღვრული შეღავათის ოდენობა, რომლითაც **კლიენტი** სარგებლობს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;
- 2.1.78. **ფრაიორითი ფასი ან Priority Pass** - არასაბანკო ბარათი, რომელიც მის მფლობელს აწვდის რამდენიმე დამოუკიდებელ კლუბში, რომელიც თავის წევრებს სთავაზობს მსოფლიოს მასშტაბით 1300-ზე მეტ საერთაშორისო აეროპორტში ვიპ მომსახურების დარბაზებით შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის შესაძლებლობას. მომსახურების დეტალები მოცემულია ვებ-გვერდზე www.prioritypass.com;
- 2.1.79. **ქართული ლარი ან ლარი ან GEL** - საქართველოს ოფიციალური ფულის ერთეული;
- 2.1.80. **ყლაბა ან თანხის დაგროვების სერვისი** - საბანკო მომსახურება, რომელიც **კლიენტს** შესაძლებლობას აძლევს დააგროვოს თანხა **ბანკში** გახსნილ მოთხოვნამდე ტიპის ანაზრის ანგარიშზე, **ბანკის** მიერ შეთავაზებული დაგროვების სქემის შესაბამისად;
- 2.1.81. **შეღავათიანი აბონენტ(ებ)ი - კლიენტის** მიერ, შესაბამისი განაცხადის საფუძველზე **ბანკში** დაფიქსირებული კომუნალური გადახდების მიმღები პროვაიდერ(ებ)ის აბონენტის ნომერი/ები, რომლის სასარგებლოდ გადახდის შესრულება ხორციელდება უფასოდ;
- 2.1.82. **ციფრული ბანკი - დისტანციური საბანკო მომსახურების** ერთ-ერთი არხი, რომლის მეშვეობითაც **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს **ბანკში** გამოუცხადებლად, **ბანკის** ინტერნეტ გვერდზე <https://my.libertybank.ge/> ან/და მობილური აპლიკაციის საშუალებით, მიიღოს სხვადასხვა ინფორმაცია და აწარმოოს ამ არხისთვის ნებადართული საბანკო ოპერაციები;
- 2.1.83. **ციფრული ბარათი** - საბანკო ბარათის ციფრული ანალოგი, რომელიც არ არსებობს მატერიალური სახით და რომლის გამოყენებაც შესაძლებელია **ბანკის** დისტანციურ არხებში (ციფრული ბანკი), Apple Wallet, Google Pay ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული სხვა ციფრულ საფუძველებში დამატების გზით საბარათე გადახდების შესარულებლად ან/და შესაბამისი ფუნქციონალის მქონე **ბანკომატებიდან** თანხის გასანაღდეზად.
- 2.1.84. **ძირითადი ბარათი - ბარათი**, რომელსაც **ბანკი** გადასცემს უშუალოდ **ანგარიშის** მფლობელ პირს;
- 2.1.85. **წვდომის კოდები - ბარათის** PIN კოდები, პაროლები, მომხმარებლის სახელი, კოდური სიტყვა ან/და ნებისმიერი სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც შეიძლება **კლიენტის** მიერ გამოყენებული იქნას **დისტანციური საბანკო მომსახურების არხებზე** წვდომისთვის ან/და სხვადასხვა საბანკო მომსახურებით უსაფრთხო სარგებლობისათვის;
- 2.1.86. **ხარჯვის ლიმიტი - ბარათიდან** გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანხის ხარჯვის (რაც ასევე მოიცავს **ბანკომატიდან** თანხის განაღდების ლიმიტს) მაქსიმალური ოდენობა;
- 2.1.87. **Apple** - აშშ-ში რეგისტრირებული იურიდიული პირი - კომპანია Apple, Apple Inc, რომლის მისამართია: 1 Infinite Loop, Cupertino, California 95014 USA;
- 2.1.88. **Apple Pay** - Apple-ის მიერ შექმნილი მობილური/ციფრული გადახდის სისტემა/სერვისი, რომელიც საშუალებას აძლევს **კლიენტ(ებს)** განახორციელონ გადახდები **Apple მოწყობილობის** და **Apple მოწყობილობაში** ჩართული/დამატებული **ბარათების** გამოყენებით. თავებადი **მოწყობილობების** ჩამონათვალი მოცემულია ბმულზე <https://support.apple.com/en-us/HT208531>
- 2.1.89. **B-match** - ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის პლატფორმა, რომლის მეშვეობით **ბანკი** თავისი სახელით ან/და **კლიენტის** დავალებით განთავსებს ვალუტის ყიდვის ან/და გაყიდვის განაცხადს, რომელიც გაცვლითი კურსის თანხვედრის შემთხვევაში სავაჭრო სისტემის მიერ კმაყოფილდება ავტომატურად;
- 2.1.90. **Cashback - ლიალიტის პროგრამის** ფარგლებში **კლიენტისთვის** დაბრუნებული თანხის ოდენობა, რომლის გადახდის პირობები განსაზღვრება წინამდებარე პირობებით და **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;
- 2.1.91. **eMoney** - კონტექსტიდან გამომდინარე სს "იმანი ჯორჯია" (ს/კ 202376026) ან/და და შპს "იმანი" (ს/კ 204557540) ცალ-ცალკე ან ერთობლივად, რომლებიც ახორციელებენ **eMoney ელექტრონული საფულით** მომსახურებას, **კლიენტის** მიერ ამგვარი მომსახურებით სარგებლობის სურვილის შემთხვევაში;
- 2.1.92. **eMoney ელექტრონული საფული** - ფიზიკური პირის ელექტრონული ანგარიში, რომელიც წარმოადგენს რეგისტრირებულ ელექტრონულ ანგარიშს და მისი მოხმარების წესი რეგულირდება **eMoney ელექტრონული საფულით** მომსახურების პირობებით, რომელიც განთავსებულია **eMoney-ს** ვებ-გვერდზე (<http://bit.ly/1ZvqRlk>);
- 2.1.93. **Google** - ირლანდიაში რეგისტრირებული იურიდიული პირი - კომპანია Google Ireland Limited, რომლის მისამართია: Gordon House, Barrow Street, Dublin 4, Ireland;
- 2.1.94. **Google Pay** - Google-ის მიერ შექმნილი მობილური/ციფრული გადახდის სისტემა/სერვისი, რომელიც საშუალებას აძლევს **კლიენტ(ებს)** განახორციელონ გადახდები **მოწყობილობის** და **მოწყობილობაში** ჩართული/დამატებული **ბარათების** გამოყენებით;
- 2.1.95. **H2H (Host-to-Host)** - პირდაპირი ჰოსტინგი, რომელიც გულისხმობს გადახდებისა და ბარათთან დაკავშირებული ინფორმაციის უსაფრთხო და ავტომატურ მიმოცვლას ორ სავადახლო პროვაიდერს შორის, რაც უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას საერთაშორისო სავადახლოდ სისტემების ჩარევის გარეშე;
- 2.1.96. **ID ბარათი** - მაღალტექნოლოგიური და გაყალბებისგან მეტად დაცული საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- 2.1.97. **LB PAY აპარატი/(365)** - თვითმომსახურების აპარატი, რომელიც განკუთვნილია როგორც ნადი, ასევე უნადო ანგარიშსწორების გზით საქონლის ან/და მომსახურების საფასურის გადახდისათვის, ელექტრონული **განაცხადის** წარსადგენად, სხვადასხვა საბანკო და არასაბანკო პროდუქციის მისაღებად;
- 2.1.98. **MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვები** - MasterCard-ის საერთაშორისო სავადახლოდ სისტემაში ჩართული ერთი ბარათიდან იმავე ან სხვა სავადახლოდ სისტემაში ჩართულ ბარათზე თანხის გადარიცხვის და/ან ჩარიცხვის **ოპერაცია**, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტის მიერ განსაზღვრული არხებით და პირობებით;
- 2.1.99. **PAY ანგარიში** - ფიზიკური პირის **ანგარიში**, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა ვალუტის საბანკო ქვე-ანგარიში, რომელზეც ცალ-ცალკე აღირიცხება თითოეული ვალუტის ნაშთები და რომელიც საბარათე-საპროცესინგო სისტემის მეშვეობით მიმზღვლია ერთ ან რამდენიმე ბარათზე;
- 2.1.100. **PAY ანგარიშის ძირითადი ვალუტა** - მულტისაგვალეტო **ანგარიშის** უმაღლესი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშის ვალუტა;
- 2.1.101. **VISA Concierge ან ვიზა კონსიერჟ მომსახურება - VISA INFINITE** ტიპის **ბარათის** მფლობელებისთვის შეთავაზებული პერსონალური ასისტენტის მომსახურება, რომლის მიწოდება ხორციელდება **პარტნიორის** მიერ მის ან/და VISA-ს მიერ განსაზღვრული წესებისა და პირობების შესაბამისად;
- 2.1.102. **VISA Direct საბარათე გადარიცხვები** - VISA საერთაშორისო **სავადახლოდ სისტემაში** ჩართული ერთი **ბარათიდან** იმავე ან სხვა **სავადახლოდ სისტემაში** ჩართულ **ბარათზე** თანხის გადარიცხვის და/ან ჩარიცხვის **ოპერაცია**, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტის მიერ განსაზღვრული არხებით და პირობებით;
- 2.1.103. **VISA INFINITY CARD ან VISA INFINITY ბარათი - ბანკის** მიერ ემიტირებული საერთაშორისო **საბანკო ბარათი**, სავადახლოდ საშუალება, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტის ანგარიშთან**, კლასიფიცირებულია როგორც VISA Infinite ბარათი და რომელსაც **კლიენტი** იყენებს წინამდებარე პირობებით **ბანკში** შესაბამისი დროისთვის მოქმედი ბარათების გამოყენების ზოგადი წესების მიხედვით.
- 2.1.104. **MasterCard World Elite Card ან MasterCard World Elite ბარათი - ბანკის** მიერ ემიტირებული საერთაშორისო **საბანკო ბარათი**, სავადახლოდ საშუალება, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშთან**, კლასიფიცირებულია როგორც MasterCard World Elite ბარათი და რომელსაც **კლიენტი** იყენებს წინამდებარე პირობებით **ბანკში** შესაბამისი დროისთვის მოქმედი ბარათების გამოყენების ზოგადი წესების მიხედვით.

3. განაცხადები და გარანტიები

- 3.1. **კლიენტი** წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ **განაცხადზე** თანხმობის გამოხატებით ან/და **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობით აცხადებს თანხმობას, რომ:
- 3.1.1. **კლიენტს** აქვს სრული უფლებამოსილება (ან მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას), იმისათვის, რომ ხელი მოაწეროს ან სხვა ფორმით დაეთანხმოს და შეასრულოს ამ **ხელშეკრულებით** ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და **განაცხადებით** გათვალისწინებული ვალდებულებები;
- 3.1.2. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** განაცხადის სახით ან სხვა რაიმე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია ზუსტი, უტყუარი და სრულია;
- 3.1.3. წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული **ოპერაცი(ებ)ის** შესრულებით არ დაირღვევა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის პირობები ან **კლიენტის** სხვა ვალდებულებ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან რაიმე სახის კანონი, დებულება, წესი, განკარგულება, სასამართლო გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, სასამართლო დადგენილება ან სახელმწიფოს, სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს, სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია კლიენტი. ამ ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული ოპერაციის შესრულება არ მოვა წინააღმდეგობაში ან არ დაარღვევს რაიმე სახის ხელშეკრულებას, კონტრაქტს, ლიცენზიას ან სხვა სახის შეთანხმებას, რომლის მხარესაც წარმოადგენს კლიენტი;

3.1.4. **კლიენტი** არ მონაწილეობს ან მას არ ებუქება ისეთი სასამართლო პროცესი, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ფინანსურ მდგომარეობას ან საქმიანობაზე ან/და მის მიერ ხელშეკრულების ან/და ბანკთან დადებული სხვა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

3.1.5. **წინამდებარე ხელშეკრულების** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შესრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს **კლიენტის** მიერ ხელშეკრულებით ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

3.1.6. **წინამდებარე ხელშეკრულების** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შესრულებლობითაც შესაძლოა **ბანკს** მიადგეს მატერიალური ან სხვა სახის ზიანი/ზარალი და დაიცავს **ბანკს** ამგვარი სახის ზიანისგან/ზარალისგან.

3.1.7. **წინამდებარე ხელშეკრულების** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების/გარიგების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის არ განახორციელებს იმგვარ ქმედებებს, რომელთა შედეგადც შესაძლოა **ბანკს** მიადგეს ნებისმიერი სახის ზიანი/ზარალი და ასეთი შედეგის დადგომის შემთხვევაში აცნობიერებს **ბანკის** უფლებამოსილებას გამოიყენოს **კანონმდებლობით** ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ღონისძიებები.

3.1.8. **ხელშეკრულების** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების/გარიგების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი მხრიდან ადგილი არ აქვს/ქნება არცერთი ქვეყნის **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს (ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის და სხვა), მათ შორის და არამხოლოდ: ფულით გათვრება, ტერორიზმი, ნარკოტიკული დანაშაული, დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ, დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ, დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წეს(ებ)ის წინააღმდეგ, დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ, დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ, დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ და ფულად-საკრედიტო სისტემაში.

3.1.9. არ წარმოადგენს **სანქციების დამდგენ ორგანოს** მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქციით ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვით/აკრძალვით (მათში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) დასაწესებულ პირს ან/და ასეთ პირთან საქმიანი, შრომითი, ბიზნეს, ოჯახური, ნათესაური ან სხვა ტიპის კავშირით დაკავშირებულ პირს.

3.1.10. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული **ბანკის** მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით **ხელშეკრულების** ან/და **ბანკთან** დადებული სხვა ხელშეკრულების დასაძებნად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება, **კანონმდებლობის** შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას;

3.1.11. პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდის ან მიუღია (ან ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს), ნებისმიერი უაწინაო ან/და დაფარული გადასახადი, ქრთამი ან ანაზღაურება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს **ხელშეკრულებას** ან/და **ბანკთან** დადებულ სხვა ნებისმიერ ხელშეკრულებას.

3.1.12. **ხელშეკრულების** დადებისას **ბანკის** ან/და მესამე პირ(ებ)ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, **კლიენტის** ან/და მისი ახლობლების მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, **ბანკს** არ უსარგებლია **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობით და არ გამოუყენებია ზოროტად **ბანკის** საზაზრო ძალაუფლება;

3.1.13. სრულად გაეცნო და მისთვის მისაღება **ხელშეკრულების** პირობები და **ხელშეკრულების ტარიფები** და ადასტურებს, რომ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **პირგასამტეხლო** არ არის შეუსაბამოდ მაღალი.

3.1.14. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** დებს სავალუტო გარიგებას, იგი დამატებით აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ მას აქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ფინანსურ და ბიზნეს საკითხებთან და საკრედიტო რისკის განსაზღვრასთან დაკავშირებით და რომ მას უნარი შესწევს შეაფასოს **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე სავალუტო გარიგების არსი, რისკები და შესაფერისობა. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს მასზე, რომ მან იცის, აცნობიერებს და შეუძლია იკისროს სავალუტო გარიგებასთან დაკავშირებული რისკები. **კლიენტი** ადასტურებს, რომ მას საკმარისად მიუწევდება ხელი ინფორმაციაზე და რომ მან კონსულტაცია გაიარა საკუთარ იურიდიულ, საგადასახადო, ბიზნეს, საინვესტიციო, ფინანსურ მრჩეველებთან და ბულატურებთან იმ ოდენობით, რასაც იგი თვლის აუცილებლად და სავალუტო გარიგების დადების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო/მიიღებს საკუთარი (**კლიენტის**) დასკვნებიდან და ასეთი კონსულტაციების რჩევებიდან გამომდინარე და არა **ბანკის** მიერ გამოხატული ნებისმიერი შეხედულებიდან გამომდინარე.

3.1.15. **კლიენტი** აცხადებს და ადასტურებს, რომ გაეცნობილია **ბანკის** ვებგვერდზე <https://libertybank.ge/ka/samartlebrivi-inpormatsia/monatsemta-datsvis-politika> განთავსებულ „მონაცემთა დაცვის პოლიტიკას“ და მის დანართ(ებ)ს.

3.2. **კლიენტის** მიერ ელექტრონული ფორმით გაკეთებულ თანხმობას (მაგ. ვერანზე თანხმობის დილაკის დაჭერას, მობილური ტელეფონის ნომერზე/ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდის **ბანკისთვის** მიწოდებას ან/და სხვა ქმედებას, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს **კლიენტის** ნებას) ან **მხარეთა** შორის ელექტრონული ფორმით დადებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად აღნიშნული გარიგების დადებაზე ელექტრონული ფორმით ნების გამოვლენას/დათანხმებას) აქვს მატერიალური დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა (მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა).

3.3. აღნიშნული განცხადებები ძალაშია ამ **ხელშეკრულების** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

3.4. **კლიენტი** ყველანაირი საშუალებით უზრუნველყოფს, რომ მასთან დაკავშირებულმა პირებმა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დამატებითი ბარათის** მფლობელ(ებ)ს) ამ **ხელშეკრულების** მთლიანი ვადის განმავლობაში არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი გარანტიების დარღვევას.

3.5. ამ **ხელშეკრულების** ძალაში შესვლის შემდეგ **კლიენტი** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **ბანკს** ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ამ **ხელშეკრულებაში** მოცემული გარანტიების დარღვევა ან წინააღმდეგობაში მოვიდეს აღნიშნულ განცხადებებთან.

3.6. აღნიშნული განცხადებების დარღვევის შემთხვევაში (რითაც არ იზღუდება **ბანკის** უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), თუ **კლიენტი** ვერ შეძლებს ამ დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) **სამუშაო დღის** განმავლობაში, **კლიენტი** თანახმაა **ბანკს** აუნაზღაუროს და დაიცავს **ბანკი** ნებისმიერი ზარალისაგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისაგან, ხარკისაგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარკებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცედურისაგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისაგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას. წინამდებარე პუნქტის მიზნების უზრუნველსაყოფად **კლიენტი** აცნობიერებს **ბანკის** უფლებამოსილებას წინასწარი შეტყობინების გარეშე უაქცეპტოდ დაბლოკოს/დახუროს **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიში, დაბლოკოს/დაბრონოს/ჩამოწეროს თანხები **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიშიდან და მიმართოს აღნიშნული თანხები მესამე პირების ან **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანებების დასაფარად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. საბანკო მომსახურების ტარიფები

- 4.1. **კლიენტისა** და **ბანკის** ფინანსური ურთიერთობა სრულად რეგულირდება **ბანკის** მიერ დადგენილი **ტარიფებით**.
- 4.2. **კლიენტი** **ბანკს** უხდის საკომისიოს **პირობების** 1.5 პუნქტში აღნიშნული რომელიმე **პროდუქტის/მომსახურების** ან/და **სატარიფო პაკეტის** გამოყენებისას, მათი გამოყენების დროისათვის **ბანკის** მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.
- 4.3. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** სარგებლობს ისეთი **პროდუქტის** ან/და მომსახურებით, რომლის საკომისიო არ არის დადგენილი წინამდებარე **პირობებით**, ასეთი **პროდუქტის/მომსახურების** საკომისიო განისაზღვრება **ბანკის** მიერ ასეთი **პროდუქტისათვის/მომსახურებისათვის** შესაბამისი დროის მომენტისათვის დადგენილი სტანდარტული **ტარიფების** შესაბამისად, თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის დადგენილი.
- 4.4. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მოქმედი **ტარიფები**. **ბანკის** მიერ დადგენილი **ტარიფების** ცვლილების შემთხვევაში, **კლიენტს** აღნიშნულის შესახებ ეცნობება წინასწარ პირადად ან **ბანკის** საინფორმაციო მასალების საშუალებით.
- 4.5. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, ამა თუ იმ **სატარიფო პაკეტის** შემენა ხელმისაწვდომი გახადოს მხოლოდ **დისტანციური საბანკო მომსახურების არს(ებ)იდან**.
- 4.6. **ბანკი** უფლებამოსილია **ბანკში** გახსნილი **კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან** უაქცეპტოდ წესით ჩამოწეროს მომსახურების ტარიფები. **კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან** საბანკო **პროდუქტების/მომსახურების** საკომისიოს ჩამოწერა ხორციელდება მათ შორის კონვერტაციის გზით, კონვერტაციის დღეს **ბანკის კომერციული გაცვლითი კურსის** შესაბამისად.
- 4.7. თუ **მომსახურების ტარიფ(ებ)ის** (საკომისიოს) გადახდის დღეს **კლიენტის** ანგარიშზე უკვე ფიქსირდება დავალიანება წინა თვის საკომისიოს სახით, ყოველთვიურად განხორციელდება მომდევნო თვის/თვეების საკომისიოს აკუმულირება დავალიანების სახით. დაგროვილი დავალიანების თანხის ჩამოწრა **კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან** მოხდება **ანგარიშ(ებ)ზე** თანხის ნებისმიერი ფორმით განთავსებისთანავე იქამდე, ვიდრე დავალიანება სრულად არ დაიფარება.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

მომსახურების ტარიფ(ებ)ის (საკომისიოს) ზედიზედ 3 (სამი) თვის განმავლობაში სრულად ან ნაწილობრივ გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს დავალიანების დარიცხვა. კლიენტის მიერ დავალიანების ნაწილობრივ ან სრულად გადახდის შემთხვევაში, მომსახურების ტარიფ(ებ)ის (საკომისიოს) დარიცხვის/გადახდის თარიღი შეიცვლება და განისაზღვრება კლიენტის მიერ დავალიანების ნაწილობრივ ან სრულად გადახდის შესრულების თარიღით.

4.8. **ბანკის პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად კლიენტისათვის შეთავაზებული ერთობლივი მომსახურების/პროდუქტების ტარიფები განისაზღვრება ცალმხრივად ამ ორგანიზაციების მიერ.**

4.9. **სატარიფო პაკეტი(ებ)ის მომსახურების საკომისიოს გადახდა ხორციელდება წინასწარ, თვეში ერთხელ ან წელიწადში ერთხელ კლიენტის მიერ არჩეული გადახდის სქემის შესაბამისად.**

4.10. **სატარიფო პაკეტი(ებ)ის სავსესურის პირველი გადახდა ხდება კონკრეტული სატარიფო პაკეტის შექმნის დღეს შემდგომ გადახდას კლიენტი ახორციელებს მის მიერ არჩეული გადახდის სქემის შესაბამისად, თვეში ერთხელ ყოველი მომდევნო თვის იმავე რიცხვში ან წელიწადში ერთხელ ყოველი მომდევნო წლის იმავე რიცხვში. თუ კონკრეტულ კალენდარულ თვეში არ არსებობს აღნიშნული რიცხვი, სავსესურის ჩამოჭრა განხორციელდება აღნიშნული კალენდარული თვის ბოლო რიცხვში, ხოლო ყოველწლიური გადახდის სქემის არჩევის შემთხვევაში, თუ კონკრეტულ კალენდარულ წელში არ არსებობს წინა გადახდის შესაბამისი რიცხვი, გადახდის თარიღი განისაზღვრება მომდევნო კალენდარულ რიცხვით.**

4.11. **კლიენტის მიერ სატარიფო პაკეტის ან/და მომსახურების პროდუქტის შექმნის შემდეგ სატარიფო პაკეტზე ან/და სატარიფო პაკეტით გათვალისწინებულ მომსახურებაზე/პროდუქტზე უარის თქმის შემთხვევაში კლიენტს გადახდილი თანხა არ დაუბრუნდება.**

4.12. **კლიენტის მიერ რომელიმე მომსახურების ან სატარიფო პაკეტის საკომისიოს გადაუხდელობა ბანკს ანიჭებს უფლებას შეუჩეროს ან შეუწყვიტოს კლიენტს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული პროდუქტით/მომსახურებით ან/და სატარიფო პაკეტით სარგებლობის უფლება.**

4.13. **კლიენტის მიერ ახალი სატარიფო პაკეტის შექმნის (სატარიფო პაკეტის ცვლილების) შემთხვევაში, კლიენტზე გაერცხვლება ახალი სატარიფო პაკეტით განსაზღვრული ტარიფები. ამასთან, თუ ხორციელდება:**

4.13.1. **უფრო მაღალი ღირებულების სატარიფო პაკეტის შექმნა - კლიენტის მიერ ახალი სატარიფო პაკეტის შექმნის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია ბანკს გადაუხადოს ახალი სატარიფო პაკეტის ღირებულება, ამასთანავე, კლიენტი აცნობიერებს, რომ მის მიერ მანამდე შექმნილი პაკეტით სარგებლობისათვის წინასწარ გადახდილი საკომისიოს ოდენობა არ ექვემდებარება ანაზღაურდებას.**

4.13.2. **უფრო დაბალი ღირებულების სატარიფო პაკეტის შექმნა - კლიენტს არ აუნაზღაურდება მანამდე შექმნილი სატარიფო პაკეტით სარგებლობისათვის წინასწარ გადახდილი საკომისიოს შესაბამისი ოდენობა.**

4.14. **ბანკი უფლებამოსილია საკუთარი გადაწყვეტილებით კლიენტის სატარიფო პაკეტი შეცვალოს უფრო დაბალი ღირებულების მქონე სატარიფო პაკეტით.**

4.15. **ახალი სატარიფო პაკეტის შექმნისას/სატარიფო პაკეტის ცვლილებისას მომსახურების საკომისიოს გადახდის თარიღი შეიცვლება და განისაზღვრება სატარიფო პაკეტის შექმნის/ცვლილების თარიღის შესაბამისად.**

4.16. **კონკრეტული სატარიფო პაკეტის მომსახურების საკომისიოს გადახდის დღეს კლიენტს დაერიცხება მომდევნო თვის საკომისიო ან მომდევნო წლის საკომისიო მის მიერ არჩეული გადახდის სქემის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშზე არ იქნება საკმარისი ნაშთი, დარიცხული საკომისიოს გადასახდელად, ვალდებულების ჩამოჭრა განხორციელდება ანგარიშზე თანხის გაჩენისთანავე.**

4.17. **სატარიფო პაკეტი(ებ)ის მომსახურების საკომისიოს დავალიანების დაფარვის შემდეგ კლიენტს აღუდგება არსებული საპაკეტო ტარიფი (ასეთის არსებობისას).**

4.18. **კლიენტის მიერ ბანკის მიმართ დავალიანების არსებობის შემთხვევაში პირველ რიგში ხდება ბანკის მიერ კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან თანხის ჩამოწრა დავალიანების დასაფარად. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს კლიენტს უფლება განკარგოს დარჩენილი თანხა საკუთარი შეხედულებისამებრ.**

4.19. **კლიენტის მიერ ბანკის მიმართ არსებული დავალიანებისას, გადასახდელი თანხა ივარება ბანკის შეხედულებით განსაზღვრული თანმიმდევრობით. ამასთან, დავალიანების დაფარვის სტანდარტული თანმიმდევრობა შემდეგია:**

4.19.1. **სატარიფო პაკეტების მომსახურების საკომისიო (არსებობის შემთხვევაში);**

4.19.2. **საკრედიტო დავალიანება (არსებობის შემთხვევაში) – მათ შორის საკრედიტო ბარათის, ოვერდრაფტის და სხვა საკრედიტო პროდუქტის მიხედვით;**

4.19.3. **თანხის გადახარჯვის (ოვერლიმიტის) პროცენტი (არსებობის შემთხვევაში);**

4.19.4. **კლიენტის მიერ ბანკის წინაშე არსებული სხვა დავალიანება (არსებობის შემთხვევაში).**

4.20. **ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად პირობების 4.19 პუნქტში მოცემული დავალიანების დაფარვის სტანდარტული თანმიმდევრობა არ გამოირჩევა ბანკის უფლებას, კლიენტის დავალიანების დაფარვა განხორციელოს სხვა, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრული თანმიმდევრობით.**

4.21. **ბანკი შეეცდება კლიენტს შეატყობინოს მისი ბანკისადმი არსებული დავალიანების გადახდის აუცილებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, კლიენტი არ გათავისუფლდება დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან მის მიერ დავალიანების შეტყობინების მიუღებლობისას.**

4.22. **იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი შეწყვეტს სატარიფო პაკეტში შემავალი ყველა პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობას, ბანკი უფლებამოსილია კლიენტს გაუქმოს სატარიფო პაკეტი.**

4.23. **იმ შემთხვევაში, თუ ბანკი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით დაადგენს კლიენტის გარდაცვალების ფაქტს, ბანკი უფლებამოსილია დაბლოკოს კლიენტის ყველა აქტიური პროდუქტი (მათ შორის დახუროს კლიენტის ანგარიშ(ებ)ი) და გააუქმოს სატარიფო პაკეტი.**

4.24. **კლიენტი აცნობიერებს, რომ მომსახურების მიღების მიზნით შექმნილი სატარიფო პაკეტით განისაზღვრება ის პროდუქტები და მომსახურება, რომელსაც კლიენტი სატარიფო პაკეტის შექმნისთანავე მიიღებს, შესაბამისად, თუ კლიენტი ხსენებული სატარიფო პაკეტის შექმნამდე სარგებლობდა ბანკის სხვა სატარიფო პაკეტში შემავალი პროდუქტ(ებ)ით/მომსახურებით, რომელსაც არ ითვალისწინებს კლიენტის მიერ შერჩეული ახალი, სატარიფო პაკეტი, კლიენტის თავდაპირველ სატარიფო პაკეტში შემავალი პროდუქტ(ებ)ი და მომსახურებ(ებ)ი გაუქმდება ან/და ჩანაცვლება კლიენტის მიერ შექმნილი სატარიფო პაკეტით დადგენილი პროდუქტ(ებ)ითა და მომსახურებ(ებ)ით.**

5. დავალების მიღების და შესრულების ვადები

5.1. **ბანკი გადახდის ოპერაციას ახორციელებს გადახმდელის ან მიმღების მიერ ბანკისათვის წარდგენილი დავალების საფუძველზე. ამასთან, დავალება შეიძლება წარდგენილი იქნას მატარიალური ან/და არამატერიალური-ელექტრონული ფორმით.**

5.2. **დავალებას ბანკი მიიღებს და შესასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადახმდელის ან მიმღების მიერ სრულად და ჯეროვნად შეესებულები იქნება ბანკის მიერ მოთხოვნილი რეკვიზიტები.**

5.3. **კლიენტისთვის ცნობილია, რომ ბანკის მიერ დავალების მიღება ავტომატურად არ გულისხმობს გადახდის ოპერაციის შესრულებას და გადახდის ოპერაცია დაკავშირებულია შესაბამის ვადებთან, რომელიც დამოკიდებულია თავად დავალების შინაარსზე. ბანკის მიერ დავალებ(ებ)ის მიღებისთვის დადგენილი დროის მონაკვეთი, აგრეთვე მიღებული დავალებ(ებ)ის განხორციელებისთვის საჭირო მაქსიმალური ვადები განისაზღვრება ხელშეკრულების შესაბამისი დანართით.**

5.4. **საგადახდო დავალების წარდგენიდან, წინამდებარე პირობებით დადგენილ წესით მის მიღებამდე კლიენტი უფლებამოსილია გამოითხოვოს დავალება ბანკის მიერ დადგენილი წესით. ამასთან, დავალების გამოთხოვა დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაცემულია შესაბამისი საგადახდო სისტემისთვის.**

5.5. **ეროვნულ ვალუტაში შესრულებული გადარიცხვის შემთხვევაში, კლიენტი უფლებამოსილია ისარგებლოს სწრაფი გადარიცხვის სერვისით წინამდებარე პირობებით განსაზღვრული და ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. სწრაფი გადარიცხვის დაინიცირება კლიენტს შეუძლია მხოლოდ სამუშაო დღეებში, 10:00 საათიდან 17:30-მდე პერიოდში. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ბანკის მიერ კლიენტის ტრანზაქციის დაჩქარება გამოიხატება ტრანზაქციის შესახებ ინფორმაციის საგადახდო სისტემისთვის პრიორიტეტულად მიწოდებაში, ბანკი არ არის პასუხისმგებელი საგადახდო სისტემის მიერ დავალების შესრულების ან/და მიმღების პროვაიდერის მიერ მიმღების ანგარიშზე თანხის ასახვის ვადებზე. ასევე ბანკს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა გადარიცხვის შესრულების ვადასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ ტრანზაქციის შესრულებისთვის საჭიროა დამატებითი დადასტურება (მათ შორის ბანკის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ) ან/და დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წაროდგენა. სწრაფი გადარიცხვის სერვისის ტარიფები განისაზღვრება პირობების შესაბამისი დანართით.**

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. **მხარეები იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ ხელშეკრულების შესრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით დადგენილი წესით.**

6.2. **კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, კლიენტი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებასზე. ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ:**

6.2.1. **კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ან/და ბანკთან არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის და არამარტო საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების (მათ შორის ასეთი საფრთხის არსებობის) შემთხვევაში დაბლოკოს კლიენტის ანგარიში;**

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

6.2.2. კლიენტის ბანკში არსებული ნებისმიერი სახის ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ოპერაციების წარმოებისათვის და ანგარიშის მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, **კანონმდებლობით** განსაზღვრული გადასახადები/გადასახდლები, შევდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;

6.2.3. თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსით**, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტს** ანგარიშიდან;

6.2.4. **ბანკის** წინაშე არსებული **კლიენტის** ვალდებულებები გაქვითოს **კლიენტის** წინაშე არსებული **ბანკის** ნებისმიერ ვალდებულებაში;

6.3. სავალუტო გარიგებით მომსახურებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** დააკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ფულადი ვალდებულების 1% ოდენობით, ყოველ ვადაგაცვლით კალენდარულ დღეზე.

7. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

7.1. იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკი** მოქმედებს **კლიენტის** დავალებით საბანკო მომსახურების გაწევასას **კლიენტი** აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აუნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ზიანისგან, ზარალისგან, სასამართლო ხარჯებისგან, **კლიენტის** ან მესამე მხარის მიერ (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დამატებითი ზარათის** მფლობელებს) წამოყვებული საჩივრისგან, ქმედებისგან ან სასამართლოში წარდგენილი საჩივრისგან, სარჩელისგან ან განაცხადისგან, ასევე **კლიენტი** აუნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ისეთი ზიანისგან, რომელიც წარმოიშვა საბანკო მომსახურების გამოყენების შედეგად, ან ისეთი ზიანისგან, რომელიც წარმოიქმნა საბანკო მომსახურების მეშვეობით განხორციელებული **ოპერაციის** შედეგად; **კლიენტი** აღიარებს, რომ აღნიშნული ოპერაციები განხორციელდება **ბანკის** მიერ მიღებული დავალებების და ავტორიზაციის შესაბამისად ამ პირობების მიხედვით და სხვა შესაბამისი განსაკუთრებული პირობების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების ან მსგავსი ინსტრუმენტების მიხედვით. **კლიენტი** აგრეთვე აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ზარალის ანაზღაურების პირობები ძალაში დარჩება და **კლიენტისათვის** მავალდებულებელი იურიდიული ძალა ექნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება საბანკო მომსახურების ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმება.

7.2. **კლიენტი** აცხადებს და თანხმობა, რომ მას შესაძლოა მოუწიოს ზარალის ანაზღაურების შესახებ დამატებითი ხელშეკრულებების, განცხადებების ან სხვა მსგავს დოკუმენტზე ხელმოწერა და მათი / მისი შესრულება, განსაკუთრებით კი ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებით, რომლებიც **წდომის კოდების** გამოყენებით განხორციელდება. ამგვარი დამატებითი ხელშეკრულებები, განცხადებები და მსგავსი საშუალებები დამატება და არ გამოირიცხავს აქ მოყვანილ პირობებს ზარალის ანაზღაურების შესახებ.

7.3. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **კლიენტის** მიერ გადარიცხვებთან, მათ შორის, საერთაშორისო გადარიცხვებთან დაკავშირებული საგადახდო დავალების შეუსრულებლობისთვის ან/და შესრულების დაყოვნებისთვის **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი თუ: (ა) სრულად და ჯეროვნად არ არის შევსებული **ბანკის** მიერ მოთხოვნილი რეკვიზიტები საგადახდო დავალების შესასრულებლად; (ბ) საგადახდო დავალება ვერ შესრულდა მიმღები ან/და საკორესპოდენტო ბანკის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედების გამო, მათ შორის და არა მარტო, მიმღები ან/და საკორესპოდენტო ბანკის მიერ გადასარიცხი თანხის დაბლოკვის/შეჩერების შემთხვევაში რაც აფერხებს ადრესატის მიერ თანხის მიღებას; (გ) საგადახდო დავალება ვერ შესრულდა **ბანკისგან** დამოუკიდებელი სხვა მიზეზით, მათ შორის და არა მარტო, თუ სახეზეა ემზარგო ან/და სხვა რაიმე შეზღუდვა, რაც აფერხებს ადრესატის მიერ თანხის მიღებას; (დ) **ბანკის**, საკორესპოდენტო ან/და მიმღები ბანკის მიერ მოხდება თანხის ბლოკირება ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ან/და სხვა მიზნით.

7.4. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ გადარიცხვებთან, მათ შორის, საერთაშორისო გადარიცხვებთან დაკავშირებული საგადახდო დავალების შესრულებისთვის დადგენილი ხარჯების ცვლილებისთვის (მათ შორის გადარიცხვის საკომისიოს ცვლილებისთვის), თუ აღნიშნული ცვლილება განხორციელდა მიმღები ან/და საკორესპოდენტო ბანკის მიერ.

7.5. ამ **ხელშეკრულების** პირობების მიუხედავად, **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე ისეთ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშვა საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით. ასევე გამოირიცხება **ბანკის** პასუხისმგებლობა ნებისმიერ ზარალზე ან ზიანზე, მოგების, ბიზნესის, შემოსავლის ან დაგეგმილი დანაზოგების დაკარგვაზე, რომელიც დაკავშირებულია **ხელშეკრულებაში** განსაზღვრულ საბანკო მომსახურებებთან.

7.6. ზემოაღნიშნული დებულებები ზარალის ანაზღაურების და ვალდებულებების შეზღუდვის შესახებ გავრცელდება **ბანკის** აღმასრულებელ პირებზე, დირექტორებზე, თანამშრომლებზე, წარმომადგენლებსა და აგენტებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი გამოწვეულია **ბანკის** ან ზემოაღნიშნული პირების დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით ან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევით (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ამ პირობების დარღვევას).

7.7. **დისტანციური საბანკო მომსახურების არხების** გამოყენებისას **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **დავალებაზე**, რომელსაც იგი გასცემს **ბანკზე** სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ შეწყვეტს საბანკო **მომსახურებით** სარგებლობას. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას **დავალებაზე** ან აღნიშნული **დავალების** შევსებისას დამუშავდნ ნებისმიერ შევდომაზე, რომელიც გაგზავნილი იყო მესამე პირის მიერ. **კლიენტმა** არ უნდა დატოვოს დისტანციურ საბანკო მომსახურებასთან დასაკავშირებელი მოწყობილობა უყურადღებოდ.

7.8. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე, თუ: **ბანკს** არ მიუღია **კლიენტის** მიერ გაგზავნილი დავალებ(ებ)ი, **კლიენტმა** **ბანკს** მიაწოდა არასწორი ან არასრული ინფორმაცია ან/და კლიენტსა და **ბანკს** შორის ინტერნეტით კავშირში ჩართო მესამე მხარე.

7.9. **ბანკი** არაა პასუხისმგებელი **ელექტრონული საფულის** გამოყენებით **კლიენტის** მიერ მიღებულ ზიანზე/ზარალზე, თუ აღნიშნული წარმოადგენს **კლიენტის** არამართლმოიერი ქმედების, წინამდებარე **პირობების** ან/და **Google-ს/Apple-ს** წესებისა და პირობების დარღვევის შედეგს.

7.10. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე, **კლიენტის** მიერ **დავალების/განაცხადის** სახით წარმოდგენილი სავალუტო გარიგების, მათ შორის **B-match** პლატფორმის საშუალებით განსახორციელებელი გარიგების, მოთხოვნის ნებისმიერი მიზეზით სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე.

7.11. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ იმ ტექნიკურ ხარვეზზე, რომელმაც გამოიწვია **კლიენტის** **დავალების/განაცხადის** შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

7.12. **ბანკი** არ აგებს პასუხს **კლიენტის** მიერ საბანკო მომსახურების მიუღებლობაზე ან/და არაჯეროვან მიღებაზე, იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** არ გაეგზავნა/არ მიუღია ერთჯერადი კოდი, რაც, მათ შორის, შესაძლოა გამოწვეული იყოს მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდების მომსახურების ხარვეზით ან/და სხვა გარემოებით.

7.13. ამ მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება საბანკო მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაშიც, სანამ **მხარეები** ერთმანეთის წინაშე ბოლომდე არ შეასრულებენ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს.

8. გადასახადები

8.1. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოსთვის საგადასახადო **განაცხადის** შეტანაზე ამ პირობების შესაბამისად. **კლიენტი** აგრეთვე თავად არის პასუხისმგებელი გადახდადის ნებისმიერი გადაუხდელი გადასახადი (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს), ბეგარა, საბაჟო გადასახადი, რომელიც შეიძლება დაწესდეს ნებისმიერ ვალდებულებაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ანგარიშ(ებ)ის მართვასთან ან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ნებისმიერ ან ყველა საბანკო მომსახურებასთან მიმართებაში (ერთად, "საგადასახადო ვალდებულება"); ამასთანავე, **ბანკი** თავად იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე ან ვალდებულებაზე, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტისგან** მიღებულ საკომისიო თანხასთან. თუ **კანონმდებლობით** გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერი ვალდებულების გადახდა შესაძლებელია თანხების დაკავებით, **ბანკი** ან/და ნებისმიერი შვილობილი/აფილირებული კომპანია ამგვარი თანხის გადახდას ან ჩამოწერას **კლიენტის** ხარჯზე მოახდენს იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკი** **კლიენტს** გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას. თუ კანონის შესაბამისად **ბანკს** ეკისრება რაიმე გადასახადი ან ჯარიმა **კლიენტის** საგადასახადო ვალდებულების გამო, **კლიენტი** დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს **ბანკს** ყველა ამგვარ ვალდებულებას იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამგვარი გადასახადის ან ჯარიმის დაწესება გამოწვეულია **ბანკის** რომელიმე ქვედანაყოფის დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით.

8.2. **ბანკი** ვალდებულია შესაბამისობაში იყოს მხოლოდ საქართველოს **კანონმდებლობით** და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. საქართველოს **კანონმდებლობასთან** ერთად **კლიენტმა** უნდა დააკმაყოფილოს სხვა შესაბამისი ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნები (მოიცავს იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რომლის მოქალაქეც არის **კლიენტი** ან რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს).

8.3. **კლიენტი** ვალდებულია არ გამოიყენოს **ანგარიში** ან/და პირობებში აღწერილი მომსახურება სამეწარმეო საქმიანობისთვის ან/და **კანონმდებლობით** აკრძალული ნებისმიერი საქმიანობისთვის. ამასთან, **კლიენტის** მიერ სამეწარმეო საქმიანობის დაწყების და გადასახადის გამხდელ პირად რეგისტრაციის შემთხვევაში იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს**.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

9. ხელშეკრულების ცვლილება

9.1. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტისათვის** წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად (**კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე) შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, ამასთან წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც:

- 9.1.1. **ხელშეკრულებით** ან **პირობებით** განსაზღვრული მომსახურების ტარიფების ცვლილება ხორციელდება **კლიენტის** სასარგებლოდ;
- 9.1.2. **ხელშეკრულებაში** ან **პირობებში** ხორციელდება ახალი საგადახდო მომსახურების, საბანკო **პროდუქტის** ან **დისტანციური საბანკო მომსახურების არხის** დამატება, რომელიც არსებითად არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის **ხელშეკრულებაში** ან/და **პირობებში** არსებულ მომსახურებებს.
- 9.1.3. ცვლილება გამომდინარეობს **კანონმდებლობის** მოთხოვნიდან ან/და **ბანკის** ზედამხედველი/მარეგულირებელი/მაკონტროლებელი ორგანოს მითითებიდან;
- 9.2. თუ **კლიენტი** არ დაეთანხმება **ბანკის** მიერ შეცვლილ პირობებს, იგი ვალდებულია ცვლილებების ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ **ბანკს**, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ **კლიენტი** ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.
- 9.3. ცვლილებების მიღებაზე უარის დაფიქსირების შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **ხელშეკრულების** დაუყოვნებლივ შეწყვეტა, ამასთან თუ ასეთი მოთხოვნა არ არის დაფიქსირებული **კლიენტის** მხრიდან განცხადებაში, **ბანკი** უფლებამოსილია თავად შეწყვიტოს **ხელშეკრულების** მოქმედება ცვლილებების ამოქმედების თარიღიდან.
- 9.4. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული მიზნით **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო **კლიენტი** ვალდებულია სრულად დაფაროს **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წინამდებარე **პირობებით** დადგენილი წესით. ამასთან, **ხელშეკრულების** შეწყვეტისათვის **კლიენტს** არ დაეკისრება რაიმე სახის საჯარიმო საკომისიო ან/და დამატებითი პირგასამტეხლო **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტისათვის.
- 9.5. **ხელშეკრულებაში** ცვლილებების შესახებ **კლიენტის** ინფორმირება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) განხორციელდება შეცვლილი **პირობების** ტექსტის **ბანკის** ვებგვერდზე - www.libertybank.ge განთავსების გზით. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ინფორმირება დაეგმილი ან არსებული ცვლილების შესახებ მოახდინოს წინამდებარე **პირობების** მე-13 მუხლით განსაზღვრული კომინიკაციის ერთი ან რამდენიმე ფორმით. **კლიენტი** თავად არის ვალდებული პერიოდულად შეამოწმოს **ბანკის** ვებ-გვერდი და გაეცნოს **პირობებში** ცვლილებებს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

- 10.1. ეს **პირობები** ძალაში შევა მას შემდეგ, რაც **კლიენტი** შეავსებს შესაბამის **განაცხადს**. ხელს მოაწერს/დაეთანხმება ელექტრონული ფორმით და ჩაბარებს **ბანკს** და მას დაეთანხმება **ბანკი**. **ბანკის** თანხმობა გამოხატება **კლიენტისათვის** შესაბამისი საბანკო მომსახურების გაწევის დაწყებით. ამასთან, ძალაში შევა პირობების მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც შეეხება **კლიენტის** მიერ **განაცხადში** მითითებულ მომსახურებას და მათთან ერთად **პირობების I** და **III** ნაწილები.
- 10.2. **პირობები** ძალაშია **პროდუქტის/მომსახურების** ან/და **სატარიფო პაკეტის** მოქმედების ვადით და მოქმედებს ამ **პირობებით** განსაზღვრული წესის შესაბამისად მის შეწყვეტამდე.
- 10.3. **პროდუქტის/მომსახურების** ან **სატარიფო პაკეტის** მოქმედების შეწყვეტის შემდეგ მისი მოქმედების განახლების შემთხვევაში **პროდუქტზე/მომსახურებაზე** ან/და **სატარიფო პაკეტზე** გავრცელდება წინამდებარე **პირობები**, ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე.
- 10.4. თუ **ბანკი** ან/და **კლიენტი** გადაწყვეტენ შეწყვიტონ ზოგიერთი სახის საბანკო **პროდუქტით** მომსახურება, შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ძალაში იქნება მხოლოდ მითითებულ მომსახურებასთან დაკავშირებით.
- 10.5. თუ წინამდებარე **პირობებით**, მათ შორის **ანგარიშის** დახურვის მუხლით, ან **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ბანკს** უფლება აქვს შეწყვიტოს მთლიანი **ხელშეკრულება** ნებისმიერ დროს.
- 10.6. თუ **კლიენტი** დაარღვევს **ხელშეკრულების** მნიშვნელოვან პირობას ან მის გადახდისუნარიანობას შექმნება საფრთხე, **ბანკი** შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით უარს განუცხადებს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე და გააუქმებს **ხელშეკრულებას, ბარათ(ებ)ს**, დახურავს **კლიენტის ანგარიშ(ებ)ს**, გააუქმებს ამ **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ საბანკო მომსახურებას (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხებს) და მოითხოვს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანების სრულად დაფარვას ან/და **ხელშეკრულების** შეწყვეტას.
- 10.7. **კლიენტის** მიერ **ანგარიშით** მომსახურების შეწყვეტის ან ან **ანგარიშის** დახურვის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია შეუწყვიტოს **კლიენტს** წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული ნებისმიერი ან ყველა მომსახურება.
- 10.8. **კლიენტს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს **ხელშეკრულება ბანკისთვის** 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ამასთან, **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში **ხელშეკრულება** შესაძლებელია შეწყვედეს აღნიშნულ ვადაზე ადრეც.
- 10.9. **კლიენტი** აცნობიერებს და თანახმაა, რომ **ხელშეკრულება** არ შეწყდება მანამ, სანამ **კლიენტი** არ შეწყვეტს ისეთ განგრძობად **ოპერაციებსაც** (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს მუდმივ საგადახდო დავალებას, ავტომატურ კომუნალურ გადახდებს, განმეორებად **ოპერაციებს** და განგრძობად ავტორიზაციას, რომელიც **კლიენტმა** გასცა საქონლის ან მომსახურების მომწოდებელზე და რაც გულისხმობს მისი **ანგარიშიდან** თანხის რეგულარულად ჩამოწერას), რომლებიც **კლიენტის დავალების** საფუძველზე ხორციელდება მისივე **ანგარიშ(ებ)იდან**.
- 10.10. თუ რომელიმე მხარე გადაწყვეტს **ხელშეკრულების** შეწყვეტას, მაშინ: ყველა **ბარათი**, რომელიც **ბანკმა** გასცა **კლიენტზე** ან **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ზე**, უნდა დაუბრუნდეს **ბანკს**; ყველა **წვდომის კოდ(ებ)ი** გაუქმდეს. **კლიენტმა ბანკს** უნდა გადაუხადოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა გადასახდელი თანხა.
- 10.11. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში, მომსახურების ტარიფების გადახდა უნდა განხორციელდეს მხოლოდ გაწეული საგადახდო მომსახურების პერიოდის პროპორციულად, ამასთან თუ ტარიფებით განსაზღვრული რომელიმე რეგულარული/პერიოდული საკომისიო გადახდილია წინასწარ, **ბანკი** უზრუნველყოფს ზედმეტად გადახდილი თანხის **კლიენტისთვის** დაბრუნებას.
- 10.12. თუ **ხელშეკრულების** შეწყვეტა **კლიენტის** მიერ განხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 12 (თორმეტი) თვის გასვლამდე, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** დააკისროს **ხელშეკრულების** შეწყვეტასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულება, იმ მიცულობით, რა მიცულობაც არ უნდა აღმატებოდეს **ხელშეკრულების** შეწყვეტისა და გამოდინარე **ბანკის** მიერ გასაწევ რეალურ ხარჯს.
- 10.13. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შესახებ **კლიენტის** ინფორმირება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) განხორციელდება წინამდებარე **პირობების** მე-13 მუხლით განსაზღვრული კომინიკაციის რომელიმე ფორმით.

11. ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხებიდან გააქტიურებულ საბანკო პროდუქტებზე კლიენტის მიერ უარის თქმის უფლება

- 11.1. **კლიენტს** უფლება აქვს უარი თქვას 2024 წლის 01 ივლისიდან, **ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხებიდან** გააქტიურებული **პროდუქტების** ხელშეკრულებაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ზრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მიხედვით, **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.
- 11.2. **კლიენტი** უფლებამოსილია წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული **პროდუქტ(ებ)ის** დისტანციური საბანკო მომსახურების არხით გააქტიურებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარულ დღეში უარი თქვას გაფორმებულ ხელშეკრულებ(ებ)ზე **ბანკის** ფილიალებში შესაბამისი განაცხადით მომართვის გზით ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული სხვა არხებით მომართვის გზით:
 - 11.2.1. პერსონალური საბანკო მომსახურების ფარგლებში შექმნილ **პროდუქტებზე კლიენტს** ხელშეკრულებაზე უარის თქმის დაფიქსირების საშუალება აქვს ინტერნეტ/მობაილ ბანკის არხით, ვერდიფიცირებული მეთოდის მეშვეობით, ასევე პირად ბანკირთან ან **ბანკის** შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართის მეშვეობით: wm@lb.ge
 - 11.2.2. **ბანკი კლიენტის** ხელშეკრულებაზე უარის თქმის განაცხადით მომართვიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში განიხილავს **კლიენტის** მომართვას და გადაწყვეტილებას აცნობებს **კლიენტს ბანკში** დაფიქსირებული მისი საკონტაქტო მონაცემების მეშვეობით ან შესაძლებლობის ფარგლებში, ფილიალში ვიზიტისას, ადგილზე.
 - 11.2.3. **კლიენტის** მიერ უარის თქმის შესახებ განაცხადით მომართვისას, **ბანკი** უფლებამოსილია საბანკო **პროდუქტის** გაუქმების მიზნით, მოსთხოვოს **კლიენტს** დამატებითი მოქმედებების განხორციელება.
 - 11.2.4. **ხელშეკრულებაზე** უარის თქმის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს, ხოლო **ბანკი** უფლებამოსილია დააკისროს **კლიენტს პროდუქტით** სარგებლობის ნებისმიერი საფასური (მათ შორის **პროდუქტის** საკომისიო) ხელშეკრულების შესაბამისად. **კლიენტისათვის პროდუქტის** მიწოდებისას **ბანკის** მიერ გაუქმებული ნებისმიერი და ყველა ხარჯი, **ბანკის** მიერ გაუქმებულად გაწეული მომსახურებისა და პერიოდის პროპორციულად. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** დააკისროს **ბანკის** მიერ შესაძენი პირისთვის გაწეული/გასაწევი ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

11.6. **ბანკი** დაუბრუნებს **კლიენტს** საბანკო პროდუქტებით სარგებლობისათვის **კლიენტის** მიერ გაღებულ ხარჯებს. ამასთანავე, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტისთვის** დასაბრუნებელი თანხიდან გაკეთოს **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** საბანკო პროდუქტის მიწოდებისათვის **ბანკის** მიერ გაღებული ხარჯები (მათ შორის, წინამდებარე მუხლის 11.5 პუნქტის შესაბამისად), ხოლო თუ **ბანკის** მიერ გაწეული ასეთი ხარჯი აღემატება **კლიენტის** მიერ გაწეულ ხარჯს, **ბანკი** უფლებამოსილია **ბანკში კლიენტის** არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოჭრას ხარჯის შესაბამისი ოდენობა, ამავდროულად თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიგხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკის** კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოჭრას **კლიენტის** ანგარიშიდან.

11.7. თუ წინამდებარე მუხლის შესაბამისად, **კლიენტი** არ ანაზღაურებს მის მიერ **ბანკისთვის** დასაბრუნებელ/ასანაზღაურებელ თანხებს, ან/და არ განახორციელებს წინამდებარე პირობების თანახმად, **ბანკის** მიერ მოთხოვნილ შესაბამის პროცედურებს დადგენილ ვადაში, ჩაითვლება რომ **კლიენტმა** არ გამოიყენა რეგულაციით მინიჭებული უარის თქმის უფლება და შესაბამისად, სტანდარტულად გააგრძელებს წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით პროდუქტით სარგებლობას.

11.8. **კლიენტი** აცნობიერებს, რომ **ბანკისათვის ხელშეკრულებაზე** უარის თქმის განაცხადით მომართვა ავტომატურად არ იწვევს აღნიშნული უფლების რეალიზებას და პროდუქტით სარგებლობის გაუქმებას. **კლიენტის** მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება რეალიზებულად ჩაითვლება, ხოლო პროდუქტით სარგებლობა გაუქმებულად, მხარეების მიერ ერთმანეთისათვის გაწეული ხარჯების სრულად ანაზღაურების და **კლიენტის** მიერ **ბანკში** დადგენილი ყველა პროცედურის შესაბამისად გავლის შემდეგ.

11.9. **კლიენტი** არ აქვს უფლება უარი თქვას **ბანკთან** გაფორმებულ ნებისმიერი სახის სადეპოზიტო ხელშეკრულებაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მიხედვით.

11.10. **კლიენტს** არ აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებებზე, რომლებიც **კლიენტის** აშკარა და ცალსახა მოთხოვნის საფუძველზე სრულად შესრულდა ორივე მხარის მიერ, **კლიენტის** მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებამდე.

11.11. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ მის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ასევე გაუქმდება მასთან დაკავშირებული ხელშეკრულება, რომელიც დაიდო **ბანკთან** ან მესამე მხარესთან, **ბანკსა** და მესამე მხარეს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, **კლიენტი** ვალდებულია **ბანკს** აუნაზღაუროს დაკავშირებული ხელშეკრულების გაფორმების ხარჯები, რომელიც ფაქტობრივად გაიღო **ბანკმა**.

11.12. **კლიენტი** მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენება არ იწვევს **ბანკის** მიერ **კლიენტის** დავალდებით შესრულებული გადახდის ოპერაციების გაუქმებას ან/და ისეთი გადახდის ოპერაციების გაუქმებას, რომლის შესრულებაც არ არის მომენტალური და დამოკიდებულია მესამე მხარეების ჩართულობაზე და **ბანკის** მიერ, **კლიენტის** დავალდებით, უკვე ფაქტობრივად დაიწყო გადახდის ოპერაციის შესრულების დაინიცირება/დავალდების გაგზავნა.

11.13. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **კლიენტის** მიერ წინამდებარე პირობებით შექმნილ ნებისმიერ **სატარიფო პაკეტში** შემავალ ცალკეულ პროდუქტზე უარის თქმა, არ ნიშნავს **სატარიფო პაკეტზე** უარის თქმას და **კლიენტისთვის** აქტიური რჩება მის მიერ **სატარიფო პაკეტით** შექმნილი/გააქტიურებული ყველა სხვა პროდუქტი. შესაბამისად, **კლიენტი** აცნობიერებს, რომ ვინაიდან **სატარიფო პაკეტის** შექმნისას მის მიერ გადახდილი საკომისიო წარმოადგენს **სატარიფო პაკეტის** საკომისიოს, **სატარიფო პაკეტში** შემავალი პროდუქტის გაუქმება არ იწვევს **კლიენტისთვის** მის მიერ გადახდილი საკომისიოს უკან დაბრუნებას, თუ **კლიენტი** კვლავ აგრძელებს სატარიფო პაკეტში შემავალი მინიმუმ ერთი პროდუქტით სარგებლობას.

12. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

12.1. წინამდებარე პირობები რეგულირდება და განიმარტება კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება ამ პირობებს ან ამ პირობების ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება მხარეებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე.

12.3. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** ადგილსამყოფელის მიხედვით.

12.4. **კლიენტი** უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებასთან დაკავშირებით პრეტენზია წარუდგინოს **ბანკს**, რომელსაც **ბანკი** განიხილავს „კლიენტთა პრეტენზიების“ განხილვის პროცედურის შესაბამისად, (რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.libertybank.ge/ka/momkhmarebelta-uflebebi>); თუ ხელშეკრულებით განსხვავებული ვადები ან/და პირობები არ არის დადგენილი.

12.5. **კლიენტი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს** საჩივრით განხორციელებულ საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებით. საჩივრის განხილვის მიზნით **კლიენტი** ვალდებულია წარუდგინოს **ბანკს** **ბანკის** მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი დოკუმენტი, მათ შორის შეკვეთის დადასტურების/გაუქმების წერილი(ებ)ი, ოპერაციის ჩეკი, ინვოისი, შესაბამის სავაჭრო-მომსახურების ობიექტთან კომუნიკაციის შედეგი ან/და ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია/დოკუმენტი **ბანკის** მოთხოვნის შესაბამისად. **ბანკი** განხორციელებულ საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებულ საჩივარს განიხილავს წარდგენიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა. ამასთან, თუ **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება საჩივრის განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება, **ბანკი კლიენტს** აცნობებს დაგვიანების დასაბუთებული მიზეზს, საჩივრის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების ვადას. საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებისა და **კლიენტისთვის** გაცნობის მაქსიმალური ვადა საჩივრის მიღებიდან 55 სამუშაო დღე.

12.6. საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებით, **ბანკისათვის** წარდგენილი საჩივრის დადგენილ ვადაში დაუკმაყოფილებლობის (მათ შორის, პასუხის გაუცემლობის) ან ნაწილობრივ დაუკმაყოფილების შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია, განსახილველ საჩივართან დაკავშირებით, **ბანკისთვის** საჩივრით მიმართვის დღიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განხილველ კომისიას, რომელიც დავას განიხილავს უსასყიდლოდ.

13. კომუნიკაცია

13.1. **ბანკის** მიერ **კლიენტთან** კომუნიკაცია ხორციელდება, როგორც წერილობითი ასევე ზეპირი ფორმით, ხოლო **კლიენტის** მიერ **ბანკთან** კომუნიკაცია მხოლოდ წერილობითი ფორმით.

13.2. წერილობითი ფორმით კომუნიკაციისას შეტყობინება უნდა მიეწოდოს მხარეს ხელშეკრულებაში ან/და **ბანკთან** არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში, განაცხადებში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიქური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების), ციფრული **ბანკის** ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

13.2.1. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილას, **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

13.2.2. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტისათვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში **კლიენტის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისათვის ჩაბარებულად მომდევნო კალენდარულ დღეს;

13.3. **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

13.4. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** ფიქური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების), ციფრული **ბანკის** ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნის დღეს, ხოლო **ბანკის** ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისას - ინფორმაციის განთავსების დღეს.

13.5. თუ **კლიენტი ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის ხელშეკრულებაში არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს ხელშეკრულების საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე ან გაგზავნილი შეტყობინება ვერ ჩაბარდება **კლიენტს** მისამართზე არ ყოფნის მიზეზით ზედითხედ ორჯერ, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

13.6. თუ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული **კლიენტის** საკონტაქტო მონაცემ(ებ)ი ან შეტყობინება ზედითხედ მეორე მცდელობის შემდეგ ვერ ჩაბარდება ადრესატს, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება მოახდინოს **კლიენტის** ინფორმირება საჯარო პუბლიკაციის გზით (როგორც ბეჭდვით, ასევე ინტერნეტის საშუალებით ან სხვა ფორმით). აღნიშნული ქმედება არ ჩაითვლება პერსონალურ მონაცემთა დარღვევად და წინამდებარე ხელშეკრულება განიხილება როგორც **კლიენტის** თანხმობა მისი მონაცემების ამ მიზნით და მოცულობით დამუშავების თაობაზე.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

- 13.7. მხარეთა შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაცია განახორციელოს **კლიენტისთვის** მისაღებ სხვა ენაზეც.
- 13.8. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტთან** კომუნიკაცია სხვადასხვა მიზნით. შესაბამისად, **კლიენტისთვის** განკუთვნილი შეტყობინება (როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) შესაძლოა ატარებდეს (ა) საინფორმაციო/ტრანზაქციულ (მაგალითად ინფორმაცია **კლიენტის** ანგარიშზე შესრულებული ოპერაციების შესახებ, **წვდომის კოდების კლიენტისთვის** მიწოდება, გადახდის გრაფიკის შესხენება და სხვა), (ბ) სახელშეკრულებო-ვალდებულებით (მაგალითად, გაფრთხილება დავალიანების არსებობის თაობაზე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და სხვა), (გ) მარკეტინგულ (მაგალითად, ახალი კრედიტის ან **პროდუქტის** შეთავაზება და სხვა) ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შინაარსს.
- 13.9. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაციასას გამოიყენოს **ბანკში კლიენტის**, ან მისი თანხმობით მესამე პირების მიერ **კლიენტის** შესახებ დაფიქსირებული, ან თავად **კლიენტის** მიერ მესამე პირების შესახებ დაფიქსირებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი. ერთი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დაფიქსირებული **კლიენტის** ან/და მესამე პირ(ებ)ის საკონტაქტო მონაცემები (მიუხედავად იმისა მოქმედია თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება), **ბანკის** მიერ შესაძლებელია გამოყენებული იქნას, ამავე ან/და **ბანკის** სხვა **კლიენტის ბანკთან** არსებული სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში კომუნიკაციის მიზნით და პირიქით.
- 13.10. **კლიენტის** თავად არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საკონტაქტო მონაცემების გამოყენებისას კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად. თუ **კლიენტს** არ სურს **ბანკმა** ისარგებლოს რომელიმე საკონტაქტო მონაცემით, **კლიენტმა** აღნიშნული მოთხოვნით **ბანკს** უნდა მიმართოს წერილობით.
- 13.11. **ვერიფიცირებული ნომერი**
 - 13.11.1. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაციისა და მისთვის საბანკო მომსახურების გაწევის, მათ შორის საბანკო მომსახურების/საბანკო პროდუქტით მომსახურების ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტების (მათ შორის გარეგნობის) **კლიენტის** მიერ დადასტურების/ნების გამოხატვის მიზნით გამოიყენოს **კლიენტის ვერიფიცირებული ნომერი**.
 - 13.11.2. **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერი ვერიფიცაციას გადის **ბანკში** დადგენილი წესების/პროცედურების შესაბამისად.
 - 13.11.3. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მიერ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდის **ბანკისთვის** მიწოდების შედეგად აღნიშნული მობილური ტელეფონის ნომერი მიიჩნოს **კლიენტის ვერიფიცირებულ ნომრად**.
 - 13.11.4. **ბანკში** დადგენილი პროცედურის შესაბამისად ნომრის ვერიფიცაციით **კლიენტი** ადასტურებს, რომ მობილური ტელეფონის ნომერი იმყოფება მის მართლზომიერ მფლობელთან და ნომერზე მესამე პირ(ებ)ის მიერ წვდომის მოპოვების და ამ გზით საბანკო სერვისებით სარგებლობის შემთხვევაში, **ბანკი** სრულად თავისუფლდება ყოველგვარი ზიანის/ზარალის ანაზღაურების ვალდებულებისგან.
 - 13.11.5. ნომრის ვერიფიცაციის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია შეცვალოს საბანკო მომსახურების ფარგლებში მანამდე გამოყენებული **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** მომსახურების გაწევისას გამოიყენოს **კლიენტის ვერიფიცირებული ნომერი**.
 - 13.11.6. იმ შემთხვევაში, თუ ნომრის ვერიფიცაცია ხორციელდება **ბანკისთვის დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ით** მომართვის გზით, შესაბამის პროცესში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი ვერიფიცირებულად ჩაითვლება მხოლოდ **კლიენტის** მიერ შესაბამისი პროცესის სრულად, წარმატებით გავლის შემთხვევაში.
 - 13.11.7. **ვერიფიცირებული ნომრის** სხვა პირის მიერ ვერიფიცაციის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერს გაუქმოს ვერიფიცირებულის სტატუსი.
 - 13.11.8. **ვერიფიცირებულ ნომერზე** გაგზავნილი/ვერიფიცირებული ნომრიდან მიღებული შეტყობინება ან/და ვერიფიცირებული ნომრიდან გაცხადებული ნებისმიერი თანხმობა (მათ შორის **ვერიფიცირებულ ნომერზე** მიღებული თანხმობის კოდის ბანკისთვის გაცხადების გზით) ჩაითვლება **კლიენტის** მიერ ნამდვილ შეტყობინებად/შეთავაზებად/თანხმობად.
 - 13.11.9. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ის მომსახურება(ები), რომ(ებ)ით სარგებლობისთვისაც აუცილებელია **ვერიფიცირებული ნომრის** არსებობა და უარი განუცხადოს **კლიენტს** ამგვარი მომსახურების გაწევაზე, იმ შემთხვევაში თუ ის (**კლიენტი**) არ განახორციელებს ნომრის ვერიფიცაციას **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** შეუზღუდოს ის საბანკო მომსახურებები, რომელთა გამოყენებაც ეფუძნება **ვერიფიცირებულ ნომერს** იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით გაუქმდება **კლიენტის ვერიფიცირებული ნომრის** სტატუსი.
 - 13.11.10. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს ვერიფიცირებული ნომრის** დაკარგვის, მფლობელობის გაუქმების, გასხვისების, მესამე პირ(ებ)ის მიერ წვდომის მოპოვების, ან/და აღნიშნულ ნომერთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს **ბანკის** მხრიდან მომსახურების უსაფრთხო მიწოდებაზე და მონაცემების დამუშავებაზე (მათ შორის **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნებისათვის).
 - 13.11.11. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **ვერიფიცირებული ნომრის** შეცვლის, გასხვისების, დაკარგვის, მესამე პირებზე გადაცემის ან/და ნებისმიერი მსგავსი ვითარების შედეგად გამოწვეულ შედეგებზე.
- 13.12. **ვერიფიცირებული მეილი**
 - 13.12.1. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაციისა და მისთვის საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით გამოიყენოს **კლიენტის ვერიფიცირებული მეილი**.
 - 13.12.2. **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის მისამართი ვერიფიცაციას გადის **ბანკში** დადგენილი წესების/პროცედურების შესაბამისად.
 - 13.12.3. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდის **ბანკისთვის** მიწოდების შედეგად აღნიშნული ელექტრონული ფოსტის მისამართი მიიჩნოს **კლიენტის ვერიფიცირებულ მეილად**.
 - 13.12.4. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **ბანკში** დადგენილი პროცედურის შესაბამისად **ვერიფიცირებული მეილი** შესაძლებელია გამოყენებული იქნას **კლიენტის** საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაცვლელად, მათ შორის, საბანკო საიდუმლოების ან/და **კლიენტის** პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის მისაწოდებლად, ამდენად, **კლიენტი** ვალდებულია მოახდინოს მხოლოდ ისეთი ელექტრონული ფოსტის ვერიფიცაცია, რომელზე წვდომაც არ აქვთ მესამე პირებს. **კლიენტის ვერიფიცირებულ მეილზე** მესამე პირ(ებ)ის მიერ წვდომის მოპოვების და ამ გზით საბანკო სერვისებით სარგებლობის ან/და კონფიდენციალური ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, **ბანკი** სრულად თავისუფლდება ყოველგვარი ზიანის/ზარალის ანაზღაურების ვალდებულებისგან.
 - 13.12.5. ელექტრონული ფოსტის ვერიფიცაციის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია შეცვალოს საბანკო მომსახურების ფარგლებში მანამდე გამოყენებული **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** მომსახურების გაწევისას გამოიყენოს **კლიენტის ვერიფიცირებული მეილი**.
 - 13.12.6. იმ შემთხვევაში, თუ მეილის ვერიფიცაცია ხორციელდება **ბანკისთვის დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ით** მომართვის გზით, შესაბამის პროცესში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართი ვერიფიცირებულად ჩაითვლება მხოლოდ **კლიენტის** მიერ შესაბამისი პროცესის სრულად, წარმატებით გავლის შემთხვევაში.
 - 13.12.7. **ვერიფიცირებულ მეილზე** გაგზავნილი/ვერიფიცირებული მეილიდან მიღებული შეტყობინება ან/და **ვერიფიცირებული მეილიდან** გაცხადებული ნებისმიერი თანხმობა (მათ შორის **ვერიფიცირებული მეილიდან** მიღებული თანხმობის კოდის **ბანკისთვის** გაცხადების გზით) ჩაითვლება **კლიენტის** მიერ ნამდვილ შეტყობინებად/შეთავაზებად/თანხმობად.
 - 13.12.8. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ის მომსახურება(ები), რომ(ებ)ით სარგებლობისთვისაც აუცილებელია **ვერიფიცირებული მეილის** არსებობა და უარი განუცხადოს **კლიენტს** ამგვარი მომსახურების გაწევაზე, იმ შემთხვევაში თუ ის (**კლიენტი**) არ განახორციელებს მეილის ვერიფიცაციას **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** შეუზღუდოს ის საბანკო მომსახურებები, რომელთა გამოყენებაც ეფუძნება **ვერიფიცირებულ მეილს** იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით გაუქმდება **კლიენტის ვერიფიცირებული მეილი**.
 - 13.12.9. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს ვერიფიცირებულ მეილზე** მფლობელობის გაუქმების, მესამე პირ(ებ)ის მიერ წვდომის მოპოვების, ან/და აღნიშნულ მეილთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს **ბანკის** მხრიდან მომსახურების უსაფრთხო მიწოდებაზე და მონაცემების დამუშავებაზე (მათ შორის **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნებისათვის).
 - 13.12.10. **კლიენტი** ვალდებულია დავცას იმ მოწყობილობების უსაფრთხოებას, რომელზეც იყენებს **ვერიფიცირებულ მეილზე** წვდომისთვის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ წვდომისთვის იყენებს მესამე პირ(ებ)ის მოწყობილობებს, სარგებლობის დასრულებისთანავე დაასრულოს ელექტრონული ფოსტაზე ავტორიზაცია, გაასუფთავოს ისტორია და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, იმისათვის, რათა **ვერიფიცირებულ მეილზე** წვდომისთვის საჭირო მონაცემები ხელმისაწვდომი არ გახდეს მესამე პირ(ებ)ისთვის. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **ვერიფიცირებული მეილზე** მესამე პირების მიერ წვდომის მოპოვების გამო გამოწვეულ ნებისმიერ შედეგზე.

14. კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემების დამუშავება

- 14.1. **მხარეები** ვალდებული არიან, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნონ ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცენ **კონფიდენციალური ინფორმაცია**.
- 14.2. ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას: (ა) რომელიც **კანონმდებლობის** საფუძველზე არის/გახდება საჯარო ან რომლის მოპოვება შესაძლებელია სხვა წყაროებიდან; (ბ) რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს **კონფიდენციალური ინფორმაციის** გამცემი პირის თანხმობა

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

ან/და მხარეთა შეთანხმება; (გ) რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დაცვით, მათ შორის რომელიმე მხარის მიერ სასამართლო წესით მისი უფლებების რეალიზაციისათვის ან/და მესამე პირ(ებ)ის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად;

14.3. **მონაცემების დამუშავების ზოგადი პირობები** კლიენტისათვის ცნობილია, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, **ბანკი**, როგორც მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირი ან, **მონაცემთა დამუშავების კონტექსტის** გათვალისწინებით, როგორც მონაცემთა დამუშავებელი უფლებამოსილი პირი ან/და თანადამუშავებელი, უფლებამოსილია, წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული მიზნებით, განხორციელოს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის **კლიენტის პერსონალური მონაცემების**, დამუშავება.

14.3.1. **ბანკის** მიერ მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, მათ შორის მონაცემების **კლიენტისაგან**, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყარო(ებ)იდან ან/და წინამდებარე **პირობებში** მითითებულ **მესამე პირ(ებ)ისაგან** მოპოვებას, შეგროვებას, მათზე წვდომას, ფოტოგადაღებას, აუდიო-ვიდეოჩანაწერებს, ვიდეომონიტორინგს, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, დაბლოკვას, წაშლას, განადგურებას, გამოყენებას ან გამჟღავნებას (მათ შორის ინფორმაციის წინამდებარე პირობებში მითითებული მიზნებით მესამე პირებისთვის გამჟღავნებას) მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით.

14.3.2. საბანკო პროდუქტის და **მონაცემთა დამუშავების** კონტექსტის გათვალისწინებით, **ბანკის** ან/და წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი **მესამე პირების** (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **ბანკის** უფლებამოსილი პირების) მიერ ხორციელდება **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავება წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული მიზნებისათვის და შესაძლოა მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგი ინფორმაციის (მათ შორის **პერსონალური მონაცემების**) დამუშავებით:

- (ა) სახელი და გვარი;
- (ბ) დაბადების ადგილი და თარიღი;
- (გ) პირადი ნომერი ან/და ელექტრონული პირადობის მოწმობის უნიკალური მახასიათებლები (მათ შორის ელექტრონული მოწმობის უკონტაქტო მიკროსქემის იდენტიფიკატორი (UID), MRZ კოდი, ტექსტური მონაცემები, ფოტოსურათი/ვიზუალური გამოსახულება);
- (დ) ხელმოწერის ნიმუში;
- (ე) მოქალაქეობა/ბინადრობა;
- (ვ) სქესი;
- (ზ) რეგისტრირებული (იურიდიული) ან/და ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი;
- (თ) ტელეფონის/მობილურის ნომერი;
- (ი) ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- (კ) ადგილმდებარეობა;
- (ლ) ინფორმაცია შემოსავლების შესახებ, საკრედიტო ისტორია (როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური, მათ შორის მიმდინარე ან/და წარსულში არსებული დავალიანების, სესხებისა და მათი დაფარვის დეტალების შესახებ) და გადახდისუნარიანობის სტატუსი (**კლიენტის** გადახდისუნარიანობის შეფასების ქულა, მისი კრიტერიუმები ან/და მეთოდოლოგია);
- (მ) საგადახდო ინფორმაცია;
- (ნ) ბიომეტრიული ან/და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული განსაკუთრებული კატეგორიის სხვა მონაცემები;
- (ო) საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთები და მათი მახასიათებლები, ასევე სხვა აქტივები;
- (პ) დამსაქმებლის მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია დასაქმების პირობების შესახებ (დასაქმების ადგილი, ხელფასი, სამუშაო გრაფიკი და სხვა);
- (ჟ) **ბანკში** ან/და საქართველოში მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში ანგარიშ(ებ)ის შესახებ ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ანგარიშებზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთები და კონკრეტულ პერიოდში ამ ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციები;
- (რ) **ბანკის** ან/და საქართველოში მოქმედ სხვა კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული ბარათების და შესაბამისი საბარათო ანგარიშების ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ბარათებზე კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთები და კონკრეტულ პერიოდში ამ ბარათებზე განხორციელებული ტრანზაქციები, ასევე მათი **წვდომის კოდები**;
- (ს) სხვადასხვა საგადახდო პროვაიდერთან დაფიქსირებული **კლიენტის** ანგარიშის/აბონენტის მონაცემები (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ანგარიშის/აბონენტის ნომერი, მისამართი, საბონონეტო ანგარიშზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთი ან/და დავალიანება, საბონონეტო ანგარიშზე განხორციელებული ტრანზაქციები ან/და ბალანსის შევსება ან/და დავალიანების დაფარვა და სხვა);
- (ტ) სხვადასხვა ელექტრონულ არხებში ან/და ინტერნეტ სივრცეში გამჟღავნებული ნებისმიერი მონაცემი (მათ შორის და არამარტო მზა ჩანაწერების ე.წ. cookies მეშვეობით შეგროვებული მონაცემები) და **კლიენტის** ან/და მის მიერ მითითებული მესამე პირ(ებ)ის აქტივობა აღნიშნულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ასეთ არხ(ებ)ში დალოკინებისა და ჩატარებული ქმედებებისა თუ ტრანზაქციების ისტორია, მოწყობილობის მახასიათებლები);
- (უ) ინფორმაცია ოჯახის წევრების, **კლიენტის** მისამართზე მცხოვრები სხვა პირების, ასევე საკონტაქტო ან/და **კლიენტთან** დაკავშირებული სხვა მესამე პირ(ებ)ის შესახებ;
- (ფ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ადმინისტრაციულ სახდელდადებული ფიზიკური და იურიდიული პირების ან/და მუსრულელებელი ფინანსური ვალდებულებების (ადმინისტრაციული სახდელის ან/და დაკისრებული ჯარიმებისა და დარიცხული საურავების) შესახებ მონაცემები **კლიენტის** თაობაზე;
- (ქ) საგზაო მოძრაობის რეგულირებასა და საგზაო მოძრაობის სფეროში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოვლენილი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღრიცხვის ერთიან ბაზაში აღრიცხული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ მონაცემები ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე/სამართალდამრღვევ პირზე;
- (ღ) საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია;
- (ყ) ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება **კლიენტს** და რომლითაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება, დახასიათება ან/და დაჯგუფება პირის ეკონომიკური, სოციალური ან/და სხვა ნიშნებითა თუ ზემოთ მოყვანილ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ან ნაგულისხმები ტრანზაქციული აქტივობით.

14.3.3. **ბანკის** მიერ დისტანციურ ან/და ელექტრონულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, **ციფრული ბანკი**, **ბანკის** მობილური აპლიკაციები, **LB PAY აპარატები**, **ბანკომატები** ან/და მონაცემთა გადაცემისა და მიღების სხვა ტექნიკური საშუალებები და არხები) **კლიენტის** შესახებ მონაცემების **დამუშავება**, ასევე მოიცავს **კლიენტის** აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას **კლიენტის** ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, მიების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერი სტატისტიკური მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და **კლიენტის** მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. **კლიენტის** ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

14.3.4. **ბანკი** უფლებამოსილია საბანკო მომსახურების გაწევისა და სერვისების ოპტიმიზაციის მიზნით, **ბანკის** ვებ-გვერდ(ებ)ის, სწრაფი გადახდის ტერმინალის (**LB Pay აპარატის**) ან/და დისტანციური მომსახურების სხვა არხ(ებ)ის საშუალებით, **კლიენტის** პირადი ნომრით ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა მეთოდით იდენტიფიკაციის შემთხვევაში, **კლიენტისათვის** ხელმისაწვდომი გახადოს შეზღუდული ინფორმაცია მის (**კლიენტის**) საბანკო პროდუქტებზე, სესხ(ებ)ის მიმდინარე (ყოველთვიურ) დავალიანებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მთლიანი სასესხო დავალიანების ჩვენების გარეშე, ასევე **ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათ(ებ)ის** შესახებ ინფორმაცია, **ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათების მონაცემების** არასრული ინფორმაციის ჩვენებით, სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის ან/და ქულის შესახებ ინფორმაცია;

14.3.5. **ბანკი** პასუხს არ აგებს მესამე პირ(ებ)ის მიერ **ბანკის** ვებ-გვერდ(ებ)ზე, სწრაფი გადახდის ტერმინალის (**LB Pay აპარატის**)/**ბანკომატ(ებ)ის** ან/და **დისტანციური მომსახურების** სხვა არხ(ებ)ის მეშვეობით, **კლიენტის** იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაციის შეყვანის გზით, **კლიენტის** შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე.

14.3.6. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** დაკავშირებით მიიღოს **კლიენტისთვის** სამართლებრივი ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის შედეგის მქონე გადაწყვეტილება, მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის პროვალინგის საფუძველზე, **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დაცვით, მათ შორის, თუ ეს აუცილებელია **კლიენტსა** და **ბანკს** შორის ხელშეკრულების დასადასტურებლად ან ხელშეკრულების შესასრულებლად, გათვალისწინებულია კანონით ან კანონის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული კანონმდებლარე ნორმატიული აქტივით.

14.3.7. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** ამავდროულად წარმოადგენს **ბანკის** კლიენტს იურიდიული პირის ხელმძღვანელს, წარმომადგენელს, უფლებამოსილ ან/და ამ იურიდიულ პირთან ნებისმიერი სხვა ფორმით ასოცირებულ პირს, **ბანკი** უფლებამოსილია დაამუშავოს და გამოიყენოს **კლიენტის პერსონალური მონაცემები**, როგორც აღნიშნულ იურიდიულ პირთან დაკავშირებული ან/და მის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ინფორმაცია და დაამუშავოს **კლიენტის პერსონალური მონაცემები ბანკისთვის კანონმდებლობით** დაკისრებული მოვალეობების შესრულების, **ბანკის** ლეგიტიმური ინტერესების დაცვის, ასევე ზემოაღნიშნული იურიდიული პირისთვის მომსახურების გაწევის ან/და **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნებისათვის.

14.4. სააგრო უფლებები კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ ბანკის ვებ-გვერდზე, ციფრულ ბანკში, მობილურ აპლიკაციებზე და სხვა ელექტრონულ არხებში განთავსებული კლიენტის მონაცემები (ბეჭდვითი, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განკუთვნილია კლიენტის პერსონალურ მონაცემებს ჩაითვლება ბანკის საკუთრებად და ბანკი აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სულადად მოიპოვებს მათზე სააგრო კონტენტის უფლებებს.

14.5. მონაცემების დამუშავების საფუძვლებზე კლიენტისთვის ცნობილია, რომ ბანკის მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე შესაბამისი სახელმწიფო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, ბანკის მიერ კლიენტის ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება ხორციელდება სულ მცირე ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლით:

- 14.5.1. კლიენტის თანხმობით მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებასთან დაკავშირებით;
- 14.5.2. კლიენტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მისი მოთხოვნით გარიგების დასადასტურებლად;
- 14.5.3. კლიენტის განცხადების განსახილველად ან/და მისთვის მომსახურების გასაწყვეად;
- 14.5.4. ბანკის ან/და მესამე პირ(ებ)ის კანონიერი ინტერესების დასაცავად;
- 14.5.5. ბანკის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
- 14.5.6. საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის;
- 14.5.7. კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

14.6. თუ მონაცემთა დამუშავებისთვის, კანონმდებლობა ითხოვს კლიენტის თანხმობის არსებობას, აღნიშნულ თანხმობად ჩაითვლება აქტიური მოქმედებით ნებისმიერი ელექტრონული ან/და არაელექტრონული ფორმით გამოხატული ნება/გაკეთებული განაცხადი, რომლითაც კლიენტი ეთანხმება შესაბამის პრობლემას და რომელიც ამ განაცხადთან ერთად წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას. სხვადასხვა დისტანციური მომსახურების არხების / ციფრული/ ელექტრონული საკომუნიკაციო არხების საშუალებებით (ბანკომატი, სწრაფი გადახდის ტერმინალი, ციფრული ბანკი, ბანკის დისტანციური მომსახურების სერვისი (ცხელი ხაზი), კლიენტის მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი SMS კოდით და სხვ.) კლიენტის მიერ განცხადებული თანხმობას მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით (მათ შორის საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს, სსიპ შემოსავლების სამსახურის, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და სხვა შესაბამის ბაზებში დაცული კლიენტის პერსონალური მონაცემების ბანკის მიერ მიღებასთან და დამუშავებასთან დაკავშირებული თანხმობა, თანხმობა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მონაცემების დამუშავებაზე და სხვ.) გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტიპის იურიდიული ძალა. ამასთან, კლიენტისთვის ცნობილია, რომ მონაცემთა დამუშავებაზე შესაბამისი თანხმობის გამოხატვის შემთხვევაში, აღნიშნული არ მოახდენს გაკლენას მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე და არ გამოიწვევს თანხმობის გამოხატვას და თანხმობის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

14.7. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი ბანკს აწვდის მესამე პირების (დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები პირი, უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე, მომრავი ნივთის მფლობელი, ოჯახის წევრები, დამსაქმებელი, თანამშრომელი, საკონტაქტო პირი და სხვა) შესახებ ინფორმაციას, მათ შორის და არამარტო მათ პერსონალური მონაცემებს, ინფორმაციას გადახდისუნარიანობის, საკუთრების, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და სხვა (შემდგომში ერთობლივად - პერსონალური მონაცემები), კლიენტი თავად არის ვალდებული ამ მონაცემების ბანკისთვის გადაცემამდე სათანადო წესით მოპოვებული ჰქონდეს ზემოაღნიშნულ პირთა ნებართვა/თანხმობა მათი პერსონალური მონაცემების ბანკის მიერ წინამდებარე პირობებით და ბანკის მონაცემთა დაცვის პოლიტიკით განსაზღვრული მიზნებით და პირობებით დამუშავებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკისთვის ამგვარი ინფორმაციის მიწოდების ფაქტი გულისხმობს კლიენტის მხრიდან ამ პირების შესახებ მონაცემების ბანკისთვის შესაბამისი მიზნით მიწოდების განმარტებას, ამ პირ(ებ)ისგან ყველა საჭირო ნებართვის/თანხმობის წინასწარ მოპოვებას, მათთვის წინამდებარე პირობების, ასევე ბანკის ვებ-გვერდზე www.libertybank.ge განთავსებული მონაცემთა დაცვის პოლიტიკის(ებ)ის გაგნობას/უზრუნველყოფას და აღარ საჭიროებს ბანკის მიერ დამატებითი დასტურების მიღებას. კლიენტი თავად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს ბანკს კლიენტის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაკერძოან შესრულების შემთხვევაში და ის (კლიენტი) თანახმაა აუნაზღაუროს და დაიცავს ბანკის ნებისმიერ ზარალს/ზარალს (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც ბანკი გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

14.8. მონაცემების დამუშავების მიზნები. მონაცემთა დამუშავების კონტექსტის გათვალისწინებით, ბანკის ან/და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირ(ებ)ის მიერ კლიენტის ან მის მიერ მითითებული მესამე პირ(ებ)ის პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიზნით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე:

- 14.8.1. საბანკო მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;
- 14.8.2. პროდუქტების და სერვისების მისაწოდებლად, მათ შორის დისტანციური საბანკო/საგადახდო მომსახურების არხების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებებით (სწრაფი გადახდის ტერმინალი, ბანკომატი, დისტანციური მომსახურების სერვისი (ცხელი ხაზი) და ა.შ.) კლიენტისთვის შესაბამისი მომსახურების გაწევისთვის/შეთავაზებების უზრუნველსაყოფად;
- 14.8.3. კლიენტის სათანადო წესით იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციისთვის და მის შესახებ მონაცემთა პერიოდული განახლების უზრუნველსაყოფად;
- 14.8.4. კლიენტის გადახდისუნარიანობის შემოწმებისთვის, მათ შორის საკრედიტო რისკების შეფასების მიზნით;
- 14.8.5. კლიენტთან კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვისთვის, მათ შორის, მისი განაცხადების, მომართვების თუ პრეტენზიების სათანადო და დროული მოკვლევისა და რეაგირების უზრუნველსაყოფად;
- 14.8.6. კლიენტის საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ან სხვა მსგავსი საკრედიტო-სარიტინგო კომპანიის მონაცემთა ბაზაში აღრიცხვის ან/და საკრედიტო სარიტინგო ქსელის გამოთვლის მიზნით, რომელიც დაკავშირებულია გადაუხდელი სესხებისა და სხვა შეუსრულებელი/ვადადაცილებული ფულადი ვალდებულების სტატუსთან და ასევე ინფორმაციის შეგროვებასთან, დამუშავებასა და გავრცელებასთან ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე და გადახდილი კრედიტების/ვალდებულებების შესახებ;
- 14.8.7. კლიენტის მიერ eMoney ელექტრონული საფულით სარგებლობისთვის (ასეთი არსებობისას), რომელიც წარმოადგენს ბანკის და eMoney-ს ერთობლივ მომსახურებას;
- 14.8.8. კლიენტის მიერ VISA Concierge (ვიზა კონსიერჟე) ან სხვა მოთხოვნილი მომსახურებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად;
- 14.8.9. ბანკის ან/და მესამე პირის კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო ურთიერთობით განსაზღვრულ ან/და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის, მათ შორის კლიენტის პერსონალური, ასევე საბანკო საიდუმლოებას მიკუთვნილებული მონაცემების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, ასევე მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;
- 14.8.10. იურიდიული ძალის მქონე მტკიცებულებების შექმნისთვის;
- 14.8.11. ბანკის კანონიერი ინტერესის დაცვისა და სამართლებრივი უფლებების რეალიზაციის მიზნით, მათ შორის კლიენტის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების დროულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში;
- 14.8.12. ბანკის მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც ბანკი ახორციელებს კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;
- 14.8.13. სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრევენციაციების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;
- 14.8.14. ფულის გათვრების საწინააღმდეგო და დანაშაულის აღმკვეთი ღონისძიებების უზრუნველყოფასა და ხელშეწყობისათვის, თაღლითობის ან/და შესაძლო თაღლითობის, ფულის გათვრების და სხვა დანაშაულის პრევენციისათვის, გამოვლენისთვის, მოკვლევისთვის, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ხელშეწყობისთვის;
- 14.8.15. არსებული კრედიტის ფარგლებში, კრედიტის თანხის ოდენობის გაზრდის, ან/და კრედიტის სხვა პირობების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მისი ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთის) ცვლილების შეთავაზებისთვის, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის კლიენტის საკრედიტო ისტორიის/გადახდისუნარიანობის/შემოსავლების გადამოწმება წამოადგენს;
- 14.8.16. ახალი ან/და დამატებითი საკრედიტო ან არასაკრედიტო პროდუქტების შეთავაზების მიზნით, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის კლიენტის საკრედიტო ისტორიის/გადახდისუნარიანობის/შემოსავლების გადამოწმება წამოადგენს;
- 14.8.17. პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის;
- 14.8.18. სხვა ნებისმიერ ისეთ შემთხვევაში, თუ მონაცემთა შედგომით დამუშავების მიზანი თავსებადაა თავდაპირველ მიზანთან;
- 14.8.19. სხვა კანონიერი მიზნებისთვის ან/და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად.

ფიზიკური პირის მომსახურების პრობლემა

14.9. პერსონალური მონაცემების გადაცემა ან/და გამოთხოვა მესამე პირ(ებ)ისგან.

14.9.1. **ბანკი** მკაცრად იცავს **კლიენტის** და მის მიერ დასახელებული მესამე პირების (**დამატებითი ბარათის** მფლობელი, თავდები, საკონტაქტო პირი და სხვა) შესახებ ინფორმაციას, მათ შორის **პერსონალური მონაცემების**, კონფიდენციალურობას, ამასთან, **კლიენტი** აცნობიერებს და ეთანხმება, რომ იმისათვის, რომ **ბანკმა** შეასრულოს **კანონმდებლობით** დაკისრებული მოვალეობები, დაიცვას საკუთარი ლეგიტიმური ინტერესები, ასევე სრულად და ჯეროვნად განახორციელოს **კლიენტის** მომსახურება, **მონაცემთა დამუშავების** კონტექსტისა და მიზნებიდან გამომდინარე, **ბანკი** უფლებამოსილია წინამდებარე **პრობლემაში** ჩამოთვლილ **მესამე პირებს** გადასცეს ან/და თავად ასეთი პირ(ებ)ისაგან **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ გამოთხოვოს ინფორმაცია იმ მოცულობით რაც საჭიროა წინამდებარე **პრობლემაში** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნებისათვის, მათ შორის და არამხოლოდ:

14.9.1.1. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** საბანკო მომსახურების გაწევის, ასევე საბანკო მომსახურებით სარგებლობის პერიოდში მოთხოვნილი სხვადასხვა სერვისის ფარგლებში, **ბანკმა კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადად მიიღოს და დაამუშავოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, **ბანკისთვის** აუცილებელი, **კლიენტის პერსონალური მონაცემები**, მათ შორის, საჭიროებისამებრ, **კლიენტის** პირადობის (ბინადრობის) მოწმობის უკონტაქტო ჩიპის იდენტიფიკატორის (UID) შესახებ მონაცემები და **კლიენტის** ხელმოწერის ნიმუში.

14.9.1.2. **ბანკი, კლიენტის** გადახდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის, უფლებამოსილია სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს (ს/ნ 20447074); შემდგომში - ბიურო) მეშვეობით მრავალჯერადად მიიღოს და დაამუშავოს **კლიენტის** შესახებ საქართველოს მინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ადმინისტრაციულ სახელდადებად ფიზიკური და იურიდიული პირების ან/და შესრულებული ფინანსური ვალდებულებების (ადმინისტრაციული სახელდადება ან/და დაკისრებული ჯარიმებისა და დარიცხვები) შესახებ მონაცემები, მათ შორის **ბანკის** მიმართ აქტიური საკრედიტო/სასესხო, გარესბალანსო (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) ვალდებულებების მოქმედების პერიოდში³.

14.9.1.3. **ბანკმა** სსიპ შემოსავლების სამსახურს (შემდგომში - შემოსავლების სამსახური) მიაწოდოს **კლიენტის** საიდენტიფიკაციო (პირადი ნომერი) და საკონტაქტო (ტელეფონის ნომერი) მონაცემები და შემოსავლების სამსახურსა და ბანკს შორის გაფორმებული მემორანდუმით გათვალისწინებულ ფარგლებში შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვოს და დაამუშავოს შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში **კლიენტის** შესახებ დაცული ნებისმიერი ინფორმაცია, სესხის გაგვამდე ან/და სესხის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში **კლიენტის** გადახდისუნარიანობის შეფასების, საკრედიტო პორტფელის შეფასებისა და ანალიზის, პრობლემური საკრედიტო პორტფელის მართვის და საბანკო პროდუქტის/მომსახურების შეთავაზების მიზნებისათვის.

14.9.2. **კლიენტისათვის** ცნობილია, რომ **კლიენტის** გადახდისუნარიანობის შეფასების გარეშე, **ბანკი** მოკლებული იქნება შესაძლებლობას სრულფასოვნად განახორციელოს **კლიენტის** შემოსავლების, ხარჯებისა და ვალდებულებების ანალიზი, რაც აუცილებელია არსებული ვალდებულებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მონიტორინგის ან/და ახალი საკრედიტო/სასესხო, გარესბალანსო (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) ვალდებულების გადახდისუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის, მათ შორის **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესით პასუხისმგებელი დაკრედიტების უზრუნველსაყოფად.

14.9.3. **კლიენტისათვის** ცნობილია, რომ **კლიენტის** გადახდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის **ბანკი** შეაგროვებს/დაამუშავებს მის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პრობლემაში. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება **კლიენტის** გადახდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელისაწყოში იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიწოდებელი პირები). მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია გაასწავროს, განახლოს, დაამატოს, დააბოლოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

14.9.4. ბიუროსათვის გადასაცემი და ბიუროდან მისაღები ინფორმაცია განისაზღვრება **კანონმდებლობით** და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შეიძლება მოიცავდეს: **კლიენტის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხელშეკრულებისა და კრედიტის მონაცემებს, ინფორმაციას **კლიენტის** მიმდინარე, შესრულებული/შესრულებული ვალდებულებების მოცულობის და ვადების შესახებ, ინფორმაციას უზრუნველყოფის საშუალებების თაობაზე, თავდებობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სხვა ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრულია **კანონმდებლობით** ან/და **ბანკმა** და ბიუროს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

14.9.5. გარდა ზემოაღნიშნულისა, **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს **ბანკს** უფლებამოსილებას, **კლიენტის** დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე, წინამდებარე **პრობლემაში** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნებისათვის, **მონაცემთა დამუშავების** კონტექსტიდან გამომდინარე, ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის პირ(ებ)ისგან მოიპოვოს ან/და მათ გადასცეს **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის პერსონალური და საბანკო ინფორმაცია (მათ შორის და არამარტო ანგარიშ(ებ)ზე ნაშთ(ებ)ი ან/და დავალიანება, ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და სხვა):

- (ა) **ბანკის** პარტნიორი, მათ შორის სხვადასხვა მომსახურების მიწოდებელი საერთაშორისო ან/და ადგილობრივი კომპანიები, რომელთან ერთადაც **ბანკი** კომერციული კუთხით თანამშრომლობს;
- (ბ) **ბანკის** კონტრაქტორები ან/და კორპორატიული კლიენტები, რომლებიც იყენებენ **ბანკის** საგადახდო მომსახურებას საკუთარი კლიენტების (აბონენტების) გადახდისთვის მისაღებად (ე.წ. ბილინგი);
- (გ) საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)ი და სხვა **მესამე პირები**, რომლებიც **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** საბანკო/საგადახდო მომსახურების არხების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებებით (სწრაფი გადახდის ტერმინალი, ბანკომატი და ა.შ.) საბანკო/საგადახდო მომსახურების მიწოდებისთვის/გაწევისთვის, საქართველოს **კანონმდებლობით** დადგენილი წესით, ახორციელებენ პირის იდენტიფიკაციას/ვერიფიკაციას;
- (დ) საჯარო დაწესებულებები, როგორცაა სახელმწიფო, დამოუკიდებელი, სასამართლო, საგამოძიებო და სხვა დაწესებულებები, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მათ მიერ შექმნილი იურიდიული პირები;
- (ე) ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ორგანიზაციები/სამსახურები (როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ);
- (ვ) საკრედიტო საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც ახორციელებენ საკრედიტო ინფორმაციის შეგროვებას და იდენტიფიცირებისათვის, ასევე საკრედიტო მონაცემთა შემოწმებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გაზიარებას;
- (ზ) პრობლემური აქტივების მართვის კომპანიები ან/და კოლექტორული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პრობლემური მოთხოვნებიდან გამომდინარე გადახდის შესრულებას ან/და აღნიშნული პრობლემური მოთხოვნების შემენას (ცესსა);
- (თ) საერთაშორისო (მათ შორის, VISA და MasterCard) და ადგილობრივი საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, მათ შორის, H2H საპროცესინგო კომპანიები ან/და კომერციული ბანკები, საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გაზიარების ოპერატორები;
- (ი) **ბანკისათვის** მომსახურების გამწვევი პროფესიონალი კომპანიები, მათ შორის გარე ფინანსური და იურიდიული მხრელები, აუდიტორული, კვლევითი, სარეკლამო კომპანიები, საკონსულტაციო, კვლევითი, მარკეტინგული და სხვა შესაბამისი მომსახურების მიღების მიზნით;
- (კ) სადაზღვევო კომპანიები **კლიენტისათვის** შესაბამისი სადაზღვევო მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- (ლ) საკურორტო კომპანიები **კლიენტისათვის** კორესპონდენციის ჩაბარების უზრუნველსაყოფად;
- (მ) დაკავშირებული მესამე პირები, **ბანკის** შვილობილი კომპანიები, აფილირებული პირები და სხვა პარტნიორები;
- (ნ) ის მესამე პირები, რომლებსაც შესაძლებელია **ბანკმა** მივიღოს, გადასცეს ან გაერთიანოს ბიზნესის ან აქტივების ნაწილი;
- (ო) საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, დაფინანსების მოსაპოვებლად;
- (პ) სხვა ნებისმიერი პირები, რომელთაც მონაცემთა გაზიარება ან/და მათგან გამოთხოვა ემსახურება ანგარიშგებასთან, **კანონმდებლობის** ან/და შესაბამის პირთან გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან, ასევე აუდიტის/მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული **ბანკის** მოვალეობების შესრულებას და **ბანკის** ლეგიტიმური ინტერესების დაცვას;

14.10. მონაცემების საერთაშორისო გადაცემა

14.10.1. **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევაში, მათ შორის, თადლითობისა და ფულის გათეთრების პრევენციის მიზნებისათვის, ასევე, **კლიენტისათვის** საბანკო მომსახურების გაწევის/ხელშეკრულების შესრულების, ან/და **ბანკის** ლეგიტიმური ინტერესების დაცვის

³ აღნიშნული არ გულისხმობს ბანკის უფლებასაღებას გამოითხოვოს ბიუროდან კლიენტის საკრედიტო მონაცემები საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს #195/04 ბრძანებით დამტკიცებული დანართი #5 ან/და #5.1-ით განსაზღვრული თანხმობის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი საფუძვლის გარეშე;

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

მიზნით **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** წინასწარი ან/და დამატებითი თანხმობის გარეშე, გადასცეს **კლიენტის პერსონალური მონაცემები** საქართველოს ფარგლებს გარეთ, უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ ორგანიზაციას/შესამე პირ(ებს).

14.10.2. კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, **კლიენტის პერსონალური მონაცემები** შესაძლოა გადაეცეს ისეთ ქვეყანაში დაფუძნებულ/მოქმედ პირს რომელიც არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის/მისი უფლებამოსილი შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყანას.

14.10.3. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არმქონე ქვეყნებში მონაცემების გაზიარების შესაძლო საფრთხეები უკავშირდება მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს ადგილობრივი საზღვარგარეთული ორგანოს და ინდივიდუალურ მონაცემთა დაცვის და მონაცემთა სუბიექტის უფლებების არარსებობით (ან მხოლოდ შეზღუდული არსებობით). ზოგიერთ ასეთ ქვეყანაში კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის კანონები და წესები მონაცემებზე წვდომასთან დაკავშირებით, შესაძლოა განსხვავდებოდეს საქართველოს **კანონმდებლობისგან**; ამასთან, ასეთ შემთხვევაში, **ბანკი** უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა გადაცემის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას, რომლითაც **კანონმდებლობით** გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, განისაზღვრება მიმღები მხარის ვალდებულებები **კლიენტის პერსონალურ მონაცემების** დაცვის უზრუნველსაყოფად.

14.11. პირდაპირი მარკეტინგი

14.11.1. **კლიენტი** ადასტურებს **ბანკის** უფლებამოსილებას დამოუკიდებლად, ასევე დამუშავებაზე უფლებამოსილი ან/და დაკავშირებული პირ(ებ)ის მეშვეობით, **კანონმდებლობის** და **ბანკის** მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად, დამუშავოს **კლიენტის** საიდენტიფიკაციო, საკონტაქტო, ფინანსური და სხვა **პერსონალური მონაცემები** იმ მიზნით, რომ ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან/და, შეზღუდვის გარეშე, სხვა ხელმისაწვდომი სატელეკომუნიკაციო/ელექტრონული საშუალებე(ებ)ით განახორციელოს **კლიენტისთვის** საბანკო, მათ შორის საკრედიტო პროდუქტების, მომსახურების, აქციების და სხვ. პირდაპირი და უშუალო შეთავაზება/ინფორმაციის მიწოდება (**პირდაპირი მარკეტინგი**).

14.11.2. **კლიენტს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნით მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა შესაბამის ელექტრონულ საშუალებაში გათვალისწინებული უარის თქმის მექანიზმის გამოყენებით, იმავე ფორმის/არხის მეშვეობით, რომლითაც ხორციელდება **პირდაპირი მარკეტინგი**. ასევე **ბანკის** სერვისცენტრისადმი მიმართვის, **ბანკის** ცხელ ხაზზე (0 322 55 55 00) დაკავშირების გზით ან/და მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი სხვა ფორმით. ამასთან, **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნით მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის არარსებობის შემთხვევაში **ბანკი** მივლენული იქნება შესაძლებლობას განახორციელოს **კლიენტზე** მორგებული მომსახურების/პროდუქტების შეთავაზება ზემოაღნიშნული პირობებით.

14.11.3. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიგებად, **პირდაპირი მარკეტინგად** არ მიიჩნევა და **კლიენტი** არ იქნება უფლებამოსილი **ბანკს** მოსთხოვოს პროდუქტის, მომსახურების შესახებ და სხვ. ისეთი ინფორმაციის მიწოდების შეწყვეტა (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა), რომელიც ხორციელდება უშუალოდ **ბანკის** ან/და მისი წარმომადგენლის მიერ საბანკო საქმიანობის განხორციელების წერტილებში ან **ბანკის** კუთვნილ (**ბანკთან** ასოცირებულ) დისტანციურ არხებში (მათ შორის **ბანკომატი**, **ციფრული ბანკი** და სხვა).

14.11.4. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტისთვის** ისეთი საკრედიტო პროდუქტის/მომსახურების შეთავაზება/რეკლამირება, რომლის დაფარვის წყარო დაკავშირებულია სოციალურ დახმარებასთან/პენსიასთან, თუ აღნიშნულზე **კლიენტს** გაცხადებული აქვს თანხმობა. ამასთან, **კლიენტი** ინფორმირებულია რომ უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს განცხადება/თანხმობა **ბანკისადმი** მიმართვის გზით.

14.11.5. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნებისათვის **მონაცემთა დამუშავების** შეწყვეტის მოთხოვნის საფუძველზე შეწყდება მხოლოდ სარეკლამო ხასიათის ელექტრონული კომუნიკაციები. **კლიენტთან** დაკავშირება მის შესახებ **ბანკში** დაცული საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით გაგრძელდება **ბანკსა** და **კლიენტს** შორის ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ საკითხებთან/ვალდებულებებთან დაკავშირებით, მათ შორის, **კანონმდებლობის** მოთხოვნათა გათვალისწინებით, კრედიტის ვადაგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავლიანების თაობაზე **კლიენტის** ინფორმირების მიზნით, მომსახურების/პროდუქტის პირობების ცვლილების, დეპოზიტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, გადახდის შეხსენების, ასევე **კლიენტის** განცხადებებსა თუ მოთხოვნებზე რეაგირების უზრუნველსაყოფად და სხვა შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად.

14.12. ვიდეო და აუდიო მონიტორინგი

14.12.1. დანაშაულის თავიდან აცილების, მისი გამოვლენის/მოკვლევის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, საიდუმლო (კონფიდენციალური) ინფორმაციის დაცვის და **ბანკის** ლეგიტიმური ინტერესების სფეროსათვის მიკუთვნებული სხვა მნიშვნელოვანი ამოცანების შესასრულებლად (მათ შორის, ინციდენტების მართვა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, პროცესების მონიტორინგი, რისკების მართვა და სხვ.), „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, **ბანკში** მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე და შიდა პერიმეტრის, მათ შორის, შეხვედრების ოთახების, ლიფტების, დერეფნების, მომსახურების სივრცეების და საშუალო ადგილ(ებ)ის ვიდეო და აუდიო მონიტორინგი. მონიტორინგი ან/და ფოტოგადაღება ასევე ხორციელდება **ბანკში**, მის სერვისცენტრში ან/და **ბანკის** პარტნიორი ორგანიზაცი(ებ)ის კუთვნილ ობიექტ(ებ)ში **ბანკომატის** ან/და სხვა შესაბამისი ელექტრონული საშუალებით. **ბანკთან/ბანკის** წარმომადგენელთან სატელეფონო კომუნიკაციისას ზარების ჩანაწერების სისტემის (აუდიო მონიტორინგი) მეშვეობით ხორციელდება **ბანკის** შემავალი და გამავალი ზარების ჩაწერა/დამუშავება მომსახურების სრულყოფისა და ჯეროვნად შესრულების, განცხადებების, პრეტენზიების განხილვისა და რეაგირების, ეთიკის კოდექსისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების დაცვის მონიტორინგის, ასევე **ბანკის** სხვა კანონიერი ინტერესების დაცვის (მათ შორის, იურიდიული ძალის მქონე მტკიცებულების შექმნის) მიზნებისათვის. **კლიენტი**, აცნობიერებს რა ვიდეო და აუდიო მონიტორინგის აუცილებლობას, ეთანხმება და ადასტურებს **ბანკის** უფლებამოსილებას აღნიშნული ფორმით მონაცემების დამუშავებაზე.

14.13. მონაცემების განახლება, დამუშავების და შენახვის ვადა

14.13.1. **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, **ბანკის** მიერ წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული ინფორმაციის, მათ შორის **პერსონალური მონაცემების**, ამავე **პირობებით** განსაზღვრული მიზნებით **დამუშავება** ხორციელდება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნების მისაღწევად, **ბანკის** ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, ან/და იმ ვადით, რომელიც მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**.

14.13.2. ელექტრონული არხების საშუალებით (ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, **ციფრული ბანკი**, **ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და მონაცემთა გადაცემის სხვა ტექნიკური საშუალებები) მონაცემების დამუშავება არ შეწყდება **კლიენტის** მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის ან/და **ბანკთან** საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტისას და აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე განხორციელდება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნების მისაღწევად, **ბანკის** ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად ან/და იმ ვადით, რომელიც მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**.

14.13.3. **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი კანონმდებლობით** გათვალისწინებულ ფარგლებში, მიაწვდის **კლიენტს** მის **პერსონალურ მონაცემებთან** დაკავშირებით **ბანკში** არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის გაქვამაზე **ბანკი** უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის უსასყიდლოდ მიწოდების ვალდებულება გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**.

14.13.4. თუ **კლიენტი** თვლის ან/და მისთვის ცნობილი გახდა, რომ **კლიენტის** შესახებ **ბანკში** არსებული ინფორმაცია ან/და **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მესამე პირის (**დაბატონი ბარათის** მფლობელი, თავადები, საკონტაქტო პირი, უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე და სხვ.) შესახებ მიწოდებული და **ბანკში** დაცული მონაცემები არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ. **ბანკი** არც ერთ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** მხრიდან ამგვარი შეუტყობინებლობით და მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული **მონაცემების დამუშავებით** გამოწვეულ ნებისმიერ შედეგებზე.

14.13.5. თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს **ბანკს** მის შესახებ **ბანკში** დაცული **პერსონალური მონაცემების** წაშლა.

14.14. **პერსონალურ მონაცემთა** დამუშავების დამატებითი პირობები განისაზღვრება **ბანკის** ვებ-გვერდზე www.libertybank.ge განთავსებული მონაცემთა დაცვის პოლიტიკე(ებ)ით.

ნაწილი II

15. საბანკო ანგარიშით მომსახურება

15.1. ანგარიშის გახსნა და ანგარიშით სარგებლობა

15.1.1. კლიენტს **ზანკში ანგარიშში** გახსნება **განაცხადის** შევსების, მათ შორის **ზანკის** მიერ განსაზღვრული **დისტანციური მომსახურების არხით** მომართვის გზით, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის, **ანგარიშის** გახსნისას **ზანკის** მიერ დადგენილი პროცესის სრულად გავლისა და შესაბამისი საკომისიოს (სეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის შემდეგ.

15.1.2. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს **ზანკს** მიიღოს და იმოქმედოს მისი **დავალბების** შესაბამისად, რომელსაც **კლიენტი ზანკს** მიაწოდებს წერილობით, ელექტრონული საშუალებით ან **ზანკისათვის** მისაღები სხვა ფორმით. იმ შემთხვევაში, როდესაც **კლიენტის დავალებები** წერილობითი ფორმით არ არის განხორციელებული, კერძოდ, **კლიენტის** მიერ არ არის ხელმოწერილი, **ზანკს** აქვს უფლება მიიღოს და განახორციელოს ისინი, თუ დაცულია **ზანკში** დაწესებული უსაფრთხოების პროცედურა;

15.1.3. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ იმ შემთხვევაში, თუ **ზანკი** წინამდებარე **პირობებით** დადგენილ შემთხვევებში უარს განაცხადებს **ტრანზაქციის** შესრულებაზე, **დავალბა** არ ჩაითვლება მიღებულად და მას შედეგად არ მოყვება გადახდის ოპერაციის შესრულება.

15.1.4. თუ **კლიენტი** სარგებლობს მულტისაფალუტო საბანკო **ანგარიშით**, ამ ტიპის **ანგარიშზე** სხვადასხვა ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრები ერთიან ნაშთად აკუმულირდება. **ოპერაციის** ვალუტაში **კლიენტის** ანგარიშზე არასაკმარისი ნაშთის არსებობისას ან ნაშთის არარსებობისას, ანგარიშიდან **ოპერაციის** თანხა ჩამოიჭრება **გაზარჯვის შესაბამისი სქემის** და **ვალუტის პრიორიტეტულობის შესაბამისად**. აქედან გამომდინარე, **კლიენტის** დანიშნული **ოპერაცია** შესრულდება **ანგარიშზე** არსებული ხელმისაწვდომი ნაშთის/ოვერდრაფტის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რა ვალუტაში იყო განთავსებული **კლიენტის** ფინანსური სახსრები. საკრედიტო შემთხვევაში, თანხები შესაძლებელია დაკონვერტირდეს.

15.1.5. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ზანკის** მიერ საერთაშორისო გადარიცხვების შესრულებაზე ვრცელდება დანართით გათვალისწინებული გადარიცხვის საკომისიო. **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ საერთაშორისო გადარიცხვის შესრულების პროცესში მას შესაძლებელია დავკისროს მიმღები ან/და საკორესპოდენტო **ზანკის** მიერ დადგენილი დამატებითი საკომისიო **ზანკი** არ არის პასუხისმგებელი საკორესპოდენტო ან/და მიმღები **ზანკის** მიერ ჩამოჭრილი/გამოქვითული/დაკავებული/დაბლოკილი საკომისიოს, მიმღები ან/და საკორესპოდენტო **ზანკის** მიერ დაწესებული დამატებითი საკომისიოს ან/და სხვა ნებისმიერი გადასახადის გამო, მათ შორის, საგადახდო დავალების **ზანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზით წარუმატებლად შესრულების შემთხვევაში თანხის არასრულად დაბრუნების გამო.

15.1.6. **კლიენტს** მუდმივად უნდა ჰქონდეს თავისუფალი სახსრები (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გულისხმობს დამზღვეული **ოვერდრაფტის** თანხას) ანგარიშზე, სანამ:

15.1.6.1. **კლიენტი** სარგებლობს მუდმივი საგადახდო დავალების ან/და ავტომატური გადახდების მომსახურებით;

15.1.6.2. **კლიენტი** ახორციელებს **ოპერაციის დისტანციური საბანკო მომსახურების არხების** (მათ შორის **ზარათის**) საშუალებით;

15.1.6.3. დამდგარი ნებისმიერი სხვა **ოპერაციის** განხორციელების ვადა, რომლის თანხებიც ჯერ არ არის ანგარიშიდან ჩამოჭრილი;

15.1.7. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **ოპერაციაზე**, რომელიც განხორციელდა ანგარიშზე როგორც მის დახურვამდე ასევე მის დახურვის შემდეგ.

15.1.8. **ზანკი** უფლებამოსილია, საკუთარი გადაწყვეტილებით ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას არ მიიღოს ანგარიშზე შენატანი ან/და მოსთხოვოს **კლიენტს** ანგარიშის დახურვა.

15.1.9. **ზანკი** უფლებამოსილია დახუროს ანგარიში შემდეგ შემთხვევებში: (ა) **ზანკში** დადგენილი წესით **კლიენტის** განაცხადის წარმოდგენისას; (ბ) **კლიენტის** მემკვიდრის მიერ დაკვიდრებული მოწმობის წარმოდგენისას; (გ) **კლიენტის** მხრიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში ანგარიშის მომსახურების საკომისიოს გადაუხდელობის ან/და **კლიენტის** ანგარიშზე ნაშთის არ არსებობისას; (დ) პირობებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.1.10. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** გააჩნია დავალიანება ანგარიშის მომსახურების საკომისიოს სახით, **ზანკი კლიენტის განცხადების** საფუძველზე ანგარიშს დახურავს მხოლოდ მას შემდეგ, რაც **კლიენტი** სრულად გადაიხდის აღნიშნულ დავალიანებას.

15.1.11. **ზანკი** უფლებამოსილია უარი განუცხადოს **კლიენტს** ანგარიშის დახურვაზე იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს ზანკის** მიმართ გააჩნია დავალიანება.

15.1.12. თუ **კლიენტს ზანკის** წინაშე ნებისმიერი ხელშეკრულებიდან გამომდინარე აქვს შეუსრულებელი/შესასრულებელი/მიმდინარე ვალდებულება ან/და **კლიენტი** სარგებლობს აქტიური პროდუქტით როგორცაა მაგალითად, დეპოზიტი ან/და სადეპოზიტო სერტიფიკატი, **ზანკი** უფლებამოსილია, უარი უთხრას **კლიენტს ანგარიშის** დახურვაზე.

15.1.13. **პირობების** 15.1.9 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე **ზანკი** უფლებამოსილია ანგარიში დახუროს **კლიენტისთვის** წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე.

15.1.14. თუ **ზანკი** თვლის, რომ **კლიენტმა ანგარიში** უნდა დახუროს, **კლიენტს ზანკის** მიერ განსაზღვრული კომუნიკაციის არხით გაეგზავნება წერილობითი თხოვნა, რომელშიც მითითებული იქნება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც **კლიენტს** მოეცემა ანგარიშის დახურვა. თუ აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ **კლიენტი** არ დახურავს ანგარიშს, **ზანკს** უფლება აქვს აღარ მიიღოს გადახდები **ანგარიშზე** (ისეთი გადახდების გარდა, რომლებიც აუცილებელია **ანგარიშზე** რიცხვული დავალიანების დასაფარად) და დაუბრუნოს **კლიენტს ანგარიშს** რიცხვული ნაშთი.

15.1.15. გამომდინარე იქიდან, რომ 2021 წლის 1 იანვრიდან მიმოქცევაში აღარ არის 1 და 2 თეთრის ნომინალის მქონე მონეტები, **ზანკის** სალაროში დასაშვებია მხოლოდ 5 თეთრის ჯერადი თანხის მიღება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **კლიენტის** მიერ მოთხოვნილი **ოპერაციის** შესრულება განხორციელდება შემდეგი წესით:

15.1.15.1. თუ **კლიენტის** მიერ ინიცირებული გადახდის/გადარიცხვის ოპერაციის თანხა არ იქნება 5-ის ჯერადი, **კლიენტი** ვალდებულია **ზანკის** სალაროში შეიტანოს მტკობით, უახლოეს 5-ის ჯერადამდე დამრგვალებული თანხა. **ზანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მიერ **ზანკისთვის** მიწოდებულ თანხასა და **ტრანზაქციის** თანხის შორის არსებული სხვაობა ჩარიცხოს **ზანკის** შემოსავლებში.

15.1.15.2. თუ **კლიენტი ზანკის** საბანკო სერვისის მეშვეობით, **ანგარიშის** განმოყენების გარეშე ასრულებს თანხის გატანის ოპერაციას და **კლიენტის** მიერ მისაღები თანხა არ იქნება 5-ის ჯერადი, **ზანკი** უფლებამოსილია აღნიშნული თანხა, დაამრგვალოს ნაკლებობით უახლოეს 5-ის ჯერადამდე და **კლიენტის** მიერ მისაღები თანხასა და **ზანკის** სალაროდან გაცემულ თანხას შორის არსებული სხვაობა გადარიცხოს **ზანკის** შემოსავალში.

15.1.16. **კლიენტს** უფლება აქვს:

15.1.16.1. მისცეს **ზანკს** დავალბება **ანგარიშზე ოპერაციების** საწარმოებლად **კანონმდებლობით** განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;

15.1.16.2. მულტისაფალუტო **ანგარიშის** შემთხვევაში **განაცხადით** განსაზღვროს **ანგარიშის ძირითადი ვალუტა**, **ვალუტების პრიორიტეტი** და **გაზარჯვის სქემა**;

15.1.16.3. მულტისაფალუტო **ანგარიშის** შემთხვევაში შეცვალოს **ანგარიშის ძირითადი ვალუტა**, **ვალუტების პრიორიტეტი** ან **გაზარჯვის სქემა**, რისთვისაც **ზანკს** გადაუხდის შესაბამის საკომისიოს (სეთის არსებობისას).

15.1.16.4. მოითხოვოს და მიიღოს ამონაწერი საბანკო **ანგარიშიდან**. ამონაწერის გაცემისა და მომსახურების ტარიფები განისაზღვრება შესაბამისი **დანართის** მიხედვით.

15.1.16.5. წაუყენოს **ზანკს** პრეტენზიები ანგარიშიდან **ამონაწერის** მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში **კლიენტის** მხრიდან პრეტენზიის მოუდებლობის შემთხვევაში, **ამონაწერი** არსებული ინფორმაციის სისწორე ითვლება დადასტურებულად **კლიენტის** მიერ.

15.1.16.6. შეწყვიტოს **ხელშეკრულება**, წინამდებარე **პირობებით** დადგენილი წესით, **ზანკისათვის** წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.

15.1.16.7. **ანგარიშზე ამონაწერის** მიღებიდან 1 (ერთი) **სამუშაო დღის** ვადაში შეტყობინოს **ზანკს** შეცდომით ჩარიცხული თანხის შესახებ და დაუბრუნოს **ზანკს** შეცდომით ჩარიცხული თანხა;

15.1.17. **კლიენტი** ვალდებულია:

15.1.17.1. პასუხი აგოს **განაცხადის** შევსების სისწორეზე და მასში მითითებული ინფორმაციის ყველა ცვლილების შესახებ, დაუყოვნებლივ წერილობით შეტყობინოს **ზანკს**;

15.1.17.2. **ზანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხდოს ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, **ანგარიშის** მომსახურებისათვის **ზანკში** დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი;

15.1.17.3. გადაუხადოს **ზანკს ანგარიშზე** არსებული **ოვერდრაფტის/ოვერლიმიტის** (არასანქცირებული გადახარჯვა) სრული თანხა და საკომისიო/ჯარიმა **ზანკში** მოქმედი ტარიფების და წესების შესაბამისად;

15.1.17.4. **კლიენტი** ვალდებულია არ გამოიყენოს საბანკო მომსახურება, თუ ამას შედეგად მოჰყვება მისი ანგარიშის გადახარჯვა **ზანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე ან თუ მიხდება ხარჯვის შეთანხმებული ლიმიტის გადაჭარბება.

15.1.18. **ზანკს** უფლება აქვს:

15.1.18.1. დროებით გამოიყენოს **კლიენტის** ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები საკრედიტო რესურსების სახით;

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

- 15.1.18.2. კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ან/და ბანკთან არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის (მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში მოცემული განცხადებებისა და გარანტიების) შესრულებას უზრუნველსაყოფად ან აღნიშნული შესრულებლობის ან/და არააჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაბლოკოს/დახუროს კლიენტის ანგარიში, დაბლოკოს/დაბრონოს/ჩამოიწეროს თანხები კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან;
- 15.1.18.3. ბანკის/ბანკის სხვა კლიენტების ან/და მესამე პირების ინტერესების დასაცავად, დაბლოკოს/დახუროს/გააუქმოს ბანკში არსებული კლიენტის ნებისმიერი ანგარიში/ბარათი ან/და ტერმინალი არხები, დაბლოკოს/დაბრონოს/ჩამოიწეროს თანხები, შეაჩეროს კონკრეტული ტრანზაქცია(ებ) ან/და უარი თქვას საგადახდო ვალდებულების მიღებაზე თუ ბანკს გააჩნია ეჭვი/ბანკისთვის ცნობილი გახდა, რომ:
 - 15.1.18.3.1. კლიენტი არღვევს საქართველოს ან სხვა ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობას (მათ შორის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონის დანაწესებს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დანაწესებს);
 - 15.1.18.3.2. არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელდა კლიენტის ანგარიშზე წვდომა;
 - 15.1.18.3.3. კლიენტის ანგარიშზე/ანგარიშიდან შესრულებული ოპერაცია არის თაღლითური ან/და შესრულებულია იმგვარ გარემოებებში, რაც ქმნის ოპერაციის არავტორიზებულობის ეჭვს;
 - 15.1.18.3.4. დაირღვა წვდომის კოდების კონფიდენციალურობა, საბარათო მონაცემების უსაფრთხოება ან/და კლიენტის ანგარიშთან/ბარათთან/დისტანციურ არხებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის კონფიდენციალური ინფორმაცია და უსაფრთხოების წესები;
 - 15.1.18.3.5. კლიენტი, შესაბამისი ტრანზაქციის მხარე, გადახდელის ან/და მიმღების მომსახურე საბანკო დამსახურე დაწესებულება, შუამავალი საბანკო დაწესებულება ან/და ტრანზაქციის შესრულებამი მონაწილე რომელიმე სხვა პირი არ ეთანხმება ტრანზაქციას;
 - 15.1.18.3.6. ტრანზაქციის შესრულებამ შესაძლოა გამოიწვიოს ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობის ან/და ბანკის შიდა წესების/პროცედურების, მათ შორის ტრანზაქციის შესრულებასთან დაკავშირებული სტანდარტების დარღვევა.
 - 15.1.18.3.7. საგადახდო ვალდებულებით მითითებული დანიშნულება ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს, ეთიკის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან/და ბანკის მიერ დადგენილ მომხმარებლის ქცევის წესებს ან/და შეიძლება იყოს მინარსის ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა აღქმული იქნეს როგორც უკანონო, დისკრიმინაციური ან სხვა სახით დაუშვებელი.
 - 15.1.18.3.8. კლიენტი, კლიენტის სახელით მოქმედი პირი ან/და კლიენტთან პირადი, ნათესაური, საქმიანი ან/და სხვაგვარად ბანკის შეხედულებისამებრ დაკავშირებული სხვა პირ(ებ)ი წარმოადგენ(ენ)ს სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ სანქცირებულ პირ(ებ)ს ან/და არსებობს სანქცირებულ პირთა სიაში მისი/მათი მოხვედრის საფრთხე;
 - 15.1.18.3.9. კლიენტი ახორციელებს საქმიან ურთიერთობას ისეთ პირთან რომელიც (მათ შორის მის სადამფუძნებლო სტრუქტურაში შემავალი პირ(ებ)ი, აღმასრულებელი პირ(ებ)ი, ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ი, მისი სახელით მოქმედი პირ(ებ)ი ან/და სხვაგვარად დაკავშირებული პირ(ებ)ი) წარმოადგენ(ენ)ს სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ სანქცირებულ პირ(ებ)ს ან/და არსებობს სანქცირებულ პირთა სიაში მისი/მათი მოხვედრის საფრთხე;
 - 15.1.18.3.10. კლიენტის, კლიენტის სახელით მოქმედი პირის ან/და კლიენტთან პირადი, ნათესაური, საქმიანი ან/და სხვაგვარად ბანკის შეხედულებისამებრ დაკავშირებული სხვა პირ(ებ)ის საქმიანობა დაკავშირებულია ვაჭრობის/მომსახურების ისეთ დარგთან ან/და საქმიანობის სფეროსთან, რომლის მიმართაც სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ გავრცელებულია შეზღუდვა/აკრძალვა/ემბარგო, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ ამგვარი შეზღუდვა/აკრძალვა/ემბარგო ან/და მითითება არ არის ბანკისთვის სავალდებულოდ შესასრულებელი;
 - 15.1.18.3.11. ტრანზაქცია დაკავშირებულია ვაჭრობის/მომსახურების ისეთ დარგთან ან/და საქმიანობის სფეროსთან, რომლის მიმართაც სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ გავრცელებულია შეზღუდვა/აკრძალვა/ემბარგო ან/და ტრანზაქციის შესრულებით შეიძლება დაირღვეს სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ გაცემული ნებისმიერი მითითება, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ ამგვარი შეზღუდვა/აკრძალვა/ემბარგო ან/და მითითება არ არის ბანკისთვის სავალდებულოდ შესასრულებელი;
 - 15.1.18.3.12. კლიენტის ნებისმიერი ქმედება გამოიწვევს (ან შეიძლება გამოიწვიოს) ბანკის შიდა პროცედურებით ან/და პოლიტიკით განსაზღვრული წესების დარღვევას და შედეგად მატერიალური ან ნებისმიერი სახის ზიანის/ზარალის მიყენებას ბანკისათვის;
 - 15.1.18.3.13. შესაძლოა აღნიშნული თანხები გახდეს სადავო კლიენტსა და მესამე პირებს შორის, რამაც შესაძლოა ბანკისთვის გამოიწვიოს ზიანის/ზარალის მიყენება.
- 15.1.18.4. იმ მოქმედოს სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ დაწესებული შესაბამისი სანქცია(ებ)ის მიხედვით (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც თუ სანქციების დამდგენი ორგანოს გადაწყვეტილება(ებ)ი/მითითება(ებ)ი სავალდებულოდ შესასრულებელი არ არის ბანკისთვის) და განახორციელოს სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციის გათვალისწინებული/მითითებული ნებისმიერი და ყველა ქმედება(ები). წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ქმედების განხორციელება არ ჩაითვაება ბანკის მიერ პირობებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევად და არ გამოიწვევს ბანკის პასუხისმგებლობას კლიენტის წინაშე;
- 15.1.18.5. საკუთარი შეხედულებისამებრ, შეაჩეროს/შეზღუდოს კლიენტის რომელიმე კონკრეტული ან ყველა ტრანზაქცია, იმ შემთხვევაში, თუ ბანკის შეფასებით არსებობს რისკი, რომ აღნიშნული ტრანზაქციის შესრულება გამოიწვევს სანქციების დამდგენი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება(ებ)ის/მითითება(ებ)ის/რეკომენდაცია(ებ)ის დარღვევას, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ ამგვარი გადაწყვეტილება/მითითება/რეკომენდაცია არ არის ბანკისთვის სავალდებულოდ შესასრულებელი;
- 15.1.18.6. საკუთარი შეხედულებისამებრ, მოითხოვოს კლიენტთან ან/და კლიენტის მიერ/სასარგებლოდ ინიცირებულ რომელიმე ტრანზაქციასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ინფორმაცია ტრანზაქციის მონაწილე ან/და ტრანზაქციასთან სხვაგვარად დაკავშირებული ყველა პირის შესახებ, ხოლო ამ ინფორმაციის/დოკუმენტაციის ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში და ფორმით მიუღებლობის შემთხვევაში, შეაჩეროს/შეზღუდოს ტრანზაქცია(ებ)ის შესრულება ან/და დაბლოკოს/დახუროს კლიენტის ანგარიშ(ებ)ი;
- 15.1.18.7. საკუთარი შეხედულებისამებრ, ჩაატაროს გამლიერებული პრევენციული ღონისძიებები კლიენტის, კლიენტის სახელით მოქმედი პირ(ებ)ის ან/და კლიენტთან დაკავშირებული სხვა პირ(ებ)ის იდენტიფიკაციისა და სანდო და დამოუკიდებელ წყაროზე დაყრდნობით მისი/მათი ვერიფიკაციისთვის, ასევე, კონკრეტული ტრანზაქცია(ებ)ის მიზნისა და წარმომავლობის დასადგენად. აღნიშნული მიზნით ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტისგან ან/და ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ისგან მიიღოს ან/და შესაბამის უფლებამოსილ პირ(ებ)ს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ზედამხედველ/მაკონტროლებელ ორგანოებს) გადასცეს კლიენტ(ებ)თან, კლიენტის სახელით მოქმედი პირ(ებ)თან, კლიენტთან დაკავშირებული სხვა პირ(ებ)თან ან/და კლიენტის მიერ/სასარგებლოდ ინიცირებულ ტრანზაქცია(ებ)სთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
- 15.1.18.8. საკუთარი შეხედულებისამებრ, შეაჩეროს/შეზღუდოს კონკრეტული ტრანზაქცია(ებ)ის შესრულება ან/და დაბლოკოს/დახუროს კლიენტის ანგარიში, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ტრანზაქცია(ებ)ის შესრულება ან/და კლიენტისთვის მომსახურების გაწევა ბანკს შეუქმნის საფრთხეს/დაბრკოლებას სხვა ფინანსურ ინსტიტუტ(ებ)თან, საგადახდო სისტემას(ებ)თან, საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)თან, მარეგულირებელ/მაკონტროლებელ ორგანოს(ებ)თან ან/და ბანკის სხვა პარტნიორ(ებ)თან/კონტრაქტორ(ებ)თან/ზედამხედველ(ებ)თან ურთიერთობაში;
- 15.1.18.9. საკუთარი შეხედულებისამებრ, შეაჩეროს/შეზღუდოს კონკრეტული ტრანზაქცია(ებ)ის შესრულება ან/და დაბლოკოს/დახუროს კლიენტის ანგარიში, იმ შემთხვევაში თუ სანქციების დამდგენი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილების/მითითების/რეკომენდაციის (იმ შემთხვევაშიც, თუ ამგვარი გადაწყვეტილება/მითითება/რეკომენდაცია არ არის ბანკისთვის სავალდებულოდ შესასრულებელი) შედეგად ბანკი მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს/დაამუშაოს/შეასრულოს კლიენტის მიერ/სასარგებლოდ ინიცირებული ტრანზაქცია(ებ)ი ან/და გაუწიოს კლიენტს ნებისმიერი საბანკო მომსახურება.
- 15.1.18.10. საკუთარი შეხედულებისამებრ, გაუზავლოს კლიენტს მითითება/მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ არ გამოიყენოს ანგარიში სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ განსაზღვრულ პირთან, პროდუქტთან ან/და საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ტრანზაქციების შესასრულებლად. კლიენტის მიერ ბანკის ამგვარი მითითების შეუსრულებლობა უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს შეაჩეროს/შეზღუდოს კონკრეტული ან/და კლიენტის ყველა ტრანზაქციის შესრულება, დაბლოკოს კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხები ან/და დახუროს კლიენტის ანგარიში.
- 15.1.18.11. კლიენტის ბანკში არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან უაქტიუოდ ჩამოიწეროს ყველა გადასახდელი/გადასახადი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საბანკო ოპერაციების წარმოებისთვის და ანგარიშის მომსახურებისთვის ბანკში დადგენილი საკომისო მოსაკრებელი, სატარიფო პაკეტის ღირებულება (ასეთის არსებობისას), კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები/გადასახდლები, შეცდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს ისინი ბანკის ან/და მესამე პირების წინაშე არსებული ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;
- 15.1.18.12. შეამციროს კლიენტის ნებისმიერ ანგარიშზე ხელმისაწვდომი ნაშთი და ამგვარად დაბლოკოს, დაარეზერვოს შესაბამისი თანხები კლიენტის ბანკის წინაშე არსებული ვალდებულების შეუფერხებლად დაფარვის მიზნით, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება კლიენტის საკრედიტო ვალდებულებებით, მიმდინარე ან/და მომდევნო გადასახდელი/დაფარვანიშნულებით;
- 15.1.18.13. თუ ოპერაციის განხორციელების მომენტში გადახდის საწარმოებლად თავისუფალი სახსრები არ არის საკმარისი, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეაჩეროს ოპერაცია ან არ გასცეს მასზე ავტორიზაცია;
- 15.1.18.14. შეუწყვიტოს კლიენტს დისტანციური საბანკო არხებით მომსახურება, თუ მას ბანკში აღარ გააჩნია ანგარიში.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

15.1.18.15. შეუწყვიტოს კლიენტს მუდმივი საგადახდო დავალების ან/და ავტომატური გადახდების მომსახურება იმ ანგარიშის დახურვის შემთხვევაში, რომლის სასარგებლოდაც გააქტიურებულია აღნიშნული მომსახურებები.

15.1.18.16. მიაწოდოს ანგარიშზე შესრულებული ოპერაციების საგადახდო დავალების ასლი ან/და ქვითარი. კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ აღნიშნული დოკუმენტები ადასტურებს შესაბამისად ბანკის მიერ დავალების მიღებას ან/და ბანკის მხრიდან მის შესრულებას, თუმცა არ იძლევა გარანტიას და ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმასთან დაკავშირებით, რომ დავალება სრულყოფილად იქნება შესრულებული შუამავალი ფინანსური ინსტიტუტის, მომსახურე საგადახდო სისტემის ან მიმღების პროვაიდერის მიერ.

15.1.19. ბანკი ვალდებულია:

15.1.19.1. დროულად დააკრედიტოს ანგარიშზე ჩარიცხული თანხები და კუთვნილებისამებრ გადარიცხოს ანგარიშიდან წინამდებარე პირობებით დადგენილ ვადაში;

15.1.19.2. ჩამოწეროს კლიენტის დავალებით, ხოლო კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დავალების გარეშე, შესაბამისი თანხები კლიენტის ანგარიშიდან მათი კრედიტორების ანგარიშზე გადასარიცხად;

15.1.19.3. მიიღოს კლიენტისაგან და მისცეს მას ან გასცეს მისი დავალებით ნაღდი ფული;

15.1.19.4. კლიენტს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს ბანკში არსებული პროცედურების შესაბამისად გადასცეს ანგარიშის ამონაწერი ბანკში მოქმედი ტარიფებით განსაზღვრული საკომისიოს მოსაკრებლის საფასურად.

15.1.20. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ანგარიშით სარგებლობის ზოგადი პირობები ვრცელდება ბანკში გახსნილ კლიენტის ნებისმიერი ტიპის ანგარიშზე, თუ უშუალოდ ანგარიშის სპეციფიკიდან სხვა რამ არ გამოდინარეობს.

15.2. უნივერსალური ანგარიში

15.2.1. უნივერსალური ანგარიში არის ფიზიკური პირის ანგარიში, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა ვალუტის საბანკო ქვანგარიში. უნივერსალური ანგარიშის ქვანგარიშზე ცალ-ცალკე აღირიცხება თითოეული ვალუტის ნაშთები, ამავდროულად, ყველა ქვანგარიში საბარათე-საპროცესინგო სისტემის მეშვეობით მიიღებული ერთ ძირითად საბანკო ბარათზე, რომელზეც აღირიცხება ჯამური ხელმისაწვდომი ნაშთი, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს უნივერსალურ ანგარიშში შემავალი ყველა ქვანგარიშის ინდივიდუალური ნაშთის ჯამს.

15.2.2. უნივერსალური ანგარიშის ძირითადი ვალუტა შესაძლოა განისაზღვროს შემდეგი ვალუტებით: ლარი, აშშ დოლარი, ევრო ან გირვანქა სტერლინგი, თუ რაიმე სხვა არ არის შეთანხმებული ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულებით;

15.2.3. კლიენტი უფლებამოსილია უნივერსალური ანგარიში გახსნას ბანკის მიერ შემუშავებული სატარიფო პაკეტის შექმნის გზით;

15.2.4. კლიენტი უფლებამოსილია ბანკის თანხმობის შემთხვევაში ჰქონდეს რამდენიმე უნივერსალური ანგარიში სატარიფო პაკეტ(ებ)ში ნებადართული ანგარიშის რაოდენობების გათვალისწინებით;

15.2.5. უნივერსალური ანგარიშის მომსახურების პირობები და ტარიფები განისაზღვრება პირობების შესაბამისი დანართით;

15.3. სოციალური ანგარიში

15.3.1. სოციალური ანგარიშის ფლობის უფლება აქვთ მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად სოციალური სარგოს მიმღებ პირ(ებ)ს.

15.3.2. კლიენტს სოციალური ანგარიში გაეხსნება კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის მიერ განსაზღვრული წესით, მას შემდეგ რაც უფლებამოსილი პირის მიერ ადგილი ექნება სოციალური სარგოს ჩარიცხვას, ხოლო შემდგომში კლიენტი შეავსებს/დაეთანხმება განაცხადს და ბანკს წარუდგენს კლიენტის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციისა და საბანკო ანგარიშის გახსნისათვის ბანკის მიერ მოთხოვნილ დოკუმენტაციას.

15.3.3. უფლებამოსილი პირის მიერ სოციალური სარგოს ჩარიცხვისას კლიენტს მიენიჭება საბანკო ანგარიშით და ბარათით სარგებლობის უფლება, ხოლო დანარჩენ პროდუქტებზე კლიენტი სარგებლობის უფლებას მოიპოვებს წინამდებარე პირობების შესაბამისად.

15.3.4. სოციალურ ანგარიშზე დაიშვება მხოლოდ ბანკის მიერ ამ ანგარიშისთვის ნებადართული ოპერაციების განხორციელება.

15.3.5. კლიენტი უფლებამოსილია ბანკის მიერ დადგენილი ფორმით მიმართოს ბანკს და განსაზღვროს შედავითაინ აბონენტები შემდეგი პირობების შესაბამისად:

15.3.5.1. კლიენტი უფლებამოსილია ბანკის მიერ განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად აირჩიოს პროვაიდერ(ებ)ი და ამ პროვაიდერ(ებ)ის თითო აბონენტი დაარეგისტრირდეს როგორც შედავითაინ აბონენტ(ებ)ი;

15.3.5.2. აღნიშნული შედავითაინ აბონენტების სასარგებლოდ გადახდების განხორციელებისას კლიენტს არ დაეკისრება საკომისიოს გადახდა;

15.3.5.3. კლიენტი ვალდებულია ყველა სხვა კომუნალური გადახდის შესრულებისათვის (გარდა შედავითაინ აბონენტების სასარგებლოდ განხორციელებული გადახდისა) გადაიხადოს ბანკის მიერ განსაზღვრული შესაბამისი საკომისიო,

15.3.5.4. კლიენტის მიერ განაცხადით განსაზღვრული შედავითაინ აბონენტ(ებ)ის გაუქმების/ცვლილების შემთხვევაში, აღნიშნული აბონენტ(ებ)ის სასარგებლოდ კომუნალური გადახდების შესრულება დაეკავშირდება ბანკის მიერ განსაზღვრული საკომისიოს გადახდას;

15.3.5.5. შედავითაინ აბონენტების ცვლილება შესაძლებელია, თუ კლიენტის მიერ მიმდინარე თვეში აღნიშნული აბონენტის სასარგებლოდ გადახდა არ განხორციელებულა შედავითაინ. მოცემულ შემთხვევაში შემთხვევაში, იმ აბონენტ(ებ)ის ნომრის ცვლილება, რომლის სასარგებლოდაც კომუნალური გადახდა შესრულებულია შედავითაინ, შესაძლებელი იქნება მომდევნო კალენდარული თვის პირველი რიცხვიდან;

15.3.6. თუ კლიენტის ანგარიშზე 3 (სამი) თვის განმავლობაში არ განხორციელდება სოციალური სარგოს ჩარიცხვა, ბანკი უფლებამოსილია შედავითაინ აბონენტებად რეგისტრირებულ აბონენტის ნომრებზე გააუქმოს შედავითაინ და მათ სასარგებლოდ გადახდის შესრულებაზე გაავრცელოს ბანკში მოქმედი სტანდარტული ტარიფები.

15.3.7. სოციალური ანგარიშის მომსახურების ტარიფები განისაზღვრება პირობებზე თანდართული სოციალური ანგარიშით მომსახურების პირობებისა და ტარიფების შესაბამისად.

15.3.8. კლიენტის სოციალურ ანგარიშზე სოციალური სარგოს ჩარიცხვასთან (მათ შორის, ჩარიცხვის თარიღთან, რაოდენობასთან) ან/და შეჩერებასთან/შეწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს კანონმდებლობით დადგენილი სოციალურ სარგოს ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანო. ბანკი არ მონაწილეობს სოციალური სარგოს დანიშვნის, მისი გაცემის ორგანიზების, შეჩერების, განახლების, შეწყვეტის და გადაანგარიშების, აგრეთვე სოციალური სარგოს მიღებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობებში. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ნებისმიერ კითხვის/პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში კლიენტმა უნდა მიმართოს კანონმდებლობით განსაზღვრულ კომპეტენტურ ორგანოს.

15.3.9. სოციალური სარგოს კლიენტის ანგარიშზე ასახვა ხდება სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შესაბამისი თანხის ბანკისთვის ჩარიცხვისა და განაწილების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების შესაბამისად, ამდენად, ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტისთვის სოციალური სარგოს ხელმისაწვდომობის ვადებზე.

15.3.10. კლიენტის სოციალურ ანგარიშიდან სოციალური სარგოს გაცემა ან/და დამატებითი ბარათის დამზადება დასაშვებია კლიენტის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე. ამ მიზნით, წარმოდგენილი მინდობილობის საფუძველზე კლიენტისთვის (მისი წარმომადგენლისთვის) მომსახურების გაწევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მინდობილობის გაცემიდან არ გასულა 1 წელი, მიუხედავად მინდობილობაში მითითებული მოქმედების ვადისა, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მინდობილობის მოქმედების ვადა აითვლება მინდობილობის გაცემის თარიღიდან, ამდენად, კლიენტი (მისი წარმომადგენელი) მინდობილობის საფუძველზე საბანკო მომსახურებას შეძლებს მინდობილობის გაცემის თარიღიდან 1 წლის გასვლამდე პერიოდში, მიუხედავად მინდობილობის ბანკში წარმოდგენის თარიღისა. მინდობილობის გაცემიდან 1 წლის გასვლის შემდეგ, წარმომადგენლის მეშვეობით საბანკო მომსახურების მიღების მიზნით (მათ შორის, დამატებითი ბარათის დამზადების მიზნით) კლიენტი ვალდებულია განაახლოს მინდობილობა.

15.3.11. სოციალური სარგოს შეჩერების ან/და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სოციალურ სარგოს ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანო კანონმდებლობით დადგენილი საფუძველებითა და წესით. კლიენტი ვალდებულია თავად მიიღოს ზომები სოციალური სარგოს შეჩერების/შეწყვეტის თავიდან ასარიდებლად ან/და შეჩერებული/შეწყვეტილი სოციალური სარგოს აღდგენისთვის. ბანკი არ არის პასუხისმგებელი სოციალური სარგოს შეჩერებაზე, შეწყვეტაზე, აღდგენაზე ან/და შეჩერებისა და აღდგენის თარიღებს შორის მიუღებელი სოციალური სარგოს თანხის ანაზღაურებაზე.

15.3.12. კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის საფუძველზე, ბანკი სოციალური მომსახურების სააგენტოს მიაწვდის ინფორმაციას იმ კლიენტთა შესახებ, რომელთა:

15.3.12.1. სოციალურ ანგარიშ(ებ)ზე ბოლო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ყოველთვიურად უწყვეტად ხორციელდებოდა სოციალური გასაცემის ჩარიცხვა და რომლებზეც (სოციალურ ანგარიშებზე) ზუდიზე 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ განხორციელებულა აქტიური ოპერაცია, ანუ როდესაც აღნიშნული ვადის განმავლობაში არ ხდება სოციალური ანგარიშიდან თანხის გატანა/განკარგვა.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

15.3.12.2. **სოციალურ ანგარიშ(ებ)ზე** ბოლო თვეში განხორციელდა **სოციალური გასაცემლის** ჩარიცხვა და ბოლო 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში **კლიენტის ანგარიშიდან** თანხები გაცემულია/განკარგულია მხოლოდ **დამატებითი ზარათის** (მინდობილობის) საფუძველზე და ამ პერიოდში არ მომხდარა **დამატებითი ზარათის** (მინდობილობის) შეკვეთა (განახლება).

15.3.12.3. **სოციალურ ანგარიშ(ებ)ზე** ბოლო თვეში განხორციელდა სოციალური გასაცემლის ჩარიცხვა და ბოლო 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში **ბანკის** მიერ **კლიენტის** დავალებით ხორციელდებოდა თანხების გადატანა ვადიან დეპოზიტზე და ამ პერიოდში არ განხორციელდებულა სხვა აქტიური ოპერაცია.

15.3.13. პირობების 15.3.12 პუნქტის მიზნებისთვის აქტიური ოპერაცია მოიცავს:

- ა) **კლიენტის სოციალური ანგარიშიდან** თანხის გატანას **კლიენტის** ძირითადი ან **დამატებითი ზარათის** გამოყენებით, მათ შორის **ბანკომატის** მეშვეობით;
- ბ) **კლიენტის** ძირითადი ან **დამატებითი ზარათის** გამოყენებით ანგარიშსწორებას სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში;
- გ) **კლიენტის ანგარიშიდან ბანკის** მიერ **კლიენტის** დავალებით თანხების გადატანას ვადიან დეპოზიტზე;
- დ) **კლიენტის ანგარიშიდან ბანკის** მიერ ვადიანი სავადახლო დავალების შესრულებას;
- ე) **კლიენტის ბანკში** ფიზიკური ვიზიტისას საკუთარი **ანგარიშიდან** თანხის გადარიცხვა როგორც **კლიენტის** პირად, ასევე მესამე პირ(ებ)ის ანგარიშზე.

15.3.14. **ბანკსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს** შორის ფულადი გასაცემლების გაცემის/დარიცხვის საბანკო მომსახურების თაობაზე ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, **კლიენტი ბანკს** ანიჭებს უფლებამოსილებას **სოციალური მომსახურების სააგენტოს** მიაწოდოს ინფორმაცია **ბანკის** წინაშე არსებული **კლიენტის** ვალდებულებ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ.

15.3.15. იმის გათვალისწინებით, რომ **სოციალური მომსახურების სააგენტო** წარმოადგენს **სოციალური სარგოს** ადმინისტრირების კომპეტენტურ ორგანოს და **კლიენტს სოციალური ანგარიში** გაეხსნება **სოციალური სარგოს** ხელმისაწვდომობის მიზნებისთვის, წინამდებარე **პირობებზე** თანხმობის გამოხატვით ან/და **სოციალური ანგარიშით** სარგებლობით **კლიენტი ბანკს** ანიჭებს უფლებამოსილებას **სოციალური მომსახურების სააგენტოს** მიაწოდოს მის (**სოციალური მომსახურების სააგენტოს**) მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია **სოციალური სარგოს** თანხების მოძრაობასთან დაკავშირებით, რაც, შეზღუდვის გარეშე, მოიცავს **კლიენტის ანგარიშიდან ამონაწერში** დაფიქსირებულ ინფორმაციას, მათ შორის **კლიენტის ანგარიშზე** განთავსებული და გაცემული თანხების შესახებ, განთავსების და გაცემის თარიღების ჩვენებითა და საბოლოო ნაშთის მითითებით.

15.3.16. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს** შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, **ბანკი** ვალდებულია **სოციალური მომსახურების სააგენტოს** მოთხოვნის საფუძველზე, სრულად დააბრუნოს სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე არასწორად ან მიმდების გარდაცვალების შემდგომ პერიოდში ჩარიცხული **სოციალური გასაცემლის** თანხები, ამდენად, **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** უფლებამოსილებაზე, **ბანკმა კლიენტის ანგარიშიდან** უაქცივტოდ ჩამოწეროს **სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის** უკანდასაბრუნებელი თანხები. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **ბანკის** აღნიშნული უფლებამოსილება ვრცელდება **კლიენტის** სამართალმემკვიდრეების მიმართაც.

15.3.17. **სოციალური სარგო**, რომელიც კლიენტს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის **სოციალური მომსახურების სააგენტოს** მიმართეს **კლიენტის** გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა. **სოციალური სარგოს** მიმღები **კლიენტის** გარდაცვალების შემთხვევაში, კუთვნილი **სოციალური სარგოს** განკარგვისთვის მემკვიდრეს ესაჭიროება **სოციალური მომსახურების სააგენტოს** შესაბამისი თანხმობა ან/და კანონმდებლობით/სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შემდგომში განსაზღვრული სხვა დოკუმენტი. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მემკვიდრე **ბანკს** არ მიმართავს სამკვიდრო მასაში შემავალი **სოციალური სარგოს** თანხის მიღების მიზნით წინამდებარე **პირობებით** და **კანონმდებლობით** დადგენილ ვადებში ან/და არ წარმოადგენს **ბანკის** მიერ მოთხოვნილ სავალდებულო დოკუმენტაციას, **ბანკი** უფლებამოსილია აღნიშნული თანხა დაუბრუნოს **სოციალური მომსახურების სააგენტოს** კანონმდებლობით და **ბანკსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს** შორის არსებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

15.4. PAY ანგარიში

15.4.1. **PAY ანგარიში კლიენტს** გაეხსნება **განაცხადის** შევსების, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისი საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის შემდეგ.

15.4.2. **კლიენტს** უფლება აქვს **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში ჰქონდეს რამდენიმე **PAY ანგარიში**.

15.4.3. **PAY ანგარიშზე** თანხის შეტანა შესაძლებელია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით.

15.4.4. **PAY ანგარიშზე** თანხის ნაღდი სახით შეტანა შესაძლებელია შემდეგი არხების გამოყენებით:

15.4.4.1. **ბანკის** ფილიალები და სერვის ცენტრები;

15.4.4.2. სწრაფი მომსახურების ტერმინალები;

15.4.4.3. **ბანკის** მიერ სპეციალურად ამ მიზნისათვის განვითარებული სხვა საშუალებები და არხები.

15.4.5. **PAY ანგარიშის** შევსება შესაძლებელია შემდეგი საშუალებების გამოყენებით:

15.4.5.1. **ვებ-გვერდი;**

15.4.5.2. **ბანკის** ბანკომატები;

15.4.5.3. **ბანკის** ან სხვა ბანკების ავტომატური გადარიცხვების სერვისი ან/და სხვა ბანკ(ებ)ის ან **მესამე პირ(ებ)ის** მიერ სპეციალურად ამ მიზნისათვის განვითარებული არხების საშუალებები;

15.4.5.4. **ბანკის** მიერ განვითარებული ელექტრონული ან/და სხვა სახის არხები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია **PAY ანგარიშზე** თანხის შევსება.

15.4.5.5. სხვა ბანკების ავტომატური გადარიცხვების სერვისის ან/და სხვა ბანკ(ებ)ის ან **მესამე პირ(ებ)ის** მიერ სპეციალურად ამ მიზნისათვის განვითარებული არხების საშუალებებით **PAY ანგარიშის** შევსების საკომისიოს განსაზღვრავს შესაბამისი სერვისის განმარტებული/არხის მფლობელი. თავის მხრივ **კლიენტს** შეუძლია ნებისმიერ დროს მიმართოს **ბანკს** ამ პუნქტით განსაზღვრული საკომისიოს თაობაზე ინფორმაციის მისაღებად

15.5. ტექნიკური ანგარიში

15.5.1. **ტექნიკური ანგარიში** არის ფიზიკური პირის მონოსავალუტო ანგარიში, რომელიც შეიძლება გაიხსნას შემდეგ რომელიმე ვალუტაში: **ლარი, დოლარი, ევრო** და რომელზეც დაშვებულია მხოლოდ **ბანკის** მიერ განსაზღვრული კონკრეტული ოპერაციები ან/და **ტექნიკურ ანგარიშთან** დაკავშირებული დამატებითი საბანკო მომსახურებები.

15.5.2. **ტექნიკური ანგარიში** გაეხსნება **კლიენტს განაცხადის** შევსების, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისი საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის შემდეგ.

15.5.3. **ტექნიკური ანგარიში** შესაძლებელია გამოყენებულ იქნას **ბანკის** საკრედიტო/საანაბრე (მათ შორის სადევოზიტო სერტიფიკატის) პროდუქტების მომსახურე ანგარიშად ან/და სახელმწიფო პროექტების/პროგრამების ფარგლებში **ბანკის** მომსახურების არხებიდან **კლიენტის** მიერ თანხის ან/და სხვა სახის სუბსიდი(ებ)ის მიღება/განკარგვის მიზნით.

15.5.4. **ტექნიკურ ანგარიშზე** დაიშვება მხოლოდ **კლიენტის** მიერ **ბანკის** ფიზიკური მომსახურების ობიექტებიდან (ფილიალი/სერვის-ცენტრი) გატანის ოპერაციები. ასევე, სახელმწიფო ან სხვა პროექტის/პროგრამის ფარგლებში **ტექნიკურ ანგარიშზე** შესაძლებელია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ან/და დაწესებულების მიერ თანხის ჩარიცხვის ოპერაციები. ნებისმიერი სხვა ოპერაცია **ტექნიკურ ანგარიშზე** არ დაიშვება, თუ **ბანკის** მიერ შემდგომში სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული.

15.5.5. **ტექნიკურ ანგარიშზე** არ არის დაშვებული **ზარათის** მიხმა ან/და დისტანციური საბანკო არხების მეშვეობით საბანკო ოპერაციების წარმოება.

15.5.6. **ბანკი** არ არის ვალდებული, მაგრამ უფლებამოსილია დაუყოვნებლივ დახუროს **ტექნიკური ანგარიში კლიენტის** წინასწარი თანხმობისა და **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების გარეშე, ტექნიკურ **ტექნიკურ ანგარიშზე** დადებითი ნაშთის არარსებობის შემთხვევაში თუ **ტექნიკური ანგარიში** არ გამოიყენება როგორც **ბანკის** მიერ შეთავაზებული **კლიენტის** სხვა აქტიური საბანკო პროდუქტის მომსახურე ანგარიში.

15.5.7. **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ შეწყვიტოს **კლიენტისთვის** ტექნიკური ანგარიშის შეთავაზება ან/და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განუცხადოს **კლიენტს ტექნიკური ანგარიშის** გახსნაზე.

15.6. სესხის მომსახურე უნივერსალური ანგარიში

15.6.1. **სესხის მომსახურე უნივერსალური ანგარიში** არის ფიზიკური პირის მულტისავალუტო ანგარიში, რომელზეც დასაშვებია **ბანკის** მიერ განსაზღვრული ოპერაციების შესრულება.

15.6.2. **სესხის მომსახურე უნივერსალური ანგარიში** გაეხსნება **კლიენტს**, რომელიც უკვე სარგებლობს ან რომელსაც დამტკიცებული აქვს **ბანკის** საკრედიტო პროდუქტი, **ბანკის** მიერ დადგენილი ფორმით **განაცხადის** წარდგენისა და სათანადო დოკუმენტაციის **ბანკისთვის** მიწოდების შემდეგ.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

- 15.6.3. სესხის მომსახურე უნივერსალური ანგარიშში შესაძლებელია გამოყენებული იქნას **ბანკის** საკრედიტო პროდუქტების მომსახურე ანგარიშად **ბანკის** მომსახურების არსებიდან კლიენტის მიერ თანხის განკარგვის მიზნით.
- 15.6.4. სესხის მომსახურე უნივერსალური ანგარიშით სარგებლობის პარალელურად კლიენტს არ შეუძლია **ხელშეკრულებით** განსაზღვრული სხვა სატარიფო პაკეტის ფლობა და მასში შემავალი პროდუქტებით სარგებლობა.
- 15.6.5. სესხის მომსახურე უნივერსალური ანგარიშზე დასაშვებია ოპერაციები განისაზღვრება წინამდებარე **ხელშეკრულებაზე** თანდართული **სესხის სარეალიზაციო პაკეტის ტარიფებით და პირობებით**. ნებისმიერი სხვა ოპერაცია **სესხის მომსახურე უნივერსალური ანგარიშზე** არ დაიშვება, თუ **ბანკის** მიერ შემდგომში სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული. ამავდროულად, **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **სესხის სარეალიზაციო პაკეტით** სარგებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს სხვა სატარიფო პაკეტის ფლობის დროს აქტიური გარკვეული პროდუქტებით სარგებლობის შეზღუდვა.
- 15.6.6. სესხის მომსახურე უნივერსალური ანგარიშზე არ არის დაშვებული საბანკო **ბარათის** მიღება.
- 15.6.7. თუ სესხის მომსახურე უნივერსალური ანგარიშში არ წარმოადგენს აქტიური საკრედიტო პროდუქტის მომსახურე ანგარიშს, იგი შეიძლება დაიხუროს **კლიენტის განაცხადის** საფუძველზე. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია დახუროს **სესხის მომსახურე უნივერსალური ანგარიშში კლიენტის** წინასწარი თანხმობისა და **კლიენტისთვის** წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე, **სესხის მომსახურე უნივერსალური ანგარიშზე** დადებითი ნაშთის არარსებობის შემთხვევაში, თუ **სესხის მომსახურე უნივერსალური ანგარიშში** არ გამოიყენება როგორც **ბანკის** მიერ შეთავაზებული **კლიენტის** სხვა აქტიური საბანკო პროდუქტის მომსახურე ანგარიში.
- 15.6.8. თუ წინამდებარე მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი, **სესხის მომსახურე უნივერსალური ანგარიშზე** ვრცელდება წინამდებარე **ხელშეკრულებით** **ანგარიშის** მომსახურებასთან დაკავშირებით დადგენილი ყველა ის პირობა, რომელიც წინამდებარე მუხლში არ მოიხსენიება წინამდებარე მუხლთან.

15.7. სარეალიზაციო ანგარიში

- 15.7.1. **სარეალიზაციო ანგარიში** არის ფიზიკური პირის მონოსავალუტო ანგარიში, რომელიც შეიძლება გაიხსნას შემდეგ რომელიმე ვალუტაში - **ლარი, დოლარი, ევრო** და რომელზეც დაშვებულია მხოლოდ **ბანკის** მიერ განსაზღვრული კონკრეტული ოპერაციების განხორციელება.
- 15.7.2. **სარეალიზაციო ანგარიში** გაეხსნება **ბანკის** არსებულ ან/და პოტენციურ მენაბრე(ებ)ს/სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელ(ებ)ს **ბანკის** მიერ დადგენილი ფორმით **განაცხადის** წარდგენისა და სათანადო დოკუმენტაციის **ბანკისთვის** მიწოდების შემდეგ.
- 15.7.3. **სარეალიზაციო ანგარიშის** გახსნა შესაძლებელია **ბანკის** ფილიალების/სერვის-ცენტრებისა და **ბანკის** მობილური ფილიალის მეშვეობით.
- 15.7.4. **სარეალიზაციო ანგარიში** შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ფიზიკური პირის სადეპოზიტო სერტიფიკატის, ვადიანი ტიპის ანაბრის (მათ შორის დაგროვებადი ანაბრის), სადეპოზიტო სერტიფიკატით/ანაბრით უზრუნველყოფილი სესხის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული სხვა სადეპოზიტო ან/და საკრედიტო პროდუქტების მომსახურე ანგარიშად.
- 15.7.5. **სარეალიზაციო ანგარიშზე** დაიშვება მხოლოდ ის ოპერაციები რომელიც მოცემულია **სარეალიზაციო სატარიფო პაკეტის ტარიფებით** და **პირობებით** ნებისმიერი სხვა ოპერაცია **სარეალიზაციო ანგარიშზე** არ დაიშვება, თუ **ბანკის** მიერ შემდგომში სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული.
- 15.7.6. **სარეალიზაციო ანგარიშზე** არ არის დაშვებული საბანკო **ბარათის** მიღება.
- 15.7.7. **სარეალიზაციო ანგარიში** შეიძლება დაიხუროს **კლიენტის განაცხადის** საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ წარმოადგენს აქტიური დეპოზიტის/სადეპოზიტო სერტიფიკატის მომსახურე ანგარიშს. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია დახუროს **სარეალიზაციო ანგარიშში კლიენტის** წინასწარი თანხმობისა და **კლიენტისთვის** წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე, **სარეალიზაციო ანგარიშზე** დადებითი ნაშთის არარსებობის შემთხვევაში, თუ **სარეალიზაციო ანგარიშში** არ გამოიყენება როგორც **ბანკის** მიერ შეთავაზებული **კლიენტის** სხვა აქტიური საბანკო პროდუქტის მომსახურე ანგარიში. თუ წინამდებარე მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი, **სარეალიზაციო ანგარიშზე** ვრცელდება პირობებით ანგარიშის მომსახურებასთან დაკავშირებით დადგენილი ყველა ის პირობა, რომელიც წინამდებარე მუხლში არ მოიხსენიება წინამდებარე მუხლთან.

15.8. აგრო ანგარიში

- 15.8.1. **აგრო ანგარიში** წარმოადგენს მონოსავალუტო მიმდინარე საბანკო **ანგარიშს**, რომელზეც დაკავშირებულია **აგრო ბარათი** და რომლის გახსნაც **მომხმარებელს** შეუძლია **უნივერსალური ანგარიშის** გახსნის გარეშე ან პარალელურად, **კლიენტის** მიერ შესაბამისი **განაცხად(ებ)ისა** და სავალდებულო დოკუმენტაციის (სეთის აუცილებლობის შემთხვევაში) წარმოდგენის შემთხვევაში.
- 15.8.2. **აგრო ანგარიში** განკუთვნილია მიზნობრივი გამოყენებისთვის და ორიენტირებულია აგრო სექტორში ჩართული ფიზიკური პირებისთვის, რომელთაც სურთ **საბანკო ანგარიშის** გამოყენება აგრო-პროდუქტის/მომსახურების ობიექტებში გადახდის ოპერაციების შესასრულებლად, სოფლის მეურნეობის/აგრო სექტორის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პროექტების ფარგლებში გაემული/გასაცემი სუბსიდიების/დახმარებების ან/და სხვა სახის ფულადი თანხების მიღებისა და განკარგვის მიზნით.
- 15.8.3. **აგრო ანგარიშზე** და **აგრო ბარათზე** დასაშვებია ოპერაციები, ლიმიტები და ტარიფები განსაზღვრულია წინამდებარე **პირობების** შესაბამისი დანართით.
- 15.8.4. **აგრო ანგარიშზე** და **აგრო ბარათზე** ვრცელდება წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული, **ანგარიშის** და **ბარათის** ზოგადი პირობები რაც წინამდებარე მუხლში არ მოიხსენიება **აგრო ანგარიშის** და **აგრო ბარათის** პირობებთან.

15.9. სპეციალური სავალუტო ანგარიში

- 15.9.1. **კლიენტი** უფლებამოსილია **პირობების** შესაბამისი **დანართით** განსაზღვრულ რომელიმე ვალუტაში გახსნას **სპეციალური სავალუტო ანგარიში**.
- 15.9.2. **კლიენტისთვის** დასაშვებია **სპეციალური სავალუტო ანგარიშების** რაოდენობა შეზღუდულია და განისაზღვრება **პირობების** შესაბამისი **დანართის** თანახმად.
- 15.9.3. **სპეციალური სავალუტო ანგარიში** არ წარმოადგენს საბარათო ანგარიშს და მასზე არ ხდება საბანკო **ბარათის** მიღება.
- 15.9.4. **სპეციალური სავალუტო ანგარიშზე** ვრცელდება წინამდებარე **პირობები სპეციალური სავალუტო ანგარიშის** სპეციფიკის გათვალისწინებით.
- 15.9.5. **ბანკი** უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ და **კლიენტისთვის** წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე, ნებისმიერ დროს შეზღუდოს **სპეციალური სავალუტო ანგარიშზე** გარკვეული ოპერაციების შესრულება, მათ შორის, თანხის ჩარიცხვის ოპერაციის განხორციელება.

16. ბარათი

- 16.1. **ბარათით სარგებლობის ზოგადი პირობები**
- 16.1.1. წინამდებარე პუნქტში მოცემული **ბარათის** მოხმარების პირობები ვრცელდება **კლიენტზე** და **კლიენტის** მიერ განსაზღვრულ **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ზე**.
- 16.1.2. **ბარათის** გამოყენება რეგულირდება საბანკო **კანონმდებლობით** და **ბანკსა** და საერთაშორისო საგადასახდელი სისტემებს VISA Inc., MasterCard Europe და UnionPay International-ს შორის სალიცენზიო ხელშეკრულებების პირობებით.
- 16.1.3. **ბარათის** მისაღებად **კლიენტმა ბანკს** უნდა წარუდგინოს სათანადო შევსებული და დამოწმებული **განაცხადი**, **ბანკის** მიერ განსაზღვრული ფორმით.
- 16.1.4. **ბარათ(ებ)ს ბანკი** ამზადებს **კლიენტის განაცხადის** საფუძველზე და მის შესაბამისად და გადასცემს **კლიენტს** სარგებლობაში (დალუქულ კონვერტში მითავსებულ ან/და **განაცხადში** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ელექტრონული ფორმით გაგზავნილ **წვდომის კოდთან** (PIN-კოდი) ერთად) **ანგარიშ(ებ)იდან ოპერაციების** საწარმოებლად. **ბარათი** წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას.
- 16.1.5. **ბარათის** მეშვეობით მაღალი რისკის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდის უფლების გასააქტიურებლად **კლიენტმა** უნდა მიმართოს **ბანკს ბანკის** მიერ დადგენილი ფორმით. ამგვარი განაცხადის მიღებამდე **კლიენტს** შეზღუდული ექნება **ბარათით** მაღალი რისკის სავაჭრო მომსახურების ობიექტებში გადახდის შესაძლებლობა.
- 16.1.6. **კლიენტი** ადასტურებს, რომ აცნობიერებს თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში **ოპერაციის** შესრულებასთან დაკავშირებულ საფრთხეებს და მაღალი რისკის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდის უფლების გააქტიურების შემთხვევაში სრულად იქნება პასუხისმგებელი ამგვარ ობიექტებში შესრულებული **ტრანზაქციების** შედეგებზე.
- 16.1.7. **კლიენტს** შეუძლია **ბანკისაგან** მოითხოვოს ნებისმიერი მესამე პირისათვის **დამატებითი ბარათ(ებ)ის** და მათი შესაბამისი **წვდომის კოდების** გაცემა. **დამატებითი ბარათის** გაცემაზე **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია გააცნოს **დამატებითი ბარათის მფლობელს** აღნიშნული პირობები. ამასთან, **კლიენტი** ვალდებულია, გადაიხადოს **დამატებითი ბარათის** და **წვდომის კოდების** გამოყენებით განხორციელებული ოპერაციების საფასური და სხვა შესაბამისი ხარჯები.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

- 16.1.8. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს** მისი კუთვნილი **ანგარიშ(ებ)ის** შესახებ ინფორმაცია გადასცეს **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს**. ეს ინფორმაცია მოიცავს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დეტალურს **ანგარიშ(ებ)ის** (მათ შორის, ანგარიშზე შესრულებული **ტრანზაქცი(ებ)ის**) შესახებ, აგრეთვე, სხვა ანხის ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია **დამატებითი ბარათის** სათანადო გამოყენებისათვის.
- 16.1.9. **ანგარიშზე** რიცხული თანხების განკარგვა დასაშვებია **ბანკის** მიერ დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.
- 16.1.10. **ბარათის** გამოყენებით **ტრანზაქციის** შესრულებაზე თანხმობა შესაძლოა გაცემული იყოს **ბარათის** უკონტაქტო წამითხველზე დაფიქსირებით, შესაბამის მოწყობილობაში/სისტემაში **წვდომის კოდ(ებ)ის** (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე **ბარათის** PIN კოდის, **ბარათის** 16 ნიშნა კოდის, **ბარათის** მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღის, **ბარათის** CVC ან CVV კოდის, კოდური სიტყვის, პაროლის, **კლიენტის** ტელეფონის ნომერზე/ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდის ან/და **კლიენტისთვის** საბანკო მომსახურების ფარგლებში ცნობილი ნებისმიერი სხვა წვდომის კოდის) შეყვანით.
- 16.1.11. **ბანკი** უფლებამოსილია საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები **კლიენტის** საბარათე **ოპერაციებზე**.
- 16.1.12. საბარათე **ოპერაციის** განხორციელების და მისი **ანგარიშზე** ასახვის ვადები შესაძლოა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. განხორციელებული **ოპერაციის** ანგარიშზე ასახვის ვადა დამოკიდებულია საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ **ოპერაციის** დამუშავების ვადებზე.
- 16.1.13. საბარათე დამორჩილების შემთხვევაში მიმღებისთვის თანხა მომენტალურად ხელმისაწვდომია საბარათე ინსტრუმენტის მეშვეობით **ოპერაციების** შესასრულებლად, თუმცა საბანკო ანგარიშზე თანხის ასახვა ხდება შესაბამისი **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** მიერ **ტრანზაქციის** ფინანსურად დამუშავების და ანგარიშსწორების შესრულების შემდეგ. ამდენად, **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ საბარათე გადარიცხვის შესრულების შემთხვევაში ჩარიცხული თანხა **ანგარიშზე** არასახება მოგვიანებით და **ტრანზაქციის** შესაბამისი თანხით **ანგარიშიდან** **ოპერაციების** შესრულება შესაძლებელი იქნება თანხის **ანგარიშზე** ასახვის შემდგომ. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** მიერ **ოპერაციის** დამუშავების/ანგარიშსწორების ვადებთან დაკავშირებით **კლიენტისთვის** მიყენებულ ნებისმიერ ზიანზე.
- 16.1.14. იმის გათვალისწინებით, რომ საბარათე **ოპერაციის** შესრულების და მისი **ანგარიშზე** ასახვის (შესაბამისი ანგარიშსწორების განხორციელების) ვადები შესაძლოა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, **ოპერაციის** ინიცირების და მისი ანგარიშსწორების მომენტში შესაძლოა მოქმედებდეს სხვადასხვა სავალტო გაცვლითი კურსები. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ კურსთაშორისმა სხვაობამ შესაძლოა გამოიწვიოს **ანგარიშზე** არასანქცეიებული ნაშთის წარმოქმნა, რაზეც გავრცელდება **პირობების** შესაბამისი **დანართით** გათვალისწინებული არასანქცეიებული გადახარჯვის ჯარიმა.
- 16.1.15. თუ **უფლებამოსილი მფლობელი ბარათის** დამზადებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ მიაკითხავს **ბანკს ბარათის** მისაღებად, **ბანკი** უფლებამოსილია გაუქმოს **ბარათი**. ასეთ შემთხვევაში, **კლიენტს ბარათის** დამზადების/მომსახურების საკომისიო არ უბრუნდება.
- 16.1.16. **ბარათის** მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში **ბარათი** გაუქმდება.
- 16.1.17. **კლიენტს** უფლება აქვს:
 - 16.1.17.1. **ბარათით** ჩაატაროს **ოპერაციები ხარჯვის ლიმიტის** ფარგლებში.
 - 16.1.17.2. მოითხოვოს და მიიღოს ამონაწერი საბანკო **ანგარიშიდან**;
 - 16.1.17.3. გაასაჩივროს **ბარათით** განხორციელებული **ოპერაცია**, თუ თვლის, რომ ადგილი ჰქონდა არაავტორიზირებულ ან არასწორად განხორციელებულ **ოპერაციას**. ამასთან, **კლიენტის** მიერ რაიმე **ოპერაციის** გასაჩივრება არ აღნიშნავს **ბანკის** უპირობო ვალდებულებას აუნაზღაუროს **კლიენტს** აღნიშნული **ოპერაციების** ჩატარების შედეგად მიყენებული ზარალი. **კლიენტის** მიერ **ოპერაციების** გასაჩივრების თითოეული შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად VISA Inc., MasterCard Europe და UnionPay International საგადახდო სისტემების მიერ დადგენილი წესების, საერთაშორისო და ქართულ საბანკო სექტორში დაკვიდრებული პრაქტიკის და მოქმედი **კანონმდებლობის** გათვალისწინებით;
 - 16.1.17.4. წერილობით შეატყობინოს **ბანკს ბარათის** ვადის გასვლის შესახებ და მოითხოვოს ახალი **ბარათის** დამზადება;
 - 16.1.18. **ბანკს** უფლება აქვს:
 - 16.1.18.1. აუცილებლობის შემთხვევაში, **ბარათის** მოქმედების ვადის განმავლობაში შეცვალოს ის ახალი **ბარათით**;
 - 16.1.18.2. გაუგზავნოს **უფლებამოსილი მფლობელს** შეტყობინება **ბანკისათვის ბარათის** დაბრუნების მოთხოვნით, თუ **ოპერაციების** ჩატარებისას წარმოიშვა საფუძვლიანი ეჭვი, რომ **ბარათი** გამოიყენეს უკანონო ქმედებებისათვის;
 - 16.1.18.3. **ბარათის** დაკარგვის შემთხვევაში **კლიენტს** ანგარიშიდან ჩამოაწეროს (არსებობის შემთხვევაში) ან დაბლოკოს, **ბარათის** დაკარგვიდან **ბანკში** შესაბამისი წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების მოსვლამდე პერიოდში, **ბარათით** ჩატარებული **ოპერაციების** ეკვივალენტი სახსრები;
 - 16.1.18.4. **კლიენტის** ან/და **დამატებითი ბარათის მფლობელის** მიერ **ხელშეკრულების** დარღვევის, აგრეთვე **კლიენტის** გადახდისუნარიანობის შემთხვევაში შეაჩეროს ან შეწყვიტოს **ბარათის** მოქმედება და მიიღოს აუცილებელი ზომები **ბანკისადმი კლიენტის** დავალიანების ამოსაღებად;
 - 16.1.18.5. შეაჩეროს **ბარათის** მოქმედება არაკანონიერი **ოპერაციების** ჩატარების აღმოჩენის, აგრეთვე, VISA Inc., MasterCard Europe ან/და სხვა შესაბამისი საგადახდო სისტემების მიერ **ბარათის** არაკანონიერი გამოყენების დამადასტურებელი ინფორმაციის მოწოდებისთანავე;
 - 16.1.18.6. წინასწარი შეტყობინების გარეშე შეწყვიტოს ნებისმიერი **ციფრული ბარათის, თოქენის** და იმ ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა. დაბლოკოს, შეზღუდოს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს **კლიენტის** მიერ **ციფრული ბარათის** ან/და **თოქენის** გამოყენება **კლიენტის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში ან **ციფრული ბარათის** გამოყენებით, არაკანონიერი **ოპერაციების/საქმიანობის** თაობაზე ნებისმიერი გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში.
 - 16.1.18.7. საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს **კლიენტს ბარათ(ებ)ის** გაცემასა და/ან აღდგენაზე;
 - 16.1.18.8. მიზეზის მითითების გარეშე უარი განაცხადოს **კლიენტის** სახელზე **ციფრული ბარათის** გაცემაზე, როგორც კონკრეტული **ბარათის**, ასევე ელექტრონული მოწყობილობის, ვებ - გვერდის ან აპლიკაციის მიმართ.
 - 16.1.18.9. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკთან** არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების უზრუნველსაყოფად ან აღნიშნული ვალდებულებების შესრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დაბლოკოს ნებისმიერი **ბარათი/ანგარიში**;
 - 16.1.18.10. **კლიენტის ბანკში** არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოაწეროს ყველა გადასახდელი / გადასახადი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საბანკო **ოპერაციების** წარმოებისათვის და ანგარიშის მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, **სატარფო პაკეტის** ღირებულება, **კანონმდებლობით** განსაზღვრული გადასახადები/გადასახდლები, შევდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის / ზარალის ანაზღაურების თანხები, ოვერლიმიტი/გადახარჯული თანხები) და მიმართოს ისინი **ბანკის** ან/და მესამე პირების წინაშე არსებული ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად.
 - 16.1.18.11. ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოაწეროს **კლიენტზე** გაეცემული ყველა **ბარათით**, მათ შორის **დამატებითი ბარათით** ჩატარებული, აგრეთვე საგადახდო სისტემა VISA Inc.-ის, MasterCard Europe-ის და UnionPay International-ის გავლით ბანკებისა და ორგანიზაციების მიერ წარდგენილი **ოპერაციების** ეკვივალენტი სახსრები **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად გათვალისწინებულ საკომისიო მოსაკრებლებთან ერთად.
 - 16.1.19. **კლიენტი** იღებს ვალდებულებებს:
 - 16.1.19.1. **განაცხადის** ხელმოწერიდან ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული ფორმით თანხმობის გამოხატვიდან 1 (ერთი) **სამუშაო დღის** ვადაში ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხოს თანხები ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით **ბარათის** ტიპისათვის **ბანკში** დადგენილი აუცილებელი შენატანის ოდენობით (ასეთის არსებობისას);
 - 16.1.19.2. შეამოწმოს PIN კონვერტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია PIN-კოდი/წვდომის კოდი;
 - 16.1.19.3. რეგულარულად გაეცნოს და დაიცვას **ბანკის** მიერ შემუშავებული **საბანკო ბარათის** ზოგადი პირობები და უსაფრთხოების წესები, აგრეთვე მკაცრად დაიცვას **წვდომის კოდების** კონფიდენციალურობა რაც გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება **კლიენტის** ვალდებულებით არ შეინახოს **წვდომის კოდები** ისეთი ფორმით ან ისეთ მატერიალურ ან ელექტრონულ მატარებელზე, რომელიც იძლევა მათი დისკრედიტაციის და გამჟღავნების საშუალებას;
 - 16.1.19.4. არ გადასცეს **ბარათი** ან/და **წვდომის კოდები** მესამე პირებს ან/და არ განახორციელოს **წვდომის კოდების** რაიმე სხვა ფორმით გამჟღავნება ამასთან, თუ **კლიენტს** სარგებლობს **თოქენის** ან/და **ციფრული ბარათის** სერვის(ებ)ით, ვალდებულია დაიცვას იმ ელექტრონული საშუალებების (მათ შორის და არამხოლოდ, ელექტრონული მოწყობილობა, პროგრამა ან/და ვებ-გვერდი) და **წვდომის კოდების** უსაფრთხოება, რომლებიც გამოიყენება **თოქენის** სერვისით სარგებლობისათვის.
 - 16.1.19.5. ელექტრონული მოწყობილობის დაკარგვის და **მესამე პირზე** გადაცემის შემთხვევაში, სადაც შენახულია **კლიენტის** საბარათე მონაცემები/**თოქენი** ან/და **ციფრული ბარათი** ან/და ადგილი აქვს **კლიენტის** აუტენტიფიკაციის მონაცემების კომპრომენტირებას, **კლიენტი** ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ **ბანკს**.
 - 16.1.19.6. შეინახოს **ბარათის** გამოყენებით წარმოებულ **ოპერაციებზე** არსებული ყველა დოკუმენტი და წარუდგინოს იგი **ბანკს** სადავო საკითხების წარმოშობისას;
 - 16.1.19.7. ყოველი კალენდარული თვის ბოლოს გაეცნოს **ბარათის** მეშვეობით განხორციელებულ ყველა **ოპერაციას** და საჭიროების შემთხვევაში **კანონმდებლობით** დადგენილ ვადაში წერილობით გააპროტესტოს ამ **ოპერაციების** შესახებ ინფორმაცია. ამ ვადაში **ბანკისათვის** პრეტენზიის წერილობით განუცხადებლობის შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია ითვლება დადასტურებულად და შემდგომ გაპროტესტებას აღარ ექვემდებარება;
 - 16.1.19.8. **ბარათის** დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს**. საინფორმაციო ცენტრში ზეპირი **განაცხადის** საფუძველზე **ბარათი** იბლოკება. დამატებით საერთაშორისო სტოპ სიამ **ბარათის** განთავსებაზე **კლიენტმა** უნდა მიმართოს **ბანკს** წერილობითი განცხადებით, რომელიც უნდა დამოწმდეს **კლიენტის** ან მისი

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

უფლებამოსილი პირის ხელმოწერით ან **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** პასუხს არ აგებს იმ ფინანსურ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს **კლიენტს**;

16.1.19.9. დაკარგული **ბარათის** აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ის **ბანკს**;

16.1.19.10. ჩატაროს **ბარათით** ოპერაციები მოცემული **პირობების** შესაბამისად;

16.1.19.11. **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადახადოს ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, **ანგარიშისა** და **ბარათ(ებ)ის** მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი, საჭიროების შემთხვევაში ანაზღაუროს **ბარათ(ებ)ის** დაკარგვასთან დაკავშირებული დანახარჯები;

16.1.20. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი:

16.1.20.1. **ბარათის** დაკარგვის შესახებ წერილობითი **განაცხადის** მიღებამდე და საერთაშორისო სტოპ სიაში მოთავსების მიზნით **კლიენტის** მიერ საკომისიოს გადახდამდე **ბარათით** განხორციელებულ უკანონო **ოპერაციაზე**;

16.1.20.2. **ბარათით** განხორციელებულ ნებისმიერ უკანონო **ოპერაციაზე**;

16.1.20.3. წინამდებარე **პირობების დანართში** მითითებულ **MCC** კოდებზე მუხლულულ **ოპერაციებზე კლიენტის** მომართვის საფუძველზე **ოპერაციების** დაშვების შემდეგ, **კლიენტისათვის** დამდგარ ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე;

16.1.20.4. ცრუ შეტყობინების შედეგად **ბარათის** ბლოკირებაზე;

16.1.20.5. **ბარათის** მოქმედების შეჩერებაზე;

16.1.20.6. **ბარათის** მფლობელსა და **VISA Direct** ან **MasterCard MoneySend სერვისების** მომსახურე ბანკებს/ფინანსურ ინსტიტუტებს შორის წარმოქმნილ სადავო საკითხებზე;

16.1.20.7. დაგვიანებულ, არასწორ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ **ოპერაციებზე**, რომლებიც გამოწვეულია საერთაშორისო საგადახდელო სისტემის ან ტექნიკური მიზეზების გამო;

16.1.20.8. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული **ოპერაციის** კანონიერებაზე;

16.1.20.9. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული **ოპერაციის კლიენტის** ანგარიშზე ფაქტობრივად ასახვის ვადებზე, თუ აღნიშნული **ოპერაცია** ჩატარდა პოს-ტერმინალზე, რომელიც არ ეკუთვნის ბანკს. ამასთან, **ბარათის** მეშვეობით **ბანკის** კუთვნილ **პოს ტერმინალზე** ჩატარებული **ოპერაცია** აისახება **კლიენტის** ანგარიშზე ამგვარი **ოპერაციის** ჩატარების მომენტიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში;

16.1.20.10. იმ შესაძლო ზარალზე, რომელიც შეიძლება მიადგეს **კლიენტს ბარათის** მეშვეობით ჩატარებული **ოპერაციის** თარიღსა და აღნიშნული **ოპერაციის კლიენტის ანგარიშზე** ასახვის თარიღს შორის სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად;

16.1.20.11. **ციფრული ბარათით** ან/და **თოქენით** სარგებლობის ან **ციფრული ბარათის** ან/და **თოქენის მესამე პირების** მიერ წარმოებულ ელექტრონულ მოწყობილობაში, ვებ-გვერდზე ან აპლიკაციაში შენახვის შემთხვევაში, აღნიშნული **მესამე პირებისათვის** გადაცემული კონფიდენციალური ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის უსაფრთხოებაზე.

16.1.20.12. **ბარათით** განხორციელებულ **ოფლაინ** ტრანზაქციებზე (მათ შორის, **რეკურენტული გადახდების** შემთხვევაში). **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ოფლაინ ტრანზაქციის(ებ)ის** სრულდება **ბანკის** დადასტურების გარეშე. შესაბამისად, **ბანკს** არ ეკისრება პასუხისმგებლობა **კლიენტის ბარათით** **ოფლაინ ტრანზაქციის(ებ)ის** შესრულების გამო, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ **ოფლაინ ტრანზაქციები** განხორციელებული **ბარათის** ბლოკირების შემდეგ.

16.1.21. **ბანკი** არ განიხილავს მიღებულ პრეტენზიებს, თუ **ბარათის** დაკარგვასა **უფლებამოსილი მფლობელის** მხრიდან დარღვეული იქნება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **ბანკის** ინფორმირების წესები;

16.1.22. **კლიენტი** პასუხისმგებელია:

16.1.22.1. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებულ ყველა არაკანონიერ **ოპერაციაზე**;

16.1.22.2. **დამატებითი ბარათით** სარგებლობის შედეგად **ბანკის** წინაშე წარმოშობილ ვალდებულებებისათვის;

16.1.22.3. დამდგარი ზიანისათვის, თუ **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო ანგარიში, **წვდომის კოდი** ან სხვა ინფორმაცია პლასტიკური **ბარათ(ებ)ისა** და მისი მფლობელ(ებ)ის შესახებ ცნობილი გახდა მესამე პირ(ებ)ისათვის;

16.1.22.4. ყველა **ოპერაციაზე**, რომელიც განხორციელდა **ანგარიშზე** მის დახურვამდე ან დახურვის შემდეგ;

16.1.22.5. **ბარათის** ან/და **წვდომის კოდის** გამოყენებით ჩატარებულ ნებისმიერი ტიპის **ოპერაციაზე**;

16.1.23. **კლიენტი** ვალდებულია აუნაზღაუროს **ბანკს** ზიანი, რომელიც წარმოიქმნება **ბარათის მფლობელის** მიერ წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობების დარღვევის გამო;

16.1.24. **ბანკი** ვალდებულია **კლიენტს** აუნაზღაუროს არავტორიზებული **ოპერაციის** თანხა თუ **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** მიმართვა განხორციელდა არავტორიზებული **ოპერაციის** შესრულებიდან 13 (ცამეტი) თვის ვადაში ლოკალური ოპერაციის შემთხვევაში, ხოლო 75 (სამოცდაათხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში საერთაშორისო ოპერაციის შემთხვევაში და **კლიენტის** მხრიდან ადგილი არ ჰქონია **კანონმდებლობით, ხელშეკრულებით** ან წინამდებარე **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტს.

16.1.25. თუ **კლიენტის** მხრიდან ადგილი არ ჰქონია **კანონმდებლობით, ხელშეკრულებით** ან წინამდებარე **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტს და **ბარათის** უკანონო მითვისებით ან უკანონო გამოყენების შედეგად ტრანზაქცია განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე, **კლიენტი** პასუხისმგებელია აღნიშნულ არავტორიზებული **ოპერაციის** შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის არაუმეტეს 100 (ასი) ლარისა.

16.1.26. **ბანკი** არ არის ვალდებული აანაზღაუროს არავტორიზებული **ოპერაციის** თანხა თუ არსებობს საფუძველიანი ეჭვი, რომ **კლიენტის** მხრიდან ადგილი ჰქონდა თაღლითური ქმედებას ან/და **კანონმდებლობით, ხელშეკრულებით** ან წინამდებარე **პირობებით** ნაკისრი ვალდებულების განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევას.

16.1.27. უკონტაქტო **ბარათი** წარმოადგენს ჩიპიანი **საბანკო ბარათის** ნაირსახეობას, რომელიც **კლიენტს** აძლევს საშუალებას განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, უკონტაქტოდ ანუ **ბარათით** საგადახდო **ოპერაციის** შესრულებისას **წვდომის კოდის** შეყვანის გარეშე, აწარმოოს **ოპერაციები** შესაბამისი სერვისის გაწევაზე ავტორიზირებულ და სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ მომსახურების ობიექტებში.

16.1.28. **წვდომის კოდის** შეყვანის გარეშე Visa PayWave და MasterCard PayPass **ბარათით** შესრულებულ ყიდვის უკონტაქტო **ოპერაციაზე** დასაშვები ლიმიტის მოცულობა განისაზღვრება ექვივალენტის მიერ საერთაშორისო საგადახდელო სისტემის წესებისა და **კანონმდებლობის** შესაბამისად.

16.2. უნივერსალური ანგარიშის ბარათი

16.2.1. **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშს** შესაძლოა მიეზღოს საერთაშორისო ტიპის Visa ან MasterCard ბარათი. შესაბამისი **სატარიფო პაკეტისთვის** დასაშვები ბარათის ტიპი განისაზღვრება **პირობების** შესაბამისი **დანართით**.

16.2.2. იმ შემთხვევაში, თუ **ბარათით** ან მისი (**ბარათის**) რეკვიზიტების გამოყენებით შესრულებული **ოპერაცია** განხორციელდა ისეთ ვალუტაში, რომელშიც **კლიენტს** არ გააჩნია ქვე-ანგარიში ან რომელშიც **კლიენტს** გააჩნია ქვე-ანგარიში, მაგრამ აღნიშნულ ქვე-ანგარიშზე არ ირიცხება **ოპერაციის** ასახვისათვის საკმარისი ნაშთი - ასეთი **ოპერაცია** აისახება **კლიენტის** ანგარიშზე კონვერტაციით საბანკო პროგრამაში **ოპერაციის** ასახვის დღეს არსებული **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსის** შესაბამისად. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **ბარათით** ჩატარებული ოპერაციები:

16.2.2.1. **ლარში, აშშ დოლარში, ევროში** და **გიორგანა სტერლინგში** აისახება **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშზე** იგივე ვალუტაში;

16.2.2.2. ნებისმიერ სხვა ვალუტაში შესრულებული **ოპერაციის** ასახვა VISA საერთაშორისო საგადახდელო სისტემის **ბარათით** შესრულებული **ტრანზაქციების** შემთხვევაში მოხდება **აშშ დოლარში**, ხოლო MasterCard საერთაშორისო საგადახდელო სისტემის **ბარათით** შესრულებული **ტრანზაქციების** შემთხვევაში - **ევროში**. ამ შემთხვევაში კონვერტაციის კურსი განისაზღვრება საერთაშორისო საგადახდელო სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების დღეს არსებული სისტემის კურსით, რომელიც ხელმისაწვდომია შესაბამისი საგადახდელო სისტემის ვებ-გვერდზე: VISA - <https://bit.ly/2l92TPb>, ხოლო MasterCard - <https://bit.ly/3ozFTIe>; ამასთან, VISA **ბარათით** ლარი, დოლარი, ევრო, ფუნტისგან განსხვავებულ ვალუტაში შესრულებულ **ოპერაციის** დაემატება ტრანზაქციის თანხის 1%.

16.2.3. **ბარათით** სარგებლობის ტარიფები, ლიმიტები, ასევე **კლიენტის** საბარათო ოპერაციებზე დაწესებული შეზღუდვები განისაზღვრება **პირობების** შესაბამისი **დანართით**.

16.2.4. **კლიენტი** უფლებამოსილია **ბირობების** შესაბამისი **დანართით** განსაზღვრულ **MCC** კოდებზე მუხლდევების გაუქმების და **ოპერაციების** დაშვების მიზნით მიმართოს **ბანკს** შესაბამისი **განაცხადით ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

16.3. სოციალური ბარათი

16.3.1. **კლიენტის სოციალურ ანგარიშს** შესაძლოა მიეზღოს ლოკალური ან საერთაშორისო ტიპის Visa, MasterCard ან Unionpay ბარათი **ბანკის** შეხედულებისამებრ.

16.3.2. **ლარში** შესრულებული ოპერაცია **კლიენტის ანგარიშზე** აისახება კონვერტაციის გარეშე.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

16.3.3. **დოლარში, ევროსა და გირვანქა სტერლინგში** შესრულებული ოპერაცია **კლიენტის ანგარიშზე** აისახება **ტრანზაქციის** ვალუტისა და **ანგარიშის** ვალუტას შორის ოპერაციის დამუშავების დღეს არსებული **ბანკის კომერციული გაცვლითი კურსით**, ხოლო სხვა დანარჩენ ვალუტაში შესრულებული ოპერაცია **ანგარიშზე** აისახება **ანგარიშის** ვალუტასა და შესაბამისი საგადასხდელი სისტემის ანგარიშსწორების ვალუტას შორის **ბანკის კომერციული გაცვლითი კურსით** კონვერტაციის გზით. VISA საერთაშორისო საგადასხდელი სისტემის **ბარათით** შესრულებული **ოპერაციების ანგარიშზე** ასახვა მოხდება **აშშ დოლარში**, ხოლო MasterCard საერთაშორისო საგადასხდელი სისტემის **ბარათით** შესრულებული **ოპერაციების** შემთხვევაში - **ევროში**. ტრანზაქციის ვალუტისა შესაბამისი საერთაშორისო საგადასხდელი სისტემის ანგარიშსწორების ვალუტას შორის კონვერტაციის კურსი განისაზღვრება საერთაშორისო საგადასხდელი სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების დღეს არსებული კურსით, რომელიც ხელშისწავლავს შესაბამისი საგადასხდელი სისტემის ვებ-გვერდზე: VISA - <https://bit.ly/2I92TPb>, ხოლო MasterCard - <https://bit.ly/3ozFTtE>; ამასთან, VISA **ბარათით** ლარი, დოლარი, ევრო, ფუნტისგან განსხვავებულ ვალუტაში შესრულებულ ოპერაციას დაემატება ტრანზაქციის თანხის 1%.

16.3.4. **ანგარიშზე** რიცხული თანხების განკარგვა დასაშვებია **ბანკის** მიერ დადგენილი შეზღუდვებისა და ლიმიტის ფარგლებში, რომელიც განისაზღვრება **პირობებზე** თანდართული სოციალური ანგარიშით მომსახურების პირობებისა და ტარიფების შესაბამისად.

16.3.5. **წვდომის კოდის** შეყვანის გარეშე **უკონტაქტო ბარათით** შესრულებულ გადახდის ოპერაციებზე დადგენილი ლიმიტ(ებ)ი განისაზღვრება წინამდებარე **პირობებზე** თანდართული სოციალური ანგარიშით მომსახურების პირობებისა და ტარიფების შესაბამისად;

16.3.6. **სოციალური ბარათის** სავაჭრო/მომსახურების ობიექტებსა და **ბანკომატ(ებ)ში** გამოყენების მოქმედების ვადა განისაზღვრება მაქსიმუმ 1 (ერთი) წლით. ამ ვადის გასვლის შემდეგ, **სოციალური ბარათის** სავაჭრო/მომსახურების ობიექტებსა და **ბანკომატ(ებ)ში** გამოყენების მოქმედების ვადის გახანგრძლივების მიზნით, **კლიენტი** ვალდებულია მიმართოს **ბანკს** **ბანკის** მიერ დადგენილი წესით;

16.4. საბავშვო ბარათი

16.4.1. **საბავშვო ბარათის** მისაღებად **კლიენტს** ეხსენება დამოუკიდებელი **სოციალური ანგარიში**, რომელზეც არ დაიშვება საკრედიტო ან/და სადებეტო ოპერაციები, გარდა სხვა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ რეგისტრირებულ მომწოდებლებთან განთავსებულ **ბანკის პოს-ტერმინალზე** განხორციელებული გადახდის ოპერაციებისა.

16.4.2. **საბავშვო ბარათით ბანკის პოს-ტერმინალზე** გადახდის ოპერაციის შესრულება საჭიროებს **წვდომის კოდის** გამოყენებას.

16.4.3. **ბანკის** გადაწყვეტილებით შესაძლებელია გაიცეს **დამატებითი საბავშვო ბარათი**.

16.4.4. **საბავშვო ბარათით** განხორციელებული **ტრანზაქციების** თაობაზე **ბანკი** ინფორმაციას მიაწვდის სხვა სოციალური მომსახურების სააგენტოს ან/და სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოს/სავაჭრო სამართლის ოფიციალურ პირს, მათი მოთხოვნის გათვალისწინებით.

16.4.5. **საბავშვო ბარათის** PIN კოდის ცვლილება და **საბავშვო ბარათის** ნაშთის შემოწმება დასაშვებია/შესაძლებელია როგორც **ბანკის მომსახურების ობიექტ(ებ)ის**, ისე **ბანკომატების** საშუალებით.

16.4.6. ყოველდღიური ხარჯვის ლიმიტი **საბავშვო ბარათით** განხორციელებულ გადახდის ოპერაციებზე განისაზღვრება **პირობებზე** თანდართული სოციალური ანგარიშით მომსახურების პირობებისა და ტარიფების შესაბამისად.

16.5. აგრო ბარათი

16.5.1. აგრო ბარათი წარმოადგენს **ბანკის** მიერ ემიტირებულ, ლოკალურ საგადახდო **ბარათს**, რომელიც **მომხმარებელს** გადაეცემა **ბანკის აგრო ანგარიშის** გახსნის შემთხვევაში და რომლის მეშვეობითაც **მომხმარებელს** შეუძლია, განკარგოს **აგრო ანგარიშზე** არსებული ფულადი სახსრები ან/და სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მისაღები სხვა სახის სუბსიდი(ებ)ი წინამდებარე **პირობებში** განსაზღვრული წეს(ებ)ის/პირობების შესაბამისად.

16.5.2. **აგრო ბარათით** შესაძლებელია, მხოლოდ **აგრო ანგარიშზე** არსებული ფულადი სახსრების ან/და **აგრო ანგარიშზე** ჩარიცხული სუბსიდიის გახარჯვა **ბანკის პარტნიორი მერჩანტების** ქსელში, **ბანკის პოს-ტერმინალზე** გადახდის ოპერაცი(ებ)ის შესრულების გზით ან/და შესაბამისი სახელმწიფო პროგრამით დადგენილი წესით.

16.5.3. **აგრო ბარათზე** დამატებული ოპერაციების **ლიმიტები** და **ტარიფები** განისაზღვრება წინამდებარე **პირობებზე** თანდართული აგრო ანგარიშითა და აგრო ბარათით სარგებლობის ტარიფებისა და ლიმიტების შესაბამისად.

16.6. ციფრული ბარათი

16.6.1. **ციფრული ბარათი** წარმოადგენს პლასტიკური ბარათის ციფრული ანალოგს, რომელიც შეიძლება მიეზას **კლიენტის ანგარიშს** და რომელიც საშუალებას აძლევს **კლიენტს** განახორციელოს ამ ტიპის ბარათისთვის ნებადართული ოპერაციები.

16.6.2. **კლიენტის** უნივერსალურ ანგარიშს შესაძლებელია მიეზას რამდენიმე **ციფრული ბარათი**. ამასთან, **კლიენტის ანგარიშზე ციფრული ბარათის** გააქტიურება არ ზღუდავს იმავე ანგარიშზე ფიზიკური პლასტიკური **ბარათის** მიზმის შესაძლებლობას. **ანგარიშზე** დასაშვები მაქსიმალური **ციფრული ბარათებს** ოდენობა განისაზღვრება **პირობებზე** თანდართული ციფრული ბარათით მომსახურების ტარიფების შესაბამისად.

16.6.3. **ციფრული ბარათის** გენერირება შესაძლებელია **ბანკის ციფრული ბანკის** ან/და **ბანკის** მიერ მომავალში განსაზღვრული სხვა არხის მეშვეობით **ბანკში** დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად.

16.6.4. **ციფრული ბარათით** ჩატარებული ტრანზაქციების ლიმიტები, შეზღუდვები და მომსახურების ტარიფები განისაზღვრება წინამდებარე **პირობებზე** თანდართული ციფრული ბარათის მომსახურების ტარიფების შესაბამისად.

16.6.5. თუ წინამდებარე პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ციფრული ბარათით** მომსახურებაზე ვრცელდება წინამდებარე **პირობებით ბარათის** მომსახურებისთვის განსაზღვრული ყველა ის წესი (მათ შორის **კლიენტის** ვალდებულებები), რომელიც წინააღმდეგობაში არ მოდის **ციფრული ბარათის** ბუნებასთან.

16.6.6. იმ ბარათებთან დაკავშირებით, რომლის ჩართვასაც **კლიენტი** განახორციელებს Apple Pay-ში ან/და Google Pay-ში, ვრცელდება შესაბამისად Apple Pay-ში ლიბერტის საბანკო **ბარათის** ჩართვის და გამოყენების პირობები ან/და Google Pay-ში ლიბერტის საბანკო ბარათის ჩართვის და გამოყენების პირობები, რომელიც ხელმისაწვდომია **ბანკის** ვებ-გვერდზე www.libertybank.ge და წინამდებარე **პირობებთან** ერთად წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას.

16.6.7. **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს **ბანკს ციფრული ბარათის** გაუქმების/დაბლოკვის მოთხოვნით **ბანკის** მიერ განსაზღვრული არხების მეშვეობით.

16.6.8. **ციფრული ბარათის** დაბლოკვა/გაუქმება არ იწვევს **კლიენტის ანგარიშზე** მიმძღული სხვა **ციფრული ბარათ(ებ)ის** ან/და ფიზიკური **ბარათ(ებ)ის** გაუქმებას.

16.6.9. **ბანკი** უფლებამოსილია დააწესოს 365 დღის განმავლობაში **ციფრული ბარათ(ებ)ის** აქტივაციის მაქსიმალური ლიმიტი. აღნიშნული ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, **კლიენტი** ვეღარ შეძლებს ახალი **ციფრული ბარათ(ებ)ის** გააქტიურებას როგორც არსებულ ისე ახალ **ანგარიშზე**. მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ **კლიენტი ციფრული ბარათის** გააქტიურების ინიცირების მომენტში არ სარგებლობს სხვა აქტიური **ციფრული ბარათ(ებ)ით**. 365 დღის განმავლობაში **ციფრული ბარათ(ებ)ის** გააქტიურების დასაშვები ოდენობა განისაზღვრება **პირობების** შესაბამისი **დანართით**. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **ციფრული ბარათ(ებ)ით** დადგენილი ლიმიტის მიუხედავად, შეუზღუდოს **კლიენტს ციფრული ბარათით** სარგებლობის/გააქტიურების უფლება ბარათის არაკეთილსინდისიერად გამოყენების გამო.გამო.ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **ციფრული ბარათ(ებ)ით** დადგენილი ლიმიტის მიუხედავად, შეუზღუდოს **კლიენტს ციფრული ბარათით** სარგებლობის/გააქტიურების უფლება ბარათის არაკეთილსინდისიერად გამოყენების გამო.

16.7. საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი

16.7.1. **საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოება** წარმოადგენს ბანკის მიერ **კლიენტისათვის** შეთავაზებულ დაცვის დამატებით საშუალებას, რომლის მიზანია უზრუნველყოს VISA ან MasterCard-ის საერთაშორისო საგადასხდელი სისტემაში ჩართული **ბარათით** ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების უსაფრთხოდ შესრულება Verified by Visa და MasterCard SecureCode სერვისების სახით.

16.7.2. **ბარათის 3D უსაფრთხოების** გააქტიურება შესაძლებელია განხორციელდეს **ბანკის** მიერ თავისი ინიციატივით წინამდებარე **პირობების** და **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად.

16.7.3. **ბარათით** ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას **3D უსაფრთხოების** ერთჯერადი სმს ვერიფიკაციის კოდი გაიგზავნება **ბანკში** საბანკო **ბარათის მფლობელზე** დარეგისტრირებულ ნომერზე.

16.7.4. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ იმ შემთხვევაში თუ **ბანკში** მითითებული **კლიენტის** საკონტაქტო მონაცემები არასრულია ან/და არასწორია, იგი ვერ შეძლებს **ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისით** სარგებლობას და ისეთი ოპერაციების შესრულებას, რომლისთვისაც მოითხოვება **3D უსაფრთხოების სერვისის** გამოყენება.

16.7.5. **ბანკი** უფლებამოსილია უსაფრთხოების შეხედულებებიდან გამომდინარე თავისი ინიციატივით **ბარათის მფლობელისათვის 3D უსაფრთხოების** ჩართვა მოახდინოს მათ შორის **ბარათის უფლებამოსილი მფლობელის** მიერ უშუალოდ ინტერნეტ-ტრანზაქციის განხორციელების დროს.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

- 16.7.6. **3D უსაფრთხოების** გამოყენებით ინტერნეტით ტრანზაქციების (საქონლის ან/და მომსახურების შეძენა) განსახორციელებლად აუცილებელია **ზარათის უფლებამოსილი მფლობელი** დარწმუნდეს სავაჭრო ობიექტის ვებ-გვერდის ნამდვილობაში, რა მიზნითაც აუცილებელია მინიმუმ შემდეგი პირობების არსებობა: (ა)სავაჭრო ობიექტის ვებ-გვერდზე განთავსებული უნდა იყოს **ზანკის** და „Verified by VISA“ ან „MasterCard SecureCode“-ის ლოგო; (ბ) მომთხოვნ ვებ-გვერდს უნდა გააჩნდეს უსაფრთხოების სერტიფიკატები.
- 16.7.7. **ტრანზაქციების** განსახორციელებლად **ზარათის უფლებამოსილი მფლობელი**ს მიერ გამოსაყენებელი ერთჯერადი სმს ვერიფიკაციის კოდი დინამიურია და ოგზავნება მომენტალურად საბანკო **ზარათით** ინტერნეტით ტრანზაქციების (საქონლის ან/და მომსახურების შეძენა) განხორციელების დროს.
- 16.7.8. **ზარათის უფლებამოსილი მფლობელი** პასუხისმგებელია ვერიფიკაციის ერთჯერადი სმს კოდის ან/და ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას გამოყენებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფაზე, შესაბამისად **ზანკი** ან/და VISA/MasterCard-ის საერთაშორისო საგადახდელო სისტემა არ არიან პასუხისმგებელი აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილ ნებისმიერ ზიანზე ან/და ზარალზე.
- 16.7.9. **ზანკს** არ გააჩნია კონტროლის საშუალება სავაჭრო ობიექტის მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე, აქედან გამომდინარე **ზანკი** არ არის პასუხისმგებელი სავაჭრო ობიექტის მიერ განხორციელებული მომსახურების შედეგად წარმოშობილ უზუსტობებზე, **კლიენტისათვის** ან/და მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე/ზარალზე, აგრეთვე სავაჭრო ობიექტის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის სისწორეზე, ცვლილებებზე ან/და მომსახურების შედეგად წარმოშობილ სხვა ხარვეზებზე.
- 16.7.10. **3D უსაფრთხოების** სერვისით სარგებლობისას **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **დავალებაზე**, რომელსაც იგი გასცემს **ზანკზე** სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ.
- 16.7.11. **ზანკი** ყველა ზომას მიმართავს იმისთვის, რომ **კლიენტი** უზრუნველყოს **3D უსაფრთხოების** სერვისით, მაგრამ **ზანკი** არ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა აღნიშნული მომსახურებით **კლიენტის** უზრუნველყოფა **ზანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო (მათ შორის და არამარტო, ადგილი აქვს **ზანკის** სისტემის ან **3D უსაფრთხოების** სერვისის შეფერხებას სისტემის განახლების ან/და გაუმჯობესების მიზეზით, **3D უსაფრთხოების** სერვისის შესაძლებელია არ იყოს ხელმისაწვდომი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი მერჩანტების ვებ-გვერდებზე).
- 16.7.12. **კლიენტის** ან/და საკუთარი ინტერესების დასაცავად, **ზანკს** შეუძლია შეაჩეროს ან/და შეზღუდოს **კლიენტის** მიერ **3D უსაფრთხოების** სერვისით ან მისი ნაწილით სარგებლობა. ამგვარი ქმედების განხორციელებისას **ზანკი** პირველი შესაძლებლობისთანავე შეტყობინებას გაუგზავნის **კლიენტს**. **ზანკს** აგრეთვე შეუძლია ნებისმიერ დროს მილიანად ან ნაწილობრივ შეუწყვიტოს **კლიენტს 3D უსაფრთხოების** სერვისით სარგებლობა. **3D უსაფრთხოების** სერვისის შეჩერების ან/და შეზღუდვის შემთხვევაში მომსახურების შეჩერებამდე/შეზღუდვამდე არსებულ ოპერაციებზე პასუხისმგებელია **კლიენტი**.
- 16.7.13. **ზანკის** მხრიდან არ ჩაითვლება **ხელშეწყობის** დარღვევად და იგი არ იქნება ვალდებული დამდგარ შედეგზე როდესაც:
- 16.7.13.1. **3D უსაფრთხოების** სერვისით (ან მისი ნაწილით) მომსახურება შეუძლებელია **ზანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო;
- 16.7.13.2. ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას გაუმართავია სატელეკომუნიკაციო საშუალებები;
- 16.7.13.3. **ზარათის უფლებამოსილი მფლობელი**ს ტექნიკურ საშუალებებს გააჩნიათ პროგრამული ვირუსი;
- 16.7.13.4. **კლიენტის** უსაფრთხოების დეტალები (კერძოდ, ერთჯერადი სმს ვერიფიკაციის კოდი) არაავტორიზებულად იქნა გამოყენებული;
- 16.7.13.5. **ზანკს** არ მიუღია **კლიენტის** მიერ გაგზავნილი დავალებ(ებ)ი.
- 16.8. **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისი**
- 16.8.1. **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისით** სარგებლობისას **კლიენტს** შეუძლია საკუთარი **ზარათი** დაიცვას საქართველოში და საზღვარგარეთ, ბანკომატში, პოს-ტერმინალზე და **ციფრული ზანკის** მეშვეობით მესამე პირის მიერ **ზარათის** არალეგალური გამოყენებით გამოწვეული შედეგისგან. **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისი** ასევე მოიცავს ოპერაციის/ტრანზაქციის ხარვეზით დამდგარი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.
- 16.8.2. **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისის** გააქტიურება შეუძლია ნებისმიერ რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ პირს, რომელიც ფლობს **ზანკის** მიერ ემიტირებულ, აქტიური სტატუსის მქონე პლასტიკურ ან/და **ციფრულ ზარათს**, **ზანკისათვის** შესაბამისი **განაცხადით** მომართვის გზით.
- 16.8.3. **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისის** აქტივაცია შესაძლებელია, როგორც ახალ, ასევე არსებულ **ზარათზე**, **ზანკზე** არსებული წესებისა და შესაბამისი **სატარიფო პაკეტების** გათვალისწინებით. **კლიენტი** უფლებამოსილია ერთ **ზარათზე** დაარეგისტრირდეს მხოლოდ ერთი პაკეტი.
- 16.8.4. **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისის** აქტივაცია დაუმეგებელია სასჯელადსრულების დაწესებულებაში მყოფი პირის ზარათზე, სოციალურ ზარათზე, ლოკალურ ზარათზე.
- 16.8.5. **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისით** მომსახურების ფარგლებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ტრანზაქციებზე (VISA/Mastercard/UPI) **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში **ზანკი** მოახდენს:
- 16.8.5.1. საბარათო ოპერაციის თანხის ანაზღაურებას სერვისის პირობებით და **შესაბამისი სატარიფო** პაკეტით გათვალისწინებული ლიმიტების ფარგლებში;
- 16.8.5.2. ქვეყნის შიგნით და გარეთ დაჯავშნილ თანხაზე ჯავშნის ვადაზე ადრე მოხსნას, **კლიენტის** მიერ ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;
- 16.8.6. **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისი** ავტომატურად წყდება არალეგალური საბარათო ოპერაციის, შესაბამისი პაკეტით გათვალისწინებული ლიმიტების ფარგლებში, **ზანკის** მიერ ერთჯერად ანაზღაურების შემდეგ.
- 16.8.7. იმისთვის, რომ **კლიენტმა** დაუყოვნებლივ მიიღოს შეტყობინება **ზარათზე** განხორციელებული არალეგალური ოპერაციის შესახებ, **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისის** აქტივაციისას, **კლიენტის** იმ ანგარიშზე, რომელზეც მიმბეჭდილია შესაბამისი **ზარათი**, სავალდებულო წესით გააქტიურდება **SMS ზანკი**.
- 16.8.8. **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისი** აქტიურდება კონკრეტულ **ზარათზე** და მოქმედია **ზარათის** მოქმედების ვადის ამოწურვამდე.
- 16.8.9. **კლიენტი** უფლებამოსილია გააუქმოს **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისი** შესაბამისი სერვისის დეაქტივაციის **განაცხადის** დაფიქსირებით.
- 16.8.10. **ზანკი** უფლებამოსილია შეუწყვიტოს **კლიენტს ზარათის დაცვის დამატებითი სერვისი** თუ **ზანკი** მოახდენს **კლიენტის** მხრიდან **ზარათის** მეშვეობით განხორციელებული არალეგალური ოპერაციების იდენტიფიცირებას ან თუ მიიჩნევს, რომ **ზარათის** მფლობელის მხრიდან განხორციელდა არაკეთილსინდისიერი/თაღლითური ქმედებები ან/და **კლიენტის** განზრახ ბრალული ქმედებების შედეგად მიადგა ზიანი **ზანკს**.
- 16.8.11. თუ **კლიენტის** მიერ სერვისის შექმნიდან **ზარათის** მოქმედების ვადის ბოლომდე დარჩენილია 1 (ერთი) კალენდარულ წელზე ნაკლები, მომსახურება გაგრძელდება **ზარათის** მოქმედების ვადის ბოლომდე.
- 16.8.12. **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისის** ღირებულება განისაზღვრება **პირობების** შესაბამისი **დანართით** განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.
- 16.8.13. **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისის** საფასურის გადახდა მოხდება შემდეგი პირობების დაცვით:
- 16.8.13.1. **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისის** აქტივაცია ხდება **ზარათის** მფლობელის ანგარიშთან ანგარიშის წლიური **საკომისიოს** ჩამოჭრისთანავე;
- 16.8.13.2. ყოველი შემდეგი **საკომისიოს** ჩამოჭრა განხორციელდება წინა კალენდარულ წელს **საკომისიოს** ჩამოჭრის თარიღიდან 1 (ერთი) კალენდარული წლის გასვლისთანავე;
- 16.8.13.3. **სატარიფო პაკეტის** ღირებულების გადაუხდელობის ან არარსებობის შემთხვევაში, დამდგარი ზიანის ანაზღაურებას **ზანკი** მოახდენს დავალიანების სრულად დაფარვის შემდგომ.
- 16.8.13.4. თუ **ზანკი** მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას დამდგარი ზიანის ანაზღაურების შესახებ, **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისის** წლიური **საკომისიოს** ოდენობის **კლიენტის ანგარიშზე** არ არსებობის (ან ნაწილობრივ არსებობის) შემთხვევაში, **საკომისიოს** თანხის დაფარვა ავტომატურად მოხდება **კლიენტის ანგარიშზე** ანაზღაურებულ თანხიდან.
- 16.8.14. საეჭვო **ტრანზაქციის** გასაჩივრებლად, **კლიენტი** ვალდებულია **ზანკს** აცნობოს **ტრანზაქციის** აღმოჩენისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ოპერაციის შესრულებიდან 13 (ცამეტი) თვისა, ხოლო არავტორიზებული ტრანზაქციის ოპერაციის შემთხვევაში არაუგვიანეს 75 (სამოცდათხუთმეტი) დღისა, თუ კანონმდებლობით სხვა ვადები არ იქნება განსაზღვრული.
- 16.8.15. თუ **ზანკის** მხრიდან გამოვლინდება საეჭვო **ტრანზაქცია** სავალდებულო წესით დაიბლოკება **ზარათი**, ხოლო შემდგომ **კლიენტს** შეეძლება **ზარათის** განახლება **ზანკში** არსებული პროცედურის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** უარს განაცხადებს **ზარათის** განახლებაზე, **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისის** ავტომატურად გაუქმდება.
- 16.8.16. **ზანკი** მოახდენს მხოლოდ დამუშავებული (ჩამოჭრილი) საბარათო ოპერაციის ანაზღაურებას, ხოლო ბლოკირებული თანხების ანაზღაურება **ზანკის** მიერ არ განხორციელდება, სანამ არ მოხდება აღნიშნულ თანხებზე ბლოკის მოხსნა **კლიენტის** მიერ ბლოკის მოსახსნელად **ზანკის** მიერ მოთხოვნილი ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.
- 16.8.17. **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისით** სარგებლობა არ გულისხმობს **ზანკის** ვალდებულებას უპირობოდ დააკმაყოფილოს **კლიენტის** მოთხოვნა თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საკითხის მოკვლევის გარეშე, **კლიენტის** მომართვა თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ექვემდებარება **ზანკის** შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ ინდივიდუალურ განხილვას. **ზანკი** არ არის ვალდებული ანაზღაურდეს შესაბამისი თანხა ქვემოთაღმოვლილ შემთხვევებში:
- 16.8.17.1. **კლიენტმა** საეჭვო/არალეგალური ოპერაციის ფაქტის დადგომის შესახებ არ აცნობა **ზანკს** წინამდებარე პირობების 16.8.14 პუნქტით დადგენილ ვადებში;
- 16.8.17.2. **ზანკს** გააჩნია გონივრული ეჭვი **ზარათის მფლობელის** მხრიდან არაკეთილსინდისიერი/თაღლითური ქმედების ან განზრახ ბრალულობის შესახებ;

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

- 16.8.17.3. **ზარათის** გამოყენება არალეგალურად განხორციელდა **ზარათის მფლობელის** ნებართვით ნებისმიერი მესამე პირის მიერ;
- 16.8.17.4. ოპერაცია განხორციელდა **ზარათის დაცვის დამატებითი სერვისის** გაუქმების შემდეგ;
- 16.8.17.5. **ზარათით** განხორციელებული ოპერაციის ღირებულება აღემატება აღნიშნულ პირობების შესაბამისი დანართით დადგენილ ლიმიტის მოცულობას. ასეთ შემთხვევაში ოპერაცია ანაზღაურდება მხოლოდ შესაბამისი ლიმიტების ფარგლებში;
- 16.8.17.6. **ზარათის მფლობელმა** არ უზრუნველყო დაკარგული/მოპარული **ზარათის ბანკში** მოქმედი წესების შესაბამისად დაბლოკვა;
- 16.8.17.7. **ოპერაცია** დადასტურებულია პინ-კოდით;
- 16.8.17.8. **ოპერაცია** დადასტურებულია 3D უსაფრთხოების კოდით;
- 16.8.17.9. ელექტრონული კომერციით შესრულებული **ოპერაციის** დროს თანხა არ აესახა შესაბამის მერჩანტს;
- 16.8.17.10. გადაირიცხვა შესრულებულია სახელმწიფო ბიუჯეტში, სახელმწიფო ორგანიზაციებში, საბროკერო კომპანიებში ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერებთან;
- 16.8.17.11. ტრანზაქცია დამუშავებულია დაგვიანებით;
- 16.8.17.12. Dynamic Currency Conversion სერვისის გამოყენების შედეგად წარმოიშვა საკურსო სხვაობა;
- 16.8.17.13. თანხა განაღდება **ბანკის** მომსახურე ობიექტებიდან;
- 16.8.17.14. საქართველოს კანონით „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ დადგენილ შემთხვევებში, გარდა სერვისის პირობებით განსაზღვრული შემთხვევებისა.
- 16.8.18. **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო **კლიენტი** ან/და **დამატებითი ზარათის მფლობელი** ვალდებულია წარმოადგინოს **ზარათით** შესრულებული გადახდის ან/და განაღდება ოპერაციის შესახებ დამატებითი წერილობითი ინფორმაცია შესაბამისი სამართალდამცავი ორგანიზაციისაგან (ან უცხო ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანიზაციის) ან/და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია ან/და დოკუმენტი (მათ შორის შეკვეთის დადასტურების/გაუქმების წერილები), ოპერაციის ჩეკი, ინვოისი, მერჩანტთან კომუნიკაციის შედეგი ან/და ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია/დოკუმენტი **ბანკის** მოთხოვნის შესაბამისად, რაც **ბანკს** ხელს შეუწყობს სავალი ოპერაციით განკარგული თანხების **კლიენტისათვის** ანაზღაურებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში. **ბანკი** არ არის ვალდებული გაუწიოს **კლიენტს** ზარათის დაცვის დამატებითი სერვისით გათვალისწინებული მომსახურება, მათ შორის ანგარიშზე არსებულ თანხებს მოხსნას ბრონი იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** არ წარმოადგენს წინააღმდეგ პუნქტის შესაბამისად **ბანკის** მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას/დოკუმენტაციას.
- 16.8.19. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი/ზარათის მფლობელი** თანხის ანაზღაურებას ითხოვს იმ საფუძველზე რომ არ მიუღია **ტრანზაქციის** შედეგად შექმნილი მომსახურება/პროდუქტი ან/და შექმნილი მომსახურება/პროდუქტი არ შეესაბამება აღწერილს, თანხის ანაზღაურების საკითხი წყდება **კლიენტის/ზარათის მფლობელის** მიერ წარმოდგენილი ან/და **ტრანზაქციასთან** დაკავშირებით **ბანკის** მიერ მოპოვებული შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების განხილვის საფუძველზე. **ბანკი** უფლებამოსილია დეტალების დასაზუსტებლად დაიწიოს მოკვლევა **საერთაშორისო საგადახდო სისტემების** წესების შესაბამისად ან/და შესაბამისი **საერთაშორისო საგადახდო სისტემაში** აწარმოოს დავის პროცედურა. ამასთან იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ არ დადასტურდება **კლიენტის** მიერ მითითებული გარემოებები ან/და დავა არ გადაწყდება **კლიენტის** სასარგებლოდ, **ბანკი** უფლებამოსილია უარი განუცხადოს **კლიენტს** თანხის ანაზღაურებაზე ან/და მოითხოვოს უკვე გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.
- 16.8.20. **ბანკი** არ აანაზღაურებს **ზარათით** შესრულებულ არალეგალური გადახდის ან/და განაღდება ოპერაციით დამდგარ დამატებით ზიანს/ზარალს, რომელიც შესაძლებელია გამოწვეული იქნას **ზარათით** შესრულებული არალეგალური გადახდის ან/და განაღდება ოპერაციის შედეგად.
- 16.8.21. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად თანხის ანაზღაურების შემდეგ გამოვლინდება **პირობების** 16.8.17 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება ან/და **საერთაშორისო საგადახდო სისტემების** წესების შესაბამისად განხილული დავა არ გადაწყდება **კლიენტის/ზარათის მფლობელის** სასარგებლოდ, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ზარათის დაცვის დამატებითი სერვისის ფარგლებში ანაზღაურებული თანხა.

16.9. ზარათის საკურიერო სერვისი

- 16.9.1. **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ **კლიენტს** შესთავაზოს **ზარათის** საკურიერო სერვისი **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობებისა და წესების დაცვით, თავისმხრივ **კლიენტს** აღნიშნული სერვისის ფარგლებში შესაძლებლობა აქვს მიიღოს **ზარათი** მის მიერ განსაზღვრულ სასურველ მისამართზე. **კლიენტი** ვალდებულია პირადად ჩაიბაროს კურიერის მიერ მისამართზე მიტანილი **ზარათი**.
- 16.9.2. **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ **ზარათის** საკურიერო სერვისი ხელმისაწვდომი გახადოს მხოლოდ **ბანკის** გარკვეული სეგმენტის **კლიენტებისთვის**.
- 16.9.3. **ზარათის** საკურიერო სერვისის აქტივაცია შესაძლებელია **ზარათის ბანკის** მიერ დადგენილი წესით შეკვეთის/რეგისტრაციის პროცესში **ბანკში** ფიზიკური ვიზიტის გზით (ან/და **ბანკის** მიერ საპრომოციო განსაზღვრული არხების მეშვეობით) და იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მითითებულ მისამართზე **ბანკის** მიერ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად შესაძლებელია განხორციელდეს **ზარათის** მიწოდება. ამასთან სერვისის აქტივაციისა და მომსახურების მიღების მიზნით, **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს **ბანკის** მიერ დადგენილი საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 16.9.4. **კლიენტი ზარათის** საკურიერო სერვისით სარგებლობის შემთხვევაში ვალდებულია შესაბამის **განაცხადში** მიუთითოს ზუსტი მისამართი, რომელზეც **კლიენტს** სურს **ზარათის** მიღება, აგრეთვე, განსაზღვროს **ბანკის** მიერ დადგენილი კონკრეტული ფილიალურიდან, იმ ფილიალის ადგილსამყოფელი, სადაც კურიერი შეძლებს **ზარათის** მიტანას თუ **კლიენტი** მისამართზე ვერ ჩაიბარებს **ზარათს**. **კლიენტი** აცნობიერებს, რომ **ზარათის** ნებისმიერი მიზნით ჩაუბარებლობისას, მათ შორის და არა მარტო იმ შემთხვევაში თუ **კლიენტის** მიერ **განაცხადში** მითითებული მისამართი მცდარია/არაზუსტია ან/და **კლიენტი** კურიერს მითითებულ მისამართზე არ დახვდა, კურიერის მიერ მისამართზე განმეორებით ვიზიტი არ განხორციელდება და აღნიშნულ შემთხვევებში **ზარათის** მიღების მიზნით **კლიენტმა** უნდა მიმართოს **განაცხადში** მითითებულ ფილიალს.
- 16.9.5. **კლიენტი** ვალდებულია საკურიერო სერვისის ფარგლებში მიწოდებული **ზარათის** ჩაბარებისას შეამოწმოს კონვერტის მთლიანობა და ურღვეობა. თუ **კლიენტი** მიიჩნევს რომ კონვერტის მთლიანობა დარღვეულია ან/და კონვერტი შეიცავს სხვა რაიმე სახის ნაკვს **კლიენტი** ვალდებულია არ გაააქტიუროს **ზარათი** და აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს**.
- 16.9.6. **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს რომ იგი სრულიად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ **ოპერაციაზე** რომელიც განხორციელდება **ზარათის** საკურიერო სერვისით მის მიერ ჩაბარების შემდგომ.
- 16.9.7. **ზარათის** საკურიერო სერვისის ფარგლებში **კლიენტისთვის** მიწოდებული **ზარათით** სარგებლობისთვის, **კლიენტმა** უნდა განახორციელოს **ზარათის** აქტივაცია ციფრული არხების მეშვეობით **ბანკის** მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

17. დისტანციური საბანკო მომსახურება

- 17.1. **უსაფრთხოების პირობები დისტანციური საბანკო მომსახურებისას**
- 17.1.1. **ბანკი** სთავაზობს **კლიენტს** დისტანციურ საბანკო მომსახურებებს, რომლებიც **კლიენტს** აძლევს საშუალებას განახორციელოს **საბანკო ოპერაციები ბანკში** გამოუცხადებლად სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობების ან/და არხების გამოყენებით. **ბანკი** იტოვებს უფლებას, რომ დროდადრო შეცვალოს ან/და გააუქმოებს **დისტანციური საბანკო მომსახურება(ები)**.
- 17.1.2. **უფლებამოსილება:**
- 17.1.2.1. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს**, რომ მიიღოს და შესაბამისად განახორციელოს **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიცემული საგადახდო დავალებები და ამ პერიოდისთვის **ბანკის** მიერ ნებადართული **ოპერაციები**, მათ შორის, გარიგებები, რაც შეუზღუდვის გარეშე მოიცავს **კლიენტის ანგარიშიდან** ან/და **ანგარიშზე** იმ **ოპერაციების** განხორციელებას ან/და **კლიენტის** მიერ იმ გარიგებებზე თანხმობის გამოხატვას, რომელიც ავტორიზებული/დადასტურებული იქნა **ბანკის** მიერ დადგენილი/მოთხოვნილი/განსაზღვრული უსაფრთხოების პროცედურა(ებ)ის გავლის შემდეგ.
- 17.1.2.2. **ბანკი** დაეკრძალება **კლიენტისგან** მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან/და სხვა **წდომის კოდებით**, ელექტრონული ფოსტით ან/და **ციფრული ბანკით** მიღებულ ნებისმიერ ელექტრონულ **დავალებას** და **ბანკი** არ იქნება ვალდებული შეამოწმოს გამომგზავნის პიროვნება ან **ოპერაციის** ნამდვილობა თუ **კლიენტი** აუთენტიკურებულია უსაფრთხოების პროცედურების შესაბამისად. **კლიენტი** არანაირ ვითარებაში არ შეედავება **ბანკს** იმის გამო, რომ იგი ეყრდნობა ამგვარ **დავალებებს**. **ბანკი** არც ერთ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი **დისტანციური საბანკო მომსახურების** არავტორიზირებულ გამოყენებაზე მესამე პირების მხრიდან.
- 17.1.2.3. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს მასზე, რომ მის მიერ **განაცხადში** მითითებული მობილური ტელეფონის ნომრიდან **ბანკისათვის** დავალების გაგზავნა/დადასტურება **ბანკის** მიერ განხილდება როგორც **კლიენტისგან** გაგზავნილად მიუხედავად იმისა, რეალურად იქნა თუ არა აღნიშნული **დავალება კლიენტის** ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გაგზავნილი.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

- 17.1.2.4. კლიენტი აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს მასზე, რომ მის მიერ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტით **ზანქისათვის დავალების** გაგზავნა/დადასტურება **ზანქის** მიერ განხილვაზე როგორც **კლიენტისგან** გაგზავნილად მიუხედავად იმისა, რეალურად იქნა თუ არა აღნიშნული **დავალება კლიენტის** ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გაგზავნილი.
- 17.1.2.5. კლიენტი აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს მასზე, რომ **ციფრული ზანქის** საშუალებით **ზანქისათვის დავალების** გაგზავნა **ზანქის** მიერ განხილვაზე როგორც აღნიშნული **დავალების** გაგზავნა იმ პირის მიერ, ვინც გაიარა შესაბამისი ავთენტიფიკაცია, არის ავტორიზებული **ზანქის** სპეციალური უსაფრთხოების სისტემების საშუალებით, მიუხედავად იმისა, რეალურად იქნა თუ არა აღნიშნული **დავალება კლიენტის** ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გაგზავნილი.
- 17.1.2.6. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** ანგარიშთან დაკავშირებულია/მიმბმულია რამდენიმე **ზარათი** ან/და დაკავშირებულია რამდენიმე **უფლებამოსილი მფლობელი**, **ზანკი** შესაძლებელია ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილისგან მიღებულ **დავალებას**, მაგრამ თითოეული პასუხისმგებელი იქნება ყველა **ოპერაციაზე** ან/და ასეთი **ოპერაციისგან** წარმოშობილ დავალიანებაზე.
- 17.1.2.7. კლიენტი აცნობიერებს, რომ **დისტანციური საბანკო მომსახურებით** განხორციელებულ **ოპერაციას** აქვს ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერით) ქაღალდზე დაბეჭდილი საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.
- 17.1.2.8. კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **ზანკს**, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეუძლია ჩაიწეროს ნებისმიერი ან ყველა **დავალება**, რომელიც მიღებულ ან გაგზავნილ იქნა **დისტანციური საბანკო მომსახურების** გამოყენებით და შეინახოს ამგვარი ინფორმაცია იმ სახით და ფორმით, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს. **კლიენტი** ადასტურებს, რომ **ზანკს** შეუძლია დაეყრდნოს ასეთ ინფორმაციას და გამოიყენოს ნებისმიერი დავის განხილვისას როგორც მტკიცებულება.
- 17.1.3. **უსაფრთხოების პროცედურა და რისკები დაკავშირებულია დისტანციურ საბანკო მომსახურებებთან**
- 17.1.3.1. **კლიენტის** მიერ **დისტანციური საბანკო მომსახურებით** სარგებლობისას, იდენტიფიცირება არ ხდება ხელმოწერით ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ასეთ შემთხვევაში პიროვნების იდენტიფიცირება ხდება **კლიენტის** მიერ აუთენტიფიკაციის დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, ნებისმიერი ქმედება, რომელიც შესრულებულია მას შემდეგ, რაც ელექტრონულ სისტემაში მოხდა ნებადართული შედგენა ნამდვილობის დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, ასეთი შედეგად შეიქმნება და შეიქმნება შედეგად შესრულებული ნებისმიერი **ოპერაცია** ჩათვლება **კლიენტის** მიერ სათანადოდ შესრულებულად და სამართლებრივი ძალის მქონედ.
- 17.1.3.2. **ზანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, **კლიენტთან** წინასწარი შეთანხმების გარეშე შეცვალოს ან/და შექმნას დამატებითი მექანიზმები **კლიენტის** საიდენტიფიკაციოდ როგორც **ციფრულ ზანკში** ავტორიზაციისას, ასევე **დისტანციური საბანკო მომსახურების არხის** გამოყენებით **ოპერაციის** დადასტურებისას ან/და **ზანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ქმედების განხორციელებისას.
- 17.1.3.3. **ზანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და **კანონდებლობის** მოთხოვნათა დაცვის მიზნით შეიმუშავოს **ციფრულ ზანკში** ორდონანს ავთენტიფიკაციის მექანიზმი. **კლიენტი** ვალდებულია **ციფრულ ზანკზე** წვდომისთვის ან/და **დისტანციური საბანკო მომსახურების არხის** მეშვეობით **ოპერაციების** შესრულებისას გამოიყენოს **ზანკის** მიერ შეთავაზებული ავთენტიფიკაციის მეთოდები **ზანკის** მიერ დადგენილი წესით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს ტელეფონის ნომრის ვერიფიცირება, ან/და გამოიყენოს **ციფრულ ზანკზე** წვდომისთვის/**დისტანციური საბანკო მომსახურების არხის** მეშვეობით **ოპერაციების** შესრულებისთვის ნებადართული სხვა ელემენტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, **კლიენტს** შესაძლია შეეზღუდოს **ციფრულ ზანკზე** წვდომა ან/და **დისტანციური საბანკო მომსახურების არხების** გამოყენებით ოპერაციების დადასტურების შესაძლებლობა, რაზეც **ზანკი** არ იქნებ პასუხისმგებელი.
- 17.1.3.4. **წვდომის კოდების** დაკარგვის ან/და ნებისმიერი სხვა მიზეზით არაუფლებამოსილი პირის ხელში აღმოჩენის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს **ზანკს**, რის საფუძველზეც **ზანკი** მიიღებს შესაბამის ზომებს, მათ შორის, **კლიენტის** მოთხოვნის შესაბამისად, მოახდენს **კლიენტის ანგარიშზე დისტანციური საბანკო მომსახურების** შეჩერებას.
- 17.1.3.5. ნებისმიერი ტექნიკური საშუალება, რომელსაც **კლიენტს** წარმოადგენს **ზანკის** საკუთრებას და **კლიენტის** მიერ გამოყენებული უნდა იქნას წინამდებარე **პირობებში** გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.
- 17.1.3.6. **კლიენტი** და **ზანკი** ვალდებული არიან დაიცვან საიდენტიფიკაციო ინფორმაციის, მათ შორის, **წვდომის კოდების** კონფიდენციალობა. **კლიენტი** ვალდებულია:
 - 17.1.3.6.1. უსაფრთხოდ შეინახოს **ციფრული ზანკით** ან/და სხვა **დისტანციური მომსახურების არხით** სარგებლობისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, მოწყობილობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და **წვდომის კოდები**. **კლიენტს** ეკრძალება აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება ნებისმიერი მესამე პირისათვის;
 - 17.1.3.6.2. პირველივე შესვლისას შეცვალოს **წვდომის კოდი** და შემდგომში პერიოდულად ცვალოს იგი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, და დაიცვას მისი კონფიდენციალობა;
 - 17.1.3.6.3. **წვდომის კოდის**, მოწყობილობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკარგვის ან გამჟღავნების შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** ეჭობს რომ სხვა მესამე პირი ფლობს **კლიენტის წვდომის კოდ(ებ)ს** ან/და უსაფრთხოების სხვა ინფორმაციას, დაუყოვნებლივ აცნობოს **ზანკს**. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** არ მოახდენს **ზანქისათვის** შეტყობინებას, **კლიენტი** პასუხისმგებელი იქნება ყველა იმ **ოპერაციაზე**, რომელიც განხორციელდა მის **ანგარიშზე**.
 - 17.1.3.6.4. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა იმ **ტრანზაქციაზე**, რომელიც განხორციელდება **კლიენტის** ან **კლიენტის** მიერ ავტორიზებული ნებისმიერი მესამე პირის მიერ **ციფრულ ზანკში** შესვლიდან გამოსვლამდე. **კლიენტის** ინტერესებიდან გამომდინარე არ უნდა დარჩეს **დისტანციური საბანკო მომსახურების არხებზე** წვდომისთვის გამოყენებული შესაბამისი მოწყობილობა უყურადღებოდ სანამ **კლიენტი** ან მისი ავტორიზებული პირი შესულა არიან **დისტანციური მომსახურების არხში**.
 - 17.1.3.6.5. პასუხი აგოს **დისტანციური საბანკო მომსახურებით** სარგებლობაზე. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობისთვის **კლიენტს ზანკში** არსებული პროცედურების დაცვით გადაეცემა **ციფრული ზანკით** სარგებლობისთვის საჭირო საიდენტიფიკაციო მონაცემები ან/და ელექტრონული საშუალებები ან/და მოწყობილობები, რომელთა გამოყენებითაც ხდება **კლიენტის** იდენტიფიკაცია. **კლიენტი** ვალდებულია ასეთი მოწყობილობების თუ საშუალებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამართულობა შეამოწმოს მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში.
 - 17.1.3.7. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმდება, რომ ინტერნეტით ინფორმაციის გადაცემა არ არის კოდირებული და შესაბამისად უსაფრთხო და რომ ელექტრონული ფოსტით ინფორმაციის გადაცემა არ წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემის უსაფრთხო სახეს. აქედან გამომდინარე, **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს, რომ ასეთი საფრთხის შემცველი სახით ინფორმაციის გადაცემა დაკავშირებულია უსაფრთხოების რისკებთან, მათ შორის მესამე პირების სავარაუდო შედეგის რისკთან ან/და ინფორმაციის არავტორიზებულ ცვლილებასთან ან/და ნებისმიერი სახით არავტორიზებულ გამოყენებასთან.
 - 17.1.3.8. **კლიენტი** აცნობიერებს იმ რისკებს რომელიც დაკავშირებულია ელექტრონული საშუალებებით ინფორმაციის გაცვლასთან და შესაბამისად პასუხისმგებელია ნებისმიერ იმ დანაკარგზე რომელიც გამოწვეულია ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ის მიერ ან ინფორმაციის გამოყენებით.
 - 17.1.3.9. **კლიენტი** სრულად აცნობიერებს, რომ დაუცველი კომუნიკაცია არ არის კონფიდენციალური და ასეთი სახით დავალების მიმცემისას, მისი შინაარსი და **დავალებასთან** დაკავშირებული/მიმბმული დოკუმენტები შესაძლებელია მესამე პირების მიერ იქნას წაკითხული და შეცვლილი შეუძლებლად.
 - 17.1.3.10. **ზანკი** არ იძლევა გარანტიას, რომ დაუცველი ელექტრონული ფოსტა რომელიც მის მიერ ან მის მისამართზე არის გაგზავნილი მიღებულ იქნება მასში ჩარევის გარეშე ან დროულად ან რომ მიღებული იქნება რეალური ადრესატის მიერ. ასევე, **ზანკი** არ იძლევა გარანტიას, რომ ნებისმიერი ელექტრონული ფოსტა, რომელიც გამგზავნად მიუთითებს **ზანკს**, არის რეალურად **ზანკის** მიერ გამოგზავნილი. უსაფრთხოების მიზნებისთვის, **ზანკი** უფლებამოსილია წინასწარი გაფრთხილების გარეშე უარი განაცხადოს ელექტრონული ფოსტის მიღებაზე ან დამუშავებაზე ან აღნიშნული ელექტრონული ფოსტის მიღებისა და დამუშავებისთვის განსაზღვროს დამატებითი პირობები და მოთხოვნები.
- 17.1.4. **ოპერაციები და დისტანციური საბანკო მომსახურების გაუქმება/ცვლილება:**
 - 17.1.4.1. **დისტანციური საბანკო მომსახურებ(ებ)ის** საშუალებით სამუშაო დღის განმავლობაში მიღებულ **დავალებებს**, **ზანკი** შესაძლებელია **კანონდებლობით** დადგენილ ან/და **მომხმარებლის** მიერ განსაზღვრულ ვადებში. **ზანკს** უფლება აქვს შეასრულოს **კლიენტის დავალება** მისი დამუშავებასთან დაკავშირებული დროის გათვალისწინებით. ამასთან, **ზანკი** არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე, ზიანზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ზარალებზე, რომელიც **კლიენტმა** მიიღო ტექნიკური საშუალებების ან მესამე პირების მიერ მომსახურების შეფერხების შედეგად აღნიშნული ვადის დარღვევაზე.
 - 17.1.4.2. **კლიენტი** პასუხისმგებელია **დისტანციური საბანკო მომსახურებ(ებ)ით** განხორციელებულ ყველა **ოპერაციაზე** და ასეთი მომსახურების გამოყენების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი დავალიანების გადახდაზე. **კლიენტის** მიერ დავალების **დისტანციური საბანკო მომსახურების არხის** საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში, **ზანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად უარი თქვას ინდივიდუალური **დავალების** შესრულებაზე, იმ შემთხვევაში თუ **ანგარიშზე** არსებული ნაშთი არ არის საკმარისი აღნიშნული **დავალების** შესასრულებლად ან მიღებული **დავალების** ოდენობა აჭარბებს **ზანკის** მიერ დადგენილ ყოველდღიურ ლიმიტს. **ზანკს** შეუძლია, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, მიიღოს ნებისმიერი სახის **ოპერაციის** ან დავალების გაუქმების მოთხოვნა **კლიენტისგან** იმის გათვალისწინებით, რომ **ზანკს** ჯერ არ დაუწყია აღნიშნული **ოპერაციის** ან **დავალების** განხორციელება. **ზანკი** არ იქნება პასუხისმგებელი დაგვიანებულ გადასახადზე ან ზარალებზე (პირდაპირი თუ არაპირდაპირი), რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას ამგვარი გაუქმებით.
 - 17.1.4.3. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმდება, რომ **ზანკს** ნებისმიერ დროს აქვს უფლება დააწესოს შეზღუდვა მის მიერ მომსახურების გაწევაზე ან **კლიენტის** მიერ **დისტანციური საბანკო მომსახურებ(ებ)ის** გამოყენებაზე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.
 - 17.1.4.4. **ზანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** აქტიურ ოპერაციებზე ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები.
 - 17.1.4.5. **ზანკი** უფლებამოსილია შეაჩეროს, გამოითხოვოს ან შეზღუდოს **დისტანციური საბანკო მომსახურება** მთლიანად ან ნაწილობრივ, იმ შემთხვევაში თუ:

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

- 17.1.4.5.1. **ბანკს** აქვს საფუძვლიანი ექვი, რომ **კლიენტის წვდომის კოდები** არ არის უსაფრთხოდ შენახული ან არის გატეხილი **მესამე პირის** მიერ;
- 17.1.4.5.2. **ბანკს** აქვს საფუძვლიანი ექვი **კლიენტის წვდომის კოდების** არაავტორიზებულ ან/და თაღლითურ გამოყენებაზე;
- 17.1.4.5.3. **ბანკს** მიაჩნია საჭიროდ **კლიენტის** უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
- 17.1.4.5.4. **კლიენტი** უფლებამოსილია დაბლოკოს **დისტანციური საბანკო მომსახურება ბანკის** მიერ განსაზღვრული არხებით **ბანკისთვის** შეტყობინების გაგზავნის გზით. **კლიენტის** მიერ შეტყობინება გაგზავნილად ითვლება, **ბანკის** მიერ მისი მიღების შემდეგ.
- 17.1.5. **მომსახურების მიღება და პასუხისმგებლობის შეზღუდვა:**
 - 17.1.5.1. **ბანკი** ყველა ღონის იხმარს რათა უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი არ იქნება პასუხისმგებელი მომსახურების განუხორციელებლობაზე, მთლიანად ან ნაწილობრივ, იმ მიზეზით რომელიც მის კონტროლის ფარგლებს მიღმა, მათ შორის მომსახურების განხორციელების ნებისმიერი სახით შეჩერება, რომელიც გამოწვეულია **ბანკის** ან წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი ნებისმიერი **მესამე პირის** სისტემის განახლებით ან სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ღონისძიებების ჩატარებით.
 - 17.1.5.2. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგს ან ზიანზე, ასევე **კლიენტის** ნებისმიერ პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯზე, რომელიც **კლიენტს** მიადგა ნებისმიერი მესამე პირის მიერ მომსახურების განხორციელების შეფერხებით ან ტექნიკური გაუმართაობით.
 - 17.1.5.3. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგს ან ზიანზე რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოწვეულია ტექნიკური დეფექტით, ელექტრონული გადაცემის ხარვეზით, **ბანკის** ელექტრონულ სისტემებში, და სხვა ელექტრონულ საშუალებებში უკანონო შეღწევის გზით. ამასთანავე, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგს ან ზიანზე, რომელიც გამოწვეული იქნა სერვისში შეფერხებით ან/და სერვისის გადატვირთვით რომელიც გააღელვს ახდენს ელექტრონული სისტემების ფუნქციონირებაზე.
 - 17.1.5.4. **ბანკი** არც ერთ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** გაგზავნილი ელექტრონული ფოსტის მიუღებლობაზე, რომელიც გამოწვეულია ინტერნეტ სერვის პროვაიდერის სერვერის პრობლემით, ცუდი/წელი კავშირით ან/და სხვა მიზეზით რომელიც გამოწვეულია ინტერნეტ სერვის პროვაიდერის ან/და ელექტრონული ფოსტის სერვერის ან/და **კლიენტის** მიერ.
 - 17.1.5.5. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი არასათანადო ინტერნეტ კავშირის გამო **დისტანციური საბანკო მომსახურების არხ(ებ)ით** სარგებლობის შეფერხებაზე ან/და შეუძლებლობაზე, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნული გამოწვეულია ინტერნეტ სერვის პროვაიდერის პრობლემით.
 - 17.1.5.6. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია **კლიენტის** ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ქსელის ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით, ასევე აღნიშნული საშუალებების გამოყენებით მესამე პირის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებით ან განხორციელებული ოპერაციებით.
 - 17.1.5.7. **ბანკი** არ აგებს პასუხს მობილურ სატელეფონო მომსახურებაზე და **კლიენტისთვის** ამგვარი მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ მობილური სატელეფონო მომსახურების მიმწოდებელი. **ბანკი** ასევე არ არის პასუხისმგებელი **კლიენტსა** და აღნიშნულ მობილური სატელეფონო მომსახურების მიმწოდებელს შორის წარმოშობილ სადავო სიტუაციაზე.
 - 17.1.5.8. არანაირ პირობებში, რაც აგრეთვე მოიცავს დაუდევარ მიდგომას, **ბანკი** ან მისი ნებისმიერი ქვედანაყოფი, რომელიც ჩართულია შექმნაში, წარმოებასა და **კლიენტის ანგარიშების** ამონაწერების მართვაში არ იქნება ვალდებული პირდაპირ, არაპირდაპირ, შემთხვევით, განსაკუთრებულ ან შედეგობრივ ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს **კლიენტს დისტანციური საბანკო მომსახურების არხების** გამოყენებით ან გამოუყენებლობით ან ნებისმიერ გარანტიის პირდაპირი ან არაპირდაპირი დარღვევით. **კლიენტის** მიერ ნებისმიერი ინფორმაციის გამოყენება ან შენახვა, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **წვდომის კოდ(ებ)ს, ანგარიშის** შესახებ ინფორმაციას, **ანგარიშებზე** ჩატარებული **ოპერაციების** ისტორიას, **ანგარიშის** ბალანსს და ნებისმიერ სხვა ინფორმაციას **კლიენტის ანგარიშის** შესახებ წარმოდგენს **კლიენტის** პასუხისმგებლობას და ვალდებულებას.
 - 17.1.5.9. **კლიენტი** აცხადებს, რომ დაიცავს **ბანკს** ნებისმიერი და ყველა პასუხისმგებლობისგან, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას მისი არასწორი გამოყენებით და აცხადებს, რომ **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი ამ შემთხვევაში ასეთ არასწორ გამოყენებაზე. **კლიენტი** ასევე აცხადებს, რომ დაიცავს **ბანკს** ყოველგვარი დანაკარგისგან, ხარჯისგან, ზარალისგან, რომელიც შესაძლებელია გამოწვეულ იქნას **კლიენტისთვის** მომსახურების შეფერხებით ან/და შეცდომით. **კლიენტი** აცხადებს, რომ **ბანკის** მიერ ზემოთაღნიშნული შეფერხება ან/და მისი ზოროტად გამოყენება არ განიხილება **ბანკის** მიერ კონფიდენციალურობის დარღვევად.

17.2. ღია ბანკინგი

- 17.2.1. ღია ბანკინგის გამოყენებით **კლიენტს** შესაძლებლობა ეძლევა **ბანკის ციფრულ ბანკში** ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია სხვა საბანკო დაწესებულებებში არსებული ანგარიშ(ებ)ის, მათ შორის ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ შემდეგი წესების გათვალისწინებით:
 - 17.2.1.1. ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დასაშვებია მხოლოდ **კლიენტის** მიერ გამოხატული თანხმობის საფუძველზე.
 - 17.2.1.2. ღია ბანკინგის ფარგლებში სხვა საბანკო დაწესებულებებში არსებული **კლიენტის** ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის **ბანკისთვის** გაზიარების მიზნით **კლიენტი** ვალდებულია ანგარიშის მომსახურე საბანკო დაწესებულებას მისცეს თანხმობა და მიუთითოს გასაზიარებელი ინფორმაციის მოცულობა.
 - 17.2.1.3. ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიცემული თანხმობა მოქმედია 90 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ **კლიენტს** კვლავ სურს **ბანკის ციფრული ბანკის** მეშვეობით წვდომა ჰქონდეს სხვა საბანკო დაწესებულებებში არსებულ თავის ანგარიშებზე, აღნიშნულზე ხელახლა უნდა გამოხატოს თანხმობა. ამავდროულად, თანხმობის ვადის გასვლა არ იწვევს უკვე მიღებული ინფორმაციის დამუშავების შეწყვეტას.
 - 17.2.1.4. **კლიენტი** უფლებამოსილია უარი განაცხადოს მის მიერ გაცემულ თანხმობაზე იმავე ფორმით და მოითხოვოს ინფორმაციის დამუშავების შეწყვეტა. ასეთ შემთხვევაში **ბანკი** შეწყვეტს **კლიენტის** მონაცემების დამუშავებას, შესაბამისად, **კლიენტის ციფრულ ბანკში** აღარ გამოჩნდება სხვა ბანკ(ებ)ში არსებული **კლიენტის** ანგარიშები.
 - 17.2.2. ღია ბანკინგის ფარგლებში **კლიენტი** ასევე უფლებამოსილია სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის ხელმისაწვდომი გახადოს **ბანკში** დაცული **კლიენტის ანგარიშ(ებ)ის** (მათ შორის, ანგარიშის დასახელება), ანგარიშ(ებ)ზე არსებული ნათშის ან/და განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია შემდეგი წესების გათვალისწინებით:
 - 17.2.2.1. ინფორმაციის გაზიარების მიზნით, **კლიენტი** ვალდებულია გამოხატოს თანხმობა;
 - 17.2.2.2. ინფორმაციის გაზიარების უფლება შეიძლება იყოს ერთჯერადი ან მრავალჯერადი;
 - 17.2.2.3. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის გაზიარების თაობაზე გამოხატული თანხმობა მრავალჯერადია, **კლიენტი** ასევე განსაზღვრავს 24 საათის განმავლობაში ინფორმაციის გამოთხოვის დასაშვებ რაოდენობას ნებადართული მაქსიმალური გამოთხოვის ოდენობის ფარგლებში;
 - 17.2.2.4. ინფორმაციის თითოეული გაზიარების უფლება გულისხმობს **ბანკში** დაცული ყველა იმ ინფორმაციის გაზიარებას, რომელიც ხელმისაწვდომია ღია ბანკინგით და რომელზეც მომხმარებელმა გასცა თანხმობა - მიუხედავად იმისა, ტექნიკურად რამდენიმე გამოხატება საჭირო ამ ინფორმაციის მისაღებად;
 - 17.2.2.5. გამოთხოვათა რაოდენობა შეზღუდულია იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ინფორმაციის აქტიურად მოთხოვნა, ანუ როდესაც **კლიენტი** უშუალოდ მუშაობს მესამე მხარის პროვაიდერის სისტემაში და მისი ქმედებების დასაკმაყოფილებლად პროვაიდერს ესაჭიროება დაუყოვნებლივ გამოთხოვოს ინფორმაცია **ბანკის** ელექტრონული სისტემისგან;
 - 17.2.2.6. **ბანკის** მხარეს ინფორმაციის გაზიარების შეწყვეტა რაიმე მიზეზით (მათ შორის ვადის გასვლით ან **კლიენტის** ქმედებით) არ გულისხმობს მესამე მხარის პროვაიდერში უკვე არსებული ინფორმაციის დამუშავების შეწყვეტას ან/და განადგურებას და აღნიშნული რეგულირდება **კლიენტსა** და მესამე მხარის პროვაიდერს შორის;
 - 17.2.3. გასაზიარებელი ინფორმაციის **ბანკისგან** მესამე მხარის პროვაიდერში გადაცემის შემდეგ **ბანკი** კარგავს ამ ინფორმაციის ნებისმიერი სახით დაცვაზე ეფექტურ კონტროლს. შესაბამისად, მას არ უნდა დაეცისროს რაიმე სახის პასუხისმგებლობა იმ შესაძლო ზიანზე, რომელიც შეიძლება ვინმეს მიადგეს მესამე მხარის პროვაიდერის მიერ ამ ინფორმაციის საკუთარ სისტემაში გადაწერით ან შემდგომ ეტაპებზე მიზნობრივად ან/და არამიზნობრივად დამუშავების შედეგად.

17.3. ციფრული ბანკი

- 17.3.1. ფიზიკური პირების **ციფრული ბანკით** მომსახურება გულისხმობს **ბანკში** გამოუცხადებლად **კლიენტის** მიერ **ბანკის** ინტერნეტ გვერდის ან/და შესაბამისი მობილური აპლიკაციის საშუალებით სხვადასხვა ინფორმაციის მიღებას, **კლიენტის ანგარიშზე** საბანკო **ოპერაციების** განხორციელებას ან/და ამ არხისთვის ნებადართული სხვა ქმედების განხორციელებას.
- 17.3.2. **ციფრული ბანკით** მომსახურებით სარგებლობისათვის **კლიენტის** მიერ უნდა დარეგისტრირდეს **ციფრული ბანკის** მომხმარებელი **ბანკის** მიერ დადგენილი წესების, პირობების და პროცედურების შესაბამისად.
- 17.3.3. **კლიენტის** მიერ **ციფრული ბანკის** მომსახურების გამოაყენებლად **კლიენტმა** უნდა გაიაროს ავტორიზაცია **კლიენტის** მიერ სათანადო წესითა და პირობებით რეგისტრირებული **წვდომის კოდების** ან/და **ბანკში** არსებული პროცედურების დაცვით გადაცემული უნიკალური იდენტიფიკატორების **წვდომის კოდების** ან/და ელექტრონული საშუალებების/მოწყობილობების მეშვეობით.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

17.3.4. ციფრულ ბანკზე წვდომისთვის აუცილებელია **ბანკში** დადგენილი წესით **ვერიფიცირებული ნომრის** არსებობა. **ბანკი** უფლებამოსილი შეუძენს **კლიენტს** ციფრული ბანკით სარგებლობის ან/და **ციფრულ ბანკში** კონკრეტული ქმედებების განხორციელების შესაძლებლობა, იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს ბანკში** არ გააჩნია **ვერიფიცირებული ნომერი** ან/და **კლიენტის** ტელეფონის ნომრის ნებისმიერი მიზეზით შეუსაბამო ვერიფიცირებული სტატუსი.

17.3.5. **ციფრული ბანკით** მობილური აპლიკაციის მეშვეობით სარგებლობის მიზნით, **კლიენტს ბანკში** დადგენილი წესით გააქტიურებული უნდა ჰქონდეს **ციფრული ბანკის** მომხმარებელი და გააჩნდეს სათანადო ოპერაციულ სისტემაზე (Android, IOS ან/და შემდგომში **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ოპერაციული სისტემა) მომუშავე მობილური ტელეფონი (შემდგომში "ტელეფონი"). აპლიკაცია ხელმისაწვდომია ოპერაციული სისტემების ინტერნეტ მაღაზიებში - Google Play, App Store და ა.შ.) ტელეფონზე ჩატვირთვის და მისი ინსტალაციის შემდეგ. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია მობილური ტელეფონის ნომრის საშუალებით თანხის გადარიცხვის სისტემის მხარდაჭერა, რომელზეც მორგებულია **ბანკის** შესაბამისი მობილური აპლიკაცია. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი აღნიშნული მიზეზით **კლიენტის** მიერ **ბანკის** მობილური აპლიკაციით შეყვანებით სარგებლობაზე ან/და სარგებლობის შეუძლებლობაზე.

17.3.6. **ბანკი** უფლებამოსილია შეასრულოს **კლიენტის** მიერ **ციფრული ბანკის** საშუალებით გაგზავნილი **დავალება**. ასეთი სახით გაგზავნილი **დავალება ბანკის** მიერ ჩაითვლება უფლებამოსილი პირის მიერ გაგზავნილად. **კლიენტის** მიერ **დავალების ციფრული ბანკის** საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად უარი თქვას ინდივიდუალური **დავალების** შესრულებაზე, იმ შემთხვევაში თუ ანგარიშზე არსებული ნაშთი არ არის საკმარისი აღნიშნული **დავალების** შესასრულებლად ან მიღებული **დავალების** ოდენობა აჭარბებს **ბანკის** მიერ დადგენილ ყოველდღიურ ლიმიტს.

17.3.7. **კლიენტი** უფლებამოსილია **ციფრული ბანკის** მეშვეობით სხვა პირის **ბანკში** გახსნილ ანგარიშზე თანხის გადარიცხვა განხორციელოს მიმღების მობილური ტელეფონის ნომრის ან პირადი ნომრის საშუალებით. **ბანკი** მობილური ტელეფონის ნომრის საფუძველზე პირის იდენტიფიკაციას ახორციელებს **ბანკში** დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომრის შესაბამისად, ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია მობილური ტელეფონის ნომრის საშუალებით თანხის გადარიცხვის სერვისი ხელმისაწვდომი გახადოს მხოლოდ **კლიენტის ვერიფიცირებულ ნომერზე**. **ბანკს** არ დაეკისრება პასუხისმგებლობა მიმღების მონაცემების ნებისმიერი მიზეზით არაზუსტად წარმოდგენის გამო, მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ მიმღებმა შეიცვალა **ბანკში** დაფიქსირებული ტელეფონის ნომერი და აღნიშნულის შესახებ არ შეუტყობინებია **ბანკისთვის**. **კლიენტი** ვალდებულია დეტალურად შეამოწმოს **ტრანზაქციის** დეტალები (მათ შორის, მიმღების ინიციალები, ანგარიშის ნომერი, ან/და პირადი ნომერი/მობილური ტელეფონის ნომრის შეყვანის შედეგად ხელმისაწვდომი სხვა ინფორმაცია) და გადარიცხვა დაადასტუროს მხოლოდ მათ სისწორეში დარწმუნების შემდეგ. **კლიენტის** მიერ მითითებული პარამეტრების შესაბამისად თანხის გადარიცხვის გამო დამდგარ ნებისმიერ შედეგზე პასუხისმგებელია **კლიენტი**. აღნიშნული სერვისით სარგებლობის ტარიფები და ლიმიტები მოცემულია **პირობების** შესაბამის **დანართში**.

17.3.8. **კლიენტი** უფლებამოსილია განხორციელოს მხოლოდ ის ტრანზაქცია ან ისარგებლოს იმ მომსახურებით, რომელიც განსაზღვრულია **ბანკის** მიერ და რომელიც **ბანკის** მიერ შესაძლებელია დრო და დრო შეიცვალოს ცალმხრივად.

17.3.9. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმდება, რომ **ბანკს** ნებისმიერ დროს აქვს უფლება განთავსოს სავალდებულო ძალის მქონე წერილობითი განცხადება (დისკლემერი) ელექტრონული სახით ინფორმაციის განთავსების და მიწოდების ადგილას.

17.3.10. თუ **კლიენტი ბანკის** მიერ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში არ ისარგებლებს **ციფრული ბანკით** და არ გაივლის აუტენტიფიკაციას, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება შეაჩეროს **კლიენტის ციფრული ბანკით** მომსახურება. მომსახურების აღდგენა განხორციელდება **ბანკის** მიერ დადგენილი წესით.

17.4. სმს ბანკი

17.4.1. **ბანკი კლიენტის** მიერ **ბანკში** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით აცნობებს **კლიენტს** ინფორმაციას მის მიერ განხორციელებული **ოპერაციის** შესახებ. აღნიშნული შეტყობინება განხორციელდება **ბანკში** დადგენილი ფორმით **ოპერაციის** შესრულებისთანავე;

17.4.2. **სმს ბანკი** ავტომატურად აქტიურდება **კლიენტის** ყველა არსებულ ან/და სამომავლო ანგარიშზე, თუ **კლიენტის** მიერ შევსებული განცხადებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17.4.3. **კლიენტის** სურვილის შემთხვევაში **სმს ბანკის** აქტივაცია შესაძლებელია განხორციელდეს როგორც კონკრეტულ **ანგარიშზე**, ასევე კონკრეტულ საბანკო **ოპერაციაზე**.

17.4.4. **სმს ბანკის** მომსახურებით სარგებლობასთან დაკავშირებით **კლიენტთან** კომუნიკაციისას **ბანკი** უფლებამოსილი იქნება ისარგებლოს **ვერიფიცირებული ნომრით**.

17.4.5. **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ **სმს ბანკის** მომსახურებისთვის განსაზღვროს დამატებითი საკომისიოს ოდენობა, რომელიც დაემატება **ბანკის** მიერ დადგენილ შესაბამისი **სატარიფო პაკეტ(ებ)ის** ღირებულებას. **კლიენტის** მიერ **სმს ბანკის** მომსახურებისთვის დადგენილი დამატებითი საკომისიოს გადაუხდელობის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს/შეზღუდოს/შეაჩეროს **კლიენტისთვის სმს ბანკის** სერვისით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.

17.4.6. **კლიენტი** ვალდებულია სმს ბანკის მომსახურებით სარგებლობისათვის **ბანკს** გადაუხადოს **ბანკის** მიერ დადგენილი საკომისიო;

17.4.7. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი დაგვიანებულ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ შეტყობინებებზე, რომლებიც გამოიწვეულია **ბანკისგან** დამოუკიდებელი, მათ შორის, ტექნიკური, მიზეზების გამო;

17.4.8. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ **ბანკში** დაფიქსირებული ნომრის (მათ შორის, **ვერიფიცირებული ნომრის**) შეცვლის, გასხვისების, მობილური ტელეფონის ან სიმ-ბარათის დაკარგვის, სხვისთვის გადაცემის და ნებისმიერი მსგავსი ვითარების შედეგად კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით გამოწვეულ შედეგებზე.

17.4.9. **ბანკი** უფლებამოსილია საბანკო მომსახურების უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზნით, საკუთარი ინიციატივით გაუაქტიუროს **კლიენტს** სმს **ბანკი** უფასოდ მომსახურების პირობით. ამავდროულად, **ბანკს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაუთიშოს **კლიენტს** საკუთარი ინიციატივით გააქტიურებული სმს ბანკი.

17.5. მეილ ბანკი

17.5.1. **ბანკი კლიენტს** სთავაზობს ელექტრონული ფოსტით საბანკო მომსახურებას (შემდგომში - **მეილ ბანკი**), რომელიც საშუალებას აძლევს **კლიენტს** განხორციელოს **ბანკის** მიერ **მეილ ბანკის** მომსახურებისთვის დასაშვები ტრანზაქციები და მიიღოს შესაბამისი შეტყობინებები **ბანკის** მიერ დადგენილი **კლიენტის განაცხადში** მითითებული ელექტრონული ფოსტის უსაფრთხოების პროცედურებით დადგენილი აუტენტიფიკაციის გავლის შემდეგ.

17.5.2. **მეილ ბანკით** სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ **ბანკის** მიერ განსაზღვრული შესაბამისი **სატარიფო პაკეტის** მფლობელ **კლიენტს**.

17.5.3. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ **კლიენტს** საკუთარი შეხედულებისამებრ უარი განუცხადოს **მეილ ბანკით** სარგებლობაზე. **კლიენტს მეილ ბანკით** მომსახურების გააქტიურება შეუძლია **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურების გავლის გზით.

17.5.4. **კლიენტის** მიერ **მეილ ბანკით** სარგებლობისთვის, **კლიენტი** ვალდებულია გააჩნდეს მოქმედი ელექტრონული ფოსტის მისამართი (**ვერიფიცირებული მეილი**) და მობილური ტელეფონის ნომერი (**ვერიფიცირებული ნომერი**), ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში **ბანკში** დადგენილი პროცედურის შესაბამისად მთავარი მობილური ტელეფონის ნომრის და ელექტრონული ფოსტის მისამართის ვერიფიცირება. თუ **კლიენტი** არ შეატყობინებს **ბანკს** ელექტრონულ ფოსტასთან ან/და მობილური ტელეფონის ნომერთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების თაობაზე, **განაცხადში** მითითებული ელექტრონული ფოსტადან ან/და მობილური ტელეფონის ნომრიდან გაგზავნილი/მიღებული ინფორმაცია ჩაითვლება **კლიენტის** მიერ გაგზავნილად/მიღებულად.

17.5.5. **მეილ ბანკის** მეშვეობით **ოპერაციების** დასადასტურებლად **კლიენტი** ვალდებულია გამოიყენოს **ბანკის** მიერ განსაზღვრული დამატებითი დადასტურების მექანიზმები, ასეთის არსებობის შემთხვევაში (მაგ. კოდური სიტყვით დადასტურება, ვერიფიცირებულ ნომერზე გაგზავნილი კოდი...), **ბანკის** მიერ განსაზღვრული დასაშვები ოდენობების შესაბამისად. **კლიენტი** აცნობიერებს, რომ **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ დაამატოს ან შეზღუდოს **მეილ ბანკის** მეშვეობით **ოპერაციების** დადასტურების მეთოდები.

17.5.6. **კლიენტს** ეძლევა შესაძლებლობა **მეილ ბანკით** დადასტურების გზით შეასრულოს **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ოპერაციები**. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმება, რომ **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ შეზღუდოს ან დაამატოს ის **ოპერაციები/ტრანზაქციები** და მათი ლიმიტები, რომელთა შესრულებაც დასაშვებია **მეილ ბანკის** მეშვეობით.

17.5.7. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **მეილ ბანკის** მეშვეობით **ოპერაციის** დაინიცირებისას/დადასტურებისას, **ოპერაცია ბანკის** მიერ შესრულდება **ბანკის** მიერ დადგენილი სამუშაო დროის მიხედვით.

17.5.8. **კლიენტისთვის** ცნობილია და თანხმება, რომ **ბანკის** მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, **მეილ ბანკის** მომსახურების ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს განსაზღვრულ საბანკო ოპერაციებზე, დავალებებზე ან/და ხელშეკრულებებზე თანხმობის გამოხატვა/დადასტურება და საბანკო მომსახურების ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შემოთავაზებული დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) დადასტურება **ვერიფიცირებული მეილის** გამოყენებით, შესაბამისად,

ვერიფიცირებული მეილის მეშვეობით დოკუმენტის (მათ შორის, ხელშეკრულების, დავალების, ტრანზაქციის ან/და ნებისმიერი სხვა დოკუმენტის) დადასტურება უთანხმოდებდა კლიენტის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერას და ადასტურებს მისი ნების ნამდვილობას.

17.5.9. კლიენტი ვალდებულია შეინარჩუნოს **მეილ ბანკით** სარგებლობის პროცესში მის მიერ გამოყენებული ნებისმიერი სახის **წვდომის კოდების**, კოდური სიტყვის, **ვერიფიცირებულ ნომერზე** მიღებული კოდის, **ვერიფიცირებულ მეილზე** წვდომის მონაცემების და სხვა ინფორმაციის, რომელიც შესაძლოა მესამე პირების მიერ იქნას გამოყენებული **მეილ ბანკით** სარგებლობისთვის, კონფიდენციალურობა და გამოიყენოს ყველა ხერხი აღნიშნულ მონაცემებზე მესამე პირების უკანონო წვდომის მოპოვების აკვეციისათვის.

17.5.10. **ბანკი** უფლებამოსილია **ბანკის** მიერ დადგენილი მეთოდების გზით დადასტურებული **ოპერაცია** მიიჩნოს **კლიენტის** მიერ დაინიცირებულ/დადასტურებულ **ოპერაციად** და შესაძლოა იგი. შესაბამისად, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი, ხოლო **კლიენტი** იღებს ყველანაირ პასუხისმგებლობას, **მეილ ბანკის** მეშვეობით შესრულებული ნებისმიერი ოპერაციის შედეგზე, მათ შორის და არამხოლოდ, **მეილ ბანკზე** მესამე პირების მიერ უკანონო წვდომის მოპოვების შემთხვევაში დამდგარ ნებისმიერ ზიანზე.

17.5.11. ელექტრონული ფოსტის გაუქმების ან/და ნებისმიერი მიზეზით **ვერიფიცირებული სტატუსის** შეჩერების/გაუქმების შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** გაუუქმოს **მეილ ბანკის** მომსახურება.

17.5.12. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტის** მიერ მოხდება ახალი ელექტრონული ფოსტის მისამართის ვერიფიცირება **ბანკი** უფლებამოსილია **მეილ ბანკით** მომსახურების პროცესში ავტომატურად, **კლიენტის** განცხადების გარეშე გამოიყენოს ახალი **ვერიფიცირებული მეილი**.

17.5.13. **კლიენტი** უფლებამოსილია გაუუქმოს **მეილ ბანკი ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურების გაგლის გზით.

17.6. ციფრული ბანკით განხორციელებული საბარათე გადარიცხვები

17.6.1. საბარათე გადარიცხვები **კლიენტს** შესაძლებლობას აძლევს **ციფრული ბანკის** საშუალებით დაინიციროს საბარათე გადარიცხვა ან/და მიიღოს თანხა საბანკო ბარათზე. საბარათე გადარიცხვის განსახორციელებლად **კლიენტი** იყენებს ბარათის 16 ნიშნა ნომერს, და ბარათზე დატანილ სხვა მონაცემებს საბარათე გადარიცხვის სახის შესაბამისად.

17.6.2. საბარათე გადარიცხვა შესაძლებელია დაინიცირდეს როგორც **კლიენტის** საბანკო **ბარათზე** აგრეთვე, მესამე პირის საბანკო ბარათზე.

17.6.3. **კლიენტს** უფლება აქვს საბარათე გადარიცხვების განხორციელებისას მიმღებლად მიუთითოს ნებისმიერი საბანკო ბარათი (როგორც საკუთარ სახელზე არსებული, ასევე სხვა მესამე პირის საბანკო ბარათი), რომელიც ემიტირებულია საქართველოში არსებული ნებისმიერი ბანკის მიერ. უცხოურ ბარათებზე აღნიშნული სერვისით სარგებლობა არ არის დამშვებული.

17.6.4. **ბანკის ციფრული ბანკის** საშუალებით, **ბანკის** ბარათ(ებ)ის გარდა, მოხმარებელს შესაძლებლობა აქვს თანხა გადარიცხოს სხვა საკუთარი საბანკო ბარათიდანაც, რომელიც ემიტირებულია საქართველოში არსებული ნებისმიერი ბანკის მიერ.

17.6.5. **საბარათე გადარიცხვები** დამშვებულია ეროვნულ ვალუტაში.

17.6.6. **საბარათე გადარიცხვებისთვის** დადგენილი ლიმიტები და საკომისიო განისაზღვრება შესაბამისი დანართის მიხედვით.

17.6.7. **კლიენტი** უფლება აქვს **ციფრული ბანკის** სექციაში „ჩემი ბარათები“ დაამატოს საქართველოში არსებული ნებისმიერი ბანკის მიერ ემიტირებული არაუმეტეს 5 (ხუთი) ბარათი **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურის შესაბამისად. სექციაში „ჩემი ბარათები“ დამატებულ ბარათებზე განხორციელებულ **საბარათე გადარიცხვებზე** ვრცელდება განსხვავებული ლიმიტები და საკომისიო, რომელიც განსაზღვრულია დანართის შესაბამისად. ბარათების რაოდენობრივი ლიმიტი არ ვრცელდება **ბანკის** მიერ ემიტირებულ ბარათებზე.

17.7. სერვისი „ავტო +“

17.7.1. სერვისი „ავტო +“ **კლიენტს** შესაძლებლობას აძლევს **ბანკის** მიერ დადგენილი საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ, **ციფრული ბანკის** საშუალებით პერიოდულად ავტომატურად, შეამოწმოს და გადაიხადოს საკუთარი ან/და მესამე პირის სახელზე რეგისტრირებულ ავტომობილზე არსებული ადმინისტრაციული ჯარიმა შეღავათიანი ტარიფით. **ბანკი** ამ სერვისით მოსარგებლე **კლიენტს** ჯარიმის რაოდენობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ავტომატურად გამოიწერს **ციფრულ ბანკში** არსებული შესაბამისი ველის/სექციის გასწვრივ.

17.7.2. სერვისი „ავტო +“ ფარგლებში **ბანკი** დაამუშავებს, მათ შორის, **კლიენტის** მიერ, **ციფრული ბანკით** სარგებლობისას, სერვისის გვერდზე/სექციაზე გადასვლის ყოველ ჯერზე, ავტომატურად, სხვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ან/და მის უფლებამონაცვლეს გაუზიარებს **კლიენტის** მიერ დამატებული სატრანსპორტო საშუალების ან/და ტექ. პასპორტის ნომერს ან/და სხვა მაიდენტიფიცირებელ პერსონალურ მონაცემებს და გამოითხოვს აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობის, საპატრულო ჯარიმის ან/და სტატუსის შესახებ ინფორმაციას.

17.7.3. სერვისი - „ავტო +“ ფარგლებში **კლიენტი** შეღავათიანი ტარიფის გადახდის შესაძლებლობით ისარგებლებს იმ შემთხვევაში თუ **ბანკის** მიერ დადგენილი წესების დაცვით გააქტიურებულია სერვისი და გადახდა ხორციელდება ამ სერვისის ფარგლებში **ციფრულ ბანკში** დამატებული შესაბამისი სექციიდან/ველიდან, სადაც ავტომატურად ჩანს **კლიენტის** მიერ დამატებულ ავტომობილზე არსებული ადმინისტრაციული ჯარიმა. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ თუ ადმინისტრაციული ჯარიმა გადახდილი არ იქნება **ციფრულ ბანკში** არსებული სერვისის შესაბამისი ველიდან, გადახდის **ოპერაციაზე** გავრცელდება **ბანკში** ამგვარი **ოპერაციისთვის** დადგენილი სტანდარტული ტარიფი.

17.7.4. **კლიენტი** სერვისით „ავტო +“ სარგებლობის სერვისის შემთხვევაში ვალდებულია, **ბანკის** მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, **ციფრული ბანკის** მეშვეობით, შესაბამის ველზე შეიყვანოს/შეავსოს სერვისის გასაქტიურებლად საჭირო ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/ინდიკატორი/მონაცემი, მათ შორის და არა მარტო, ავტომობილის ნომერი, ტექნიკური პასპორტის ნომერი, მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული ავტომობილის დამატების შემთხვევაში - მფლობელის პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი და სხვა.

17.7.5. სერვისის ფარგლებში **ბანკისთვის მესამე პირ(ებ)ის** შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის, მათ შორის **პერსონალური** ან/და სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული მონაცემების გაზიარებით, **კლიენტი** ადასტურებს, რომ ზემოაღნიშნული მესამე პირები სათანადო წესით ინფორმირებულნი და თანახმა არიან სერვისის ფარგლებში და მიზნებისათვის, აღნიშნული მონაცემების **ბანკისთვის** ან/და სააგენტოსთვის გაზიარებასა და შემდგომ დამუშავებაზე, მათ შორის, დამატებულ სატრანსპორტო საშუალებასთან ასოცირებული ადმინისტრაციული ჯარიმების შესახებ ინფორმაციის **ბანკისთვის, სააგენტოსთვის** ან/და **კლიენტისთვის** ხელმისაწვდომობაზე წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით.

17.7.6. სერვისის ფარგლებში, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** გაუზიაროს მოკლე ტექსტური (SMS) და სხვა შეტყობინება ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდასთან/სტატუსთან დაკავშირებით. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ აღნიშნული ტიპის შეტყობინება შემასენებელი დანიშნულებისაა, ამასთან, მისი გაგზავნა წარმოადგენს **ბანკის** დისკრეტულ და **ბანკი** არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ამგვარი შეტყობინების გაუზიარების ან დაგვიანებით გაგზავნის გამოწვეული ნებისმიერი სახის ზარალისთვის.

17.7.7. **კლიენტი** ვალდებულია სერვისით „ავტო +“ სარგებლობისათვის **ბანკს** გადაუხადოს **ბანკის** მიერ დადგენილი საკომისიო.

17.7.8. სერვისის „ავტო +“ გააქტიურების პროცესში **კლიენტი** უფლებამოსილია აირჩიოს საკომისიოს გადახდის პერიოდულობა (ყოველთვიურად ან ყოველწლიურად გადახდის შესაძლებლობიდან ერთ-ერთი) **ბანკის** მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **ბანკი** უფლებამოსილია სერვისით სარგებლობის საფასური/საკომისიო უაქცეპტო წესით ჩამოაჭრას **ბანკზე** არსებული **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიშიდან **კლიენტის** მიერ განსაზღვრული/შერჩეული გადახდის პერიოდულობის შესაბამისად.

17.7.9. **კლიენტი** აცნობიერებს და თანახმაა, რომ სერვისის „ავტო +“ გააქტიურების პროცესში **ბანკის** მიერ სერვისისთვის დადგენილი საკომისიო **კლიენტის** შესაბამისი ანგარიშიდან ჩამოიჭრება სერვისის გააქტიურებისთანავე, იმის გათვალისწინებით, თუ გადახდის რა პერიოდულობა (ყოველთვიური, ყოველწლიური) აირჩია **კლიენტმა** სერვისის აქტივაციის პროცესში.

17.7.10. **კლიენტის** მიერ სერვისით „ავტო +“ მომსახურებისთვის დადგენილი საკომისიოს გადაუხდელობის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს/შეზღუდოს/შეაჩეროს **კლიენტისთვის** სერვისით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. **ბანკის** მიერ აღნიშნული სერვისის შეწყვეტის/შეზღუდვის/შეჩერების შემთხვევაში **კლიენტის** მიერ **ციფრული ბანკის** მეშვეობით ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდა განხორციელდება **ბანკში** დადგენილი სტანდარტული ტარიფით.

17.7.11. თუ **კლიენტის** მიერ სერვისის ფარგლებში დამატებულია რამდენიმე ავტომობილი და **კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე** არ არის სერვისის გაწევისთვის **ბანკის** მიერ დადგენილი საკომისიოს გადასახდელი საკმარისი თანხა, **კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან** ჩამოჭრილი თანხით სერვისის საფასურის გადახდა მოხდება სერვისის რეგისტრაციის რიგითობის შესაბამისად. გამომდინარე აქედან, სერვისის ფარგლებში რეგისტრირებულ იმ ავტომობილებზე, რომელთა საკომისიოს გადახდისთვის **ანგარიშზე** არ იყო საკმარისი თანხა, სერვისი „ავტო +“ გაუქმდება.

17.7.12. **კლიენტი** უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით **ციფრული ბანკის** მეშვეობით გაუქმოს სერვისი ან/და წაშალოს დამატებული ავტომობილი, რაც ავტომატურად გამოიწვევს სერვისის გაუქმებას/შეწყვეტას.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

17.7.13. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი დაგვიანებულ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ გადახდის ოპერაციებზე, რომლებიც გამოწვეულია **ბანკისგან** დამოუკიდებელი, მათ შორის, ტექნიკური, მიზეზების გამო;

17.7.14. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს საკუთარი ინიციატივით უარი უთხრას **კლიენტს** სერვისით „ავტო +“ მომსახურებით სარგებლობაზე ან/და გააუქმოს/შეწყვიტოს/შეზღუდოს არსებული სერვისის მიწოდება ნებისმიერი საფუძვლით, მათ შორის და არამარტო იმ შემთხვევებში თუ **კლიენტის** მიერ სერვისის აქტივაციის პროცესში შეყვანილი ინფორმაცია/ინდიკატორი/მონაცემი მცდარია ან/და არაზუსტია, **კლიენტის** ანგარიშზე არ არის საკმარისი თანხა სერვისით სარგებლობის საკომისიოს გადასახდელად, **კლიენტის** მიერ მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული ავტომობილის დამატების შემთხვევაში - მესამე პირის მიერ **ბანკში** დაფიქსირებულია მოთხოვნა/პრეტენცია, სააგენტოს /მისი უფლებამოსიანის მიერ გაუქმდა/შეწყდა აღნიშნული სერვისის/ინფორმაციის **ბანკისთვის** მიწოდება.

18. ელექტრონული საფულით მომსახურება

18.1. **ელექტრონული საფულით სარგებლობის ზოგადი პირობები**

18.1.1. **კლიენტი** უფლებამოსილია **მოწყობილობის** გამოყენებით **ტრანზაქციების** შესრულების მიზნით **ბარათი** დაამატოს **Google Pay** ან/და **Apple Pay** **ელექტრონულ საფულეში**;

18.1.2. **მოწყობილობაში ბარათის** დამატების შემდეგ, **კლიენტს** შესაძლებლობა ექნება **ტრანზაქციის** განხორციელებაზე თანხმობა გამოხატოს **მოწყობილობის** მეშვეობით, ფიზიკური **ბარათის** გამოყენების გარეშე.

18.1.3. **მოწყობილობაში ბარათის** ჩართვამდე/დამატებამდე და **ელექტრონული საფულით** სარგებლობამდე **კლიენტი** ვალდებულია დაწვრილებით გაეცნოს წინამდებარე **პირობებს** და **ელექტრონული საფულით** სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს მისი შესრულება სრულად და ჯეროვნად.

18.1.4. ნებისმიერ შემთხვევაში **მოწყობილობაში** ან/და **ელექტრონულ საფულეში ბარათის** ან/და **დამატებითი ბარათის** ჩართვით/დამატებით **კლიენტი** და **დამატებითი ბარათის მფლობელი** აცხადებენ თანხმობას წინამდებარე **პირობებზე**.

18.1.5. **ბარათის** ან/და **დამატებითი ბარათის მოწყობილობაში** დამატებით **კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი** ეთანხმება შესაბამისად **Google Pay**-ს ან/და **Apple Pay**-ს გამოყენების პირობებს.

18.1.6. **ელექტრონული საფულის** სერვისი ხელმისაწვდომია მხოლოდ Visa და MasterCard ტიპის **ბარათებისათვის**, ამასთან, Visa Electron, Maestro და Business ტიპის **ბარათებისთვის** აღნიშნული სერვისი არ არის ხელმისაწვდომი. **ელექტრონულ საფულეში** ჩართვის მიზნით **კლიენტი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს** Maestro და Visa Electron ტიპის **ბარათის** ჩანაცვლების მოთხოვნით.

18.1.7. **ელექტრონული საფულის** გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს შესაბამისად **Google** ან/და **Apple**. **ბანკის** ჩართულობა შემოიფარგლება მხოლოდ შესაბამისი **ელექტრონული საფულის** მიმწოდებლისთვის ინფორმაციის მიწოდებით, იმისათვის, რათა **ბანკის ბარათების** მფლობელებმა სრულად ისარგებლონ **ელექტრონული საფულის** სერვისებით.

18.1.8. **ბანკი** არაა პასუხისმგებელი **ელექტრონული საფულის** ფუნქციონირებაზე ან/და ხელმისაწვდომობაზე ან/და **მოწყობილობის** მუშაობაზე თუ ეს არ არის დაკავშირებული **ბანკის** სისტემის გაუმართაობასთან.

18.1.9. თუ **პირობების** რომელიმე პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **მოწყობილობაში** დამატებული **ბარათ(ებ)ის** მიმართ ვრცელდება წინამდებარე **პირობებით** ფიზიკური **ბარათისთვის** დადგენილი ყველა მოთხოვნა/წესი.

18.2. მონაცემთა შეგროვება ელექტრონული საფულით სარგებლობისას

18.2.1. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **მოწყობილობასთან** დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება (მათ შორის გამოყენებული აპლიკაციის, მოწყობილობის, მოდელის, ოპერაციული სისტემის და ა.შ შესახებ) იმისათვის, რომ:

18.2.1.1. უზრუნველყოფილი იქნას **ბარათის/დამატებითი ბარათის** სათანადო გამოყენება;

18.2.1.2. თავიდან იქნას აცილებული **პერსონალური ინფორმაციის** მოპარვა/თაღლითობა;

18.2.1.3. უზრუნველყოფილი იქნას **კლიენტისათვის/დამატებითი ბარათის მფლობელისათვის** მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება;

18.2.1.4. უზრუნველყოფილი იქნას **კლიენტისათვის/დამატებითი ბარათის მფლობელისათვის** ინფორმაციის მიწოდება სერვისებზე, რომელიც შეიძლება საინტერესო იყოს მათთვის;

18.2.2. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს ინფორმაციის (მათ შორის **კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის** პერსონალური/საკონტაქტო მონაცემების) გაცემა **Google-თან/Apple-თან** იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნას:

18.2.2.1. **ბანკის ბარათის/დამატებითი ბარათის ელექტრონულ საფულეში** ჩართვა/დამატება;

18.2.2.2. **კლიენტისათვის/დამატებითი ბარათის მფლობელისათვის** მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება;

18.2.2.3. **Google-ს** ან/და **Apple-ის** მიერ **ბანკის ბარათების/დამატებითი ბარათების** გამოყენების სერვისის და ზოგადად **ელექტრონული საფულის** სერვისის გაუმჯობესება;

18.2.2.4. თაღლითობაში ან/და უსაფრთხოების დარღვევაში შემჩნეული პირების გამოვლენა;

18.2.3. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტისათვის/დამატებითი ბარათის მფლობელისათვის** მიუღებელია მისი მონაცემების გამოყენება ზემოაღნიშნული წესით მან უარი უნდა განაცხადოს **ელექტრონულ საფულეში** ჩართვაზე/დამატებაზე.

18.2.4. წინამდებარე **პირობები** და **ბანკის** უსაფრთხოების და მონაცემთა დაცვის პოლიტიკები, რომელიც განთავსებულია **ბანკის** ვებგვერდზე www.libertybank.ge ასევე მოიცავს **ბანკის** მიერ **კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელთან** დაკავშირებული მონაცემების დამუშავების პირობებს. თავის მხრივ **Google/Apple** დამოუკიდებლად ადგენს **ბარათის** მფლობელის მონაცემების გამოყენების წესებს.

18.3. მოწყობილობაში ბარათის დამატების პირობები

18.3.1. **კლიენტი** უფლებამოსილია განახორციელოს მისი **ბარათის**, ხოლო თავის მხრივ **დამატებითი ბარათის მფლობელი** უფლებამოსილია განახორციელოს **დამატებითი ბარათის** ჩართვა/დამატება მის კუთვნილ **მოწყობილობაში** იმ პირობით, რომ:

18.3.1.1. **კლიენტი** ან/და **დამატებითი ბარათის მფლობელი** იდენტიფიცირებული იქნება **ბანკის** ან/და შესაბამისი **ელექტრონული საფულის** მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული წესით;

18.3.1.2. შესაბამის **ბარათზე** ან საბარათე **ანგარიშზე** **ბანკის** მიერ არ იქნება განსაზღვრული პირობები, რომელიც ზღუდავს **ბარათის მოწყობილობაში** დამატების შესაძლებლობას.

18.3.2. **ელექტრონულ საფულეში ბარათის/დამატებითი ბარათის** ჩართვა ან/და ჩართული **ბარათის/დამატებითი ბარათის ელექტრონული საფულიდან** წაშლა შესაძლებელია განხორციელდეს **კლიენტის** ან შესაბამისი **დამატებითი ბარათის მფლობელის** მიერ შესაბამისი **ელექტრონული საფულის** მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული წესებით, წინამდებარე **პირობების** გათვალისწინებით.

18.3.3. **ელექტრონული საფულის** სერვისით სარგებლობისთვის **მოწყობილობაში ბარათის** დამატებისას **კლიენტს** შესაძლოა მოეთხოვოს ვერიფიკაციის პროცესის გავლა. ვერიფიკაცია შესაძლებელია მოხდეს ერთჯერადი კოდით, რომელიც იგზავნება **კლიენტის** მიერ **ბანკში** დაფიქსირებულ საკონტაქტო ნომერზე ან სატელეფონო ცენტრის საშუალებით **ბანკის** მიერ დადგენილი იდენტიფიკაციის პროცესის შესაბამისად. ამასთანავე, **კლიენტი** ნებას რთავს **ბანკს** განახორციელოს **კლიენტთან** სატელეფონო ან/და სხვა სახის კომუნიკაცია **კლიენტის** ვერიფიკაციის მიზნით ან/და დაუსრულებელი ვერიფიკაციის შეხსენების თაობაზე.

18.3.4. მას შემდეგ რაც **კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი** განახორციელებს **ელექტრონულ საფულეში ბარათის/დამატებითი ბარათის** დამატებას/ჩართვას იგი უფლებამოსილი იქნება **ელექტრონული საფულის** საშუალებით განახორციელოს ავტორიზებული ტრანზაქციები მისი **ბარათის** გამოყენებით. **ელექტრონულ საფულეში** ჩართული **ბარათი/დამატებითი ბარათით** გადახდების განხორციელება შესაძლებელია: ა) **მოწყობილობის** საშუალებით უკონტაქტო ტერმინალებზე განთავსებით ან აპლიკაციების და ვებგვერდების საშუალებით სადაც გამოსახულია შესაბამისად, **Google Pay-ს** ან/და **Apple Pay-ს** ნიშანი. შესაბამისი **ელექტრონული საფულის** მიმწოდებლისა და **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, **კლიენტს** შესაძლოა მოეთხოვოს **ელექტრონული საფულის** საშუალებით **ბარათით** ანგარიშსწორების პროცესის შესრულებამდე მოახდინოს **აუთენტიფიკაცია** შესაბამისი **ელექტრონული საფულის** მიმწოდებლის წესების შესაბამისად.

18.3.5. **ელექტრონულ საფულეში** შესაძლებელია რამდენიმე ბარათის დამატება, ასევე ერთი ბარათის რამდენიმე **მოწყობილობაში** დამატება, ამასთან ბარათების რაოდენობაზე შესაძლოა მოქმედებდეს შეზღუდვა, რომლის შესახებაც ინფორმაცია ხელმისაწვდომია სატელეფონო სერვის ცენტრში ნომერზე: +995 32 255 55 00 დარეკვით ან **ბანკის** ნებისმიერ ფილიალში ვიზიტით.

18.3.6. **ელექტრონული საფულის** სერვისის სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელების მიზნით **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** შესთავაზოს აქცია(ები)/ბენეფიტ(ებ)ი, საკუთარი შეხედულებისამებრ.

ვიზიკური პირის მომსახურების პირობები

19.2. ანგარიშზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა

- 19.2.1. **ბანკი** უფლებამოსილია კლიენტის ანგარიშზე ყოველი კალენდარული დღის ბოლოს არსებულ დადებით ნაშთზე დაარიცხოს საპროცენტო სარგებელი.
- 19.2.2. **ბანკი კლიენტის** ანგარიშზე დარიცხულ სარგებელს ჩარიცხავს ყოველი კალენდარული თვის ბოლოს;
- 19.2.3. ანგარიშზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხდება წელიწადში 365 კალენდარულ დღეზე გადაანგარიშებით **მომსახურების ტარიფების** შესაბამისად.

19.3. გრაიორითი ფასი (Priority Pass)

19.3.1. **კლიენტებს**, რომლებიც მოგზაურობენ ხშირად, **ბანკი** სთავაზობს Priority Pass-ის პლასტიკურ ბარათს, რომელიც წარმოადგენს **ადმინისტრატორის** კუთვნილ Priority Pass არასაბანკო ბარათს, რომლის მეშვეობითაც **კლიენტი** ერთვება **ადმინისტრატორის** Priority Pass პროგრამაში. ეს პროგრამა საშუალებას აძლევს Priority Pass-ის წევრებს და მათ სტუმრებს შევიდნენ და ისარგებლონ მსოფლიოს მასშტაბით აეროპორტის “VIP” მოსაცდელ დარბაზ(ებ)ით, თითოეულ ვიზიტზე სტანდარტული გადასახდელის საფასურად, რომელიც მოგვიანებით ჩამოეჭრება **კლიენტს** ანგარიშიდან. კონკრეტული აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში Priority Pass-ის გამოყენების შესაძლებლობა განისაზღვრება Priority Pass-ის ვებ-გვერდზე (www.prioritypass.com) არსებული ინფორმაციით. **კლიენტი** ვალდებულია Priority Pass-ის ვებ-გვერდზე შესვლის მიზნით გაიაროს რეგისტრაცია.

19.3.2. აეროპორტების მოსაცდელი დარბაზების სამუშაო დრო და Priority Pass-ის ბუკლეტსა და Priority Pass-ის ვებ-გვერდზე მითითებული მომსახურების სახეობების ხელმისაწვდომობა ყოველთვის ექვემდებარება მოსაცდელი დარბაზის თითოეული ოპერატორის ადმინისტრაციულ პროცედურებს, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს. **კლიენტისთვის** ინფორმაცია ამგვარი ცვლილების შესახებ განთავსდება Priority Pass-ის ვებ გვერდზე (www.prioritypass.com) და **ბანკი** პასუხს არ აგებს აღნიშნული ინფორმაციის სისწორეზე.

19.3.3. Priority Pass-ის პლასტიკური ბარათი არ წარმოადგენს საკრედიტო ან/და **საბანკო ბარათს** და არ გააჩნია **კლიენტის** კრედიტუნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ძალა.

19.3.4. Priority Pass-ის ბარათი უზღოვრებს ინდივიდუალური წევრობის დამადასტურებელ პლასტიკურ ბარათს, რომელიც გაცემულია Priority Pass-ის თითოეულ წევრზე. დაუშვებელია Priority Pass-ის ბარათის სხვა პირზე გადაცემა ან/და სხვა პირის მიერ მისი გამოყენება.

19.3.5. **კლიენტი** ვალდებულია ყოველთვის დაიცავს წინამდებარე პირობები და Priority Travel Group-ის ვებ-გვერდზე - www.prioritypass.com-ზე არსებული ბარათით სარგებლობის წესები და პირობები.

19.3.6. Priority Pass-ის წევრობის ბარათი წარმოადგენს **ადმინისტრატორის** საკუთრებას და **კლიენტი** ვალდებულია დაუბრუნოს იგი **ბანკს** მოთხოვნისთანავე, იმ შემთხვევაში თუ მისი გამოყენება ეწინააღმდეგება წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ პირობებს.

19.3.7. **კლიენტს** უფლება არა აქვს გამოიყენოს Priority Pass-ის პლასტიკური ბარათი:

19.3.7.1. საქართველოს და/ან სხვა ქვეყნის შესაბამისი იურისდიქციით განსაზღვრული არალეგალური მიზნებისთვის;

19.3.7.2. გამოიყენოს Priority Pass-ის პლასტიკური ბარათი მის ძალაში შესვლამდე ან ვადის გასვლის შემდეგ, ან მას შემდეგ, რაც **კლიენტი** მიიღებს შეტყობინებას იმის შესახებ, რომ გაუქმდა აღნიშნული ბარათი.

19.3.8. მომსახურე აეროპორტის მოსაცდელ დარბაზებში შესასვლელად **კლიენტმა** სავალდებულო წესით უნდა წარადგინოს Priority Pass-ის პლასტიკური ბარათი.

19.3.9. **კლიენტისა** და მისი სტუმრების მიერ აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში შესვლაზე ხარჯების დარიცხვა წარმოებს ერთი პიროვნება - ერთი ვიზიტის პრინციპით, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეულ პიროვნებაზე ხარჯების დარიცხვა მოხდება ცალ-ცალკე. ვიზიტი აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში რეგისტრირდება მოსაცდელი დარბაზის ოპერატორის პერსონალის მიერ დარბაზში შესასვლელად **კლიენტის** მიერ Priority Pass-ის პლასტიკური ბარათის გამოყენებისას. **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს მისი და სტუმრების მიერ მოსაცდელ დარბაზში განხორციელებული ვიზიტის ხარჯები, რომელთა ჩამოწერა მოხდება **კლიენტის ანგარიშიდან**.

19.3.10. **ბანკს** არ გააჩნია კონტროლის საშუალება Priority Pass-ის მომსახურების ობიექტებზე და აქედან გამომდინარე არ არის პასუხისმგებელი მათ მიერ მომსახურების გაწევის ხარისხზე ან/და აღნიშნული მომსახურების ობიექტებში Priority Pass-ის პლასტიკური ბარათის გამოყენების შესაძლებლობაზე.

19.3.11. Priority Pass-ის პლასტიკური ბარათის დაკარგვის ან მოპარვის თითოეული შემთხვევა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა ეცნობოს **ბანკს**. მოპარული, დაკარგული ან დაზიანებული Priority Pass-ის წევრობის პლასტიკური ბარათის სანაცვლოდ **ბანკი კლიენტზე** გასცემს ახალ Priority Pass-ის პლასტიკურ ბარათს შესაბამისი ღირებულების გადახდით, რომელზეც დაიტანება **კლიენტის** ახალი საიდენტიფიკაციო ნომერი (ბარათზე ამოტვიფრული თითხმეტნიშნა კოდი).

19.3.12. **კლიენტი** ვალდებულია ანაზღაურდეს მის მიერ აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში განხორციელებული ვიზიტები, რომლებიც Priority Pass-ის პლასტიკური ბარათით განხორციელდა ბარათის დაკარგვის თაობაზე წერილობით შეტყობინებამდე.

19.4. VISA Concierge (ვიზა კონსიერჟე) მომსახურება

19.4.1. იმ **კლიენტებს**, რომლებიც ფლობენ VISA INFINITE ტიპის ბარათებს, **ბანკი** სთავაზობს VISA Concierge (ვიზა კონსიერჟე) მომსახურებას, რაც გულისხმობს **კლიენტების** ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ 24 საათიან პერსონალური ასისტენტის მომსახურებას.

19.4.2. VISA Concierge სერვისი მიწოდება ხორციელდება **პარტნიორის** მეშვეობით მის (**პარტნიორის**) ან/და VISA-ს მიერ განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს შესაბამისად **პარტნიორის** ან/და VISA-ს გადაწყვეტილებით. **კლიენტი** ვალდებულია მომსახურების მისაღებად გაეცნოს და საჭიროების შემთხვევაში დაეთანხმოს **პარტნიორის** ან/და VISA-ს მიერ შემოთავაზებულ პირობებს, მათ შორის მონაცემთა დამუშავების პოლიტიკებს და მათ ნებისმიერ ცვლილებას. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტისთვის პარტნიორის** ან/და VISA-ს მიერ შეთავაზებულ მომსახურების პირობებზე და მათ ნებისმიერ ცვლილებაზე.

19.4.3. კლიენტის თანხმობა VISA Concierge მომსახურების გაწევის მიზნით მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და საერთაშორისო გადაცემაზე

19.4.3.1. VISA Concierge მომსახურების გაწევის ფარგლებში და მიზნებისათვის **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს** მისი პერსონალური მონაცემები გადაეცეს **პარტნიორს** იმ მოცულობით, რაც აუცილებელია **პარტნიორის** მხრიდან **კლიენტთან** სატელეკომუნიკაციო საშუალებ(ებ)ის გამოყენებით (მათ შორის Viber-ის მეშვეობით) კომუნიკაციისთვის და მისთვის VISA Concierge მომსახურების გასაწევად. **კლიენტი** ასევე აცნობიერებს და ეთანხმება, რომ მის მიერ მოთხოვნილი სერვისის გათვალისწინებით, VISA Concierge მომსახურების გაწევა, შესაძლოა საჭიროებდეს **კლიენტის პერსონალურ მონაცემთა** გადაცემას და მათ დამუშავებას საქართველოს ფარგლებს გარეთ, როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყანაში დაფუნქციონირებული/მოქმედი კომპანიისთვის, სადაც უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები, ასევე ისეთ სახელმწიფოში დაფუნქციონირებული/მოქმედი ორგანიზაციაში, რომელიც არ განეკუთვნება ევროკავშირის ეკონომიკურ ზონას ან/და არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის/მისი უფლებამონაცვლის შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყანას (მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი) ან/და რომელზეც არ არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ნებართვა მონაცემთა გადაცემაზე. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არმქონე ქვეყნებში მონაცემების გაზიარების შესაძლო საფრთხეები უკავშირდება მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს ადგილობრივი სახელმწიფოებო ორგანოს და ინდივიდუალურ მონაცემთა დაცვის და მონაცემთა სუბიექტის უფლებების არარსებობით (ან მხოლოდ შეზღუდული არსებობით). ზოგიერთ ასეთ ქვეყანაში კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის კანონები და წესები მონაცემებზე წვდომასთან დაკავშირებით, შესაძლოა განსხვავდებოდეს საქართველოს კანონმდებლობისაგან.

19.4.4. VISA Concierge მომსახურების სარგებლობის მიზნით **კლიენტმა** უნდა გაიაროს ავტორიზაცია **ბანკის** მიერ მითითებულ მისამართზე და აირჩიოს საკომუნიკაციო არხი, რომლის მეშვეობითაც მიიღებს VISA Concierge მომსახურებას.

19.4.5. **კლიენტი** უფლებამოსილია VISA Concierge მომსახურებით სარგებლობის უფლება გადასცეს მესამე პირ(ებს). ამ შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია მომსახურების გააქტიურებისთვის საჭირო მესამე პირის პერსონალური მონაცემები გადასცეს **ბანკს** და მოიპოვოს მონაცემთა სუბიექტებისგან შესაბამისი თანხმობა **ბანკის** მიერ მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, მათ შორის **პარტნიორისთვის** გადაცემაზე.

19.4.6. **კლიენტისთვის VISA Concierge მომსახურების** მიწოდება შესაძლებელია შეწყდეს **კლიენტის** მოთხოვნით, VISA INFINITE ბარათის დაბლოკვით, VISA INFINITE ბარათის ვადის გასვლით ან **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა საფუძვლით.

19.4.7. VISA INFINITE ტიპის ბარათების მფლობელებისთვის VISA Concierge მომსახურებით სარგებლობა არის უფასო. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, VISA Concierge მომსახურებით გამოყენებით ნებისმიერი სახის მომსახურების/პროდუქტის შეძენის შემთხვევაში შეძენილი პროდუქტის/მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულება ეკისრება **კლიენტს**.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

- 19.4.8. **ბანკს** არ გააჩნია კონტროლის არანაირი საშუალება **VISA Concierge მომსახურების** გამოყენებით შეძენილ პროდუქტზე/მომსახურებაზე, შესაბამისად, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი შეძენილ პროდუქტის/მომსახურების ხარისხზე.
- 19.4.9. **VISA Concierge მომსახურებასთან** დაკავშირებით **კლიენტის** ნებისმიერი მოთხოვნა წარედგინება უშუალოდ **პარტნიორს**. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **პარტნიორის** მიერ მომსახურების შესრულებლობაზე ან არაჯეროვან შესრულებაზე.
- 19.4.10. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს წვდმა **კლიენტის** იმ საკომუნიკაციო არხთან, რომელიც გამოიყენება **VISA Concierge მომსახურების** მისაღებად, შეუძლია **კლიენტის** სახელით ისარგებლოს **VISA Concierge მომსახურებით**. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, **კლიენტი** ვალდებულია დავიყვანოს შესაბამისი საკომუნიკაციო არხის ან/და მოწყობილობის წვდომის უსაფრთხოება. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი მესამე პირის მიერ **კლიენტის** სახელით **VISA Concierge მომსახურების** გამოყენების გამო დამდგარ ნებისმიერ შედეგზე.

20. სტუდიო სეგმენტის მომსახურება

- 20.1. **სტუდიო სეგმენტის მომსახურების ძირითადი პირობები**
- 20.1.1. სტუდიო სეგმენტის მომსახურება წარმოადგენს **კლიენტის** ინდივიდუალურ ინტერესებზე მორგებულ საბანკო სერვისს, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია **კლიენტისთვის** ნებისმიერ საცალო საბანკო/სადაზღვევო პროდუქტებთან დაკავშირებით კონსულტაციისა და მომსახურების გაწევა.
- 20.1.2. სტუდიო სეგმენტის მომსახურებით სარგებლობის უფლება აქვს **ბანკის** მიერ დადგენილ პროცედურასა და მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყოფ **კლიენტს**, რომელიც არ წარმოადგენს წინამდებარე პირობებით განსაზღვრულ პერსონალური საბანკო მომსახურების მიმღებ პირს.
- 20.1.3. სტუდიო სეგმენტის მომსახურების გააქტიურება შესაძლებელია **კლიენტის** მიერ **განაცხადის** შევსებით და შესაბამისი **სატარიფო პაკეტის** შეძენით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **კლიენტის** მიერ **განაცხადის** შევსება და **პაკეტის** შეძენა ავტომატურად არ გულისხმობს სტუდიო სეგმენტის მომსახურების გააქტიურებას. **ბანკი** უფლებამოსილია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განუცხადოს **კლიენტს** სტუდიო სეგმენტის მომსახურებით სარგებლობაზე.
- 20.1.4. **კლიენტი**, **ბანკის** სადემოიზიტო ან/და საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილია მოითხოვოს და **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში ისარგებლოს **სტუდიო სეგმენტისთვის** განკუთვნილი უფასო **სატარიფო პაკეტით**.
- 20.1.5. **კლიენტის** მიერ სტუდიო სეგმენტის მომსახურების პაკეტის შეძენის მიზნით **განაცხადის** წარდგენა ხორციელდება **ბანკის** მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. **განაცხადის** წარდგენა შესაძლებელია **ბანკის** მიერ განსაზღვრული დისტანციური საბანკო მომსახურების არხებით ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრულ კონკრეტულ ერთეულში ვიზიტის მეშვეობით. **სატარიფო პაკეტის** ტიპის გათვალისწინებით, **ბანკი** უფლებამოსილია დაადგინოს **განაცხადის** წარდგენისა და **სატარიფო პაკეტის** შეძენის მიზნით **კლიენტის** **ბანკის** მიერ განსაზღვრულ კონკრეტულ ერთეულში ვიზიტის აუცილებლობა.
- 20.1.6. სტუდიო სეგმენტის მომსახურების ფარგლებში შეძენილი კონკრეტული **სატარიფო პაკეტის** პირობების შესაბამისად, **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სტუდიო სეგმენტის მომსახურებით, რაც გულისხმობს, საბანკო პროდუქტებით სარგებლობის პროცესში პერსონალური ასისტენტის დახმარებას ან მიიღოს სტუდიო სეგმენტის მომსახურება სტუდიო ბანკირის ჩართულობის გარეშე.
- 20.1.7. თუ **კლიენტი** უკვე სარგებლობს ისეთი მომსახურებით/პროდუქტებით, რომელსაც ითვალისწინებს **კლიენტის** მიერ შეძენილი სტუდიო სეგმენტის **სატარიფო პაკეტი**, ამ მომსახურებაზე/პროდუქტებზე გავრცელდება ახალი პაკეტით გათვალისწინებული პირობები/ტარიფები.

21. სავალუტო გარიგებით მომსახურება

- 21.1. **სავალუტო გარიგების განხორციელების პირობები:**
- 21.1.1. წინამდებარე **ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად **ბანკი კლიენტს**, მისი დავალების საფუძველზე, ერთჯერადად ან მრავალჯერადად სავალუტო ბაზარზე გაუწევს საშუალო სავალუტო მომსახურებას, რაც გულისხმობს **ბანკის** მიერ **კლიენტთან** დადებული სავალუტო გარიგების საფუძველზე **ბანკის** მიერ ნებადართული ვალუტის ყიდვა/რაყიდვას. ამას გარდა, **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკთან** დადოს გარიგება როგორც კონტრაპტენტმა, რა შემთხვევაშიც **ბანკი კლიენტთან** ურთიერთობაში გამოდის როგორც პრინციპალი მოვაჭრე, ან მისცეს **ბანკს** დავალება მისი გარიგება დადოს ბაზარზე (მათ შორის B-match პლატფორმაზე), რა შემთხვევაშიც **ბანკი კლიენტთან** ურთიერთობისას გამოდის როგორც აგენტ მოვაჭრე.
- 21.1.2. **კლიენტი** იღებს ვალდებულებას გაწეული მომსახურებისათვის გადაუხადოს **ბანკს** წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული საკომისიო/საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 21.1.3. **კლიენტი** აცნობიერებს და ეთანხმება, რომ სავალუტო გარიგების დადების დროს **ბანკი** არ მოქმედებს როგორც **კლიენტის** ფიდუციარი ან მრჩეველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი სახის ურთიერთობა წინასწარ არის შეთანხმებული **მხარეთა** შორის წერილობით.
- 21.1.4. **კლიენტს** უფლება აქვს სავაჭრო მოთხოვნა/დავალება განათავსოს **ბანკის** მიერ დადგენილი ფორმით და **ბანკის** მიერ განსაზღვრული დისტანციური ან/და ფიზიკური არხების საშუალებით. **ბანკი** არ არის ვალდებული მიიღოს ან იმოქმედოს **კლიენტის** მიერ ნებისმიერი ფორმით (მათ შორის ელექტრონული ან/და ზეპირი) გაცემული დავალების შესაბამისად. **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, სრულად ან ნაწილობრივ უარი განაცხადოს **კლიენტისგან** მიღებული **დავალების** შესრულებაზე.
- 21.1.5. იმ შემთხვევაში, როდესაც **კლიენტის** დავალების მიღება ხორციელდება ელექტრონული საშუალების მეშვეობით, მათ შორის Bloomberg-ის ელექტრონული პლატფორმის საშუალებით, **ბანკი** იხელმძღვანელებს წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული ან/და **კლიენტთან** სხვა სახით შეთანხმებული პროცედურების გათვალისწინებით.
- 21.1.6. წინარე ჰეჯირების შემთხვევაში, **ბანკი** აღნიშნულის შესახებ შეატყობინებს **კლიენტს**. **ბანკი კლიენტს** აუხსნის ყველა იმ რისკს, რომელიც ამ ქმედებასთან არის დაკავშირებული. წინარე ჰეჯირება უნდა განხორციელდეს იმ განზრახვით, რომ არ გაუარესდეს **კლიენტის** მდგომარეობა. წინარე ჰეჯირებისას მიღებული ნებისმიერი მატერიალური სარგებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სრულად უნდა გაუქმდეს **კლიენტს**. **კლიენტი** აცნობიერებს, რომ წინარე ჰეჯირებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს იმ ფასზე რომელიც **ბანკს** შეუძლია რომ შესთავაზოს **კლიენტს** გარიგებისთვის, ასევე, მათ შორის, დავალების შესასრულებლად არსებულ ლიკვიდობაზე.
- 21.1.7. **კლიენტისგან** მიღებულ **დავალებებს**, **ბანკი** აღასრულებს სამართლიანად და გონივრულად, ბაზარზე მოქმედი გარემოებების გათვალისწინებით. **ბანკის** შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, შესაძლებელია **ბანკმა** მიიღოს გადაწყვეტილება დავალების ნაწილობრივ შესრულებაზე.
- 21.1.8. იმ შემთხვევაში თუ განთავსებულია რამდენიმე იდენტური დავალება იმავე პროდუქტზე ან/და იმავე ვალუტის წყვილზე, **კლიენტის** პრიორიტეტიზირება განხორციელდება დავალების განთავსების დროის შესაბამისად (first come first served პრინციპის გათვალისწინებით).
- 21.1.9. თუ **კლიენტი** დაინტერესებულია სავალუტო გარიგების განხორციელებით:
- 21.1.9.1. არაუგვიანეს გარიგების დადების დღის 17:30 საათამდე, ვალდებულია წარუდგინოს **ბანკს** დავალება სავალუტო გარიგების განაცხადის სახით;
- 21.1.9.2. **ბანკი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **კლიენტს**, რა შემთხვევაშიც **კლიენტი** ვალდებულია, არაუგვიანეს გარიგების დადების წინა დღის 17:00 სთ-ისა **ბანკში** არსებულ **ანგარიშზე** განათავსოს სავალუტო გარიგების **დავალებაში** მითითებული ოდენობით შეძენისა და საკომისიო მოსაკრებლის გადახდისათვის საკმარისი ფულადი სახსრები (ნაშთი);
- 21.1.10. **ბანკი** უფლებამოსილია, გააუქმოს **კლიენტის** დავალება/განაცხადი იმ შემთხვევაში, თუ გარიგების დღის 11:00 სთ-მდე **კლიენტი** არ უზრუნველყოფს **დავალების/განაცხადის** შესასრულებელ და საკომისიო თანხის დაფარვისათვის საკმარისი ფულადი ნაშთის **ბანკში** არსებულ **ანგარიშზე** განთავსებას;
- 21.1.11. **კლიენტი** თავად არის ვალდებული უზრუნველყოს სავალუტო გარიგების **დავალების/განაცხადის** სწორად შევსება. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, მიუთითოს **კლიენტს** ვალდებულებების/განაცხადის არსებულ ხარვეზების ან/და უზუსტობების შესახებ. ნებისმიერ **ზიანზე** ან **ზარალზე** პასუხისმგებლობა, რომელიც გამოიწვევს იქნა არასრულყოფილი ან/და არაუზუსტი **დავალების/განაცხადის** წარდგენის შედეგად, ეკისრება თავად **კლიენტს**.
- 21.1.12. **ბანკის** მიერ ჩამოჭრილი/დაბლოკილი თანხები იმ **დავალებებთან/განაცხადებთან** მიმართებით, რომელიც არ შესრულდება, **კლიენტის** **ანგარიშზე** ჩაირიცხება არაუგვიანეს მომდევნო **სამუშაო დღისა**.
- 21.1.13. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** **ანგარიშიდან** განხორციელოს სავალუტო გარიგების დასადავება საკმარისი ფულადი სახსრების და **ბანკის** კუთვნილი საკომისიოს ბლოკირება, უაქცეპტო ჩამოჭრა, **ბანკის** შიდა ანგარიშზე გადატანა და შესაბამისი მიზნობრივობით გადარიცხვა და შესაბამისად სავალუტო გარიგების შედეგად შეძენილი თანხის **კლიენტის** **ანგარიშზე** ჩაირიცხვა.
- 21.1.14. **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიცემული სავალუტო გარიგების **დავალების/განაცხადის** გაუქმება შესაძლებელია **ბანკის** მიერ განსაზღვრული დისტანციური და ფიზიკური არხების გამოყენებით. **დავალების/განაცხადის** გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დავალება არ არის ჯერ შესრულებული და მხოლოდ **ბანკის** მიერ თანხმობის შემთხვევაში.
- 21.1.15. აგენტის როლში **კლიენტთან** ურთიერთობისას, **დავალების/განაცხადის** მიცემის (order) ან გარიგების პირობების შეთავაზების (request for quote) მოთხოვნის გაგზავნის მომენტსა და იმ პერიოდს შორის, როდესაც მიღება დადასტურდება **ბანკის** მიერ, **კლიენტი** არის იმ რისკის წინაშე, რომ მისი შეკვეთის ან ვაჭრობის მოთხოვნა შესაძლოა მილიანად არ შეივსოს (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც თუ ბაზარზე ცვლილება მოხდა კლიენტის სასარგებლოდ), ან შეიძლება შევსებული იყოს ნაკლებად ხელსაყრელ დონეზე, რადგან დროის ამ შუალედში შეივსვლა ბაზარზე არსებული მდგომარეობა.

ფიზიკური პირის მომსახურების პრობლემა

21.2. ვაჭრობა ბლომბერგის სავაჭრო სისტემის გამოყენებით

- 21.2.1. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი ჩართულია Bloomberg-ის ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში, მას (კლიენტს) შესაძლებლობა აქვს სავალუტო გარიგება დადოს ბლომბერგის სავაჭრო სისტემის საშუალებით.
- 21.2.2. გარიგებების დადების მიზნით კლიენტი ვალდებულია სავაჭრო სისტემაში **ზანკს** მინიმუმ კონტრაპტენტის სტატუსი.
- 21.2.3. სავაჭრო სისტემის მეშვეობით გარიგებების დადება შესაძლებელია ყოველ **სამუშაო დღეს** და მათი დადების დრო არ იზღუდება.
- 21.2.4. გარიგების დადების დღეს სავაჭრო სისტემის მეშვეობით დადებული გარიგების პირობების ცვლილებას და/ან გაუქმებას **მხარეები** არეგისტრირებენ სავაჭრო სისტემაში.
- 21.2.5. **მხარეებს** შორის ანგარიშსწორება ხდება დადებული გარიგების პირობების შესაბამისად **ზანკში** გახსნილი კლიენტის ანგარიშის მეშვეობით. ამასთან, კლიენტი ვალდებულია ანგარიშსწორება განახორციელოს გარიგებაში მითითებულ ანგარიშსწორების დღეს, ხოლო **ზანკი** ანგარიშსწორებას ახორციელებს მხოლოდ კლიენტის მიერ ანგარიშსწორების განხორციელების შემდეგ.
- 21.2.6. ანგარიშსწორება ხდება მხოლოდ უნაღდო ფორმით.
- 21.2.7. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას გარიგების ანგარიშსწორების დღეს, ანგარიშსწორება ხორციელდება მომდევნო **სამუშაო დღეს**. ანგარიშსწორების მომდევნო **სამუშაო დღეს** განუხორციელებლობის შემთხვევაში **ზანკი** უფლებამოსილია გააუქმოს გარიგება. ამასთან, კლიენტი ვალდებულია გარიგების გაუქმებისათვის **ზანკს** გადაუხადოს პირგასამტეხლო გარიგების თანხის 5%-ის ოდენობით.
- 21.2.8. გარიგების გაუქმების შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია დაუბრუნოს **ზანკს** გარიგების შესაბამისად გადახდილი თანხა არაუგვიანეს გარიგების გაუქმების დღისა. ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე კლიენტს ეკისრება პირგასამტეხლო ეროვნული ვალუტის თანხის შემთხვევაში მასზე დარიცხული TIBR-ის განაკვეთს დამატებული 5 პროცენტული პუნქტის შესაბამისი თანხა, ხოლო უცხოური ვალუტის თანხის შემთხვევაში, მასზე დარიცხული ბენჩმარკ (ურისკო) საპროცენტო განაკვეთს დამატებული 5 პროცენტული პუნქტის შესაბამისი თანხა, ხოლო თუ შესაბამისი უცხოურ ვალუტაში არ დგინდება ბენჩმარკ (ურისკო) საპროცენტო განაკვეთი, მაშინ შესაბამისი ვალუტის ქვეყანაში დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5 პროცენტული პუნქტის შესაბამისი თანხა.
- 21.2.9. გარიგების ანგარიშსწორების ვადის დარღვევისათვის კლიენტი ვალდებულია დაგვიანებულ თანხაზე დამატებით გადაუხადოს **ზანკს** საჯარიმო პროცენტი ანგარიშსწორების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. წლიური საჯარიმო პროცენტი ეროვნული ვალუტის თანხის დაგვიანების შემთხვევაში არის ანგარიშსწორების დღის TIBR-ის განაკვეთს დამატებული 5 პროცენტული პუნქტი, ხოლო უცხოური ვალუტის თანხის დაგვიანების შემთხვევაში, შესაბამისი ვალუტაში ოვერნაითის ბენჩმარკ (ურისკო) საპროცენტო განაკვეთს დამატებული 5 პროცენტული პუნქტი. ამასთან, თუ შესაბამისი უცხოურ ვალუტაში არ დგინდება ბენჩმარკ (ურისკო) საპროცენტო განაკვეთი, მაშინ საჯარიმო პროცენტი არის შესაბამისი ვალუტის ქვეყანაში დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5 პროცენტული პუნქტი.
- 21.2.10. **ზანკი** უფლებამოსილია საჯარიმო პროცენტი და პირგასამტეხლოს თანხა უაქცეპტოდ ჩამოჭრას (მათ შორის კონვერტაციის გზით) **ზანკში** გახსნილი კლიენტის ანგარიშიდან. ანგარიშზე საკმარისი თანხის არ არსებობის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია გადაიხდოს საჯარიმო პროცენტი და პირგასამტეხლოს თანხა, არაუგვიანეს გარიგების ანგარიშსწორების დღიდან 5 (ხუთი) **სამუშაო დღის** განმავლობაში.
- 21.2.11. სისტემის მონაწილის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს **ზანკს**.
- 21.2.12. დადებული გარიგებების შესრულება კლიენტისთვის სავალდებულოა სისტემის მონაწილის სტატუსის გაუქმების შემდეგაც.

21.3. სავალუტო გარიგების განხორციელება B-match პლატფორმაზე

- 21.3.1. **B-match** პლატფორმაზე ვაჭრობის წესები განსხვავდება Bloomberg-ის ერთიან სისტემაში მოქმედი ვაჭრობის წესებისგან. **B-match** პლატფორმა უზრუნველყოფს შემხვედრი გარიგებების ავტომატურ დაწყებულას (matching) და აღსრულებას. გარიგების დადებამდე განაცხადის ავტორის ვინაობა ანონიმურია. კლიენტი აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს რომ მასზე სრულად ვრცელდება **B-match** პლატფორმის წესები და პირობები.
- 21.3.2. **B-match**-ის გამოყენებით სავალუტო გარიგების განხორციელებისას, **ზანკი** მოქმედებს როგორც კლიენტის ავტომატური მოვაჭრე, რაც გულისხმობს იმას, რომ კლიენტის დავალბების/განაცხადის შესრულებისას, **ზანკი** სავალუტო გარიგებას ახორციელებს ბაზრის სხვა მონაწილესთან. ამასთან, კლიენტი აცნობიერებს და თანხმდება, რომ აღნიშნულ შემთხვევაში **ზანკი** არ იღებს სავალუტო რისკს და სავალუტო რისკი სრულად გადადის კლიენტზე.
- 21.3.3. **ზანკი** უფლებამოსილია, კლიენტს განუსაზღვროს **B-match** პლატფორმაზე ვაჭრობის ლიმიტები ან მინიმალური მოთხოვნები.
- 21.3.4. **B-match** პლატფორმაზე კლიენტის დავალბება/განაცხადი **ზანკის** მიერ მიღებულია/დადასტურებულია ითვლება, მხოლოდ მას შემდეგ რაც **ზანკი** დავალბება/განაცხადს განათავსებს **B-match** პლატფორმაზე და აღნიშნულის შესახებ აცნობებს კლიენტს.
- 21.3.5. დავალბების მიცემისას, კლიენტი ვალდებულია შეაფარო მითითებულ **B-match**-ის პლატფორმაზე განათავსდეს. ამასთან, კლიენტი ვალდებულია დავალბებაში/განაცხადში ასევე მიუთითოს თანხა და მისთვის სასურველი გაცვლითი კურსი.
- 21.3.6. **B-match** პლატფორმაზე განათავსებული დავალბების/განაცხადები შესაძლოა შესრულდეს/დაწყვილდეს (matching) სრულად ან/და ნაწილობრივ. დავალბების/განაცხადის ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, დარჩენილი თანხის ნაწილში შესაბამისი დავალბება/განაცხადი **ზანკის** მიერ ჩაითვლება გაუქმებულად ან შესაძლებელია დარჩეს დამოუკიდებელი დავალბების/განაცხადის სახით.
- 21.3.7. **B-match** პლატფორმაზე დადებული გარიგება საბოლოოა და ექვემდებარება სავალდებულო აღსრულებას. კლიენტის მიერ **ზანკთან** გარიგების დადების შემდეგ, შესაძლებელია ბაზარზე მოხდეს კურსის ცვლილება, რაც არ შეიძლება გახდეს გარიგების გაუქმების საფუძველი. გარიგების პირობების ცვლილება ან გარიგების გაუქმება შესაძლებელია ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში.
- 21.3.8. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს **განაცხადის წარდგენის ფიქსირებული** და ანგარიშსწორების საკომისიოები წინამდებარე პირობების შესაბამისი **დანართით** განსაზღვრული ოდენობით. კლიენტის დავალბების/განაცხადის შესაბამისად **B-match** პლატფორმაზე შესრულებული თითოეული გარიგება ანგარიშსწორების საკომისიოს განსაზღვრის და კალკულაციის მიზნებისთვის ითვლება დამოუკიდებელ დავალბებად/განაცხადად.
- 21.3.9. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის დავალბება/განაცხადი **B-match** პლატფორმაზე შესრულდება **ზანკის** გარდა ბაზრის სხვა მონაწილესთან, **ზანკი** კლიენტს თანხას ჩაურიცხავს მხოლოდ მას შემდეგ რაც განაცხადის შემსრულებელი ბაზრის მონაწილე **ზანკს** ჩაურიცხავს შესაბამისი გარიგების თანხას.

21.4. ვაჭრობის დამატებითი პირობები

- 21.4.1. კლიენტი აცნობიერებს და აცხადებს თანხმობას, რომ მისი დავალბების/განაცხადის შესრულება განპირობებულია საბაზრო პირობებით, ადასტურებს, რომ **ზანკი** არ არის პასუხისმგებელი საბაზრო კონიუნქტურის გამო განაცხადების შესრულებლობაზე და თანხმდება გადაიხადოს **ზანკის** მიერ დადგენილი საკომისიო სარგებელი ბაზარზე წარდგენილი განაცხადების შესაბამისად, მოუხედავად საბაზრო კონიუნქტურის გამო მისი განაცხადის დაუქმყოფილებლობისა.
- 21.4.2. **ზანკი** უფლებამოსილია არ მიიღოს კლიენტისგან არასწორად შევსებული ან არაადრულად წარმოდგენილი დავალბების/განაცხადები.
- 21.4.3. კლიენტის მიერ **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, კლიენტი აცხადებს წინასწარ თანხმობას **ზანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ზანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:
 - 21.4.3.1. კლიენტის **ზანკში** არსებული ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** დაბლოკოს ან/და უაქცეპტოდ ჩამოჭროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვან ნებისმიერი სახის მომსახურების საკომისიო), კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები/გადასახდელი, შეცდომით ჩარიცხული თანხები და სხვ.) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად; ან/და
 - 21.4.3.2. თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ზანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ზანკში** მოქმედი კომერციული გაცვლითი კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოჭროს კლიენტის ანგარიშიდან.
 - 21.4.3.3. **ზანკი** უფლებამოსილია, არ ჩაურიცხოს კლიენტს სავალუტო დავალბების/გარიგების შედეგად მისაღები შესაბამისი ფულადი სახსრები, სანამ ამ ფულად სახსრებს არ მიიღებს **ზანკი**;
 - 21.4.4. კლიენტის მიერ **ზანკისთვის** მიცემული სავალუტო გარიგების დავალბების/განაცხადის შესრულების უზრუნველსაყოფად, **ზანკი** უფლებამოსილია კლიენტს მოსთხოვოს და ასეთ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია, განახორციელოს **ზანკის** მიერ მოთხოვნილი ოდენობით გარიგების წინასწარ უზრუნველყოფა გირავნობის (მათ შორის, ფულადი სახსრებით ფინანსური გირავნობის) სახით.
- 21.4.5. გარიგების უზრუნველსაყოფად მიღებული ფულადი სახსრები კლიენტს დაუბრუნდება მხოლოდ შესრულებული დავალბების/განაცხადის შესაბამისად ანგარიშსწორების განხორციელების შემდეგ.
- 21.4.6. იმ შემთხვევაში თუ კლიენტის მიერ არ მოხდება შესრულებული დავალბების/განაცხადის შესაბამისად ანგარიშსწორება ან კლიენტის ანგარიშზე არ არის ფულადი სახსრები დავალბებაში/განაცხადში მითითებული ოდენობით, **ზანკი** უფლებამოსილია მისი ნებისმიერი და ყველა მოთხოვნა წინამდებარე პირობებიდან გამომდინარე, მათ შორის, კლიენტის მიერ **ზანკისთვის** გადასახდელი ნებისმიერი და ყველა მოთხოვნა დაიცვაფიცილოს უზრუნველყოფის სახით მიღებული ფულადი სახსრებიდან.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

21.4.7. **კლიენტი** აცნობიერებს და აცხადებს თანხმობას, რომ იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ **ბანკთან** კომუნიკაცია, მათ შორის დავალების/განცხადების წარდგენა, ცვლილების ან/და გაუქმების მოთხოვნა ხდება სატელეფონო საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, **ბანკი** უფლებამოსილია წინამდებარე პირობებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზნით განახორციელოს სავალუტო გარიგებებთან დაკავშირებული ნებისმიერი კომუნიკაციის ჩაწერა და შენახვა იმ ვადით, რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და აუცილებელია დამუშავების მიზნებისათვის.

21.5. სავალუტო გარიგების მომსახურების სავალუტო ტარიფები

21.5.1. სავალუტო გარიგებით მომსახურების სავალუტო/ტარიფები, რომელსაც **კლიენტი** იხდის მომსახურების სანაცვლოდ განსაზღვრულია **პირობების შესაბამისი დანართით**. მომსახურების ტარიფები და საკომისიო, რომელიც წინამდებარე პირობების დანართით არ არის მოცემული, განისაზღვრება **მხარეთა შეთანხმებით კლიენტის მიერ დავალების/განცხადების ბანკისთვის** წარდგენის დროს.

21.5.2. როგორც პრინციპალი მოვაჭრე, ფასდადებისას, **ბანკი** უფლებამოსილია გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, როგორც არის ბაზარზე ტრანზაქციის ტიპის ლიკვიდობა, გარიგების მოცულობა ან/და სირთულე, საკრედიტო ხარჯები, ბალანსის უწყისი და კაპიტალი, რისკის ლიმიტი, ვაჭრობის საპროცესო ხარჯები, გაყიდვების მცდელობები და სხვა რელევანტური საკითხები. ვინაიდან ეს ფაქტორები შეიძლება განსხვავდებოდეს, **ბანკი** უფლებამოსილია შესთავაზოს **კლიენტს** განსხვავებული ტარიფები იმავე ან/და მსგავსი სავალუტო გარიგების დროს.

21.5.3. თუ **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული მომსახურების სავალუტო **ბანკის** მიერ უაქცეპტოდ ჩამოჭრილი იქნება **კლიენტის ანგარიშიდან**.

21.5.4. **კლიენტის** მიერ მომსახურების რომელიმე სავალუტო გადასახდელი **ბანკს** ანიჭებს უფლებას შეუჩეროს ან/და შეუწყვიტოს **კლიენტს** სავალუტო გარიგებით მომსახურებით სარგებლობის უფლება.

21.5.6. **კლიენტი** ვალდებულია სავალუტო გარიგების **დავალის/განცხადების** მიღების საკომისიო გადაუხადოს **ბანკს** მიუხედავად იმისა შესრულდება თუ არა აღნიშნული დავალება/განცხადება.

21.5.5. **ბანკი** უფლებამოსილია, დააწესოს დამატებითი საკომისიო სავალუტო გარიგების დავალების/განცხადების კლიენტის მიერ გაუქმებასთან დაკავშირებით.

21.5.6. **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** შეთავაზებულ გარკვეული სახის სავალუტო გარიგებებთან მიმართებაში, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტისგან** დავალება/განცხადება მიიღოს გარკვეული ღირებულებით. აღნიშნულ შემთხვევაში, **ბანკის** მიერ მიღებული დავალების/განცხადების ღირებულება შესაძლებელია მოიცავდეს **ბანკის** მარჯს (mark-up), რომელიც შესაძლებელია აღმატებულდ მსურსებელი ან/და შესასრულებელი გარიგების ღირებულებას. **ბანკის** მარჯის შესახებ ინფორმაციას, **ბანკი კლიენტს** მიაწვდის კონკრეტული სავალუტო გარიგების განხორციელებამდე დავალების/განცხადების მიღების დროს.

21.5.7. B-match ალგორითმაზე ვაჭრობისთვის **კლიენტი** ვალდებულია მარჯის სახით **ბანკში** განათავსოს გარკვეული **მხარეთა** შორის წინასწარ შეთანხმებული თანხა, რომლის გამოყენებაც **ბანკის** მიერ განხორციელდება **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე იმ შემთხვევაში, თუ დავალების/განცხადების შესრულების დროს არ იქნება საკმარისი ნაშთი **კლიენტის ანგარიშზე**.

21.5.8. **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ დავალიანების არსებობის შემთხვევაში პირველ რიგში ხდება **ბანკის** მიერ **კლიენტის ანგარიშიდან** თანხის ჩამოწრა დავალიანების დასაფარად. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს **კლიენტს** უფლება განკარგოს დარჩენილი თანხა საკუთარი შეხედულებისამებრ.

21.5.9. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანების დაფარვის თანმიმდევრობა.

22. აგრო სუბსიდიის მიღება და გამოყენება

22.1. **სუბსიდიის** მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ მომხმარებლებს, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ბენეფიციარებს და რომლებიც ფიქსირდება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ **ბანკისათვის** მიწოდებულ სუბსიდიის მიმღებ ბენეფიციართა სიაში (შემდგომში - **ბენეფიციარი**) ან/და გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილება **ბენეფიციარის** სახელით მიიღონ/განკარგონ **აგრო სუბსიდია**.

22.2. **ბენეფიციარი** უფლებამოსილია შესაბამისი განაცხადით **ბანკისათვის** მომართოს საფუძველზე გაიაქტიუროს **აგრო ანგარიშზე** მისი კუთვნილი ან/და შესაბამისი უფლებამოსილების საფუძველზე მისაღები **აგრო სუბსიდია** და განარჩოს იგი (აგრო სუბსიდია) **აგრო ბარათის** მეშვეობით.

22.3. დაუშვებელია **აგრო სუბსიდიის** ან/და მისი თანხობრივი ექვივალენტის წაღობა სახით გატანა ან/და სხვა მეთოდით ათვისება, გარდა **ბანკის პარტნიორი მერჩანტების** ქსელში აგროაწარმის შექმნის მიზნით, **ბანკის პოს-ტერმინალზე** გადახდის ოპერაცი(ებ)ის შესრულებისას.

22.4. **ბანკის პარტნიორი** იმ **მერჩანტების** ჩამონათვალი, რომელთა ქსელშიც შესაძლებელია **აგრო სუბსიდიის** გახარჯვა/გამოყენება, განსაზღვრულია **ბანკის** მფლობელობაში არსებულ ვებ-გვერდზე - Myliberty.ge ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრულ სხვა არხებში. **პარტნიორი მერჩანტების** ჩამონათვალი შესაძლოა ნებისმიერ დროს შეიცვალოს. **ბენეფიციარი** ვალდებულია თავად უზრუნველყოს **პარტნიორი მერჩანტების** ჩამონათვლის გადამოწმება **ბანკის** მფლობელობაში არსებულ ვებ-გვერდზე Myliberty.ge.

22.5. **ბანკი** უფლებამოსილია არ განახორციელოს **მომხმარებლის ანგარიშზე აგრო სუბსიდიის** გააქტიურება იმ შემთხვევაში თუ **აგრო სუბსიდიის** აქტივაციის მომენტისათვის **კლიენტის** ანგარიშზე ვრცელდება რაიმე სახის იძულებითი აღსრულების ღონისძიება. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე** ქსელის/სუბსიდიის **აქტივაციის** შემდგომ გავრცელდება რაიმე სახის იძულებითი აღსრულების ღონისძიება, **ბანკი** უფლებამოსილია სრულად შეუზღუდოს **კლიენტს** სუბსიდიის გამოყენების შესაძლებლობა, იძულებითი აღსრულების ღონისძიებ(ებ)ის მოხსნამდე.

22.6. სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული სფეროების განვითარების ხელშეწყობის პროგრამების გააქტიურებას ან/და შეწყვეტაზე პასუხისმგებელია პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო, აქედან გამომდინარე, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **აგრო სუბსიდიის** გააქტიურებაზე, შეწყვეტას ან/და სხვა სახით **ბენეფიციარისთვის** ხელმოწევილია დაგეგმილია დაგეგმილია.

22.7. **ბანკს** არ გააჩნია კონტროლის საშუალება **პარტნიორი მერჩანტის** მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე, აქედან გამომდინარე **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **პარტნიორი მერჩანტის** მიერ განხორციელებული მომსახურების შედეგად წარმოშობილ უზუსტობებზე, **კლიენტისათვის** ან/და მესამე პირისათვის მიყენებულ ზიანზე /ზარალზე, აგრეთვე **პარტნიორი მერჩანტის** ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის სისწორეზე, ცვლილებებზე ან/და მომსახურების შედეგად წარმოშობილ სხვა ხარვეზებზე.

23. მუდმივი საგადახდო დავალება

23.1. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მუდმივი საგადახდო დავალების მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკს** შესაძლებლობა ეძლევა, **კლიენტის ანგარიშიდან** უაქცეპტო წესით ჩამოჭრას და გადარიცხოს წინასწარ განსაზღვრული თანხები შესაბამის **განაცხადში** მითითებულ ანგარიშ(ებ)ზე წინასწარ განსაზღვრულ თარიღებში.

23.2. მუდმივი საგადახდო დავალების მომსახურების ჩართვა **კლიენტისათვის** მოხდება მის მიერ **განაცხადის** შევსების შემდეგ, ამავე **განაცხადში** მითითებული პარამეტრების შესაბამისად.

23.3. **კლიენტის** ამგვარი მუდმივი საგადახდო დავალების მომსახურების განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი თანხები **კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე**, რომლებიც მითითებულია შევსებული მუდმივი საგადახდო დავალების **განაცხადის** ფორმაში;

23.4. **მხარეები** თანხმდებიან, რომ მუდმივი საგადახდო დავალების შესასრულებლად **ბანკის** მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო დოკუმენტებს აქვთ ქალაქზე დაბეჭდილი და ანგარიშის განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერილი დადასტურებული ქალაქის დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა.

23.5. **კლიენტი** უფლებამოსილია:

23.5.1. შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სერვისზე რეგისტრაციის თავდაპირველ **განაცხადში** დაფიქსირებულ მონაცემებში;

23.5.2. უარი განაცხადოს სერვისით სარგებლობაზე.

23.6. **ბანკი** უფლებამოსილია:

23.6.1. არ შეასრულოს მუდმივი საგადახდო დავალება **კლიენტის ანგარიშზე** არასაკმარისი თანხის არსებობისას;

23.6.2. არ შეასრულოს მუდმივი საგადახდო დავალება **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე **ბანკის** წინაშე **კლიენტის** დავალიანების არსებობისას;

23.6.3. **კლიენტის ანგარიშზე** თანხის არსებობისას/ხელმისაწვდომობისას შეასრულოს მუდმივი საგადახდო დავალება **კლიენტის** მიერ განაცხადში მითითებულ კალენდარულ თარიღში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული თარიღი ემთხვევა **კანონმდებლობით** დადგენილ არასამუშაო დღეს - ასეთ შემთხვევაში, მუდმივი საგადახდო დავალების **ოპერაცია** შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მუდმივი საგადახდო დავალება გულისხმობს თანხის გადარიცხვას სხვა საფინანსო დაწესებულებაში, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი იმ ვადაზე, რომელიც შესაძლებელია დასჭირდეს მიმღებ საფინანსო დაწესებულებას გადარიცხვით თანხის მიღების/შენიშვნისთვის ანგარიშზე ასახვისათვის;

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

- 23.6.4. განსაზღვროს გადარიცხვის პრიორიტეტები;
- 23.6.5. არ განახორციელოს ავტომატური გადახდა **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე **ბანკის** წინაშე **კლიენტის** დავალიანების არსებობისას;
- 23.7. **კლიენტი** ვალდებულია:
 - 23.7.1. **ანგარიშზე** ყოველთვის იქონიოს მუდმივი საგადახდო დავალების შესასრულებლად საკმარისი ნაშთი;
 - 23.7.2. გადაიხადოს მომსახურების საფასური გადარიცხვის მომენტისათვის **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მუდმივი საგადახდო დავალების მომსახურების საკომისიოსთან ერთად **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი გადარიცხვის ოპერაციის შესრულებისთვის **ბანკში** დადგენილი მომსახურების საფასური.

24. ავტომატური დავალება სოციალური გასაცემლის მიმღები პირებისთვის

- 24.1. **ბანკი კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში ახორციელებს **კლიენტის სოციალურ ანგარიშზე** ჩარიცხული **სოციალური სარგოს ბანკში** არსებულ დაგროვებით ანაზღაურებს, **ბანკში** ან/და საქართველოში მოქმედ სხვა საბანკო დაწესებულებაში გახსნილ **კლიენტის** პირად ანგარიშზე ავტომატურ რეჟიმში გადატანას/გადარიცხვას.
- 24.2. ავტომატური დავალების გააქტიურება შეუძლია სოციალური გასაცემლის მიმღებ სრულყოფილ **კლიენტს**. დაუშვებელია ავტომატური დავალების გააქტიურება მინდობილობის საფუძველზე.
- 24.3. **ბანკი** უფლებას იტოვებს გადარიცხვის შესრულებამდე **კლიენტის ანგარიშზე** ჩარიცხული თანხა მიმართოს **ბანკის** მიმართ **კლიენტის** მიმდინარე დავალიანების სრულად დასაფარად, შესამცირებლად ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი მოთხოვნების შესასრულებლად.
- 24.4. **კლიენტი** უფლებამოსილია:
 - 24.4.1. ავტომატური დავალების გააქტიურებასთან დაკავშირებული განაცხადი წარადგინოს **ბანკის** ნებისმიერ ფილიალში, სერვის-ცენტრში ან/და ბანკის მოძრავი მომსახურების ერთეულებში;
 - 24.4.2. ავტომატური დავალების შესრულების პერიოდულობა/სიხშირე განსაზღვროს ერთჯერადად ან თვეში ერთხელ;
 - 24.4.3. აირჩიოს **ბანკში** არსებული დაგროვებით ანაზღაურებს, **ბანკში** ან/და საქართველოში მოქმედ სხვა საბანკო დაწესებულებაში გადასატანი/გადასარიცხი თანხის მოცულობა;
 - 24.5. **კლიენტი** ვალდებულია სხვა ბანკში თანხის გადატანის/გადარიცხვის შემთხვევაში წარმოადგინოს მის სახელზე გახსნილი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტი;
 - 24.6. **ბანკში** ან/და საქართველოში მოქმედ სხვა საბანკო დაწესებულებაში გახსნილ **კლიენტის** პირად ანგარიშზე თანხის გადატანას/გადარიცხვა უნდა იყოს ვადიანი და მისი მოქმედება არ უნდა აღემატებოდეს ზედიზედ 6 (ექვს) თვეს, ხოლო **ბანკში** არსებულ დაგროვებად ანაზღაურებს თანხის გადატანის/გადარიცხვის შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 11 (თერთმეტ) თვეს.
 - 24.7. ავტომატური დავალების გააქტიურება და სერვისით სარგებლობა უფასოა. **კლიენტი** იხდის **ანგარიშიდან** თანხის გადარიცხვის საკომისიოს **სოციალური ანგარიშიდან** გადარიცხვისთვის დადგენილი ტარიფის შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - 24.8. **კლიენტის სოციალურ ანგარიშზე** ავტომატური დავალების შესრულების თარიღისთვის არასაკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში, ბანკის მიერ **სოციალური სარგოს ბანკში** არსებულ დაგროვებით ანაზღაურებს, **ბანკში** ან/და საქართველოში მოქმედ სხვა საბანკო დაწესებულებაში გახსნილ **კლიენტის** პირად ანგარიშზე ავტომატურ რეჟიმში გადარიცხვის მცდელობა გაგრძელდება 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
 - 24.9. ავტომატური დავალება გაუქმდება **ბანკის** ნებისმიერ ფილიალში, სერვის ცენტრში და **ბანკის** მოძრავი მომსახურების ერთეულებში **კლიენტის** მიერ ავტომატური დავალების გაუქმების შესახებ განცხადების წარდგინის შემდეგ;
 - 24.10. **სოციალური მომსახურების სააგენტოს** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია მიაწოდოს მას ინფორმაცია ამ მუხლის შესაბამისად გააქტიურებული დავალების შესახებ, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, დავალების გააქტიურებისა და შეწყვეტის თარიღები, მოქმედების ვადა, მიმღების საბანკო რეკვიზიტები, გადასარიცხი თანხის ოდენობა ან/და **სოციალური მომსახურების სააგენტოს** მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი სხვა ინფორმაცია.

25. ავტომატური გადახდები

- 25.1. ავტომატური გადახდებით მომსახურება გულისხმობს **კლიენტის ანგარიშიდან** მომსახურების საფასურის გადარიცხვას **კლიენტის** შემდგომი თანხმობის გარეშე, ავტომატური გადახდების შესახებ **კლიენტის** განაცხადში მითითებული ინფორმაციისა და **კლიენტის** დავალიანების შემოწმების საფუძველზე.
- 25.2. ავტომატური გადახდების მომსახურების ჩართვა **კლიენტისთვის** მოხდება მის მიერ **განაცხადის** შევსების შემდეგ, ამავე განაცხადში მითითებული პარამეტრების შესაბამისად.
- 25.3. **კლიენტის** ამგვარი ავტომატური გადახდებით მომსახურების განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი თანხები ან/და ხელმისაწვდომი ლიმიტი **კლიენტის** ანგარიშ(ებ)ზე, რომელიც მითითებულია შევსებული ავტომატური გადახდების **განაცხადის** ფორმაში;
- 25.4. ავტომატური გადახდებით მომსახურების ფარგლებში შესასრულებელი **ტრანზაქციის** თანხის ოდენობა დგინდება შესაბამისი სერვისის მიმწოდებლის მიერ **კლიენტის** დავალიანების შესახებ **ბანკისთვის** მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტსა** და შესაბამისი სერვისის მიმწოდებელს შორის არსებული შეთანხმების თანახმად მომსახურების ღირებულება გამოსახულია უცხოურ ვალუტაში, გადასახდელი თანხის ოდენობა განისაზღვრება სერვისის მიმწოდებლის მიერ დადგენილი კონვერტაციის კურსის შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით, **კლიენტისთვის** ცნობილია და წინასწარ აცხადებს თანხმობას, რომ შესაძლოა ავტომატური გადახდებით მომსახურების ფარგლებში შესასრულებელი თითოეული **ტრანზაქციის** თანხის ოდენობა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.
- 25.5. **მხარეები** თანხმდებიან, რომ ავტომატური გადახდების შესასრულებლად **ბანკის** მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქაღალდზე დაბეჭდილი და ანგარიშს განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერილი დადასტურებული ქაღალდის საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.
- 25.6. **კლიენტი** უფლებამოსილია:
 - 25.6.1. შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სერვისზე რეგისტრაციის თავდაპირველ განაცხადში დაფიქსირებულ მონაცემებში;
 - 25.6.2. უარი განაცხადოს სერვისით სარგებლობაზე.
 - 25.6.3. განსაზღვროს ავტომატური გადახდის პერიოდულობა და სურვილის შემთხვევაში დააწესოს გადასახდელი თანხის მაქსიმალური ლიმიტი.
- 25.7. **ბანკი** უფლებამოსილია:
 - 25.7.1. არ განახორციელოს ავტომატური გადახდა **კლიენტის ანგარიშზე** არასაკმარისი თანხის ან/და ხელმისაწვდომი ლიმიტის არსებობისას;
 - 25.7.2. **კლიენტის ანგარიშზე** თანხის არსებობისას/ხელმისაწვდომობისას განახორციელოს ავტომატური გადახდა **კლიენტის** მიერ განაცხადში მითითებულ კალენდარულ თარიღში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული თარიღი ემთხვევა **კანონმდებლობით** დადგენილ არასამუშაო დღეს - ასეთ შემთხვევაში, ავტომატური გადახდის **ოპერაცია** შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** ავტომატური გადახდა გულისხმობს თანხის გადარიცხვას სხვა საფინანსო დაწესებულებაში, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი იმ ვადაზე, რომელიც შესაძლებელია დასჭირდეს მიმღებ საფინანსო დაწესებულებას გადარიცხული თანხის მიმღების/ბენეფიციარის ანგარიშზე ასახვისათვის.
 - 25.7.3. არ განახორციელოს ავტომატური გადახდა **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე **ბანკის** წინაშე **კლიენტის** დავალიანების არსებობისას;
 - 25.7.4. განსაზღვროს გადარიცხვის პრიორიტეტები.
 - 25.7.5. შეწყვიტოს ავტომატური გადახდებით მომსახურება გადახდის თარიღამდე **კლიენტისთვის** 5 კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე ან/და **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. **პირობების 25.11** პუნქტი განსაზღვრულ შემთხვევებში **ბანკი** უფლებამოსილია ავტომატური გადახდებით მომსახურება შეწყვიტოს დაუყოვნებლივ წინასწარი შეტყობინების გარეშე.
- 25.8. **კლიენტი** ვალდებულია:
 - 25.8.1. **ანგარიშზე** ყოველთვის იქონიოს ავტომატური გადახდისათვის საკმარისი ნაშთი;
 - 25.8.2. გადაიხადოს მომსახურების საფასური გადარიცხვის მომენტისათვის **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ავტომატური გადახდების მომსახურების საკომისიოსთან ერთად **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი გადახდის **ოპერაციის** შესრულებისთვის **ბანკში** დადგენილი მომსახურების საფასური.
 - 25.9. **ბანკის** მიერ დადგენილი წესის შესაბამისად **განაცხადით** შესაძლოა განისაზღვროს ავტომატური გადახდების მომსახურების გააქტიურება **კლიენტის** იმ ანგარიშზე, რომელზეც მიბმულია საკრედიტო ბარათი (მათ შორის ტოპ ქარდი). ასეთ შემთხვევაში საკრედიტო ლიმიტით (მათ შორის განაცხადის ლიმიტით) გადასახდელის დაფარვის შედეგად (მათ შორის და არა მხოლოდ ასეთი ტრანზაქციების განხორციელებისთვის დაწესებული საკომისიოს/ფინანსური ხარჯის დასაფარად მიმართული ლიმიტის შესაბამისი მოცულობა) ლიმიტადან გახარჯული თანხა **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე ფორმირდება როგორც საკრედიტო ლიმიტის ტრანში, რომლის დაფარვის პირობები განისაზღვრება საკრედიტო ბარათთან დაკავშირებით **ბანკთან** გაფორმებული შესაბამისი შეთანხმებებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

25.10. იმ ანგარიშ(ებ)იდან შესრულებულ ტრანზაქციებზე, რომლებზეც მიმბმულია საკრედიტო ბარათი (მათ შორის ტოპ ქარდი) ვრცელდება შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულების პირობები (მათ შორის საკრედიტო ბარათის პირობები, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე).

25.11. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი განაცხადით ავტომატური გადახდების მომსახურება გააქტიურებულია ისეთ ანგარიშზე, რომელზეც მიმბმულია საკრედიტო ბარათი (მათ შორის, ტოპ ქარდი), ბანკი უფლებამოსილია არ განახორციელოს გადახდის ოპერაცია საკრედიტო ბარათის ან/და საკრედიტო ლიმიტის ნებისმიერი მიზეზით გაუქმების, საკრედიტო ლიმიტის შეზღუდვის/შეზღუდვის ან/და ვაგადაცილების ფაქტის დადგომის ან/და საკრედიტო ბარათთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებით (მათ შორის საკრედიტო ბარათის პირობებით, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე) ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

26. წამახალისებელი პროგრამები ან/და აქციები

26.1. ბანკი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, შესთავაზოს კლიენტს ბანკის წამახალისებელ პროგრამებში, ან/და აქციებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მონაწილეობის მიღება, რომლის ფარგლებშიც კლიენტს მიეცემა საშუალება საბანკო მომსახურებით სარგებლობის პროცესში, მიიღოს ბანკის მიერ განსაზღვრული სხვადასხვა სახის შედეგები.

26.2. კლიენტი თანახმა და ადასტურებს ბანკის უფლებამოსილებას, რომ წამახალისებელ პროგრამაში ან/და აქციაში კლიენტის გამარჯვების შემთხვევაში, ბანკის შეხედულებისამებრ, მიხედვს ამ ინფორმაციის და კლიენტის პერსონალური მონაცემების (მაგალითად ფოტოსურათი, ვიდეოჩანაწერი) გასაჯაროება სხვადასხვა არხის, მათ შორის სოციალური მედიის საშუალებით, თუ კლიენტი წინასწარ წერილობით არ განაცხადებს აღნიშნულზე უარს.

27. VISA Direct და MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვები

27.1. კლიენტი პასუხისმგებელია ყველა დავალებაზე, რომელსაც იგი გასცემს ბანკზე VISA Direct ან MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვით სარგებლობისას. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას შევსებისას დამუშავდნ ნებისმიერ შეცდომას ან/და დავალებაზე, რომელიც განხორციელებული იქნა მესამე პირის მიერ.

27.2. კლიენტის მიერ VISA Direct ან MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვის განხორციელებლად განკუთვნილი საბანკო ბარათით სარგებლობის და უსაფრთხოების წესები განსაზღვრულია წინამდებარე პირობების მე-16 მუხლის შესაბამისად.

27.3. კლიენტმა არ უნდა გამოიყენოს VISA Direct ან MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვით მომსახურება, თუ ამას შედეგად მოჰყვება მის ანგარიშზე თანხის გადახარჯვა ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე;

27.4. კლიენტი პასუხისმგებელი იქნება ნებისმიერ ოპერაციაზე, რომელსაც იგი განხორციელებს VISA Direct ან MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვით სარგებლობის შედეგად.

27.5. ბანკი ყველა ზომას მიმართავს იმისათვის, რომ კლიენტი უზრუნველყოს VISA Direct ან MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვების მომსახურებით, მაგრამ ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა აღნიშნული მომსახურებით კლიენტის უზრუნველყოფა ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გულისხმობს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ხდება ბანკის სისტემის ან VISA Direct ან MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვებით მომსახურების შეფერხება სისტემის განახლების ან/და გაუმჯობესების გამო, ასევე მომსახურების შეფერხება თანხის მიმღები ბარათის მომსახურე ბანკის მიზნით.

27.6. კლიენტის ან/და საკუთარი ინტერესების დასაცავად, ბანკს შეუძლია შეაჩეროს ან შეზღუდოს კლიენტის მიერ VISA Direct ან MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვების სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება. ამგვარი ქმედების განხორციელებისას ბანკი პირველი შესაძლებლობისთანავე შეტყობინებას გაუზიარებს კლიენტს. ბანკს აგრეთვე შეუძლია ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ შეუწყვიტოს კლიენტს VISA Direct ან MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვებით მომსახურება.

27.7. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, ბანკმა შეასრულოს კლიენტის მიერ გაცემული ყველა ელექტრონული მითითება/დავალება (რომელიც ასახულია ბანკის მიერ) VISA Direct ან MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვებით მომსახურების მეშვეობით.

27.8. ბანკის მხრიდან არ ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად და იგი არ იქნება ვალდებული დამდგარ შედეგზე, როდესაც:

27.8.1. VISA Direct ან MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვით მომსახურების (ან მისი ნაწილის) განხორციელება შეუძლებელია ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო;

27.8.2. კლიენტის უსაფრთხოების დეტალები (კერძოდ, წვდომის კოდები) არავტორიზებულად იქნა გამოყენებული;

27.8.3. ბანკს არ მიუღია კლიენტის მიერ გაზიარებული დავალებები.

27.9. VISA Direct ან MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვით სარგებლობისათვის შესაძლებელია კლიენტს დამატებით დაეკისროს სხვა ფინანსური ინსტიტუტის არხში განხორციელებული VISA Direct ან MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვების მომსახურების საფასური, რომლის ოდენობაც და ლიმიტ(ებ)ი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება მომსახურე ფინანსური ინსტიტუტის მიერ.

28. ლოიალობის პროგრამა**28.1. ლოიალობის პროგრამაში ჩართვა**

28.1.1. კლიენტი უფლებამოსილია წინამდებარე პირობებით და ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, ჩართოს ბანკის ლოიალობის პროგრამაში და ისარგებლოს შესაბამისი ლოიალობის პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული წახალისებით/შედეგით(ებ)ით.

28.1.2. ლოიალობის პროგრამით სარგებლობისას კლიენტი ვალდებულია დაიცვას წინამდებარე პირობებით დადგენილი ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული წესები. ლოიალობის პროგრამის ფარგლებში ხელმისაწვდომი რომელიმე შეთავაზების გააქტიურებით/სარგებლობით, კლიენტი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება წინამდებარე პირობებს და ლოიალობის პროგრამით სარგებლობის სხვა წესებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

28.1.3. ლოიალობის პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული წახალისების/შედეგათების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ვებ-გვერდზე - www.cashback.ge. ბანკის შესაბამისი აპლიკაციაში ან/და ბანკის მიერ ამ მიზნით შექმნილ სხვა პროგრამულ უზრუნველყოფაში/დოკუმენტში/სოციალურ მედიაში (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებულია, როგორც ლოიალობის პლატფორმა). ლოიალობის პლატფორმაში განთავსებული ინფორმაცია წარმოადგენს წინამდებარე პირობების შემადგენელ ნაწილს.

28.1.4. ლოიალობის პროგრამის ფარგლებში ხელმისაწვდომი ნებისმიერი შეთავაზების სარგებლობამდე კლიენტი ვალდებულია დეტალურად გაეცნოს შესაბამისი შეთავაზების პირობებს და სარგებლობის წესებს.

28.1.5. ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, ლოიალობის პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული წახალისებით/შედეგით სარგებლობა შესაძლებელი გახადოს მხოლოდ მერჩანტ(ებ)ის სავაჭრო-მომსახურების ობიექტში (მათ შორის, ბანკის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, მერჩანტ(ებ)ის ვებ-გვერდზე) ბანკის ბარათით საბარათე ოპერაციის შესრულებისას.

28.1.6. ბანკის გადაწყვეტილებით, ლოიალობის პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული შედეგით სარგებლობისთვის შესაძლოა კლიენტს მოეთხოვოს ლოიალობის პლატფორმის მეშვეობით შესაბამისი შეთავაზების წინასწარ გააქტიურება ან/და გადახდის ბანკის პოს-ტერმინალზე (ფიზიკურ, და ბანკის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში. ვირტუალურ პოს-ტერმინალზე) შესრულება. ასეთ შემთხვევაში, ლოიალობის პროგრამით განსაზღვრული შედეგით სარგებლობა დამოკიდებულია კლიენტის მიერ აღნიშნული ნაბიჯების შესრულებაზე. კლიენტი არ არის უფლებამოსილი ბანკის მიმართ გამოხატოს რაიმე პრეტენზია ლოიალობის პროგრამის ფარგლებში ხელმისაწვდომი მიუღებლობის გამო, იმ შემთხვევაში, თუ მან ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად არ გაააქტიურა შესაბამისი შეთავაზება, გადახდა არ შესრულა ბანკის პოს-ტერმინალზე ან არ შესრულა ლოიალობის პროგრამით სარგებლობისთვის ბანკის მიერ დადგენილი სხვა მოთხოვნა.

28.1.7. ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ლოიალობის პროგრამაში კლიენტის ჩართვის სხვა პირობები, რომლის შესახებაც კლიენტს ეცნობება ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმით;

28.1.8. ბანკს არ დაეკისრება რაიმე სახის პასუხისმგებლობა კლიენტის მიერ მიღებულ ნებისმიერ ზიანზე (მათ შორის, მიუღებელ შემოსავალზე/სარგებელზე/შედეგით), იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ზედმიწევნით არ დაიცავს ბანკის მიერ ლოიალობის პროგრამით სარგებლობისთვის დადგენილ წესებს.

28.1.9. ბანკი უფლებამოსილია უარი უთხრას კლიენტს ლოიალობის პროგრამით განსაზღვრული შედეგით სარგებლობაზე, მათ შორის, არ დაუბრუნოს კლიენტს Cashback-ის თანხა ტრანზაქციასთან დაკავშირებით ნებისმიერი ეჭვის არსებობის შემთხვევაში.

28.2. ლოიალობის პლატფორმის გამოყენების პირობები

28.2.1. ლოიალობის პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიღების ან/და შეთავაზების გააქტიურების მიზნით ლოიალობის პლატფორმით სარგებლობისას, კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ:

ფიზიკური პირის მომსახურების პრობლემა

- 28.2.1.1. **ლოიალობის პლატფორმაზე** წვდომისთვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს **კლიენტის ციფრულ ბანკში წვდომის კოდები**. **კლიენტი** ვალდებულია სრულად დაიცვას **ლოიალობის პლატფორმაზე** ავტორიზაციისთვის გამოყენებული **წვდომის კოდ(ებ)ისა** და მოწყობილობ(ებ)ის კონფიდენციალურობა/უსაფრთხოება. **ლოიალობის პლატფორმაზე** ავტორიზაციისთვის გამოყენებული **წვდომი კოდ(ებ)ისა** და მოწყობილობ(ებ)ის არასათანადო დაცვამ შესაძლოა გამოიწვიოს **კლიენტის ციფრულ ბანკში** არაუფლებამოსილი პირის წვდომა და შედეგად ამ არხისთვის ნებადართული საბანკო მომსახურებით/პროდუქტებით სარგებლობა. **კლიენტი** სრულად იღებს პასუხისმგებლობას **ლოიალობის პლატფორმაზე** ავტორიზაციისთვის გამოყენებული **წვდომი კოდ(ებ)ისა** და მოწყობილობების მესამე პირის ხელში აღმოჩენის შედეგად გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებზე.
- 28.2.1.2. **ლოიალობის პლატფორმის** მეშვეობით ხელმისაწვდომი ინფორმაცია მიღებულია იმ წყაროებიდან, რომლებსაც **ბანკი** სანდოდ მიიჩნევს. **ბანკი** და მესამე პირები არ იძლევიან არანაირ გარანტიას ან პირობას, არც ნაგულისხმევს და არც პირდაპირს, იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა **ლოიალობის პლატფორმაზე** განთავსებული ან მისი მეშვეობით მიღებული ინფორმაცია სწორი, სრული ან განახლებული. **ლოიალობის პლატფორმაზე** არსებული ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს ან წაიშალოს წინასწარი შეტყობინების გარეშე. **ბანკი** არ იძლევა გარანტიას იმაზე, რომ **ლოიალობის პლატფორმა** ან მისი მეშვეობით მიწოდებული ინტერნეტ-მომსახურებები იმუშავებს შეცდომების ან შეფერხებების გარეშე.
- 28.2.1.3. **ლოიალობის პლატფორმაზე** არსებული ინფორმაცია არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც რჩევა ან თხოვნა პროდუქტის ან მომსახურების ყიდვის ან გაყიდვის თაობაზე ან/და როგორც მომსახურების მოწოდების რეკომენდაცია, თუ თავად მომსახურების მოწოდებელი აშკარად არ იუწყება საწინააღმდეგოს.
- 28.2.1.4. **ბანკი** არ მიაწვდის ამ პროდუქტებს და მომსახურებებს ნებისმიერ პირს, თუ **ბანკის** აზრით (და იმ პირობით, რომ **ბანკი** არ არის ამის შემოწმებაზე ვალდებული) ამ მომსახურებების მოწოდებით დაირღვევა აღნიშნული პირის ადგილსამყოფელ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა ან წესები ან სხვა დაკავშირებული კანონმდებლობა.
- 28.2.1.5. **კლიენტს** ეკრძალება **ლოიალობის პლატფორმის** ან/და სისტემების ყოველგვარი არაუფლებამოსილი გამოყენება, რაც შეუზღუდავად გულისხმობს **ბანკის** სისტემებში არაუფლებამოსილ შესვლას, პაროლის არასათანადო გამოყენებას ან **ლოიალობის პლატფორმაზე** განთავსებული ნებისმიერი ინფორმაციის არასათანადო გამოყენებას.
- 28.2.1.6. **ბანკს** უფლება აქვს **კლიენტის** მიერ **ლოიალობის პლატფორმის** მეშვეობით მიწოდებული ინფორმაცია გაუმჟღავნოს, გადასცეს ან/და **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაცია გადაამოწმოს/მიიღოს მესამე პირებთან. **ლოიალობის პლატფორმით** სარგებლობისას **კლიენტი** ავტომატურად ეთანხმება **ბანკის** კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების პოლიტიკას.
- 28.2.1.7. **ლოიალობის პლატფორმით** სარგებლობით **კლიენტი** თანხმობას აცხადებს **ლოიალობის პლატფორმით** მიწოდებული ინფორმაციის გადაცემაზე და მიწოდებაზე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ან ნებისმიერი ქვეყნის გავლით, როგორც **ბანკი** ჩათვლის საჭიროდ ან მიზანშეწონილად. **კლიენტის** მიერ **ლოიალობის პლატფორმით** სარგებლობა ან მასზე ინფორმაციის მიწოდება მიიჩნევა **კლიენტის** მიერ ინფორმაციის ასეთ გადაცემაზე თანხმობად.
- 28.2.1.8. **ლოიალობის პლატფორმით** სარგებლობა შეიძლება დაექვემდებაროს მონიტორინგს, თვალყურისდევნებას და ჩაწერას. ნებისმიერი პირი, რომელიც იყენებს **ლოიალობის პლატფორმას** მკაფიოდ გამოხატავს თავის თანხმობას ასეთ მონიტორინგზე, თვალყურისდევნებაზე და ჩაწერაზე. **კლიენტი** ვალდებულია გაეცნოს **ლოიალობის პლატფორმაზე** განთავსებულ მოხმარების წესებს, **ლოიალობის პროგრამის** პირობებისა და კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმდინარე ვერსიებს **ლოიალობის პლატფორმაზე** მუშაობის თითოეული შემთხვევისას.
- 28.2.1.9. **ლოიალობის პლატფორმაზე** არსებულ ინფორმაციას აქვს მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი. იგი მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ **ბანკი** არ იძლევა გარანტიას მის სისრულეზე, დროულობაზე და სისწორეზე. **კლიენტი** ეცნობა, იყენებს და ენდობა ამ ინფორმაციას მხოლოდ საკუთარი რისკით. **კლიენტი** ვალდებულია **ლოიალობის პლატფორმაზე** არსებული ინფორმაციის შეფასებისას ითხოვოს პროფესიონალების რჩევა საჭიროების მიხედვით.
- 28.2.1.10. ადამიანური თუ მექანიკური შეცდომების დასაშვებობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, **ლოიალობის პლატფორმის** შინაარსი მოწოდებულია არსებული ფორმით ანუ "როგორც არის". **ბანკი**, აფილირებული პირები ან მესამე პირები არ იძლევიან არანაირ გარანტიას და პირობას **ლოიალობის პლატფორმასთან** ან მის შემცველობასთან დაკავშირებით. **ბანკი**, აფილირებული პირები და მესამე პირები გათავისუფლებული არიან ყოველგვარი გარანტიის ან პირობის მიცემის ვალდებულებისგან **ლოიალობის პლატფორმასთან** დაკავშირებით, მათ შორის, ყოველგვარი ნაგულისხმევი გარანტიებისგან რაც ეხება სყიდვითწარმოშობას, მესამე პირის უფლებების შესაძლო დარღვევას, ვირუსებისგან ან სხვა დამაზიანებელი კოდებისგან თავისუფლებას ან რაიმე მიზნისთვის ვარსიანობას. **ბანკი**, აფილირებული პირები ან მესამე პირები არ იძლევიან არანაირ გარანტიას **ლოიალობის პლატფორმაზე** არსებული ინფორმაციის და მასალების სისწორეზე, ადეკვატურობაზე ან სისრულეზე და გარკვევით უარს აცხადებენ ყოველგვარ პასუხისმგებლობაზე რაც ეხება ამ მასალებში ან ინფორმაციაში შეცდომებს ან უზუსტობებს. **ბანკი**, აფილირებული პირები ან მესამე პირები პასუხს არ აგებენ ამ **ლოიალობის პლატფორმის** შეფერხებებზე, კომპიუტერულ ვირუსებზე, მავნე კოდებზე და **ლოიალობის პლატფორმასთან** დაკავშირებულ სხვა დეფექტებზე, შეუსაბამობაზე **ლოიალობის პლატფორმასა** და **კლიენტის** ფაილებს ან **კლიენტის** მიერ გამოყენებულ ინტერნეტში სანავიგაციო პროგრამას (Browser) ან საიტზე შესასვლელ სხვა პროგრამას შორის და სხვა პრობლემებზე, რომლებიც **კლიენტს** შეიძლება შეექმნას **ბანკის** მიერ არ ან ვერ კონტროლირებადი მიზეზებით. **ბანკი** პასუხს არ აგებს დანახარჯებზე, დანაკარგებზე, დაზიანებაზე (მათი ხასიათის მიუხედავად, იქნება ეს პირდაპირი, არაპირდაპირი, განსაკუთრებული, დამახასიათებელი, გამომდინარე თუ სადამსჯელო ან საჯარიმო დანაკარგებზე, მათ შორის და არა მხოლოდ ფინანსურ დანაკარგებზე და განაცდურებზე) ან გაცდენილ ხელსაყრელ შემთხვევაზე, თუ ეს ნებისმიერი ფორმით გამომდინარეობს **ლოიალობის პლატფორმაზე** შესვლის, მისით სარგებლობის ან ვერსარგებლობის შედეგად.
- 28.2.1.11. **ბანკი** და მესამე პირები, თუ ეს პირდაპირ არის მითითებული, ინარჩუნებენ საკუთრების უფლებას, საავტორო უფლებას © და **ლოიალობის პლატფორმასთან** დაკავშირებულ ყველა არაქონებრივ უფლებას. აკრძალულია **ლოიალობის პლატფორმის** ან მისი ნებისმიერი შემადგენელი ნაწილის შემცველობის, მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენება, რეპროდუქცია, გადაცემა ან შენახვა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საკუთრების უფლების, საავტორო უფლების ან სხვა არაქონებრივი უფლების მფლობელმა მისცა თანხმობა შესაბამის ქმედებაზე. აკრძალვა არ ეხება კომპიუტერში შენახვას ან ამოტეხვას მხოლოდ პირად გამოყენებისთვის. დასაშვებია **ლოიალობის პლატფორმის** შემცველობის ციტირება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ციტირების შემთხვევაში აუცილებელია წყაროს მითითება. **ლოიალობის პლატფორმაზე** არსებული საეჭრო ნიშნები და ლოგოები შეიძლება იქნას რეპროდუცირებული, გამოქვეყნებული ან გავრცელებული უფლების მფლობელის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე თუ ეს დასაშვებია მოქმედი კანონმდებლობით.
- 28.2.1.12. **ლოიალობის პლატფორმაზე** არსებული ფორუმების, სასაუბრო (ჩაიხი) ოთახების, დებატების და სხვა მისთანან მონაწილეებმა შეიძლება წარმოადგინონ მხოლოდ ის მასალები, რომლებზეც ისინი ფლობენ საავტორო უფლებას ან რომლებზეც სხვა გზით მოიპოვეს ეს უფლება. მიიჩნევა, რომ მონაწილე, რომელიც წარმოადგენს მასალას, და როდესაც წარმოადგენს მასალას, თანხმობას აცხადებს **ბანკის** მიერ ამ მასალის შენახვაზე, გავრცელებაზე ან გამოქვეყნებაზე, ელექტრონულად ან სხვა ფორმით.
- 28.2.1.13. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი სატელეფონო, კომპიუტერული, პროგრამული და სხვა ადპტურობის ქონაზე და გამოყენებაზე, რაც საჭიროა **ლოიალობის პლატფორმაზე** შესასვლელად და მისით სარგებლობისთვის. **ლოიალობის პლატფორმაზე** დაშვება შეიძლება ზოგჯერ იყოს შეუძლებელი, ვერხდებოდეს, იზღუდებოდეს ან შენელებდეს მათ შორის და არა მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით:
 - 28.2.1.13.1. ადპტურობის გაუმართაობა, მათ შორის და არა მხოლოდ, კომპიუტერების (მათ შორის **კლიენტის** კომპიუტერის, მობილური ტელეფონის ან/და **ლოიალობის პლატფორმაზე** წვდომისთვის გამოყენებული სხვა მოწყობილობ(ებ)ის), სერვერების, ქსელების, ტელეკომუნიკაციის ხაზების და კავშირგაბმულობის, სხვა ელექტრონული და მექანიკური ადპტურობის გაუმართაობა;
 - 28.2.1.13.2. პროგრამების გაუმართაობა, მათ შორის და არა მხოლოდ, პროგრამული "ბოჭოები" (bugs), შეცდომები (errors), ვირუსები, კონფიგურაციის პრობლემები, სისტემების, დამხმარე პროგრამების (utilities) და შემსრულებელი პროგრამების (applications) ურთიერთშეთავსებლობა, ქსელთაშორისი დამცავი (firewalls) და შემოწმებელი პროგრამების (screening programs) მუშაობა, არაწაკითხვადი კოდები ან უსწორობა ცალკეულ დოკუმენტებში ან სხვა მიზეზების;
 - 28.2.1.13.3. სისტემის გადატვირთულობა;
 - 28.2.1.13.4. ზიანი, რომელიც გამოწვეულია უამინდობით, მიწისძვრით, ომით, აჯანყებით, არეულობით, ტერორისტული აქტით, სამოქალაქო მღელვარებით, სტიქიური მოვლენებით, უბედური შემთხვევით, ხანძრით, წყლის გაყვანილობის დაზიანებით, აფეთქებით, მექანიზმის ავარიით ან ბუნებრივი კატასტროფებით;
 - 28.2.1.13.5. ელექტროდენის ან სხვა კომუნალური მომსახურების მიწოდების მთლიანი ან ნაწილობრივი შეფერხება;
 - 28.2.1.13.6. მთლიანი თუ ნაწილობრივი გაფიცვა ან შრომითი პროცესის სხვა შეფერხება;
 - 28.2.1.13.7. მთავრობის ან კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვები, სასამართლო გადაწყვეტილებები ან ადამიანის სხვაგვარი ჩარევა;
 - 28.2.1.13.8. ნებისმიერი სხვა მიზეზი (იქნება ეს ზემოთ ჩამოთვლილის მსგავსი თუ არამსგავსი), რომელიც არ არის **ბანკის** მიერ კონტროლირებადი.
- 28.2.2. თუ **ლოიალობის პლატფორმაზე** შესვლა შეუძლებელია, შეფერხებულია ან შეზღუდულია ან/და თუ **ლოიალობის პლატფორმის** ნებისმიერი შემადგენელი ნაწილი არ მუშაობს სწრაფად და გამართულად, **კლიენტს** შეიძლება ვერ შეძლოს ინფორმაციის დროულად მიღება, ტრანზაქციებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით მითითებების მიცემა ან ეს მითითებები შესაძლოა არ შესრულდეს სათანადოდ. **ბანკი** პასუხს არ აგებს კავშირის შეფერხების/შეწყვეტის გამო გამოწვეულ ზიანზე, თუ **კლიენტის** ოპერაციები დამოკიდებულია ასეთ კავშირზე.
- 28.2.3. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკი კლიენტს** აწვდის მესამე პირების ვებ-გვერდების ან/და სოციალური ქსელების ბმულებს, ეს არ ნიშნავს, რომ **ბანკი** რეკომენდაციას უწევს ამ ბმულებზე ან მათი მეშვეობით შემოთავაზებულ პროდუქტებს, მომსახურებებს, მისაზრებებს, იღებს ან ინფორმაციას. ამ ბმულების გამოყენებისას **კლიენტი**

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

მოქმედებს მხოლოდ საკუთარი რისკით და **ბანკი** არ იღებს არანაირ ვალდებულებას ან პასუხისმგებლობას მესამე პირების ვებ-გვერდების ან/და სოციალური ქსელების გვერდების შემცველობაზე, გამოყენებაზე ან ხელმისაწვდომობაზე. თუ **კლიენტი** გადაწყვეტს ისეთ ვებ-გვერდზე გადასვლას, რომელიც **ბანკის** კონტროლს არ ექვემდებარება, **ბანკი** არ იძლევა არანაირ გარანტიას, პირდაპირს თუ ნაგულისხმევს, **კლიენტის** მიერ ასეთი ვებ-გვერდის გამოყენებასთან, გამოყენების შეუძლებლობასთან, ვებ-გვერდის შემცველობასთან, მათ შორის მის სისწორესთან, სისრულესთან, სანდობასთან ან რაიმე კონკრეტული მიზნით ვარგისიანობასთან ან/და მასზე განთავსებული დოკუმენტ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნამდვილობასთან დაკავშირებით; ასევე, **ბანკი** არ იძლევა გარანტიას, რომ ეს ვებ-გვერდი ან მისი შემცველობა თავისუფალია ისეთი პრეტენზიებისგან, რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს საავტორო უფლებას, სავაჭრო ნიშანს ან მესამე პირების უფლებების სხვა დარღვევებს. **ბანკი** ასევე არ იძლევა გარანტიას, რომ ასეთი ვებ-გვერდი ან მისი შემცველობა თავისუფალია ვირუსებისგან ან სხვა სახის დამაზიანებელი ფაქტორებისგან. **ბანკს** არ შეუძლია ასეთი ვებ-გვერდების შემცველობის სინამდვილე, სისწორე, გონივრულობა, სანდობა ან სისრულე.

28.2.4. მესამე პირების ვებ-გვერდების შეიძლება ჰქონდეთ **ბანკის** **ლოიალობის პლატფორმისგან** განსხვავებული უსაფრთხოების პოლიტიკა ან უსაფრთხოების სხვა პრაქტიკა, რის გამოც აუცილებელია **კლიენტი** პირადი ინფორმაციის გაზიარებამდე გაეცნოს შესაბამისი ვებ-გვერდის პოლიტიკას.

28.2.5. **ლოიალობის პლატფორმა** შეიძლება შეიცავდეს ე.წ. ქუქის (cookies), რომელიც მუშაობს შემდეგი პრინციპით:

28.2.5.1.1. ქუქი არის მოკლე ტექსტური ფაილი, რომელსაც **კლიენტის** მიერ მონახულებული ვებ-გვერდი ინახავს მნახველის მყარ დისკზე. ტექსტური ფაილი შეიცავს ინფორმაციას და, სხვა მიზნებთან ერთად, გამოიყენება მნახველის მიერ შესაბამისი ვებ-გვერდით სარგებლობის უზრუნველსაყოფად.

28.2.5.1.2. მუდმივი ქუქი (persistent cookies) ინახავს ფაილს ვებ-გვერდის მნახველის მყარ დისკზე გარკვეული დროით. **ბანკი** იყენებს მუდმივ ქუქის იმისათვის, რათა დააფიქსიროს მნახველის ნავიგაცია ვებ-გვერდზე და შეაგროვოს სტატისტიკური მონაცემები.

28.2.5.1.3. ქუქის სხვა ტიპი, რომელსაც სესიური ქუქი (session cookie) ეწოდება, ინახება მხოლოდ იმ ხნის განმავლობაში, რა დროშიც **კლიენტი** ახდენს ნავიგაციას ვებ-გვერდზე. სესიური ქუქის **ბანკი** იყენებს იმისათვის, რათა **კლიენტმა** შეძლოს **ლოიალობის პროგრამის** ფარგლებში შეთავაზებული აქციების გააქტიურება, ხოლო როდესაც **კლიენტი** დატოვებს **ლოიალობის პლატფორმას** ან დახურავს ინტერნეტში სანავიგაციო პროგრამას (browser) – სესიური ქუქი თავისით წაიშლება.

28.2.5.1.4. თუ **კლიენტი** არ დაეთანხმება ქუქის გამოყენებით მუშაობას, **კლიენტს** შეუძლია შეცვალოს სანავიგაციო პროგრამის (Internet Explorer, Mozilla Firefox, Google Chrome და სხვა) უსაფრთხოების რეჟიმი. **კლიენტს** შეუძლია არ დაეთანხმოს ქუქის გამოყენებას. ამასთან, **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ ცალკეული სახეობის ქუქის გამოთვამ (დაუთანხმებლობამ) შესაძლოა გავლენა იქონიოს ვებ-გვერდის ფუნქციონირებასა და მომსახურებაზე. დამატებითი ინფორმაცია ქუქიზე ხელმისაწვდომია ბანკის ვებგვერდზე www.libertybank.ge განთავსებულ „cookies გამოყენების შესახებ შეტყობინებაში“.

28.2.6. **ბანკი** თავად განსაზღვრავს **ლოიალობის პროგრამის** ხელმისაწვდომობის ფარგლებს, კერძოდ **ბანკის** გადაწყვეტილებისამებრ **ლოიალობის პლატფორმაზე** განთავსებული პროდუქტები და მომსახურებები, შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი საქართველოს ტერიტორიის გარეთ მყოფი **კლიენტებისთვის**.

29. თანხის დაგროვების სერვისი - ყულაბა

29.1. **ბანკის** ნებისმიერი **ბარათის** მფლობელს შეუძლია გაიაქტიუროს **თანხის ავტომატური დაგროვების სერვისი - ყულაბა** ბანკის მიერ განსაზღვრული დაგროვების სქემ(ებ)ის შესაბამისად.

29.2. **თანხის დაგროვების სერვისის** გააქტიურება შესაძლებელია როგორც **ბანკის** ფილიალურ და სერვის ცენტრებში, აგრეთვე **ბანკის დისტანციური მომსახურების არხებში** ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

29.3. **ყულაბა** შესაძლებლობას აძლევს **კლიენტს ბარათით** განხორციელებულ თითოეულ ტრანზაქციაზე დააგროვოს თანხა მოთხოვნამდე ტიპის ანაზრის ანგარიშზე წინასწარ განსაზღვრული დაგროვების სქემ(ებ)ის მიხედვით.

29.4. **თანხის დაგროვების სერვისის** ფარგლებში **კლიენტს** შესაძლებელია აქვს თანხა დააგროვოს შემდეგი სქემების შესაბამისად:

29.4.1. თანხის დაგროვების სქემა ქეშბეკი - **კლიენტის** მიერ **ბანკის** **ლოიალობის პროგრამით** სარგებლობის ფარგლებში **კლიენტის** ანგარიშზე დასაბრუნებელი თანხა ავტომატურად ჩაირიცხება **კლიენტის** მიერ განსაზღვრულ მოთხოვნამდე ტიპის ანაზრის ანგარიშზე. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული სქემით თანხა **კლიენტის** მოთხოვნამდე ტიპის ანგარიშზე ჩაირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააქტიურებული ექნება ქეშბეკი **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

29.4.2. თანხის დაგროვების სქემა ფიქსირებული ერთეული - **ბარათით** ლარში განხორციელებული ყოველი ტრანზაქციის შესრულების შემდეგ **კლიენტის** მიერ განსაზღვრულ მოთხოვნამდე ტიპის ანაზრის ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება **კლიენტის** მიერ წინასწარ არჩეული ფიქსირებული ერთეულის შესაბამისი თანხა.

29.4.3. დაგროვების სქემა დამრგვალებით - **ბარათით** ლარში განხორციელებული ყოველი ტრანზაქციის შესრულების შემდეგ, ტრანზაქციის თანხა დამრგვალებდა უახლოეს ზედა მთელ რიცხვამდე და დამრგვალებულ თანხასა და ტრანზაქციის თანხას შორის სხვაობა ავტომატურად გადაირიცხება **კლიენტის** მიერ განსაზღვრულ მოთხოვნამდე ტიპის ანაზრის ანგარიშზე.

29.4.4. დაგროვების სქემა ფიქსირებული ერთეულით წინასწარ განსაზღვრულ რიცხვში (Standing Order) - **კლიენტის** მიერ წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და წინასწარ განსაზღვრულ რიცხვში მის მიერ განაცხადში მითითებული ფიქსირებული თანხა ავტომატურად გადაირიცხება **კლიენტის** მიერ განსაზღვრულ მოთხოვნამდე ტიპის ანაზრის ანგარიშზე.

29.5. **კლიენტი** უფლებამოსილია ერთდროულად გაიაქტიუროს რამდენიმე ტიპის დაგროვების სქემა. სასურველ დაგროვების სქემას **კლიენტი** განსაზღვრავს შესაბამისი **განაცხადით**.

29.6. **თანხის დაგროვების სერვისით** თანხის დაგროვება შესაძლებელია ნებისმიერი რაოდენობის მოთხოვნამდე ტიპის ანაზრის ანგარიშზე. ამასთან, ერთ საანაზრე ანგარიშზე თანხების დაგროვება შესაძლებელია **კლიენტის** ნებისმიერი რაოდენობის ანგარიშზე გააქტიურებული **თანხის დაგროვების სერვისის** მეშვეობით.

29.7. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** არჩეული აქვს თანხის დაგროვების რამდენიმე სქემა ან/და თანხის დაგროვება ხორციელდება რამდენიმე ანაზრის ანგარიშზე, თანხის დაგროვება განხორციელდება **კლიენტის** მიერ არჩეული შესაბამისი ანაზრების და დაგროვების სქემების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

29.8. **თანხის დაგროვების სერვისის** გააქტიურება ხდება **კლიენტის ანგარიშზე** და არა **ბარათზე**. შესაბამისად, **კლიენტის** მიერ არჩეულ **ანგარიშზე** **თანხის დაგროვების სერვისის** გააქტიურების შემთხვევაში, თანხის დაგროვება განხორციელდება **კლიენტის** მიერ არჩეულ **ანგარიშზე** მიმბული ნებისმიერი **ბარათით** (მათ შორის, **ციფრული ბარათით**) განხორციელებულ ტრანზაქციებზე.

29.9. **თანხის დაგროვების სერვისის** მეშვეობით თანხის დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. ამასთან, **თანხის დაგროვების სერვისით** ანაზრე თანხის გადარიცხვა ხდება მხოლოდ შესაბამისი ვალუტის ქვეანგარიშზე არსებული ნაშთიდან და **ბანკი** არ განხორციელებს თანხის კონვერტაციას მიუხედავად შესაბამისი **ანგარიშის** სხვა ვალუტის ქვეანგარიშზე არსებული ნაშთის.

29.10. **თანხის დაგროვების სერვისის** ფარგლებში მოთხოვნამდე ანაზრის ანგარიშზე თანხის გადარიცხვა ხორციელდება მხოლოდ **კლიენტის ანგარიშზე** შესაბამისი ოდენობის ნაშთის არსებობის შემთხვევაში. ანგარიშის ხელმისაწვდომ ნაშთში ასევე გაითვალისწინება ლარის ანგარიშზე დამცველი ოვერდრაფის ლიმიტის ხარჯზე ხელმისაწვდომი თანხა. ამასთან, ტრანზაქციის შესრულების შემდეგ დასაგროვებელი თანხის **კლიენტის** მიერ შერჩეულ ანაზრის ანგარიშ(ებ)ზე გადატანა მოხდება სრულად. იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქციის შესრულების შემდეგ **კლიენტის ანგარიშზე** არ აღმოჩნდება საკმარისი თანხა **კლიენტის** მიერ არჩეული დაგროვების სქემის შესაბამისად თანხის გადასარიცხად, თანხის ნაწილობრივ გადატანა და/ან მოგვიანებით გადატანა არ განხორციელდება.

29.11. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ თანხის გადარიცხვა არ განხორციელდება შესაბამის **ანგარიშზე** რაიმე სახის საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (მათ შორის, ინკასო/ყადადა) არსებობის შემთხვევაში.

29.12. **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს **ბანკს** **თანხის დაგროვების** სერვისის გაუქმების მიზნით.

29.13. **კლიენტის ანგარიშზე** გააქტიურებული **თანხის დაგროვების სერვისი** ავტომატურად გაუქმდება იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** დახურავს იმ ანაზრის ანგარიშს, რომელზეც ხდება თანხის დაგროვება.

30. პოს-ტერმინალის მეშვეობით თანხის განაღდება

30.1. **სოციალური ანგარიშის** მფლობელ **კლიენტს** ეძლევა შესაძლებლობა, განხორციელოს მის **ანგარიშზე** არსებული თანხის განაღდება, **ბანკთან** შესაბამისი ხელშეკრულებით დაკავშირებული სავაჭრო/მომსახურების ობიექტების ქსელში არსებული **ბანკის პოს-ტერმინალის** მეშვეობით.

30.2. **პოს-ტერმინალის** მეშვეობით თანხის განაღდება შესაძლებელია, მხოლოდ მომსახურების/ნასყიდობის საფასურის გადახდასთან ერთად, ერთი ოპერაციის ფარგლებში, წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული ტარიფებისა და ლიმიტების შესაბამისად.

30.3. შესაბამისი სავაჭრო-მომსახურების ობიექტი უფლებამოსილია უარი განუცხადოს **კლიენტს** თანხის განაღდებას ოპერაციის შესრულებაზე, რასთან დაკავშირებითაც **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი პრეტენზიით მიმართოს **ბანკს** ან/და აღნიშნულ ობიექტს.

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

31. ბანკომატის მემშვეობით ანგარიშზე თანხის შეტანის სერვისი

31.1. ბანკის შესაბამისი ფუნქციონალით აღჭურვილი ბანკომატის მემშვეობით კლიენტს შესაძლებლობა აქვს განახორციელოს ანგარიშზე თანხის შეტანის ოპერაცია VISA/MasterCard ტიპის ბარათების გამოყენებით **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად. **ბანკომატის** გამოყენებით ანგარიშზე თანხის შეტანის ოპერაციის განსახორციელებლად კლიენტმა უნდა მიუთითოს სასურველი ანგარიში და **ბანკომატის** თანხის მიმღებში განათავსოს შესატანი თანხა.

31.2. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ **ბანკომატის** თანხის მიმღებში განთავსებული თანხა (დასაშვებ ვალუტაში) განსხვავდება არჩეული ანგარიშის ვალუტისაგან, კლიენტის მიერ არჩეულ ანგარიშზე ჩაირიცხება ანგარიშის ვალუტაში კონვერტირებული თანხა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ვალუტის გაცვლის ოპერაციის ინიცირების/დადასტურების შემდეგ, ოპერაციის სრულად დასრულებამდე, კლიენტმა **ბანკის კომერციული საგალუტო გაცვლითი კურსი, ბანკი** უფლებამოსილია ვალუტის კონვერტაცია შეასრულოს კლიენტის ანგარიშზე თანხის ასახვის მომენტში არსებული **ბანკის კომერციული საგალუტო გაცვლითი კურსის** შესაბამისად, მიუხედავად **ბანკის კომერციული საგალუტო გაცვლითი კურსის თაობაზე, კლიენტისთვის** ოპერაციის ინიცირების/დადასტურების მომენტში მიწოდებული ინფორმაციისა.

31.3. კლიენტი ვალდებულია ყურადღებით გაეცნოს **ბანკომატში** თანხის მიღებასთან და ოპერაციის შესრულებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირობას/შეზღუდვას/მითითებას და ოპერაციის განხორციელებისას მიეცეს **ბანკომატის** მიერ გაცემულ ინსტრუქციებს, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს კლიენტის ვალდებულებას **ბანკომატში** არ განათავსოს დაზიანებული, დასერილი, დაკეცილი, შეკრული, ყალბი კუპონურები. აგრეთვე დაუშვებელია **ბანკომატის** თანხის მიმღებში მონეტების ან/და სხვადასხვა ვალუტის კუპონურების ერთდროულად განთავსება. **ბანკომატის** თანხის მიმღებში ერჯერადად დასაშვებ კუპონურების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება წინამდებარე პირობების შესაბამისი **დანართით**. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტში მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და **ბანკომატის** გამოყენებით ანგარიშზე თანხის შეტანის შეფერხება/შეუძლებლობა შესაძლებელია გამოწვეული იყოს სხვა გარემოებ(ებ)ით. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და კლიენტის უყურადღებობის გამო დამდგარ ნებისმიერ შედეგზე, მათ შორის და არა მხოლოდ, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ოპერაციის შესრულებისთვის განკუთვნილი დროის ამომწურვის შედეგად თანხის დაკავებით გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე.

32. ვალუტის გაცვლა

32.1. **ბანკი** კლიენტს გაუწევს ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საბროკერო, ასევე, ვალუტის გაცვლითი ოპერაციებით მომსახურებას. ვალუტის გაცვლითი ოპერაციაში იგულისხმება კლიენტის ერთ-ერთ საგალუტო ანგარიშზე არსებული თანხების გაყიდვა მეორის სანაცვლოდ. ვალუტის გაცვლითი ოპერაციას **ბანკი** შეასრულებს კლიენტის განაცხადის შესაბამისად, **ბანკში** დადგენილი კომერციული ან თბილისის ბანკთაშორის საგალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული კურსით.

32.2. **ბანკი** იღებს ვალდებულებას ჩაატაროს ვალუტის გაცვლითი ოპერაცია კლიენტის ანგარიშზე, ამგვარი ოპერაციის საწარმოებლად საჭირო თანხის არსებობის შემთხვევაში და ვალუტის გაცვლითი ოპერაციის შესრულებისთანავე ჩარიცხვის კლიენტის ანგარიშზე კლიენტის მიერ ნაყიდი თანხა განაცხადში მითითებულ ვალუტირების (კლიენტის ანგარიშზე თანხების ჩამოწერისა და ჩარიცხვის) თარიღში.

32.3. **ბანკი** უფლებამოსილია კლიენტის მიერ ვალუტის გაცვლითი ოპერაციის წარმოების შესახებ განაცხადის მიღების მომენტიდან, ბლოკირება გაუკეთოს კლიენტის ანგარიშზე თანხებს, განაცხადში არსებული კლიენტის მიერ გასაყიდი თანხის ფარგლებში (ოპერაციის საზღაურის გათვალისწინებით) ოპერაციის დასრულებამდე (ანგარიშზე შესაბამისი თანხების ჩამოჭრა/ჩარიცხვამდე ან **ბანკის** მიერ ოპერაციის შეუსრულებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე).

32.4. **ბანკი** არ იღებს ვალდებულებას ვალუტის გაცვლითი ოპერაციის წარმოების შესახებ განაცხადის შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ განაცხადში მითითებულია კურსის შეზღუდვა, ან **ბანკის** მიერ დადგენილი კურსი არ აკმაყოფილებს კურსის შეზღუდვის მოთხოვნებს. კურსის შეზღუდვა გულისხმობს: ბირჟის კურსით **განაცხადის** შემთხვევაში ყიდვის მაქსიმალურ ან გაყიდვის მინიმალურ კურსს, ხოლო კომერციული კურსის განაცხადის შემთხვევაში – მხოლოდ მითითებულ კურსში ვალუტის გაცვლითი ოპერაციის შესრულების მოთხოვნას.

32.5. თუ ამ პუნქტში აღნიშნული მიზეზების გამო ნაწილობრივ განხორციელდა ან არ განხორციელდა ბირჟის კურსით ვალუტის გაცვლითი ოპერაცია, **ბანკი** შეატყობინებს კლიენტს განაცხადის შეუსრულებლობის მიზეზების შესახებ და კლიენტისაგან მიღებული თანხის მიხედვით შეასრულებს ვალუტის გაცვლითი ოპერაციას **ბანკის** მიერ განსაზღვრული კომერციული კურსით. ასეთი მიზეზები შეიძლება იყოს:

- 32.5.1. ბირჟაზე ვაჭრობა არ შედგა **ბანკისაგან** დამოუკიდებელი მიზეზის გამო;
- 32.5.2. **ბანკის განაცხადი** ბირჟაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
- 32.5.3. კლიენტმა **ბანკის** მიერ ბირჟაზე ნაყიდი თანხა არ მიიღო ან მიიღო ნაწილობრივ.
- 32.6. კლიენტი ვალდებულია ვალუტის გაცვლითი ოპერაციების ჩატარებისათვის დააკმაყოფილოს **ბანკში** დადგენილი ზოგადი წესები (**განაცხადის** წარდგენის ვადები, შევსების წესები და ა.შ.) და გადაიხადოს აღნიშნული ოპერაციებისათვის დადგენილი საკომისიო გადასახადი.

33. ფულადი გზავნილები

33.1. ფულადი გზავნილების მომსახურება კლიენტს საშუალებას აძლევს გაგზავნოს ან მიიღოს თანხა საქართველოში ან სხვა ნებისმიერ ქვეყანაში **ბანკის** ან **ბანკის** პარტნიორი საერთაშორისო ფულადი გზავნილების ოპერატორი-პარტნიორების კუთვნილი სისტემების მემშვეობით;

33.2. ფულადი გზავნილების მომსახურების გამოყენებით თანხის მიღება/გაგზავნა შესაძლებელია მათ შორის ისეთი პირისაგან/პირისათვის, ვისაც არ გააჩნია **ბანკში** გახსნილი ანგარიში;

33.3. ფულადი გზავნილების მომსახურების გამოყენებით თანხის გადარიცხვა და მიღება შესაძლებელია **ლარში, აშშ დოლარში, ევროში, გირგანჯა სტერლინგში** ან რუსულ რუბლში;

33.4. კლიენტი თავად ირჩევს ფულადი გზავნილების სისტემას რომლის გამოყენებითაც მას სურს თანხის მიღება ან გაგზავნა/გადარიცხვა. ამასთან **ლარში** ფულადი გზავნილების გადარიცხვა ან/და მიღება არის შესაძლებელი მხოლოდ **ბანკის** კუთვნილი ფულადი გზავნილების სისტემა ლიბერთი ექსპრესით;

33.5. ფულადი გზავნილის მიღება **ანგარიშზე** არის უფასო. მიღებული ფულადი გზავნილის **ანგარიშიდან** განაღდება ქვემდებარება სტანდარტული საკომისიოს გადახდას;

33.6. ფულადი გზავნილის გადარიცხვა **ანგარიშიდან** ქვემდებარება გადარიცხვის საკომისიოს გადახდას, რომელიც დამოკიდებულია ქვეყანაზე სადაც ხორციელდება ფულადი გზავნილის გადარიცხვა, გადარიცხული თანხის ოდენობაზე და ვალუტაზე და ასევე სისტემაზე, რომლის მემშვეობით ხორციელდება ფულადი გზავნილი;

33.7. ფულადი გზავნილის მოცულობა და საკომისიო განისაზღვრება კლიენტის მიერ გზავნილის შესრულების მომენტში **ბანკში** არსებული წესების შესაბამისად.

33.8. კლიენტი იღებს ინფორმაციას ფულადი გზავნილის გადარიცხვის შესრულების ვადის და საკომისიოს მოცულობის შესახებ ოპერაციის შესრულებამდე ან/და ოპერაციის შესრულების პროცესში. კლიენტის მიერ ფულადი გზავნილის ოპერაციის ავტორიზაცია/დასრულება აღნიშნავს მის (კლიენტის) უპირობო თანხმობას **ბანკის** მიერ მისთვის წინასწარ მიწოდებულ/გაცხადებულ პირობებთან;

33.9. კლიენტის მიერ ფულადი გზავნილის მიღების მიზნით აუცილებელია როგორც მინიმუმ ფულადი გზავნილის კოდის, თანხის და ვალუტის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდება **ბანკისათვის**, წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** მოკლებულია შესაძლებლობას მოიძიოს კლიენტის ფულადი გზავნილი კლიენტისთვის მიწოდების მიზნით;

33.10. კლიენტის მიერ ფულადი გზავნილის გაგზავნის მიზნით აუცილებელია, შეზღუდვის გარეშე, ფულადი გზავნილის მიმღების/შენიშვნის საიდენტიფიკაციო მონაცემების და ადგილსამყოფელის (ქვეყანა, ქალაქი, ზოგიერთ შემთხვევაში დაწესებულება, რომელსაც მიმართავს მიმღები ფულადი გზავნილის მიღების მიზნით) **ბანკისათვის** მიწოდება. **ბანკი** ფულადი გზავნილის გაგზავნის შესრულების შემდეგ გაგზავნის აწვდის გზავნილის კოდს, რომელიც გამგზავნა უნდა მიაწოდოს მიმღებს. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი რაიმე შეფერხებაზე, რომელიც არის ფულადი გზავნილის გამგზავნის მიერ ფულადი გზავნილის მიმღების შესახებ **ბანკისათვის** მიწოდებული არასწორი ინფორმაციის შედეგად;

33.11. თუ გაგზავნილი ფულადი გზავნილი არის ისეთ ვალუტაში, რა ვალუტაშიც კლიენტს არ გააჩნია ქვე-ანგარიში ან გააჩნია ქვე-ანგარიში, მაგრამ აღნიშნულ ქვე-ანგარიშზე არ არიან დადგენილი ფულადი გზავნილის შესრულებისათვის საკომისიოს ხელმისაწვდომი ნაშთი - ფულადი გზავნილის შესრულების მიზნით **ბანკი** მოახდენს კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან თანხის კონვერტაციას ფულადი გზავნილის შესრულების მომენტში არსებული **ბანკის კომერციული საგალუტო გაცვლითი კურსით**;

33.12. თუ მიღებული ფულადი გზავნილი არის ისეთ ვალუტაში, რა ვალუტაშიც კლიენტს არ გააჩნია ქვე-ანგარიში - **ბანკი** მოახდენს ფულადი გზავნილის კლიენტის იმ ქვე-ანგარიშზე ჩარიცხვას, რომელსაც აირჩევს თავად კლიენტი. ასეთ შემთხვევაში **ბანკი** მოახდენს კლიენტის მიერ მიღებული ფულადი გზავნილის თანხის კონვერტაციას ქვე-ანგარიშის ვალუტაში **ბანკის კომერციული საგალუტო გაცვლითი კურსის** გამოყენებით.

33.13. კლიენტისთვის ცნობილია და უთანხმოება, რომ ფულადი გზავნილით სარგებლობის წესები განისაზღვრება საერთაშორისო ფულადი გზავნილების შესაბამისი სისტემის ოპერატორის მიერ. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე საერთაშორისო ფულადი გზავნილების სისტემის ოპერატორის მიერ

ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

დადგენილი წესების/შეზღუდვების გამო, მათ შორის იმ შემთხვევაშიც თუ აღნიშნული წესების/შეზღუდვების გათვალისწინებით **კლიენტი** ვერ შეძლებს ფულადი გზავნილით სარგებლობას.

33.14. **კლიენტი** უფლებამოსილია უარი განაცხადოს ფულადი გზავნილის მიღებაზე/გაგზავნაზე და მოითხოვოს ფულადი გზავნილის გაუქმება **ბანკის** მიერ განსაზღვრული შესაბამისი მომსახურების არსების მეშვეობით. ფულადი გზავნილის გაუქმება განხორციელდება **ბანკისა** და საერთაშორისო ფულადი გზავნილების შესაბამისი სისტემის ოპერატორის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

33.15. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **ბანკი** შეაგროვებს/დაამუშავებს **კლიენტის** (უცხო ქვეყნიდან განხორციელებული) ფულადი გზავნილიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. ფულადი გზავნილიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადახდის უნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული სესხის გამცემი ორგანიზაციებისთვის **კანონმდებლობით** დადგენილი წესით. მონაცემთა უზენაესი/მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგო. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ (უცხო ქვეყნიდან განხორციელებული) ფულადი გზავნილიდან მიღებული შემოსავლის შესახებ მონაცემების მიწოდება ბიუროსთვის არ მოხდება თუ **კლიენტი** ინფორმირების მომენტში არ იქნება თანახმა ზემოაღნიშნულზე და განაცხადებს უარს **კანონმდებლობით** დადგენილი წესით.

34. eMoney ელექტრონული საფულე

34.1. **eMoney ელექტრონული საფულე** მომსახურება წარმოადგენს **ბანკისა** და **eMoney-ს** ერთობლივ მომსახურებას, რომლის გამოყენებითაც **ბანკისა** და **eMoney-ს** **კლიენტს** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ეძლევა საშუალება იქონიოს **eMoney ელექტრონული საფულე** კონკრეტული მომენტისათვის შესაძლო ვალუტაში(ებში), საიდანაც უფლებამოსილია აწარმოოს ანგარიშსწორება ან/და გადახდები, მიიღოს თანხები ელექტრონულ საფულეზე ან/და განხორციელოს **კანონმდებლობით** ან/და შესაბამისი პირობებით გათვალისწინებული და ნებადართული სხვა მოქმედებები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, გამოიყენოს მისი **eMoney ელექტრონული საფულის** ანგარიში (ან/და მობილური ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი) ავტორიზაციისათვის ისეთ ვებ გვერდებზე სადაც **eMoney-თ** ავტორიზაცია დამუშავდება.

34.2. **eMoney ელექტრონული საფულე** წარმოადგენს ვირტუალურ მულტისავალუტო ანგარიშს, რომლით სარგებლობისთვისაც არ არის სავალდებულო **კლიენტი** ფლობდეს სხვა საბანკო ანგარიშს.

34.3. **eMoney ელექტრონული საფულე** მეშვეობით **კლიენტი** სარგებლობს მრავალი უპირატესობებით, მათ შორის, **eMoney ელექტრონულ საფულეზე** არსებული თანხის მომენტალური წვდომითა და კონტროლით; პროვაიდერის მომსახურების საფასურის გადახდის შესაძლებლობით; თანხის მომენტალურად გადარიცხვის ან/და მიღების, აგრეთვე, თანხის ანგარიშზე შეტანის ან/და გატანის შესაძლებლობით; ვირტუალური ანგარიშიდან თანხის განაღდებას უპირატესობით საბანკო ანგარიშის გახსნის გარეშე.

34.4. **eMoney-ის ელექტრონული საფულის** მის საბანკო ანგარიშზე ორგანიზებული გადახდისათვის (რაც **კლიენტს** გაუმარტივებს შესაბამისი სერვისების მიღებას) **კლიენტი** ვალდებულია დარეგისტრირდეს **eMoney-ს** ვებ-გვერდზე და გაიაროს მოქმედი **კანონმდებლობით** გათვალისწინებული იდენტიფიკაციის პროცესი.

34.5. **eMoney ელექტრონული საფულით** მომსახურების პირობები, ტარიფები და მხარეთა უფლება-მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი **eMoney ელექტრონული საფულით** მომსახურების პირობებში, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე - www.emoney.ge (<http://bit.ly/1ZvRqRk>) და რომელიც წარმოადგენს წინამდებარე პირობების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს. წინამდებარე პირობებზე თანხმობითა და **eMoney ელექტრონული საფულის** გამოყენების ფაქტით **კლიენტი** ადასტურებს მის თანხმობას ზემოაღნიშნულ **eMoney ელექტრონული საფულით** მომსახურების პირობებზე. მიუხედავად ამისა, **eMoney** ვებ გვერდზე ან/და **eMoney** მობილურ აპლიკაციაში რეგისტრირებისას **eMoney** შესაძლოა **კლიენტს** დამატებით მოთხოვოს ელექტრონული თანხმობა **eMoney ელექტრონული საფულით** მომსახურების პირობებზე.

34.6. **ბანკი** იტოვებს უფლებას, რომ ცალმხრივად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად შეაჩეროს **eMoney ელექტრონული საფულით** (ან **eMoney ელექტრონული საფულით** სავალდებულო წესისმიერი ცალკეული ფუნქცია ან ფუნქციები, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ბალანსის შევსებას, თანხების მიღებას ან/და თანხების განაღდებას) მომსახურება, იმ შემთხვევაში თუ **ოპერაცია(ებ) ბანკის** ან/და **eMoney-ს** შეხედულებით ჩაითვლება, რომ (i) განხორციელდა წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების დარღვევით, ან/და (ii) არის საეჭვო და დაკავშირებული უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან, ტერორიზმის დაფინანსებასთან, თაღლითობას ან/და სხვა უკანონო საქმიანობასთან. **ბანკი** ან/და **eMoney** შეეცდება შეატყობინოს მერჩანტს ასეთი მომსახურების შეჩერების ან შეზღუდვის შესახებ, თუ მათ ასეთი შეატყობინების მიწოდება აკრძალული არ აქვთ **კანონმდებლობით**, სასამართლო გადაწყვეტილებით ან სხვა სავალდებულო სამართლებრივი დოკუმენტით.

35. სმს ხელმოწერით ოპერაციების წარმოება

35.1. **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად, **ბანკი** უფლებამოსილია შესთავაზოს **კლიენტს, კლიენტის** ხელმოწერის ნაცვლად ოპერაციის, დავალების ან/და მომსახურების ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) **ვერიფიცირებულ ნომერზე** გაგზავნილი SMS კოდის, **ბანკისათვის** მიწოდების საშუალებით დადასტურებას.

35.2. **კლიენტი** უფლებამოსილია განსაზღვროს ლიმიტების ფარგლებში, საბუთის მატერიალური სახით ბეჭდვისა და მასზე ფიზიკური ხელმოწერის დაფიქსირების გარეშე, სმს ხელმოწერის საფუძველზე საბანკო ოპერაცია ან/და მიიღოს მომსახურება მიიღ.

35.3. სმს ხელმოწერის სერვისით სარგებლობა **კლიენტს** შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ იგი **ბანკში** ფლობს **ვერიფიცირებული ნომერს**. თუ **კლიენტის ბანკში** დაფიქსირებულ ნომერს არ აქვს **ვერიფიცირებული ნომრის** სტატუსი, სმს ხელმოწერის სერვისით სარგებლობისთვის აუცილებელია განხორციელდეს **კლიენტის** ნომრის ვერიფიცირება **ბანკში** არსებული პროცედურის შესაბამისად;

35.4. **კლიენტის** მიერ SMS კოდის **ბანკისათვის** მიწოდებით **კლიენტის** მიერ დასტურდება, რომ იგი სრულად გაეცნო შესაბამის ოპერაციას, დავალებას ან/და მომსახურების ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის (მათ შორის გარიგებას) ეთანხმება მასში მოცემული პირობების/ინფორმაციის სისწორეს და სურს აღნიშნული ოპერაციის, დავალების შესრულება ან/და მომსახურების ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) გაფორმება/შედგენა;

35.5. გაგზავნილი შეტყობინების/SMS კოდის **კლიენტის** მიერ დასახელების შემთხვევაში, **ბანკი** განხორციელებს SMS კოდის **ბანკის** პროგრამულ უზრუნველყოფაში შეყვანას და ოპერაციის, დავალების ან/და დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) გაფორმებასთან დაკავშირებული პროცესის დადასტურებას და **კლიენტისათვის** შესაბამისი შეტყობინების გაგზავნას. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ოპერაცია **ბანკის** მხრიდან დადასტურებულად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც **ბანკის** შესაბამისი თანამშრომელი უზრუნველყოფს **კლიენტის** მიერ მიწოდებული შესაბამისი SMS კოდის **ბანკის** პროგრამულ უზრუნველყოფაში შეყვანას.

35.6. ოპერაციის, დავალების ან/და მომსახურების ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) SMS კოდით დადასტურება **მხარეთა** შორის ურთიერთობებში უთანხმოებებს **კლიენტის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერას და დადასტურებს **კლიენტის** ნების ნამდვილობას;

35.7. SMS კოდის საშუალებით დასადასტურებელი ოპერაციის, დავალების ან/და დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) ჩამონათვალს/სახეებს განსაზღვრავს **ბანკი** საკუთარი შეხედულებისამებრ;

36. უკონტაქტო წამკითხველით მომსახურების სერვისი

36.1. PAY სისტემაში ჩართული **ბარათის** ან ID **ბარათის** უფლებამოსილი მფლობელი **უკონტაქტო წამკითხველით** სარგებლობის მიზნით ვალდებულია შეასრულოს **ბანკომატის** მითითებები, მათ შორის და არამარტო: (ა) **კლიენტის** იდენტიფიცირების მიზნით **ბარათი** განათავსოს **უკონტაქტო წამკითხველზე**; (ბ) **ბარათის** იდენტიფიცირების შემდეგ, შეიყვანოს მის სარგებლობაში არსებული მობილური ტელეფონის ნომერი; (გ) მის მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მიღებული კოდი მიუთითოს **ბანკომატის** შესაბამის ველში და სხვა.

36.2. **კლიენტის** იდენტიფიკაციის პროცედურის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, **ბარათის** მფლობელი უფლებამოსილია **ბანკომატის** ეკრანზე გამოტანილი ანგარიშ(ებ)იდან აირჩიოს ერთ-ერთი და განხორციელოს თანხის განაღდებას **ოპერაცია**.

36.3. **ბანკომატთან** თანხის განაღდებას **ოპერაცია** დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშზე ხელმისაწვდომი ნაშთი **ბანკისათვის** განაღდებას საკომისიოს გადახდის შემთხვევაში შეადგენს მინიმუმ 5 (ხუთი) ლარს, ხოლო უცხოური ვალუტის შემთხვევაში - 5 (ხუთი) ლარის ეკვივალენტს შესაბამის ვალუტაში (**ბანკის** კომერციული კურსით ანგარიშისას).

36.4. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეზღუდოს **უკონტაქტო წამკითხველით** მომსახურების სერვისის საკუთარი შეხედულებისამებრ.

37. მომსახურება დისტანციური მომსახურების ცენტრის მეშვეობით

- 37.1. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** მიმართვის შემთხვევაში, **პირობებში** მოცემული ზოგიერთი მომსახურება, **ბანკის** მიერ განსაზღვრული მოცულობით, განახორციელოს დისტანციური მომსახურების ცენტრის ჩართულობით, მათ შორის, გასცეს ინფორმაცია, მიიღოს **დავალება** და ა.შ.
- 37.2. **კლიენტისთვის** დისტანციური მომსახურების ცენტრის მეშვეობით მომსახურების გაწევა შესაძლებელია მხოლოდ **ბანკის** მიერ დადგენილი წესის შესაბამისად კლიენტის ვერიფიკაციის პროცედურის წარმატებით გავლის შემდეგ.
- 37.3. **ბანკი** უფლებამოსილია არ მოემსახუროს **კლიენტს**, თუ კლიენტი წარმატებით ვერ გავლის ვერიფიკაციის პროცედურას.

ნაწილი III

38. დასკვნითი დებულებები

- 38.1. **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში, მიაწოდოს **ბანკის** მიერვე მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.
- 38.2. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის **კანონმდებლობის** საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.
- 38.3. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირ(ებ)ს სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, **ბანკი** მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ მესამე პირებისაგან მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.
- 38.4. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მესამე პირებს დაუთმოს/გადასცეს **პირობებით** განსაზღვრული უფლებები ან/და მოვალეობები. ამასთან თუ **ბანკი** ისარგებლებს ან დააპირებს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული უფლებით სარგებლობას, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადასცეს **კლიენტის** ან/და **კლიენტის საბანკო ანგარიშის** შესახებ **კონფიდენციალური ინფორმაცია** მესამე პირებს.
- 38.5. **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე**, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.
- 38.6. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განმარტდება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომელიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით** **მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.
- 38.7. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს, ამასთან **ბანკის** მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.
- 38.8. **ხელშეკრულებაში** არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამუქებული სიტყვები მოცემულია **ხელშეკრულების** შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციაზე.
- 38.9. წინამდებარე **პირობებს** ენიჭება უპირატესი ძალა **მხარეთა** შორის აქამდე იგივე საგანზე გაფორმებულ ნებისმიერ შეთანხმებასა და ხელშეკრულებასთან შედარებით.
- 38.10. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე. **ფიზიკური პირის საბანკო მომსახურების პირობები** განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე: <http://libertybank.ge>. **ბანკის** სურვილის შემთხვევაში **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებას** და მის **პირობებს** უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებასთან** და მის **პირობებთან** მიმართებაში.

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2026 წლის პირველი აპრილიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 50,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge

სს „ლიბერთი ბანკი“ წარმოადგენს ლიზენცირებულ ფინანსურ ინსტიტუტს და მოქმედებს 2010 წლის 31 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული #0110247 ლიცენზიის საფუძველზე;

სს „ლიბერთი ბანკის“ სათავო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #74-ში 0162. დეტალური ინფორმაცია სს „ლიბერთი ბანკის“ მომსახურების პირობების და მომსახურების ობიექტების შესახებ ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე <http://libertybank.ge>;

სს „ლიბერთი ბანკის“ საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ გვერდზე - <http://nbg.gov.ge>;

საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე

დანართი №1 - უნივერსალური ანგარიშის სატარიფო პაკეტების მომსახურების ტარიფები⁴

პროდუქტი / მომსახურება	სტანდარტული სატარიფო პაკეტი 2.00 ლარი თვეში წლიური გადახდის სქემის არჩევის შემთხვევაში - 20 ლარი წელიწადში	უნივერსალური სატარიფო პაკეტი 5.00 ლარი თვეში წლიური გადახდის სქემის არჩევის შემთხვევაში - 50 ლარი წელიწადში	პრემიალური სატარიფო პაკეტი ⁵ 15.00 ლარი თვეში წლიური გადახდის სქემის არჩევის შემთხვევაში - 150 ლარი წელიწადში	ექსტრა სატარიფო პაკეტი 25 ლარი თვეში წლიური გადახდის სქემის არჩევის შემთხვევაში - 250 ლარი წელიწადში
დისტანციური მომსახურება	უფასო			
ციფრული ბანკი	უფასო			
სმს ბანკი	1.00 GEL	უფასო		
ავტომატური გადახდები	უფასო (შეუზღუდავი რაოდენობა)			
მუდმივი საგადახდო დავალება	უფასო (შეუზღუდავი რაოდენობა)			
სარგებლის დარიცხვა	არ არის გათვალისწინებული			
უნივერსალურ ანგარიშზე სარგებლის დარიცხვა	სტანდარტული %			
შემნახველ ანაბარზე სარგებლის დარიცხვა	სტანდარტული %	სტანდარტული %	სტანდარტული +0.10% ⁶	სტანდარტული %
შემნახველ ანაბარზე „მეტი“ სარგებლის დარიცხვა	GEL – 9 % USD – 0.5 % EUR – 0.25 % GBP – 0.1 %	GEL – 9 % USD – 0.5 % EUR – 0.25 % GBP – 0.1 %	GEL – 9.10 % USD – 0.5 % EUR – 0.25 % GBP – 0.1 %	GEL – 9 % USD – 0.5 % EUR – 0.25 % GBP – 0.1 %

სადებეტო ანგარიშები და ბარათები	უფასო			
უნივერსალური ანგარიშის გახსნა	უფასო			
უნივერსალური ანგარიშის მომსახურება	უფასო			
უნივერსალური ანგარიშის ვალუტა	GEL /USD/EUR/GBP			
უნივერსალური ანგარიშის დასაშვები რაოდენობა	დასაშვებია ერთი ანგარიშის ფლობა	დასაშვებია სამი ანგარიშის ფლობა	დასაშვებია ოთხი ანგარიშის ფლობა	დასაშვებია ერთი ანგარიშის ფლობა
უნივერსალური ანგარიშის ვალუტის პრიორიტეტულობის / თანხების ხარჯვის სქემის შეცვლა	უფასო			
უნივერსალური ანგარიშზე თანხის არასანქცირებული გადახარჯვის ჯარიმა	გადახარჯული თანხის წლიური 48.00% დაანგარიშებული გადახარჯვის ყოველ კალენდარულ დღეზე			
აგრო ანგარიშის გახსნა	უფასო			
აგრო ანგარიშის მომსახურება	უფასო			
შემნახველი ანაბრის/შემნახველი ანაბრის „მეტი“ გახსნა	უფასო			
შემნახველი ანაბრის/შემნახველი ანაბრის „მეტი“ მომსახურება	უფასო			
შემნახველი ანაბრის/შემნახველი ანაბრის „მეტი“ ვალუტა	GEL /USD/EUR/GBP			
შემნახველი ანაბრის/შემნახველი ანაბრის „მეტი“ დასაშვები რაოდენობა (როგორც ჯამურად, ისე ცალ-ცალკე)	დასაშვებია ხუთი წევრილი (GEL/USD/EUR/GBP) ანგარიშის ფლობა	დასაშვებია ხუთი წევრილი (GEL/USD/EUR/GBP) ანგარიშის ფლობა	დასაშვებია ხუთი წევრილი (GEL/USD/EUR/GBP) ანგარიშის ფლობა	დასაშვებია ხუთი წევრილი (GEL/USD/EUR/GBP) ანგარიშის ფლობა
სპეციალური სავალუტო ანგარიშის გახსნა	უფასო			
სპეციალური სავალუტო ანგარიშის მომსახურება	უფასო			

⁴ ბანკის იმ კლიენტებზე, რომლებსაც არ შეუძლიათ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული უნივერსალური ანგარიშის სატარიფო პაკეტ(ებ)ი, ამგვარი სატარიფო პაკეტ(ებ)ის შემენამდე, გავრცელდება ლიბერთი ანგარიშის მომსახურების სტანდარტული პირობების 2019 წლის 07 მაისის რედაქცია, (მათ შორის ტარიფები). ამასთან, პირობებში 2019 წლის 07 მაისის შემდეგ განხორციელებული ისეთი ცვლილებები, რომლებიც არ არის დაკავშირებული სატარიფო პაკეტით სარგებლობასთან მოქმედებს იმ კლიენტებისთვისაც, რომლებსაც კერ არ შეუძლიათ უნივერსალური ანგარიშის სატარიფო პაკეტ(ებ)ი.

⁵ 2024 წლის 16 დეკემბრიდან ბანკში იზღუდება პრემიალური პაკეტის გაყიდვა, ხოლო იმ კლიენტებს ვინც უკვე სარგებლობს აღნიშნული პაკეტით, შეუნარჩუნდება პრემიალური პაკეტით განსაზღვრული პროდუქტები/მომსახურება პაკეტით გათვალისწინებული პირობებისა და ტარიფების შესაბამისად.

⁶ სტანდარტული +0.10% განსაზღვრულია მხოლოდ ლარში, აშშ დოლარში და ევროში გახსნილი შემნახველი ანაბრისთვის.

სპეციალური სავალუტო ანგარიშის ვალუტა	<ul style="list-style-type: none"> • რუსული რუბლი (RUB) • შვეიცარული ფრანკი (CHF) • თურქული ლირა (TRY) • იაპონური იენი (JPY) • აზერბაიჯანული მანათი (AZN) • სომხური დრამი (AMD) • ა.გ.ს დირჰამი (AED) • ავსტრალიური დოლარი (AUD) • კანადური დოლარი (CAD) 																								
სპეციალური სავალუტო ანგარიშის დასაშვები რაოდენობა	მაქს. დასაშვები ცხრა ანგარიში სპეციალურ ვალუტებში																								
უმომრალ ანგარიშის მომსახურების საკომისიო	3.00 ლარი თვეში																								
ტექნიკური ანგარიშის გახსნა	<table border="1"> <tr> <td>უფასო</td> <td>უფასო</td> <td>არ არის ხელმისაწვდომი</td> <td>არ არის ხელმისაწვდომი</td> </tr> </table>	უფასო	უფასო	არ არის ხელმისაწვდომი	არ არის ხელმისაწვდომი																				
უფასო	უფასო	არ არის ხელმისაწვდომი	არ არის ხელმისაწვდომი																						
უნივერსალურ ანგარიშზე დასაშვები ძირითადი/დამატებითი საბანკო ბარათები																									
სადებეტო ბარათები ⁷	<table border="1"> <tr> <td>წინასწარ დამზადებული Visa Classic / MC Standard უსახელო ბარათი</td> <td>წინასწარ დამზადებული Visa Classic / MC Standard უსახელო ბარათი</td> <td>წინასწარ დამზადებული Visa Classic / MC Standard უსახელო ბარათი</td> <td>წინასწარ დამზადებული Visa Classic / MC Standard უსახელო ბარათი</td> </tr> <tr> <td>Visa Classic / MC Standard სახელობითი ბარათი</td> </tr> <tr> <td>აგრო ბარათი</td> <td>აგრო ბარათი</td> <td>აგრო ბარათი</td> <td>აგრო ბარათი</td> </tr> <tr> <td></td> <td>Visa Gold / MC Gold სახელობითი</td> <td>Visa Gold / MC Gold სახელობითი</td> <td></td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td>აგრო ბარათი</td> <td></td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td>Visa Platinum სახელობითი</td> <td></td> </tr> </table>	წინასწარ დამზადებული Visa Classic / MC Standard უსახელო ბარათი	წინასწარ დამზადებული Visa Classic / MC Standard უსახელო ბარათი	წინასწარ დამზადებული Visa Classic / MC Standard უსახელო ბარათი	წინასწარ დამზადებული Visa Classic / MC Standard უსახელო ბარათი	Visa Classic / MC Standard სახელობითი ბარათი	აგრო ბარათი	აგრო ბარათი	აგრო ბარათი	აგრო ბარათი		Visa Gold / MC Gold სახელობითი	Visa Gold / MC Gold სახელობითი				აგრო ბარათი				Visa Platinum სახელობითი				
წინასწარ დამზადებული Visa Classic / MC Standard უსახელო ბარათი	წინასწარ დამზადებული Visa Classic / MC Standard უსახელო ბარათი	წინასწარ დამზადებული Visa Classic / MC Standard უსახელო ბარათი	წინასწარ დამზადებული Visa Classic / MC Standard უსახელო ბარათი																						
Visa Classic / MC Standard სახელობითი ბარათი	Visa Classic / MC Standard სახელობითი ბარათი	Visa Classic / MC Standard სახელობითი ბარათი	Visa Classic / MC Standard სახელობითი ბარათი																						
აგრო ბარათი	აგრო ბარათი	აგრო ბარათი	აგრო ბარათი																						
	Visa Gold / MC Gold სახელობითი	Visa Gold / MC Gold სახელობითი																							
		აგრო ბარათი																							
		Visa Platinum სახელობითი																							
ძირითადი ბარათის დამზადების საკომისიო	უფასო																								
დამატებითი ბარათის დამზადების საკომისიო	<table border="1"> <tr> <td>Visa Classic/MC Standard - 10.00 ლარი</td> <td>Visa Classic/MC Standard - უფასო Visa Gold / MC Gold - უფასო</td> <td>Visa Classic/MC Standard - უფასო Visa Gold / MC Gold - უფასო Visa Platinum - უფასო</td> <td>Visa Classic/MC Standard - 10.00 ლარი</td> </tr> </table>	Visa Classic/MC Standard - 10.00 ლარი	Visa Classic/MC Standard - უფასო Visa Gold / MC Gold - უფასო	Visa Classic/MC Standard - უფასო Visa Gold / MC Gold - უფასო Visa Platinum - უფასო	Visa Classic/MC Standard - 10.00 ლარი																				
Visa Classic/MC Standard - 10.00 ლარი	Visa Classic/MC Standard - უფასო Visa Gold / MC Gold - უფასო	Visa Classic/MC Standard - უფასო Visa Gold / MC Gold - უფასო Visa Platinum - უფასო	Visa Classic/MC Standard - 10.00 ლარი																						
დაკარგული / დაზიანებული ბარათის აღდგენის საკომისიო	<table border="1"> <tr> <td>Visa Classic/MC Standard - 10.00 ლარი</td> <td>Visa Classic/MC Standard - უფასო Visa Gold / MC Gold - უფასო</td> <td>Visa Classic/MC Standard - უფასო Visa Gold / MC Gold - უფასო Visa Platinum - უფასო</td> <td>Visa Classic/MC Standard - 10.00 ლარი</td> </tr> </table>	Visa Classic/MC Standard - 10.00 ლარი	Visa Classic/MC Standard - უფასო Visa Gold / MC Gold - უფასო	Visa Classic/MC Standard - უფასო Visa Gold / MC Gold - უფასო Visa Platinum - უფასო	Visa Classic/MC Standard - 10.00 ლარი																				
Visa Classic/MC Standard - 10.00 ლარი	Visa Classic/MC Standard - უფასო Visa Gold / MC Gold - უფასო	Visa Classic/MC Standard - უფასო Visa Gold / MC Gold - უფასო Visa Platinum - უფასო	Visa Classic/MC Standard - 10.00 ლარი																						
ბარათის მოქმედების ვადა	4 წელი																								
მინიმალური ნაშთი ანგარიშზე	არ მოითხოვება																								
ბარათით სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში სარგებლობა	ელექტრონული კომერციის არხით ეროვნულ ვალუტაში (GEL) შესრულებული გადახდა საერთაშორისო სავაჭრო და მომსახურების ობიექტების ვებ-გვერდებზე ან/და აპლიკაციებში - ტრანზაქციის თანხის 1.5%, მაქსიმუმ 10 ლარი; ⁸ სხვა ნებისმიერ სავაჭრო და მომსახურების ობიექტში - უფასო																								
სტოპ სიაში შეყვანა [ადგილობრივი]	უფასო																								
სტოპ სიაში შეყვანა [საერთაშორისო]	80.00 GEL ყოველ რეგიონზე, კვირაში ერთხელ																								
PIN-ის შეცვლა ბანკომატის საშუალებით	უფასო																								
ნაშთის შემოწმება საქართველოში განთავსებულ ბანკომატში	უფასო																								
ნაშთის შემოწმება საზღვარგარეთ განთავსებულ ბანკომატში	1.00 GEL																								
ბარათის დამზადება სასწრაფო რეჟიმში	ბარათის ღირებულებას + 5.00 GEL																								
საკრედიტო ბარათი⁹																									
საკრედიტო ბარათი	საკრედიტო ბარათით სარგებლობის წესები, პირობები და ტარიფები განისაზღვრება „საკრედიტო ბარათის პირობებით“, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე http://www.libertybank.ge																								
ანგარიშზე თანხის შეტანა / განაღდება																									

⁷ Visa Gold/MC Gold/Visa Platinum ბარათები დასაშვებია მხოლოდ მენაზრეებისათვის, რომელიც გახსნის ვადაში ტიპის ანაზარს 25 000 ლარი ან მეტი თანხით.
⁸ საერთაშორისო სავაჭრო და მომსახურების ობიექტების ვებ-გვერდებზე ან/და აპლიკაციებში ეროვნულ ვალუტაში (GEL) შესრულებულ გადახდებზე დაწესებული საკომისიო ამოქმედდება 2026 წლის 15 აპრილიდან. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, აღნიშნული საკომისიო არ გაავრცელოს გარკვეული კატეგორიის სავაჭრო-მომსახურების ობიექტების (მათ შორის, ტაქსის ან/და მიწოდების სერვისის მიწოდებელი სავაჭრო-მომსახურების ობიექტების) სასარგებლოდ შესრულებული ადგილობრივი გადახდებისას.
⁹ ბანკი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კლიენტის გადახდელუნარიანობის შეფასების საფუძველზე განიხილავს საკრედიტო ბარათის გაცემის საკითხს და დამოუკიდებლად წყვეტს მას. კლიენტის მიერ სატარიფო პაკეტის შექმნა არ ავალდებულებს ბანკს ნებისმიერ შემთხვევაში გასცეს საკრედიტო ბარათი.

უნივერსალურ ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანა	უფასო			
ბანკომატის მეშვეობით ანგარიშზე თანხის შეტანის ვალუტა	GEL/USD/EUR			
თანხის განაღდება უნივერსალური ანგარიშიდან ¹⁰	<ul style="list-style-type: none"> GEL - 0.20%, მინ. 0.50 GEL USD/EUR/GBP - 0.40%, მინ. 0.50 ერთეული 	<ul style="list-style-type: none"> GEL - 0.15%, მინ. 0.30 GEL USD/EUR/GBP - 0.30%, მინ. 0.30 ერთეული 	<ul style="list-style-type: none"> GEL - 0.10%, მინ. 0.10 GEL USD/EUR/GBP - 0.20%, მინ. 0.20 ერთეული 	<ul style="list-style-type: none"> GEL - 1%, მინ. 2 GEL USD/EUR/GBP - 1%, მინ. 2 ერთეული
შემნახველ ანაზარზე/შემნახველ ანაზარზე „მეტი“ ნაღდი ფულის შეტანა	უფასო			
თანხის განაღდება შემნახველი ანაზარიდან/შემნახველი ანაზარიდან „მეტი“ ¹¹	ნაღდი ფულის სახით შემოტანილი თანხის ფარგლებში - უფასო ¹²			
სპეც. სავალუტო ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანა	სხვა შემთხვევაში: <ul style="list-style-type: none"> GEL - 0.20%, მინ. 0.50 GEL USD/EUR/GBP - 0.40%, მინ. 0.50 ერთეული 	სხვა შემთხვევაში: <ul style="list-style-type: none"> GEL - 0.15%, მინ. 0.30 GEL USD/EUR/GBP - 0.30%, მინ. 0.30 ერთეული 	სხვა შემთხვევაში: <ul style="list-style-type: none"> GEL - 0.10%, მინ. 0.10 GEL USD/EUR/GBP - 0.20%, მინ. 0.20 ერთეული 	სხვა შემთხვევაში: <ul style="list-style-type: none"> GEL - 0.20%, მინ. 0.50 GEL USD/EUR/GBP - 0.40%, მინ. 0.50 ერთეული
თანხის განაღდება სპეც. სავალუტო ანგარიშიდან	<ul style="list-style-type: none"> რუსული რუბლი (RUB) - 3.00% შვეიცარული ფრანკი (CHF) - 3.00% თურქული ლირა (TRY) - 3.00% იაპონური იენი (JPY) - 3.00% აზერბაიჯანული მანათი (AZN) - 3.00% სომხური დრამი (AMD) - 3.00% ა.გ.ს დირჰამი (AED) - 5% ავსტრალიური დოლარი (AUD) - 5.00% კანადური დოლარი (CAD) - 5.00% 			
ბარათიდან თანხის განაღდება ლიბერთი ბანკის ბანკომატში	0.20%, მინ. 0.20 GEL ¹³	უფასო	უფასო	<ul style="list-style-type: none"> GEL - 1%, მინ. 2 GEL USD/EUR/GBP - 1%, მინ. 2 ერთეული
ბარათიდან თანხის განაღდება პარტნიორი ბანკის ბანკომატებში	0.60%, მინ. 0.20 GEL	0.20%, მინ. 0.20 GEL	უფასო	2.00%, მინ. 6.00 ერთეული
ბარათიდან თანხის განაღდება პარტნიორი ბანკის ფილიალებში	2.00%, მინ. 6.00 GEL	2.00%, მინ. 6.00 GEL	2.00%, მინ. 6.00 GEL	2.00%, მინ. 6.00 ერთეული
ბარათიდან თანხის განაღდება სხვა ბანკის ფილიალებში	2.00%, მინ. 6.00 GEL	2.00%, მინ. 6.00 GEL	2.00%, მინ. 6.00 GEL	2.00%, მინ. 6.00 ერთეული
ბარათიდან თანხის განაღდება სხვა ბანკის ბანკომატებში საქართველოში	2.00%, მინ. 6.00 GEL	2.00%, მინ. 6.00 GEL	1.00%, მინ. 2.00 GEL	2.00%, მინ. 6.00 ერთეული
ბარათიდან თანხის განაღდება სხვა ბანკის ბანკომატებში საზღვარგარეთ	2.00%, მინ. 6.00 GEL	2.00%, მინ. 6.00 GEL	2.00%, მინ. 6.00 GEL	2.00%, მინ. 6.00 ერთეული
გადარიცხვები და ვალუტის კონვერტაცია:				

¹⁰ ანგარიშიდან თანხის განაღდებას საკომისიო არ ვრცელდება ვადიანი ანაზარის თანხის და მასზე დარიცხული სარგებლის განაღდებას ოპერაციაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დეპოზიტის დარღვევა/შეწყვეტა განხორციელდება გახსნიდან 1 თვემდე ვადაში. ანაზარის გახსნიდან 1 თვის განმავლობაში დარღვევის/შეწყვეტის შემთხვევაში ანაზარის თანხის განაღდებაზე გავრცელდება ანგარიშიდან თანხის განაღდებასთვის კლიენტის შესაბამისი სატარიფო პაკეტით დადგენილი საკომისიო;

¹¹ შესაბამისი სატარიფო პაკეტისთვის თანხის განაღდებაზე დაწესებული საკომისიო არ ვრცელდება შემნახველ ანაზარზე/შემნახველ ანაზარზე „მეტი“ განთავსებულ ნაშთზე დარიცხული სარგებლის განაღდებაზე;

¹² (ა) თუ თანხა შეტანილია ბანკის ფილიალის/სერვის-ცენტრის მეშვეობით, თანხის უფასოდ გატანა შესაძლებელია მხოლოდ იმ ფილიალში/სერვის-ცენტრში, სადაც თანხა ნაღდი ფულის სახით იქნა შეტანილი; (ბ) თუ თანხა შეტანილია ბანკის ფილიალის/სერვის-ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ბანკომატის ან/და სწრაფი გადახდის აპარატის (LB Pay/365) მეშვეობით, თანხის უფასოდ გატანა შესაძლებელია მხოლოდ იმ ფილიალში/სერვის-ცენტრში, სადაც განთავსებულია შესაბამისი ბანკომატის ან/და სწრაფი გადახდის აპარატის (LB Pay/365). სხვა ნებისმიერი ბანკომატის ან/და სწრაფი გადახდის აპარატის (LB Pay/365) მეშვეობით შეტანილი თანხის გატანაზე გავრცელდება შესაბამისი სატარიფო პაკეტისთვის თანხის განაღდებაზე დაწესებული საკომისიო.

¹³ უფასო ბანკის იმ კლიენტებისთვის, რომლებზეც ბარათი გაიცა ავტო სესხით სარგებლობის მიზნით

თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის ფილიალებში და საკუთარ ანგარიშებს შორის (ნებისმიერი ვალუტა)
ციფრულ ბანკში თანხის გადარიცხვა პირადი ნომრის ან მობილური ტელეფონის ნომრის საშუალებით ლიბერთი ბანკის შიგნით ეროვნულ ვალუტაში
თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის გარეთ ეროვნულ ვალუტაში
თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის გარეთ აშშ დოლარში
თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის გარეთ ევროში
თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის გარეთ გირვანჯა სტერლინგში
თანხის გადარიცხვა სხვა უცხოურ ვალუტაში ლიბერთი ბანკის გარეთ:
რუსული რუბლი (RUB)
შვეიცარული ფრანკი (CHF)
თურქული ლირა (TRY)
იაპონური იენი (JPY)
აზერბაიჯანული მანათი (AZN)
სომხური დრამი (AMD)
ა.გ.ს დირჰამი (AED) ¹⁴
ავსტრალიური დოლარი (AUD)
კანადური დოლარი (CAD)
გადარიცხვაში შესწორების შეტანა/მოკლებვა

უფასო			
ფუფასო			
სტანდარტული საკომისიო			
100 ლარამდე - 1 ლარი 100 ლარიდან - 10 000 ლარამდე - 2 ლარი 10 000 ლარიდან - 100 000 ლარამდე - 5 ლარი 100 000 ლარი და მეტი - 50 ლარი	1000 ლარამდე - 1 ლარი 1000 ლარიდან - 10 000 ლარამდე - 2 ლარი 10 000 ლარიდან - 100 000 ლარამდე - 5 ლარი 100 000 ლარი და მეტი - 50 ლარი	5000 ლარამდე - 0.5 ლარი 5000 ლარიდან - 10 000 ლარამდე - 2 ლარი 10 000 ლარიდან - 100 000 ლარამდე - 5 ლარი 100 000 ლარი და მეტი - 50 ლარი	100 ლარამდე - 1 ლარი 100 ლარიდან - 10 000 ლარამდე - 2 ლარი 10 000 ლარიდან - 100 000 ლარამდე - 5 ლარი 100 000 ლარი და მეტი - 50 ლარი
სწრაფი გადარიცხვის სერვისის საკომისიო			
სწრაფი გადარიცხვა - 10 000 ლარამდე - სტანდარტულ საკომისიოს დამატებული 1 ლარი; 10 000 ლარი და მეტი - სტანდარტული საკომისიო	სწრაფი გადარიცხვა - 10 000 ლარამდე - სტანდარტულ საკომისიოს დამატებული 1 ლარი; 10 000 ლარი და მეტი - სტანდარტული საკომისიო	სწრაფი გადარიცხვა - 10 000 ლარამდე - სტანდარტულ საკომისიოს დამატებული 1 ლარი; 10 000 ლარი და მეტი - სტანდარტული საკომისიო	სწრაფი გადარიცხვა - 10 000 ლარამდე - სტანდარტულ საკომისიოს დამატებული 1 ლარი; 10 000 ლარი და მეტი - სტანდარტული საკომისიო
• 0.20%, მინ. 15.00 & მაქს. 150 USD • მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული 30.00 USD	• ფიქსირებული - 15.00 USD • მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული 30.00 USD	• ფიქსირებული - 10.00 USD • მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული 25.00 USD	• 0.20%, მინ. 15.00 & მაქს. 150 USD • მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული 30.00 USD
• 0.20%, მინ. 15.00 & მაქს. 150 EUR • მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული 30.00 EUR	• ფიქსირებული -15.00 EUR • მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული 30.00 EUR	• ფიქსირებული - 10.00 EUR • მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული 25.00 EUR	• 0.20%, მინ. 15.00 & მაქს. 150 EUR • მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული 30.00 EUR
0.20%, მინ. 15.00 & მაქს. 150 GBP	ფიქსირებული - 15.00 GBP	ფიქსირებული - 10.00 GBP	0.20%, მინ. 15.00 & მაქს. 150 GBP
0.20%, მინ. 1 200.00 & მაქს. 10 000.00 RUB	1 200.00 RUB	1 200.00 RUB	0.20%, მინ. 1 200.00 & მაქს. 10 000.00 RUB
0.20%, მინ. 30.00 & მაქს. 180.00 CHF	30.00 CHF	30.00 CHF	0.20%, მინ. 30.00 & მაქს. 180.00 CHF
0.20%, მინ. 100.00 & მაქს. 800.00 TRY	100.00 TRY	100.00 TRY	0.20%, მინ. 100.00 & მაქს. 800.00 TRY
0.20%, მინ. 2 500.00 & მაქს. 15 000 JPY	2 500.00 JPY	2 500.00 JPY	0.20%, მინ. 2 500.00 & მაქს. 15 000 JPY
0.20%, მინ. 40.00 & მაქს. 300.00 AZN	40.00 AZN	40.00 AZN	0.20%, მინ. 40.00 & მაქს. 300.00 AZN
0.20%, მინ. 10 000.00 & მაქს. 90 000.00 AMD	10 000.00 AMD	10 000.00 AMD	0.20%, მინ. 10 000.00 & მაქს. 90 000.00 AMD
0.3%, მინ. 350.00 & მაქს. 800.00 AED	0.3%, მინ. 350.00 AED & მაქს. 800.00 AED	0.3%, მინ. 350.00 AED & მაქს. 800.00 AED	0.3%, მინ. 350.00 & მაქს. 800.00 AED
0.20%, მინ. 30.00 & მაქს. 250.00 AUD	30.00 AUD	30.00 AUD	0.20%, მინ. 30.00 & მაქს. 250.00 AUD
0.20%, მინ. 30.00 & მაქს. 250.00 CAD	30.00 CAD	30.00 CAD	0.20%, მინ. 30.00 & მაქს. 250.00 CAD
• USD ან RUR - 55 USD • სხვა ვალუტა - 55 EUR			

